34/3

მნათობი

1-2

1999

მნათობი

წელიწადი 75-ე №1-2 1999 წელი

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

შინაარსი

პოეზია, პროზა, დრამატურგია

ანა ოთხვანი — შენ ხომ მზე ხარ ჩვენი!.. ლექსი 3
ნუგზარ შატაიძე — მეკვლე. რადიოპიესა 4
ჯანო ჯანელიძე — ლექსები 12
ზაზა აბზიანიძე — ლექსები 15
ზურაბ ლოგჟანიძე — დავიწყებული მომავალი. მოთხრობა 19
ჯეიმზ ჯოისი — ულისე. მე-16 ეპიზოდი. თარგმანი და კომენტარი
ნიკო ყიასაშვილისა. გაგრძელება 47

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ოთარ ჭურღულია — „ცხოვრების საზრისი" 69
ასრათ ომარაშვილი — შეცდომები დროზე უნდა გასწორდეს! 75
თამარ ბოკუჩავა — კარიბჭესთან 83

მეცნიერება

მერი ინაძე — არგონავტთა თქმულება სტრაბონის გეოგრაფიაში 86
მანანა ჯავახიშვილი — უ. რიშარი — საქართველოში კათოლიკე
მისიონერების შესახებ 97
ვლადიმერ ლეკიაშვილი — ფრაზეოლოგიური ერთეულების
კლასიფიკაციის ფორმალური კრიტერიუმები 100

თვალსაზრისი

ელენე ჭურდაძე — უხილავი ძაფი 102
ზაურ კილაძე — სულიერება 113

პუბლიკაცია

გრიგოლ ლორთქიფანიძე — წერილი თედო ღლონტს.
წინასიტყვაობა გრიგოლ ზარქუასი 125

ხელოვნება

ვასილ კიკნაძე — საუბარი მიხეილ თუმანიშვილის თეატრზე 142
თამაზ ჭილაძე — დიდოსტატი 153

ჩვენი ფოსტა

გიორგი ჯავახიშვილი — იძულებითი გამოხმაურება 158

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
თამაზ ჭილაძე

სარედაქციო საბჭო:
მარიამ აგიაშვილი
აკაკი მინდიაშვილი
მანანა მიქელაძე
მზია შატბერაშვილი
ვაჟა ჩორდელი (პ/მგ. მდივანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შანა ოთხვანი

შენ ხომ მზე ხარ, ჩვენი!..

არასოდეს მყვარებიხარ, აფხაზეთო, ასე!
არასოდეს არ ყოფილხარ ასე ძლიერ ჩემი,
თუმც სიგიჟეს შეუპყრიხარ: შვილს საწამლავს ასმევ
და მოსისხლე მიგიღია ძმად, ღიმილის მჩენი...

ზღვათა დედოფალი იყავ, მზის გვირგვინი გადგა...
საფურთხებლად ვინ გიქცია საკოცნელი პირი?
ვერ გშორდები, ვერ გთმობ, შენი ტკივილი მკლავს რადგან,
შენს სისხლიან სარეცელთან მიჯაჭვული ვტირი...

თავად ღმერთმა განგვიკითხოს შვილნი წუთისოფლის -
ჩვენ, რომელნიც ერთმა მზემ და ერთმა მიწამ გვზარდა...
ვერაფერი ვეღარ მიხსნის, გარდა შენთან ყოფნის,
ვერაფერი მომკლავს, შენი ცივი გულის გარდა...

გევედრები, მტერს შარბათით ნუ აუვსებ თასებს,
აღარც ეშმა მიიჩნიო, ძმად, ღიმილის მჩენი!
ნუ იბრმავებ ლამაზ თვალებს,
ნუ წარწყმდები ასე,
დედი,
შვილებს ნუ დახოცავ! -
შენ ხომ... მზე ხარ ჩვენი!...

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული

ნუგზარ შატაიძე

მეკვლე

რადიოპიესა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედი პირები:

1. **დედაბერი**
2. **ვაცი**
3. **ქალი**
4. **ბიჭი**
5. **გოგო**

გოგო: გცივა, ბებო?
დედაბერი: ჰა?
გოგო: გცივა-მეთქი?
დედაბერი: არა, არა.
გოგო: გინდა, ჩაის მოგიტანი.
დედაბერი: რაო?
გოგო: ცხელ ჩაის მოგიტანი, გინდა?
დედაბერი: არა მცივა, გოგო, არა!
გოგო: ხომ არ გშია?
დედაბერი: ჰა?
გოგო: ხომ არ გშია-მეთქი.
დედაბერი: რომელი საათია?
გოგო: ათი.
დედაბერი: რომელი?
გოგო *(უყვირის)*: ათია უკვე, ათი!
დედაბერი: დილის თუ საღამოსი?
გოგო: საღამოსი. ორ საათში ახალი წელი მოვა.
დედაბერი: რა მოვა?
გოგო: ახალი წელი, ახალი!
დედაბერი: ახალი წელი...
გოგო: გიხარია, ბებო, ახალი წელი?
დედაბერი: რაო?
გოგო: გიხარია-მეთქი?
დედაბერი: რა უნდა მიხაროდეს, გოგო?
გოგო: ახალი წელი.
დედაბერი: ახალი წელი?!
გოგო: ჰო, გიხარია?
დედაბერი: რა არის გასახარელი...
გოგო *(გაკვირვებული)*: როგორ თუ რა, ახალი წელი მოდის!
დედაბერი: მერე რა, მოდის და მოვიდეს.
გოგო: დედამ გოზინაყი გააკეთა.
დედაბერი: რა გააკეთა?
გოგო: გოზინაყი.
დედაბერი *(ზიზღით)*: ფიჰ!
გოგო: რა იყო.
დედაბერი: რა იცის, გოგო, დედაშენმა გოზინაყის...
გოგო: როგორ არ იცის.
დედაბერი: დაეწვა?
გოგო: არა.
დედაბერი: აბა?
გოგო: არაფერი, ძალიან გემრიელი გამოვიდა.
დედაბერი: გემრიელი არა, ის...
გოგო: ნუ იცი რა, ბებო, ეგრე!
დედაბერი: რა ნუ ვიცი, გოგო,

რა! როდის აქეთია, დედაშენი
გოზინაყს აკეთებდა
საახალწლოდ?
გოგო: რა ქნას აბა, შენ აღარ
შეგიძლია და...
დედაბერი: რაო?
გოგო: შენ აღარ
შეგიძლია-მეთქი.
დედაბერი: ჰო, მე აღარაფერი
შემიძლია, მარტო თქვენ ხართ
ამ ოჯახში ყველაფერი...
გოგო: ოო, კარგი რა, ბებო!
(პაუზა)
დედაბერი: ბიჭი რას შვრება?
გოგო: რა უნდა ქნას,
ტელევიზორს უყურებს.
დედაბერი: ენაცვალოს ბებო...
მამაშენი?
გოგო: ისიც.
დედაბერი: ჰა?
გოგო: ისიც ტელევიზორს
უყურებს.

●

ქალი *(სამზარეულოდან ეძახის
გოგოს)*: თიკა, თიკა!
გოგო: რა გინდა, დე!
ქალი: მოდი აქ!
(გოგო სამზარეულოში გადის)
გოგო: ხო, რა გინდა...
ქალი *(საყვედურით)*:
მომეხმარე, გოგო, გავწყდი
წელში, ხომ ხედავ!
გოგო: მითხარი, რა გავაკეთო,
არაფერს მავალებ და...
ქალი: გავალებ, თორემ... სუფრა
გადააფარე მაგიდას, თეფშები
და დანა-ჩანგალი გაწმინდე.
გოგო: გავშალოთ უკვე?
ქალი: აბა, არ გავშალოთ?
თერთმეტი დაიწყო...
გოგო: უი, რა კარგია!
ქალი: ის მწვანე არ გინდა, თეთ-
რი სუფრა გადააფარე... ცელო-
ფანი არ დაგავიწყდეს, გესმის?
გოგო: შენ ბევრი დაგრჩა?
ქალი: გოზინაყი მაქვს
დასაჭრელი, ეს ინდაურიც
მოიხარშა მგონი... საცივი უნდა
დავიწყო.
გოგო: მერე, მოასწრებ?!
ქალი: რას მოგასწრებ თქვენს
ხელში, თითის განძრევა არ
გინდათ არავის!
გოგო: გახსოვს, ბებომ რა
საცივი იცოდა?
ქალი: მეც არ გამომდის
ნაკლები, ნუ გეშინია!
გოგო: კი, შენც კარგი
გამოგდის, მაგრამ...
ქალი: წადი, გოგო, ნუ გაიტლიკე
ენა... მამაშენს დაუძახე, რომ
მიცივებია იმ ტელევიზორს!
კაცი: მეძახდი, გულიკო?
ქალი: ნახე ერთი, ეს ინდაური
თუ მოიხარშა.
კაცი: შენ ვერ ნახავ?
ქალი *(გაბრაზებული)*: მარტო მე
ვარ ამ ოჯახში?! გავწყდი ქალი
წელში, აღარ შემიძლია მეტი,
დილიდან ფეხზე ვტრიალებ!
კაცი *(მხიარულად)*: ოქრო ხარ,
გულიკო, ოქრო!
ქალი: ენა კი გაქვს, ნუ გეშინია!
კაცი: კი, მაგრამ მე არ
გაგეგზავნე დილას ბაზარში?!
მომეცი ერთი, ჩანგალი...
ქალი: უჯრაშია.
კაცი: გენახა ერთი, რა ამბავი
იყო, არ მეგონა, ცოცხალი თუ
გამოვაღწევდი იქიდან. რომ
კითხო, ხალხს ფული არა
აქვსო... რა გინდა, მოხარშულა
უკვე... ფულის მეტი რა აქვთ,
სულ ორ-ორ ინდაურს
ყიდულობდნენ!

ქალი: აი, ამ ლანგარზე ამოიღე და მერე გოზინაყი დამიჭერი.
კაცი: კალენდარში წავიკითხე, მოხარშულ ინდაურს გარეთ გადგმა უხდებაო.
ქალი: გადგი, მერე! ოღონდ ჯერ მარილი მოაყარე.
კაცი: აბა, მარილი?
ქალი: ცხვირწინ არ გიდგას?!
კაცი: სად, ქალო?
ქალი: ხელი თუ არ დაგიდო კაცმა, ვერ იპოვნი!
კაცი: ჰო, აქ ყოფილა...
ქალი: ძალიან არ გადაამლაშო, შენებურად.
კაცი: იფ, რა ინდაურია!
ქალი: მაგ ფასად ორს იყიდიდა კაცი...
კაცი: ორს არა სამს. იცი, რა სიძვირე იყო?
ქალი: ჰო, კარგი, კარგი. დროზე ქენი და დამიჭერი ეს ოხერი გოზინაყი, მე საცივი უნდა დავიწყო.

●

კაცი: გძინავს დედა? (*დედაბერი:*) ჰა?
კაცი: არაფერი, გძინავს-მეთქი?
დედაბერი: არა, რა დამაძინებს...
კაცი: ხომ არ გცივა?
დედაბერი: რაო?
კაცი: ხომ არ გცივა-მეთქი.
დედაბერი: არა, არა!
კაცი: თუ გინდა, გულიკოს ვეტყვი და ჩაის აგიდუღებს.
დედაბერი: რად მინდა ჩაი...
კაცი: არც გშია?
დედაბერი: ჰა?
კაცი (*უფრო ხმამაღლა*): ხომ არ გშია-მეთქი!
დედაბერი: აჰ, არა, არა.
კაცი: აბა, არაფერი გინდა?
დედაბერი: რომელი საათია?
კაცი: თერთმეტის ნახევარი, საათნახევარში ახალი წელი დადგება.
დედაბერი: რა დადგება?
კაცი: ახალი წელი!
დედაბერი: ახალი წელი?!
კაცი: ჰო, გულიკო საცივს აკეთებს.
დედაბერი: რას აკეთებს?
კაცი: საცივს.
დედაბერი (*ზიზღით*): ფიჰ!
კაცი: რა იყო.
დედაბერი: რა იცის გულიკომ საცივის.
კაცი: როგორ არ იცის, შენ არ ასწავლე?
დედაბერი: მე კი ვასწავლე, მაგრამ...
კაცი: კარგი, რა, ნუ იცი შენ ეგრე...
დედაბერი: რა ვიცი, ბიჭო, რა?
კაცი: ჰო, კარგი, კარგი... ესე იგი, ჩაი არ გინდა, ხომ?
დედაბერი (*გაკაპასებული*): ჭირი მინდა მე, ჭირი და სიკვდილი!
კაცი: კარგი რა, დედა, კარგი. მოდი, ნუ ვიჩხუბებთ, ამ საღამოს მაინც ნუ ვიჩხუბებთ...

●

ქალი: რა ქენი, გადგი?
კაცი: კი.
ქალი: კატა არ მიეპაროს.
კაცი: კატა არა, ის.
ქალი: ახლა გოზინაყი დამიჭერი.
კაცი: დანა?
ქალი: უჯრაშია. ალესე ცოტა.
კაცი: დედაჩემმა იცოდა კარგი გოზინაყი...
ქალი (*გაცეცხლებული*): რას

შვრები, რას! მაგიდა არ უნდა გადაწმინდო?!
კაცი: ტილო?
ქალი: ყველაფერი ხელში უნდა მოგაწოდოთ კაცმა!
კაცი: გულიკო...
ქალი *(აწყვეტინებს)*: გადამრევენ მე ესენი, გადამრევენ!
კაცი: მიდი, რა, გულიკო, დღეს მაინც ნუ ვიჩხუბებთ, კარგი? თუ გინდა, შეგიღიტინებ, გინდა?
ქალი: გაიწი იქით!
კაცი: შეგიღიტინებ, რა მოხდება?
ქალი *(ისტერიული სიცილით)*: გაიწი-მეთქი!..
კაცი: ეგრე, შე ქალო, გაიცინე, ახალი წელი მოდის!

●

გოგო: ბებო გეძახის, ბიჭო, არ გესმის?!
ბიჭი: აუ, ტელევიზორს ვუყურებ, რა!
გოგო: გეძახის, შე დებილო!
ბიჭი: დებილი არა ხარ?
გოგო: შენ იცი, რას გიზამ?..
ბიჭი: აუ, გადი, რა!
გოგო *(წიკვინებს)*: დედა! დედა!!!
ბიჭი: მორჩი, ეხლა!
დედაბრის ხმა: გიოო!
გოგო: აგე, გეძახის, ხო გაიგე!
ბიჭი: გააჭირა საქმე...

●

ბიჭი: რა გინდა, ბებო, რა!
დედაბერი: მოხვედი, შვილო?
ბიჭი: ჰო, რა გინდა.
დედაბერი: მომეცი აბა, შენი ხელი...
ბიჭი: ეეე, კარგი რა, ბებო!
დედაბერი: მომეცი, ბიჭო, რა მოხდება...
ბიჭი: აჰა...
დედაბერი: გენაცვალოს ბებო... ჩემო ვაჟკაცო, ჩემო იმედო...
ბიჭი: კარგი, რა, ბებო!..
დედაბერი: რატომ, შვილო, რატომ არ გიყვარს ჩემი მოფერება, ბებერი რომ ვარ, იმიტომ? ვინ მყავს შენს მეტი, გენაცვალოს შენი ბებო...
ბიჭი: აუ, ბებო, რაა!
დედაბერი: აი, ერთხელაც გაკოცებ, ერთხელაც და მეტი აღარ... *(ჰკოცნის)*.
ბიჭი: კარგი, წავედი...
დედაბერი: რომელი საათია?
ბიჭი: თერთმეტია უკვე. ერთ საათში ახალი წელი იქნება.
დედაბერი: რა იქნება?
ბიჭი: ახალი წელი.
დედაბერი *(გაკვირვებული)*: ახალი წელი?!
ბიჭი: ხო, რა იყო.
დედაბერი: არაფერი, არაფერი...
ბიჭი: კარგი, წავედი, მაშინ...
დედაბერი: მოიცა... ჩამოჯექი ცოტა ხანს, რაღაც უნდა გითხრა...
ბიჭი: რა უნდა მითხრა.
დედაბერი: ჩამოჯექი, რა მოხდება...
ბიჭი: აუ, ტელევიზორს ვუყურებ, რა!
დედაბერი: დაჯექი, ბიჭო, არ გაგექცევა ის ტელევიზორი.
ბიჭი: აჰა, დავჯექი...
დედაბერი *(პაუზის შემდეგ)*: შვილო, პაპა გახსოვს?
ბიჭი *(ჩაფიქრდება)*: პაპა?
დედაბერი: ჰო.
ბიჭი: ისე, ბუნდოვნად...
დედაბერი: მაინც, რანაირად?
ბიჭი *(პაუზის შემდეგ)*: მახსოვს, ერთხელ, ახალი წელი იყო და

გარედან კარზე დააკაკუნა...
დედაბერი *(თითქოს ამხნევებს)*: ჰო, ჰო!
ბიჭი: ჩვენ რაღაც ვკითხეთ, ვინ არისო თუ რაღაც... თან სულ გვეცინებოდა...
დედაბერი: მერე?
ბიჭი: მერე შემოვიდა, შემოიტანა დიდი ლანგრით ხილი, კანფეტები, ტკბილეული... კანფეტებს იატაკზე ფანტავდა და თან ამბობდა: შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთიო!..
დედაბერი *(გამოცოცხლდება)*: ფეხი ჩემი — კვალი ანგელოზისო?
ბიჭი: ჰო, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისო.
დედაბერი: მერე, მერე?
ბიჭი: მერე ხელში ამიყვანა. თოვლის სუნი ჰქონდა...
დედაბერი *(ხმის კანკალით)*: თოვლის სუნი?
ბიჭი: ჰო. შენ ხომ არ გცივა? გინდა, დედაჩემს ვეტყვი და ჩაის აგიდუღებს.
დედაბერი: არა, არ მინდა.
ბიჭი: არც გშია?
დედაბერი: არა, არაფერი მინდა...
ბიჭი: წავალ მაშინ...
დედაბერი: წადი, შვილო, წადი...

●

ქალი: თიკა!
გოგო: რა იყო?
ქალი: გადააფარე, შვილო, სუფრა?
გოგო: კი. თეფშებიც დავაწყვე, დანა-ჩანგალიც...
ქალი: ხომ დაწმინდე, დედიკო?
გოგო: როგორ არა!
ქალი: მარილი? მარილი ხომ არ დაგავიწყდა?
გოგო: არა.
ქალი: ყოჩაღ! აბა, მომეხმარეთ ახლა ყველანი. შენ ესენი გაიტანე, მაშაშენი პურს დაჭრის.
კაცი: ღვინო არ ჩამოვასხა?
ქალი: ღვინოც ჩამოასხი-და პურიც დაჭერი.
კაცი: რომელი საათია?
ქალი: თორმეტის ნახევარია უკვე. დედაშენი არ გამოვა სუფრასთან?
კაცი: ვეტყვი, რა ვიცი...
ქალი: ძალიან შეეხვეწე, იცოდე.
კაცი: ეჰ, ხომ იცი, რანაირი ქალია...
ქალი *(გაცხარებით)*: შენი ჭირიმე, ოღონდაც ახლა შეიკავოს ყველამ თავი, ოღონდაც ახლა ნუ ვიჩხუბებთ და თუ გინდა, მომკალით!

●

ქალი: რაო, არაო?
კაცი: ეჰ, გამანებე თავი...
ქალი: ეს ~~ახ~~ალი წელი თუ არ ჩაგვაშხამა, ისე როგორ შეიძლება!

(ტელევიზორიდან ისმის საახალწლო გადაცემის საზეიმო ხმები.)

კაცი: რომელი საათია?
გოგო: თხუთმეტი წუთი აკლია!
კაცი: მიდი, ბიჭო, უთხარი, იქნებ შენ მაინც დაგიჯეროს.
ქალი: მიდი, შვილო, მიდი. ხომ იცი, მაგას ამ ოჯახში შენს მეტი არავინ უნდა!

●

ბიჭი: ბები...
დედაბერი: უი, მოხვედი, შვილო!

ბიჭი: ჰო, მოვედი...
დედაბერი: მოდი, გენაცვალე, მოდი, აი, აქ ჩამოჯექი!
ბიჭი: მითხარი, ბები, გიყვარვარ?
დედაბერი: რაო?
ბიჭი: გიყვარვარ-მეთქი?
დედაბერი: მიყვარხარ, შე ციგანო, აბა, არ მიყვარხარ?!
ბიჭი: ძალიან გიყვარვარ თუ ისე, რაა...
დედაბერი: ჰა?
ბიჭი: ძალიან გიყვარვარ-მეთქი?
დედაბერი: ძალიან, შვილო, ძალიან. ვინ მყავს, მე საწყალს, შენს მეტი?
ბიჭი: მართლა?
დედაბერი *(გაკვირვებული)*: მართლა, აბა, ტყუილად?!
ბიჭი: მაშინ ადექი ეხლა და წამოდი!
დედაბერი: რაო?
ბიჭი: წამოდი-მეთქი.
დედაბერი: შენც კარგი მამაძაღლი ხარ, ნუ გეშინია!
ბიჭი: აუ, კარგი რა, ბებო!
დედაბერი: რა კარგი, შვილო, რა კარგი!
ბიჭი: სადაცაა ახალი წელი დადგება, წამოდი რა, გეხვეწები!
დედაბერი: დედაშენმა გამოგაგზავნა?
ბიჭი: წამოდი და გაკოცებ, გინდა?
დედაბერი: რაო?
ბიჭი: გაკოცებ-მეთქი!
დედაბერი: რას ამბობ, ბიჭო?!
ბიჭი *(ჰკოცნის)*: აჰა!
დედაბერი *(გული აუჩუყდება)*: შენ რას გეტყვი, მე შენ...
ბიჭი: აუ, რა გატირებს ბებო!
დედაბერი: ჰა?
ბიჭი: რატომ ტირი...
დედაბერი *(ტირის)*: არ ვტირი...
ბიჭი: კარგი, ჰო, კარგი, დაწყნარდი.
დედაბერი *(სლუკუნით)*: გენაცვალოს ბებო...
ბიჭი: ეხლა წამოხვალ?
დედაბერი: ოხ, შე ციგანო, შე ციგანო!
ბიჭი: ადექი, აბა, ადექი...
დედაბერი: დამაცადე...
ბიჭი: რაღა უნდა დაგაცადო, საცაა თორმეტი შესრულდება!.. *(მხიარულად)* თუ გინდა, ხელში აგიყვან, გინდა?
დედაბერი *(შეშინებული)*: არა, არა!
ბიჭი *(მტკიცედ)*: აგიყვან!
დედაბერი: უიმე, დამსვი, ბიჭო!!!
ბიჭი: ხელი კარგად მომხვიე!
დედაბერი: დამსვი, შე მამაძაღლო, არაფერი იტკინო!

●

ბიჭი *(მხიარულად)*: ესეც ბებოო!
ქალი: გაგიჟდი, ბიჭო?!
ბიჭი: რომელი საათია?
გოგო: ჩქარა, ჩაქარა!
კაცი: ჩასვი სავარძელში, რამდენ ხანს უნდა გეჭიროს?!
ბიჭი: დაჯექი, ბები... აი, ასეე! შამპანური გავხსნა?
გოგო: ჩქარა-მეთქი!

(შამპანურის ბოთლის გახსნის ხმა)

ქალი: ჭიქები, ჭიქები!
ბიჭი: აუ! აუ!!!
გოგო: აი, დაიწყო!
კაცი: ტელევიზორს აუწიეთ! ისმის „მრავალჟამიერი“ და თოფების შორეული ბათქა-ბუთქის ხმა.
ქალი: აბა, მივუჭახუნოთ!
კაცი: გაგვიმარჯოს, მრავალ

ახალ წელს დაგვასწროს! დედა, გილოცავ, მრავალს დაესწარი...
გოგო: გილოცავ, ბებო!
დედაბერი: თქვენც გილოცავთ, შვილებო...
ქალი: აბა, დავლიოთ და გადავკოცნოთ ყველამ ერთმანეთი!
კაცი: მოდი, გულიკო...
ქალი: აკოცეთ, ბებოსაც აკოცეთ!
დედაბერი: გენაცვალოთ ბებო... *(სიცილი, კოცნის ხმები)*
ქალი: ახლა ერთმანეთი გადაკოცნეთ და ამ ახალი წლიდან აღარ გავიგონო თქვენი ჩხუბი!
გოგო: მოდი, ე!
ქალი: ეგრე, აი, ეგრე!.. მოდი, თიკა, გაკოცო... შენც, შვილო...
ბიჭი: ბებოს?
ქალი *(სიცილით)*: აჰა, ბებოსაც!
დედაბერი: იცოცხლეთ, შვილებო, გაიხარეთ. მრავალს დაესწარით სულ ჯანმრთელად, ბედნიერად, სიხარულით. გიყვარდეთ ერთმანეთი... ფეხბედნიერი ყოფილიყოს ეს ახალი წელიწადი ჩვენი ოჯახისათვის, ბარაქა და დოვლათი მოგვცეს ღმერთმა... წმინდაო გიორგი, გადმოხედე შენის მოწყალე თვალით ჩემს შვილებს, შვილიშვილებს, გამიმრავლე, გამიღორძინე...
ქალი: ასე არ ჯობია?
დედაბერი: ჰა?
ქალი: ასე არ ჯობია-მეთქი?
დედაბერი: რა ჯობია ასე?
ქალი: ტკბილად ყოფნა...
დედაბერი: მერე, მე მეუბნები, მაგას?!
ქალი: აბა, ვის ვუთხრა?
დედაბერი: შენს თავს უთხარი!
ქალი *(ტირილს აღარაფერი უკლია)*: რა ვუთხრა ჩემს თავს, რა!
კაცი: გულიკო!
ქალი: ჰო, რა ვუთხრა!
კაცი: რა გთხოვე, გულიკო, მე შენ?
ქალი: ვაიმე, გავგიჟდები. ახლაც მე ვარ დამნაშავე?
ბიჭი: აუ, არ იჩხუბოთ, რა!
ქალი: გაგწყდი წელში, დილიდან ფეხზე ვტრიალებ, ჩემი მომხმარე არავინაა, სახლი, სამსახური, სარეცხი, შინ და გარეთ... პურს არ მოგიტანს არავინ, პურს!
გოგო: დედა!
ქალი: ხომ ხედავთ, რას დავემსგავსე!
დედაბერი: არც წინათ ყოფილხარ დიდი მზეთუნახავი...
გოგო: ბებო!
ქალი: ეგეც მე ვარ? *(კაცს)* რატომ მაგას არ აჩუმებ, მითხარი, რატომ არ აჩუმებ?
დედაბერი: ნეტავი ფეხი მოგტეხოდა და ჩემს ოჯახში არ შემოსულიყავი...
ბიჭი: აუ, ბებო, რაა!
კაცი: კარგი რა, დედა, კარგი, ნუ ჩამაშხამეთ ეს ახალი წელი!
დედაბერი *(დამცინავად)*: ჰო, გაუსწორე კუდი, გაუსწორე!
ქალი *(ყვირილით)*: მომაშორეთ ეს გამოყრუებული დედაბერი, თორემ არ ვიცი, რას ვიზამ!
კაცი: გულიკო!
ბიჭი: აუ, დედა, რაა!
დედაბერი *(ბიჭს)*: წამოდი, შვილო, წამიყვანე ჩემს ოთახში... ახია ჩემზე, ახი...
კაცი: რა არის ეხლა ეს, რა!
ქალი *(ტირილით)*: დაიწვას ჩემი გაჩენის საათი...
გოგო: კარგი, დედიკო, დაწყნარდი.

კაცი: გამორთე, გოგო, ეს ოხერი ტელევიზორი!

●

ბიჭი: აუ, ბებო, არ იტირო, რა!..
დედაბერი: *(საკმაოდ მხნედ)*: არა, შვილო, არ ვიტირებ და დედაშენის ჯიბრზე არც მოვკვდები... მომეცი ხელი!
ბიჭი: ოღონდ არ იტირო, კარგი?
დედაბერი: ჰო, ჩემო ვაჟკაცო, ჩემო იმედო... გენაცვალოს ბებო... რა მითხარი, რისი სუნი ჰქონდაო?
ბიჭი *(დაიბნევა)*: რა სუნი?!
დედაბერი: ხელში რომ ამიყვანა, თოვლის სუნი ჰქონდაო, შენ არა თქვი?
ბიჭი: ა, პაპას?
დედაბერი: ჰო.
ბიჭი: კი, თოვლის სუნი ჰქონდა.
დედაბერი: რაო, რას ამბობდა?
ბიჭი: შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისო.
დედაბერი: კვალი ანგელოზისო?
ბიჭი: ხო, კვალი ანგელოზისო... არ იტირო ეხლა, არ იტირო!
დედაბერი: არ ვიტირებ, ნუ გეშინია.
ბიჭი: გინდა, აქ გამოგიტან საჭმელს?
დედაბერი: რაო?
ბიჭი: საჭმელს გამოგიტანმეთქი.
დედაბერი: არა, არაფერი მინდა.
ბიჭი: არც ჩაი?
დედაბერი: ჰა?
ბიჭი: ჩაიც არ ვინდა? მე თვითონ ავიღებ და მოგიტან.
დედაბერი: არა, შვილო, არა...
ბიჭი: რას იზამ აბა, დაიძინებ?
დედაბერი: რაო?
ბიჭი: დაიძინებ-მეთქი?
დედაბერი: კი შვილო, კი... დავიძინებ, აბა, რას ვიზამ... კვალი ანგელოზისო?
ბიჭი: ხო. დაიძინე.
დედაბერი: და სიცივის სუნი ჰქონდა, არა?
ბიჭი: ხო, სიცივის. წავალ მე, კარგი?
დედაბერი: წადი, შვილო, წადი...
ბიჭი: დაიძინე, იცოდე!
დედაბერი: დავიძინებ, აბა, რას ვიზამ.

ბიჭი გავა და ოთახში სიჩუმე ჩამოწვება. გარედან კანტიკუნტად ისმის სროლის ხმა — ეშხში შესულ ბიჭებს ახალი წლის დადგომა უხარიათ.

დასასრული

ჯანო ჯანელიძე

ტკივილის ყვავილობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღენი მიდიან

დღენი მიდიან, წელი წელს ერთვის,
შენ კი ქილიკობ ქალურ ქილიკით
და ერთადერთი შენ რჩები ჩემთვის
გაუკვალავი ვიწრო ბილიკი.

დღენი მიდიან,
დღენი მიდიან,
ქარები კიდევ მშვიდად შფოთავენ,
ხან ნათელი და ხანაც ბინდია,
ჩვენ კი რატომღაც ვდუმვართ
ორთავე.

მაგრამ იცოდე,
მაგრამ გჯეროდეს,
მაინც შენა ხარ ოცნება ჩემი,
მახარობელიც და თან ჰეროდეც,
თან დამღუპველიც,
თან გადამრჩენიც,

დღენი მიდიან, წელი წელს ერთვის,
შენ კი ქილიკობ ქალურ ქილიკით
და ერთადერთი შენ რჩები ჩემთვის
გაუკვალავი ვიწრო ბილიკი.

●

ეს წამისყოფა რა იყო მაინც?!
ჰა, ჩემს არსობას გაუდის ყავლი
და ზედ ვაკვდები მე სურნელს
მთვარის,
როგორც პეპელა აპრილის ყვავილს.

როგორ ვიცხოვრო მე ამნაირად,
ჩარაზულია სუყველა კარი,
ჩაფხრეწილია მთვარის დაირა,
გადაშლილია სუყველა კვალი.

დასასრულამდე ასე მივედი,
არავითარი ნიშანი ხვალის, —
ფველი ჭრაქიდან ბოლოვ[illegible]
და ჰგავს ჭრილობა ჩამომჭკნარ
ყვავილს.

ორნი

თოვლი მოსულა, მარინა, თოვლი...
ოთარ ჭილაძე

დღემდე სიზმარში ვცხოვრობდით
მგონი,
სიზმარი იყო ჩვენი სიცხადე,
მივუყვებოდით ოცნებას ორნი
და თოვლს გავანდეთ, რაც
განვიცადეთ.

იყო დუმილი და იყო თოვლი,
მხრებზე კი მთვარის ფიფქი ცვიოდა,
მივუყვებოდით ოცნებას ორნი
და ჰქროდა ქარი სანაპიროდან.

რა უცნაური იყო ის მთვარეც
და გაქათქათდა თეთრი ოცნებაც,
ცრემლი შვენოდა შენს ლამაზ
თვალებს
და დუმდა თოვლი, ვით გაოცება.

ეს ვინ მდევს გვერდით

სევდისფერია შენი თვალები,
და თვითონვე ხარ ასული სევდის,
ო, ასეთია ბედი თავნება,
მეც ტყვე ვარ ბედის.

მე არაფერი არ მშველის უკვე,
დიდი ხანია დამემსხვრა ფრთები,

ულიმის მთვარე მთვლემარე შუკებს,
მთვარის სურნელით მეც ნელა
ვთვრები.

გახლეჩილია გული კარივით
და კვნესის გული ტანჯული ასგზის,
შენი თვალების — წყვილი
ყვავილის —
მე ვიცი ფასი.

უკანასკნელი, ჰა, ეს სიმღერაც,
უკანასკნელად იმღერის გედიც,
სუყველა კარი ერთად იღება,
ეს ვინ მდევს გვერდით?!

ლურჯი სიზმრები

ნ. ბ.-ს

სული სავსეა სევდით, კაეშნით,
ცხელი ცრემლით კი — მთრთოლვარე
პეშვი
და ვიძირები მე შენს მკლავებში,
როგორც ხომალდი ზღვის
ჯურღმულებში.

კოლხური ზეცა იმსხვრევა ნელა,
კოლხური ზეცის მეღვრება თქეში,
ჰყვავილობს, იწვის, ვით ბედისწერა,
ლურჯი სიზმრები წაბლისფერ
თმებში.

კოლხური ზეცის შენ ხარ
ნამსხვრევი,
გადატეხილი მე ვარ ქამანჩა
და ვკოცნი თვალებს ფართოდ
გახელილს
და ვიწვი ისე, ცეცხლიც არა ჩანს.

ცეცხლიც არა ჩანს,
კვამლიც არა ჩანს
და მესმის შენი კვნესა, მუდარა
და სისხლიანი, როგორც ფარაჯა,
მხრებს მომხვევია ღამის სუდარა.

სული სავსეა სევდით, კაეშნით,
ცხელი ცრემლით კი — მთრთოლვარე
პეშვი
და ვიძირები მე შენს მკლავებში,
როგორც ხომალდი ზღვის
ჯურღმულებში.

ო, საით მაინც?!

ყველა წავიდა,
ყველა წავიდა,
მთვარე კი მოჰგავს ფრინველს
ნათვალევს
და მე ცხოვრებას ვიწყებ თავიდან,
ვიწყებ და, ვაი, იქვე ვამთავრებ.

ყველა წავიდა და გაიკრიფა,
მე ერთადერთი და მარტო დავრჩი,
ბრწყინავს მინდორი ნაფერი
წითლად
და ვსინჯავ მახვილს შიგ გულში
გაჩრილს.

ყველა წავიდა, ო, საით მაინც,
სად მიდის მათი გზა და ბილიკი,
ნათილისმარი ვინ თვალა მთვარის,
ან ვინ გლოვობდა წამსვლელს
პირიქით?!..

ყველა წავიდა,
ყველა წავიდა
და მთვარე მოჰგავს ფრინველს
ნათვალევს
და მე ცხოვრებას ვიწყებ თავიდან,
ვიწყებ და, ვაი, იქვე ვამთავრებ.

ეს იყო ადრე

მე შენ გიძღვენი (ეს იყო ადრე),
ჩემი ტკივილის ყვავილი თეთრი,
ყვავილი იგი არ გავდა ვარდებს,
არც უბედობით და არცა ბედით.

და ყვავილს ნაზად
და ყვავილს ფრთხილად
ხელის კანკალით თმაში გიწნავდი,
რა მშვენიერი იყო ის დილა,
ქედმოდრეკილი ციდან მიწამდის?!..

ახლა მარტო ვარ, ჩამოდის წვიმა,
წვიმასთან ერთად ვეშვები თავქვე...
არ ძალუძს მხოლოდ ყვავილს და
დილას
გიძღვნას ის, რასაც სიყვარულს
ვარქმევთ.

ჩამოდის წვიმა ღიმილით მწარით,
წვიმაში თოვლის ფიფქებსაც ურევს,
დღეს ის გრძნობა ჰგავს ჩამომჭნარ
ყვავილს,
მე რომ სიყვარულს ვარქმევდი
თურმე.

უკანასკნელად დავიგვიანე

ანზორ სალუქვაძეს

არდავიწყების ჰყვავილობს ველი,
მთები იხსნიან ნისლების ზეწარს,
და მე სიკვდილში სიცოცხლეს ველი,
რადგან სიცოცხლე სიკვდილად მექცა.

ისე მივდივარ, თავიც ვერ ვცანი,
არც რამ იმედი, არც რამ ნუგეში
და გაცრეცილი ცა საოცარი
მზის ნამსხვრევებად გდია გუბეში.

ღამე მკაცრია, დილა კი ნაზობს
და ემსგავსება ლამაზ იარებს,
უხმოდ მიდიან დღეები, ანზორ,
უკანასკნელად დავიგვიანე...

მაინც რა უცბად?!.

გზა გადარჩენის არა, არ არის,
დღეა თუ ღამე, მუდამ ბინდია
და მცემს სურნელი გაჭრილ სამარის,
ღრუბლები სადღაც ჯოგად მიდიან.
რა სევდიანი ხმებია მაინც!

წვეთავს და წვეთავს ცრემლივით
სევდა,
წინკარში დადის დაირით მთვარის
ჩემი სუსტი და ლამაზი დედა.

და ვუსმენ, ვუსმენ სევდიან ლაზებს
და თან ვიგონებ ღღეებს იღბლიანს,
ძველისძველ ქოხის ნიბივრობს
ნარზე,
ჩემი პაწია ჩიტი ნიბლია.

და ნელა წყდება შრიალი ქარის
და დამჭკნარ ფოთლებს ნიავი
ფურცლავს,
სადღაც ქვითინებს სიმები ქნარის,
შემომაღამდა მაინც რა უცბად?!.

ვხედავ, ნისლები ფრთებით ნარნარით
დასაწყურებლად ზღვისკენ მიდიან,
ჩამოიქროლებს კვლავაც ალალი
და მოიტაცებს იმ ჩემს ნიბლიას.

●

ისევ შხამს ვასმევ გაცრეცილ
ტუჩებს,
ისევ შესცივდათ ნისლებს
გაცრეცილთ,
აღმართი როგორ ჩათავდა უცებ,
როგორ დაიწყო უცებ დამრეცი?!

ისევ დამძახის პაწია ჩიტი,
თითქოსდა გულში მხვდება ისარი,
ყველა ჩემს ტკივილს ვიცი, ის
იტყვის,
ჩემი ცხოვრების ციცქნა მისანი.

გადაინისლა ჩემი გზა ისევ,
ისევ გავცქერი მწვერვალს
ფრთებიანს,
ისევ შესცივდათ მცივანა ნისლებს,
და მზის ყურეზე ჩუმად თბებიან.

ზაზა აბზიანიძე

„რა ვართ ქართველნი?!“

•

იყო ოდესღაც,
იყო, იყო რაღაც ამგვარი —
ფიცი, მირონი,
უპირობა, ზურგში ლახვარი.
ეგებ არც იყო,
ანდა ისე არის გამკრთალი,
რომ ერთმანეთში
აირია მტკაცან-მართალი,
დროშა,
ხელბანდი
და პერანგი სისხლით ნაფერი...
- რა ახალია, რა ძველია
ეს ყველაფერი...

იფხიზლე!

იფხიზლე!
რადგან
— ქართველებად დავიბადენით!
.....
იფხიზლე,
თორემ,
ვიდრე მაგ შენ ფილთას დატენი,
ქარაშოტივით,
მთებს და ველებს გადმონადენი,
მოვა რამდენი —
ვერაგი და ყოვლისჩამდენი.
იფხიზლე,
თორემ,
კვლავ აღსდგება კერპი ზადენის,
შემორკალული
ცრემლთსადენით და
სისხლსადენით...
უწყის გამჩენი —
როდის მისცემს ძალას
დარჩენილთ —
მხრები გაშალონ,
მოიცილონ უცხო სალტენი
და როცა მტვერი
მტერს დაფარავს,
შორით განდევნილს,
წამოძახონ:
„ისე, მაინც
— რა ვართ ქართველნი!..

იუნკრები

ალბათ დახედე —
გადათვალე ყველა უკლებლივ,
ტაბახმელასთან გაუნძრევლად იწვნენ იუნკრები,
მიძინებული, უწვერული შენი ბიჭები,
სად მიდიოდი,
მათ საფლავებს რომ აბიჯებდი?
ან რა უთხარი მათ ჩურჩულით, დაბრუნებისას:
„მაპატიეთო, თუ მხოლოდღა — „ძილი ნებისა“
საით წაგიყვანს ახლა მათი შუქი უქრობი,
ვის განარიდებ?
ვის ეძმობი?
ვის ეშუქრები?
ვისთან იომებ?



ვის დაუთმობ?
ვის მიენდობი?
აქ შენგან პასუხს ტაბახმელის ელის ფერდობი,
სადაც ერთ მწკრივად,
როგორც წინად,
დგანან უკლებლივ,
შენი დამცველნი,
შენი ძენი,
შენი იუნკრები.

უძღები შვილი

გარბის,
რადგანაც გაქცევას ურჩევს
ყველა,
ვინც გზაში გადაეყარა,
გარბის,
რადგანაც ცხოვრება უჭირს
დაჭრილ და სისხლში გათხვრილ ქვეყანას.
გარბის...
და ყელში გაჩრილი ბურთი
უშლის ახალი ქვეყნის მიგნებას,
გამოთხოვების აქ ერთი წუთი
იქ ტანჯვის წლებად გარდაიქმნება...
ან იქნებ — არც რამ დაუფრთხოს ძილი,
დილით კვლავ მშრალი ჰქონდეს თვალები...
და დაიგმანოს
უძღები შვილის
მიტოვებული სახლის კარები.

სოფელი ფვერი

ადიდებული ხმაურობს ვერე
ან ამნაირად მღერის,
მასთან გაწოლილ ბორცვებს და სერებს
მალე ეცვლება ფერი.
დაფრინავს ძერა
იქ, სადაც ჯერაც
დგას ეკლესია წვერის
და სადაც ვერეს
დიდი ხნის მერეც
ერთი მსმენელი ელის...

შაშვი

ვის გინახავთ მომღერალი,
ასეთ ბედში მყოფი —
რომ დასდევდნენ მოღერებულ
შურდულით და თოფით.

ის კი, თითქოს არაფერი
არ ხდებოდეს ირგვლივ,
მღერის ჭალის განაპირას
ან მდინარის იქით.

მღერის,
მღერის, თითქოს ჯილდოდ

მოელოდეს ტაში,
მღერის ციცქნა, ერთი ციდა,
მღერის მთა და ბარში,
მღერის ტყეში,
მღერის ბაღში,
მღერის სროლის ხმაში,
ბედნიერი, როგორც ბავშვი —
მგალობელი შაშვი.

ბაბუაწვერა

ბაბუაწვერა. ერთი შებერვა
და ხელისგულზე უკვე დათოვა...
ფიქრობ — ეგების აღარც შეგფერის
ეს უწყინარი ძველი გართობა,
ეს ყმაწვილური ბედზე მინდობა,
ეს ჟინი — განვლილ წლების
გადაშლის,
ეს საათობით წოლა მინდორში
და გვირილების ფურცლით თამაში,
არც ლამაზ ქალზე ლექსის დაწერა,
არც ლტოლვა სადღაც ღამის
გათევის...
და როგორც მინდვრის ბაბუაწვერას
გიკვირს — სად გაჰქრა შენი
ფანტელი?..

„სოფელი ნვერი"
„— რა უცნაური ხალხი არის ეს პოეტები?.."

მეჯლისზე

კომპლიმენტები,
ლორნეტები,
ეპოლეტები...
— რა უცნაური ხალხი არის ეს პოეტები?
სხვა რომ დაცხრება,
ის გაწყრება,
კედელს აწყდება, მერე მარცხდება...
— ხომ ახია მათ თავს რაც ხდება?
ეს — წერილებზე დამჩნეული ცრემლის წვეთები,
ეს პოეტები — ყველაფერში მეტისმეტები,
ეს უსასრულო წყენანი
და გულის ძგერანი:
„მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი"...

ძველი სასაფლაო

გივი მაღულარიას ხსოვნას

ეს — რამდენიმე მოთხრობით დარჩა,
ის — რამდენიმე შვილით,
საკურთხეველში ჩასმული მარჯნით
და მარგალიტის ღილით,
საგულდაგულოდ ნაქარგი ფარჩით,
ჭრელი ბალიშის პირით,
ვინ — თავის გარჯით,
ვინ — თავის წვლილით...
მშვიდი ჰქონოდეთ ძილი...

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

გამოსათხოვარ ბარათებს ვწერ და
მივდივარ —
ცოტა მაქვს წასაღები,
ისევ ვბრუნდები —
წერილთან ერთად
ახლა კონვერტში დევს გასაღები...

ვრჩები.
თაროზე ვალაგებ წიგნებს,
ვწვავ ამ ბარათებს
და საათობით
ვფიქრობ —
როდესაც გაგებამ იცნებ
გამომგზავნოს სხვა გასართობი...

არ განაწყენდე

რაღას მაფარებ ხელს თვალებზე,
ვიცი — შენა ხარ!
მე ხომ ყნოსვით გცნობ,
თმების სუნით...
შენ ხარ,
შენა ხარ!
გულის ძგერით,
სუნთქვის შეკვრით
ვგრძნობ, რომ შენა ხარ,
ჩემი შვება ხარ,
ჩემი შველა...

შენ ხარ,
შენა ხარ!
არ განაწყენდე —
მე ხომ სხვასთან არ დავრჩენილვარ,
ხელი ამიშვი თვალებიდან,
- მე ხომ შენი ვარ,
მართლა შენი ვარ,
ერთია რომ არ გაგჩენივარ
და თუ თვალებსაც დამიხუჭავ
— გადავრჩენილვარ.

ზურაბ ლობჟანიძე

დავიწყებული მომავალი

მოთხრობა

ლუკას ახირება მწერლად ვარ დაბადებულიო, თავიდან ყველას სასაცილოდ მოეჩვენა. ზოგიერთი მისი ახლობელი სიბრალულითაც კი უყურებდა. მათი ეს სიბრალული იმ ღვთიური თვისებიდან კი არ გამოდიოდა, რასაც სიკეთე ჰქვია და რასაც სარწმუნოება გვასწავლის, არამედ ერთი ადამიანის მეორის მიმართ უპირატესობის შეგრძნებიდან. მათი თვალები და ირიბი ღიმილი თითქოს ამბობდნენ — ეჰ, ჩვენო საყვარელო ლუკა, საცაა ოცდახუთი წელი შეგისრულდება, რაღა დროს შენი მწერლობაა, შენს ასაკში მყოფი ბევრი მწერალი მინაში ვალმოხდილი განისვენებს, შენ კი ერთი ბწკარიც არა გაქვს დაწერილიო. მათ სიტყვებში დაცინვასთან ერთად თანაგრძნობაც იგრძნობოდა, მაგრამ არა ისეთი, ადამიანს გულს რომ გაუთბობს, მადლიერების გრძნობით აავსებს და მიზანს, რომელიც მან დაისახა (ან დაბადებამდე დაუსახეს) გვერდით მდგომელთა სიკეთით აღფრთოვანებული ბოლომდე შეეჭიდება. ეს თანაგრძნობა სულ სხვა რამის გამომხატველი იყო: ვაითუ მართლა მწერალი გახდეს... და ერთიორი თბილი სიტყვის თქმით ჩვენ რა დაგვაკლდებაო.

დრო-გარემო, რომელშიც მას მოუწია ცხოვრებამ, დამყაყებულ ჭაობს წარმოადგენდა. ხალხი რაღაც ბინძურ-გაურკვეველს შეჰყიყინებდა, მაგრამ ისიც ცხადი ხდებოდა, რომ ჭაობს შემდინარე ბინძური შენაკადები აკლდებოდა, სქელი — მძიმე ღრუბლებით შეჭედილი ცაც ნელ-ნელა იცრიცებოდა, მზის ფერმკრთალი სხივები სუსტად, მაგრამ მაინც აქა-იქ გამოაშუქებდა, ჩამოძონძილ-მყრალი ჭაობისაგან ანაორთქლ ნისლს გაჰკვეთდა, შემკრთალსა და გაოცებულ ადამიანებს ერთმანეთის შეშლილ-გადაგვარებულ სახეებს დაანახვებდა... ისინიც შეშინებული თვალებით, დასაშრობად განწირულ ჭაობს შეჰყურებდნენ და იმის მაგივრად — ციცაბო ნაპირზე ტალახისაგან გაგლესილ ხავსს მოსჭიდებოდნენ, უფრო დაბლა ფსკერისკენ მიიწევდნენ, ერთმანეთს გათითხნილი ხელებით თვალებზე ლაფს უსვამდნენ, ყურებს წუმპეში დამბალი ბელტებით უხშობდნენ, რათა არ დაენახათ მზის სუსტი — ფერმკრთალი სიცოცხლის მაუწყებელი სხივები, რათა არ გაეგონათ შორეული ქარის მიერ ჭაობის ირგვლივ სქელი — მაღალი ბალახის შრიალი. აქა-იქ უკვე ყვითლად შემხმარი ფოთლები იმის მაუწყებელი იყო, რომ მალე ჭაობი უკან დაიხევდა, ხმელეთი დამპალი წყლისაგან გათავისუფლდებოდა და შავი ღრუბლებისაგან დამუნჯებული ცაც სიცოცხლით აივსებოდა.

ისიც ხომ ამ ჭაობში ცხოვრობდა, ისიც ხომ ამ წუმპეს სვამდა და ამ წუმპისაგან ანაორთქლ ჰაერს სუნთქავდა. აგერ, თითქმის მეოთხედი საუკუნე ტალახსა და ლაფში ამოგანგლული დააბიჯებდა, მის ირგვლივ გომბეშოებად ქცეულ ხალხს შეჰყურებდა და იმით შეშინებული მეც გომბეშოდ არ გადავიქცეო, ნელ-ნელა ფორთხიალით ჭაობის ფსკერიდან ციცაბო ნაპირისკენ მიიწევდა. სლიპინა, გადაწვენილ წყლის ბალახზე ფეხი უსხლტებოდა, მობუყბუყე ლაფში პირქვე გართხმული წამოდგო-

მას ლამობდა, ხელის თითებს შორის ჭყაპუნით გამოსხლეტილი ტალახი თვალებში ხვდებოდა. მზერადაბრმავებული, ხელისავე კვანჩხით ლაფის მოშორებას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ — უფრო და უფრო მეტი ტალახი ეგლისებოდა თვალებზე... მის ირგვლივ მხოხავი მუცელგამობერილი გომბეშოები მოძრაობის საშუალებას არ აძლევდნენ: თონთლო, გულისამრევი, შემაზრზენი თითებით ტანზე ეალერსებოდნენ, აწყნარებდნენ, გაჯიუტებულს გზას უხერგავდნენ, მოყაპყაპე ხმით სმენას უხშობდნენ და ისიც ამ ამაზრზენ ტალახ-ჭუჭყ-ჰაერისაგან აზელილ მასაში ჩაფლული, თავისავე ნარწყევში ცხვირ-პირ ჩარგული, ყურებზე ხელებს იფარებდა და აქა-იქ ამოთხრილ ორმოებს შორის თვითონაც პატარა ბაყაყივით მიფორთხავდა.

მისი დანაშაული... ის იყო, რომ სადაც ფლავს არიგებდნენ იქით არ გარბოდა. პირიქით, იქით მიიწევდა, სადაც ოდნავი, სიბნელეს გამორიდებული თვალისთვის ძნელად შესამჩნევი სინათლის შუქი გამოკრთოდა. იმ შორეული და მიუწვდომელი მხარიდან მას მიწისქვეშა ნაკადულის ხმა ესმოდა. დაშმორებულ-დამყაყებულ წყლის ბუყბუყში, ერთმანეთში რვაფეხებივით გადახლართულ-გაშიშვლებულ სხეულთა გროვაში ქვიშაში მორაკრაკე ნაკადულის ჯერ მხოლოდ ხმაც კი შვებით და იმედით ავსებდა. ის სიცოცხლის წყალი მას სარკედაც გამოადგებოდა და თუ საკუთარ თავს ასე ამოგანგლულს დაინახავდა, მერე ალბათ განწმენდა-გასუფთავებაც მოუნდებოდა. ლუკა იმ შორეულ-მიუწვდომელ მხარეში პატარა, მყუდრო მღვიმეს ხედავდა. მღვიმეს, რომელიც ჭაობის გაზინთულ-დამყაყებულ უფსკრულში კი არ იყო, არამედ ლურჯი ცის ახლოს ამაყად ატყორცნილი მთების უბეში. გზა სინათლისაკენ ისეთი მაცდუნებელი, ისეთი მტკივნეული იყო, რომ გული გასკდომაზე ჰქონდა და ათასი ბუნდოვანი, მაგრამ მაინც სასიამოვნო წინათგრძნობით ავსილი შორეული ნაპირისკენ მიიწევდა. გონება სხვა რამეს ეუბნებოდა, არაერთგზის ახსენებდა, რომ ადამიანი უწმინდურე არა გარედან შემავლისგან ხდება, არამედ შიგნიდან გამომავლისგან... რომ ის გზა წვალებისა და ტანჯვის მეტს არაფერს მისცემდა და იმ ჭაობისაგან, სადაც ის ცხოვრობდა, უფრო დიდ ჭაობში მოხვდებოდა...

ჭაობის ფსკერზე დიდი, ღრმა ორმოები იყო ამოთხრილი, რომელთა სიღრმიდანაც დახშული, გაურკვეველი ხმები მის ყურს ძლივს სწვდებოდა, რადგან ხელს ორმოებიდან ზლაზვნით ამომავალი მყრალი ორთქლის სქელი ფენები უშლიდა. ლუკას ფეხზე წამოდგომა უნდოდა, მაგრამ ტალახში არეული სლიპინა ბალახი ფეხებქვეშ უსხლტებოდა და მუხლებზე წამომართული ისევ წუმპეში ეცემოდა...

„საით?!" ლუკამ ხმას მიაყურადა. ოთხზე მდგარი წამით შეჩერდა, გაირინდა, ლაფში ამოსვრილი სახე მაღლა ასწია და მზერა მბოლავ სივრცეს გაუშტერა. მის ირგვლივ არავინ და არაფერი ჩანდა. წესიერად ისიც ვერ გაარკვია, ის ხმა საიდან ისმოდა — გარედან, მის ირგვლივ ახრჩოლებული, ამაზრზენად აყროლებული ნისლიდან თუ მისივე სხეულიდან, რომელსაც თითქმის ვეღარც კი გრძნობდა. მისთვის იმ წუთში ვინმეს რომ ეთქვა, ადამიანის ორგანიზმი ხორცის, ძარღვებისა და ძვლებისაგან არის შედუღაბებულიო, თავს უარყოფის ნიშნად გაიქნევდა — როგორ გეკადრებათ, ადამიანი ჭუჭყისა და ლაფისაგან არის მოზელილი, სისხლის მაგივრად კი ამ უფორმო მასის შიგნით აშმორებული წყალი ბუყბუყებსო. ალბათ მომეყურაო, მუხლებზე წამოიჩოქა. დაღლილი, ლაფში ამოსვრილი ხელები ბარძაყებზე დაიწყო, კისერი უკან მიატრიალა — იქიდან ხომ არავინ მეძახისო. გაქვავებული სიწყნარე ორმოებიდან ბოლთან

ერთად ამომავალმა ცეცხლის ენებმა ფოლადისფრად შეღება და იმ უსასრულობაში მისკენ გამოწვდილი მილიონობით ადამიანის ტიტველი მკლავი დალანდა...მათი სახეები არ ჩანდა, არც მათი ხმა ისმოდა, იდგა გაქვავებული მდუმარება — მკვდარი ცეცხლის ჟანგისფერი ენებისა და ახრჩოლებული მყრალი ბოლისგან შექმნილი. დიახ, მკვდარი ცეცხლი, რადგან არც ალის ტკაცატკუცი ისმოდა და არც ცეცხლის დამათრობელი სითბო მოდიოდა. ის უფრო მირაჟს, დახატულს გავდა, მაგრამ ცეცხლის ენები მოძრაობდნენ — ხან მაღლამაღლა მიიწევდნენ, ხანაც ორმოს სიღრმეში იკარგებოდნენ და ადამიანთა დაბრანული პურის ქერქისფერ მკლავებზე ათასნაირ უფორმო ჩრდილებად ეფინებოდნენ. მკლავები რვაფეხას ფეხებივით იკლაკნებოდნენ, ერთმანეთში გადახლართულნი თითქოს ლუკასკენ მიიწევდნენ, მის დაჭერას ცდილობდნენ. მას წამოდგომა უნდოდა, მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდა, მათ მაგივრად ორი მოქანავე წყალმცენარე გამობმოდა და ხელის შეხებისთანავე უძალოდ ეღუნებოდა. გატანჯულ-გამწარებულს რეზინივით დაგრძელებული ტიტველი მკლავები სადაცაა მისწვდებოდნენ, ტანზე შემოეხვეოდნენ, უკან გაითრევდნენ და იმ უსიცოცხლო ცეცხლის ბოლში ჩაკარგავდნენ. ნებისყოფადაძაბული კბილს კბილზე აჭერდა, ხელებით ტალახს ეპოტინებოდა, სუნთქვაშეკრული იმ შორეულ მტანჯველ გრძნობაზე ფიქრობდა, რომელიც მას ბავშვობაში აწამებდა. ყოველღამე ერთსა და იმავე სიზმარს ხედავდა: მუხლებზე დაჩოქილი წამოდგომას ცდილობდა, სახლთან მისულს კიბეზე ასვლა უნდოდა, მაგრამ მუხლები არ ემორჩილებოდა და მის უკან კუნაპეტი სიბნელიდან მდევრის აქოშინებული სუნთქვა ესმოდა. რაც უფრო მეტს წვალობდა, მუხლები მით უფრო ტკიოდა, ხოლო მდევარი, რომელსაც არც სახე უჩანდა და არც ტანი, მაინც ვერ ეწეოდა. როდის-როდის, გაწამებულ-გატანჯული, კიბის სახელურს ჩაეჭიდებოდა, უკანასკნელ ნებისყოფას მოიკრებდა და ასე წვალებ-წვალებით კარებამდე მიაღწევდა. გამოღვიძებულ ლუკას ტანზე ცივი ოფლი ასხამდა, მთელი სხეული ტეხდა და აკანკალებული მუხლები ციებ-ცხელებისაგან უთრთოდა.

„საით?!" — ეს ხომ ჩემი გულის ხმა იყო, ეს ხომ მე წამოვიყვირე, ვინმეს დაუძახია, უკანაც არავინ არის, ეს ორმოები, ეს ცეცხლი, ტალახი, ლაფი, მობუყბუყე აშმორებული წყალი, ტიტველი, ნისლისგან დაცვარული მკლავები — ეს ხომ მირაჟია, მოლანდებაა, ეს ყველაფერი ხომ ჩემი აფორიაქებული გონების ნაყოფია...

„რას ამბობ..." დამცინავმა ხმამ მის ამღვრეულ გონებას ცივი წყალი გადაასხა... ლუკამ შიშისაგან დაიკვნესა, მის წინ მხრჩოლავ სიბნელეს წაეპოტინა და თვითონ რომ ეგონა მთელი ხმით ვყვირიო, მხოლოდ და მხოლოდ ჩურჩულით თქვა:

„მაშ ეს ყველაფერი სიზმარი არ არის?!" თან ამ სიტყვებს ჩურჩულებდა, თან წინ მიფორთხავდა და იმ აზრით ძალმოცემული, რომ ვიღაც სულიერ არსებას შეხვდა, გულში გამალებით იმეორებდა: „თუ სიზმარი არ არის, აბა რა არის?!. იქნებ?"... სიტყვა ყელში გაუწყდა, შიშისაგან ხელებში ძალა წაერთვა და ტალახში გაშოტილი მკვდარივით გაშეშდა. იმ უხილავმა გაიცინა:

„რატომ არ დაამთავრე აზრი?"

ჩემი აზრი? გამოერკვა ლუკა. ნუთუ მართლა ასეა?.. ხელები უკან გამოსწია, სახე და ტანი მოისინჯა, ფეხები აამოძრავა, ტალახში ცხვირი ჩარგო, დაჭაობებული ხავსი ჩაღეჭა, აქოთებული წყალი ჩაყლაპა და იმით დაიმედებულმა ცოცხალი რომ იყო, სიბნელეს შესძახა:

„მე ხომ ცოცხალი ვარ, მე კი მეგონა, რომ მოვკვდი და ჯოჯოხეთში ვიმყოფებოდი..."

პასუხის მოლოდინში ცოტა შეყო-

ვნდა, ვერ გადაწყვიტა უხილავი უცნობისთვის როგორ მიემართა — თქვენობით არ უნდოდა, რადგან უხილავის ხმაში რაღაცნაირი სითბო და სიყვარული მოისმოდა. თუმცა ხმა სითბოსა და სიყვარულის გარდა მბრძანებლურ-დამრიგებლურ ტონსაც შეიცავდა. ამის დამადასტურებელი იყო სიტყვები — რას ამბობ — წინადადება იმ პიროვნებისაგან ნათქვამი, რომელმაც თითქმის ყველაფერი იცის მასზე, ვისაც ეუბნება. გარდა ამისა ხმა იმასაც გამოხატავდა, რომ რასაც ირგვლივ ხედავ, არც ისეთი საშინელია, როგორც ერთი შეხედვით გეჩვენება და თუ მაინც საზიზღრობად მიგაჩნია, რას იზამ — სინამდვილე ასეთია — თვალები გინდა დახუჭე, გინდა ნუ დახუჭავო. უფრო მეტიც, ის ხმა ლუკას ეუბნებოდა — კარგი ბატონო, მე ხელს არ შეგიშლი, მაგრამ შენ თვითონ თუ იცი საით მიდიხარო. ხმის უშფოთველი ტონით (რომელიც მისი პიროვნებით თითქოს დაინტერესებულიც კი იყო) დამშვიდებულმა ლუკამ გადაწყვიტა წინადადება ასე დაემთავრებია:

„თუ ჯოჯოხეთი არა, აბა რა ჰქვია ყოველივე ამას, რაც ჩვენს ირგვლივ არის?“

იმ სითბოსა და ალერსის სანაცვლოდ, რაც უხილავის ხმაში გამოკრთოდა, ლუკა ცდილობდა მშვიდად ელაპარაკა. თუმცა ბიჭი იმასაც ხვდებოდა, რომ ხმის მისდამი კეთილი დამოკიდებულება მთლად უანგარო არ იყო, რაღაცის გულისთვის თითქოს ებოდიშებოდა, თავისი შეცდომის გამოსწორებას ცდილობდა თუკი ლუკა ამის საშუალებას მისცემდა. ამიტომ აუღელვებელი ტონის მაგიერ წინადადება დამცინავი ბგერებით დაამთავრა და იქვე მიხვდა, რომ დაცინვას (რაც უხილავის სიტყვებში — რას ამბობ — გამოიხატებოდა) თვითონაც დაცინვით უპასუხა — აბა რა ჰქვია ყოველივე ამას, რაც ჩვენს ირგვლივ არის?.. მერე იმაზე დაფიქრდა, სიტყვა — ჩვენ — რატომ ვიხმარეთ და იმისგან უფრო გაბრაზებულმა, რომ ვიღაც უცნობ უხილავს მიეკედლა, უკვე უხეშად გაიმეორა:

„ყოველ შემთხვევაში, თუ ჩვენს ირგვლივ არა, ჩემს ირგვლივ რაც არის, რა ჰქვია?“ ლუკამ უხილავს აგრძნობინა, ის წამიერი დაბნეულობა, რაც შენი ხმის გაგონებისას დამეუფლა, გაიფანტა და ჩემი თავის პატრონი ისევ მე ვარო.

„დამშვიდდი?..“ უხილავმა ხმამ ლუკას თითქოს ალერსით გადაუსვა თავზე ხელი...

ეს ხმა ლუკასთვის ისეთი დამთრგუნველი იყო, რომ სირცხვილისაგან თმაზე ხელისგული ზიზღით გადაისვა, ზედ მიკრული შლამნარევი ხავსის ნაგლეჯები მოიცილა და იმით გახელებულმა — ხმა ასე ახლოს ესმოდა, მოლაპარაკეს კი ვერ ხედავდა — ხელში ჩაბღუჯული მყრალი ნაგავი შავ სივრცეს ესროლა.

„მე კი მეგონა დამშვიდებული იყავი. აბა, ჩემთან ჩხუბი შეიძლება? მითხარი ერთი. ეს ხომ საკუთარ თავთან, საკუთარ გულთან ჩხუბს ნიშნავს. ყოველი ადამიანი ისეთ გარემოში ცხოვრობს, როგორსაც თვითონ შეიქმნის და ბოლოს და ბოლოს, როგორი გულიც აქვს. შენ თუ საკუთარ გულში ჩახედვის გეშინია, მე შემიძლია გაჩვენო სარკე, რომელიც გულთამხილველია და შიგ ჩახედვისას გულის ყოველი მივარდნილი კუნჭულიც კი ნათლად ჩანს. ადამიანს როგორი გულიც აქვს, მისი სახეც ისეთივეა“...

„რას ამბობთ“... სიტყვები პირიდან ამოსულნიც კი არ იყვნენ, ბიჭი სინანულმა მოიცვა, რადგან მიხვდა — მხოლოდ და მხოლოდ სამაგიეროს უხდიდა უხილავს, როცა მან ბიჭი ოთხზე ფორთხვისას შეაჩერა. ასეთ უხერხულ წამს რომ შეავლეს თვალი, უფრო იმაზე იყო გაბრაზებული. ეს მან კარგახანია გაიცნობიერა და საკუთარ თავზე იმიტომ ბრაზდებოდა, რომ თავს ვერ ითოკავდა.

„მე ამ ჭუჭყსა და ლაფში არაფერი დამიუნჯებია“. განაგრძო ლუკამ. ხმა მშვიდი, მელოდიური გაუხდა, თითქოს ფიქრებში ჩაიძირაო, მთელი სხეულით მოეშვა, თავი ხელებში ჩამალა და წყნარად თქვა:

„აქაურობა იქნებ იმიტომაც მეზიზღება, რომ აქ არაფერი დამიუნჯებია. ნუთუ ყველაფერი ჩემი ბრალია, ნუთუ ასეთი უსუსური და ცარიელი ვარ, რომ გული ვერაფერ საქმეს ვერ დავუდე, არავისზე შემივარდა... უბრალოდ ხომ არ ვეპოტინები რაღაც უხილავს და მიუწვდომელს... რომელიც არც კი ვიცი რა არის, სად იმყოფება. ეძიებდე და ჰპოვებდეო... მაშინ იქნებოდა მართალი, როცა ადამიანმა იცის რას ეძებს. მაგრამ მე ხომ მაქვს მიზანი?! მერედა რა არის ის?! ყოველგვარი იდეა საბოლოოდ რაღაც კონკრეტულ საქმემდე დადის, რომელიც კაცთათვის ხილული და ხელჩასაკიდია“... ბოლო სიტყვამ გააღიზიანა, გამოაფხიზლა. ირგვლივ შიშით მიმოიხედა, ჩემი უხილავი თანამოსაუბრე ხომ არსად წავიდა, მარტო ხომ არ დამტოვაო. გულში ისიც კი გაივლო, ჩემი მეგობარი თანამოსაუბრეო, მაგრამ თავისი უძალობის თუ სულმოკლეობის შერცხვა და ხმამაღლა, თითქოს ვიღაცის ჯიბრზე კიდევ ერთხელ გაიმეორა:

„დიახ, მე ამ ჭუჭყსა და ლაფში არაფერი დამიუნჯებია“... ორი სიტყვა — ჭუჭყი და ლაფი — გამოყო, გამოაცალკევა, ხაზგასმით წარმოთქვა, რაც საკუთარი თავიდან პასუხისმგებლობის მოცილებას ნიშნავდა. უფრო მეტიც, მას ირგვლივ მყოფი გარემოს შეცვლა უნდოდა, მაგრამ არ შეეძლო. ის თავის თავს იმაზე მეტს თხოვდა, რისი უფლებაც ჰქონდა. მისი ტრაგედიაც იმაში მდგომარეობდა, რომ ადამიანად დაიბადა და არა სხვა ვინმედ... სიტყვებიც — ტალახი და ჭუჭყი — იმიტომ გამოყო: აი, მე რომ ყველაფერი შემძლებოდა, ჭუჭყსა და ლაფს საერთოდ არ შევქმნიდიო...

„რადგან“, გააგრძელა თავის უხილავ მეგობარზე გაბრაზებულმა ლუკამ, როგორ იქნება სხეული წმინდა, როდესაც თვალი ასეთ სიბინძურეს უყურებს? როგორ შეიძლება ზღვა წმინდა იყოს, როდესაც მასში მდვრიე წაკადები შეედინება? როგორც კი ქარი დაუბერავს, ტალღები აიშლებიან, — ფსკერზე დალექილ შლამს ზემოთ ამოტანენ და ერთა-ნუთის წინ ცასავით ანკარა ზღვა მღვრიე-ტალახისფერ მორევად იქცევა. ჩემი გულიც ასევეა — რაგინდ უძირო, უსაშველოდ ღრმა იყოს, მის ბნელ-მივარდნილ კუნჭულებში ტალახი და ლაფი ბუდობს, რომელიც გრძნობების შეცვლისთანავე მაღლამაღლა მოიწევს. სულ თვალდახუჭული ხომ არ ვივლი, თვალი სულ ზეცისკენ ხომ არ მექნება მიპყრობილი, ეს ხომ შეუძლებელია, მეც ხომ ადამიანი ვარ... ნეტარნი სულით გლახაკნი კი არ არიან, არამედ ბრმანი... თუმცა, რასაც სინათლეში ვერ ვხედავთ, იმას სიბნელეში ვგრძნობთ კარგად“..

ლუკა თავისმა ნათქვამმა გააოცა, რადგან კარგად იგრძნო და მერე კიდევაც დაინახა, რომ მის ირგვლივ ჩამოშვავებული სივრცე, ჩამოძონძილი აბოლებული ნისლი კი არ იყო, არამედ მილიონფეხებიანი უზარმაზარი ობობა, რომლის ჩრდილიც ფარავდა იმ აყროლებულ-მობუყბუყე ჭაობს. ამ აღმოჩენას არ შეუშფოთებია, პირიქით — გაეხარდა კიდეც, რაღაც მაინც რომ გაარკვია და აღარც ის წყენია, გულში მეგობარი რომ უწოდა იმ უხილავს. შიშითაც აღარ შეშინებია, რადგან, როგორც ობობა თავის ქსელში გაბმულ ბუზს გამოსწოვს სისხლს, ზუსტად ისევე ექცევა ადამიანს ცხოვრება — მიზანდასახულად ყოველდღე უშრობს სისხლს და ბოლოს გამოფიტულ ლეშს მიწის ბინძურ ორმოში ჩააგდებს. იმ ღვთაებრივ სითხეს, რაც ღმერთებმა ადამიანს გადაუსხეს, ცხოვრება თვითონ მიირთმევს, აყროლებულ ლეშს კი ჭია-მატლებს მიუგდებს საჯიჯგნად.

დროის შეგრძნება ბიჭს უკვე დაკარგული ჰქონდა და აღარც კი იცოდა დღე იყო თუ ღამე, ან რამდენი ხანი იჯდა იმ აქოთებულ ჭაობში — ერთი წამი თუ მილიონი წელიწადი. იმ წუთში მისთვის რომ გეკითხათ, დრო რა არისო, ასე გიპასუხებდათ: დრო უზარმაზარი მობუყბუყე პლაზმის ბუშტია, რომელიც წან წერტილის ოდენა ხდება, ხანაც უსასრულობამდე განივრცობაო. ჰოდა, იმ განსაზღვრულ სივრცეში მყოფისთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა ბუშტი ჩაფუშული იყო თუ გაბერილი?

„მადლობელი ვარ, მეგობარი რომ მიწოდე. ან რატომ უნდა ვიყო შენი მტერი. მე არავის მტერი არა ვარ. მე ვარ ჭურჭელი. ჭურჭლის მოვალეობა კი მხოლოდ ის არის, კარგად შეინახოს მასში ჩასხმული სიცოცხლე... შეფერილობასა და ძალას დროთა განმავლობაში მეც ვანიჭებ, მაგრამ არსი — რაოდენობა და რაობა იმ სითხისა, რომელიც ჩემშია მოთავსებული არ იცვლება. რაც შეეხება იმას, მე რომ ობობას შემადარე, ნანილობრივ სწორია. მხოლოდ ერთიც უნდა ითქვას — შენ მწერი კი არა ხარ, რომელსაც სისხლს ვწოვ, არამედ ჩემს ერთ კიდურს წარმოადგენ და მე მილიარდობით კიდური მაქვს... ჩვენ ერთ ორგანიზმად შენივთული ერთი ჰაერით ვსუნთქავთ. იმ ორმოდან, რომელშიც შენს ახლობლებთან ერთად იყავი, ჩემი დახმარების გარეშე ვერასდროს ამოფორთხდებოდი. ხომ არ გეუბნები, ჩემი ნების გარეშე-მეთქი, რადგან ნება ზეციდან მოდის და განგების გადაწყვეტილებაში მონაწილეობას არ ვღებულობ, მე მხოლოდ მისი შესრულება მევალება“.

ლუკას ობობა-ჭურჭლის ხმა ძალიან შორიდან ესმოდა, თითქოს ერთი კერძო პიროვნება კი არ ლაპარაკობდა, არამედ მთელი სამყარო, რომელიც სიბნელეს მოეცვა... და ის ხმაც შედედებულ-დაკრისტალებული, უჩინარ ბგერებად შეკრული, ათვლის წერტილიდან ნერილ ნაკადად გამომავალი, შემდეგ ცხენის ძუასავით გაშლილი მთელ ტანზე ეხვეოდა, მის ყოველ უჯრედში აღწევდა და სმენის ორგანოებში კი არ შედიოდა, მისი ორგანიზმის ყველა ნასვრეტიდან გარეთ გამოდიოდა და ბიჭს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ერთდროულად თვითონ იყო მოლაპარაკე-მსმენელი. აი, ორმოდან იმ ადგილამდე, სადაც ლუკა ახლა იჯდა, თითქმის ათი წელია, რაც მიფორთხავდა, მანძილი კი ათი მეტრითაც არ შეცვლილიყო, თითქოს ათი წელი კი არა, ათი წამი გასულიყო. მობუყბუყე პლაზმის ბუშტმა ათვლის წერტილიდან უსასრულობამდე განვრცობას მხოლოდ ერთი წამი მოანდომა, და იმ დროიდან, როცა ლუკამ გაკვირვებულ თავისიანებს განუცხადა — ჩემი საქმე მწერლობაა, მხოლოდ მწერლობით უნდა ვირჩინო თავიო — იქამდე, სადაც ახლა იჯდა და უხილავ „მეგობარს“ ელაპარაკებოდა, მართლაც ერთი წამი გასულიყო. ამას, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ მისი გონება აღიქვამდა ასე, თორემ მისი გულისთვის ვინმეს რომ ეკითხა, მას შემდეგ რა დრო გავიდა, რაც ლუკამ კალამს ხელი ჩაკიდაო, გული ამოიოხრებდა და არც დაფიქრდებოდა ისე გიპასუხებდათ — მილიონი წელიწადიო. დროის უცნაური ცვალებადობა — მისი ხან სწრაფი, ხან შენელებული დინება, რომელსაც ადამიანი სხადასხვა შემთხვევაში სხვადასხვანაირად შეიგრძნობს, სწორედ ადამიანის გულის და გონების მიერ ცხოვრების არაერთგვაროვან შეგრძნებებშია საძიებელი. ნამდვილი, ობიექტური დრო (რაღა თქმა უნდა, შედარებითი დრო, რასაც ადამიანის მიერ შექმნილი ათასნაირი ხელსაწყო აღრიცხავს) ფიქსირდება გულისა და გონების შემაერთებელი „დროის ხიდის“ შუანელში — იმ ადგილას, სადაც გულიდან უკვე გამოსული ემოციური დრო დინებას ანელებს და გადადის გონებისმიერი ცი-

ვი დროის სფეროში. მხოლოდ ადამიანის გულს ახსოვს ათასობით უძილოდ გათენებული ღამეების უსასრულოდ გაგრძელებული დრო, ათასობით დამარცხება-გამარჯვების ფეთქებადი შეკუმშულ-გაფართოებული დროის დინება, ხელმოცარულის და უხეიროს სახელით, მწუხარება-უიმედობით გაოგნებული უდროობის შეგრძნება, როდესაც სამყარო უჰაეროა, გულამოღებულ სიცარიელეს წარმოადგენს, ოცნებისა და წარმატებისაგან თავბრუდამხვევი, თითქმის ხელშესახები დროის სასიამოვნო დინება. — ეს ყველაფერი, როგორც მორევი გულში ტრიალებს, ერთი და იგივე წამი ამ წრეში თავის თავს მილიონჯერ იმეორებს. იმ წრიდან გამოსხლეტილი თავიდან გონებისაკენ დიდი სიჩქარით მიემართება, მაგრამ თანდათან სიჩქარეს უკლებს და დამშვიდებული, ემოციისაგან დაცლილი განსჯის, უქარო ზღვის ერთფეროვნებაში გადადის. გონებას რა ახსოვს? — მხოლოდ მიზანი და როგორც მრავალლაშქრიან მბრძანებელს მხოლოდ ციხე-სიმაგრის აღება აინტერესებს და არა ის, თუ რამდენი მხედარი შეეწირება მის მიერ ნაბრძანებ იერიშებს, სწორედ ასევე გონებაც არ ითვლის, არ სურს დაითვალოს ის მილიონ-მილიარდი წამი, რომელნიც მისი ბრძანებისამებრ დასახული მიზნისაკენ მიემართებიან. გონებისთვის დრო — დროა, ყოველგვარი დანაწევრებისა და დახარისხების გარეშე. გული კი იმ გზას წარმოადგენს, რომელზეც მეომრებმა უნდა გაიარონ თავიანთი ცხენაბჯრით, შიშით, აღტკინებით, ერთგულებით და იმედით.

ცხოვრებამ კი (ის ასაღები ციხე-მიზანი იყო, რომლის ტანზეც უნდა დამსხვრეულიყო იერიშების ტალღები, წყლისა და ქაფის დარჩენილი წვეთები, რომლებიც მისი დაკბილული კედლებიდან დაბლა მიცოცავდნენ და მიწაზე ისევ ერთ დიდ (მეომრების, წამების) გუნდად იკრიბებოდნენ, რათა ახალი იერიში მიეტანათ მასზე). მათი რაოდენობაც იცოდა და მათი შესაძლებლობაც: ამიტომ, როცა ის ლუკას შეეკითხა — მაინც რა მოგცა ამ შენმა მწერლობამო (ეს შეკითხვა სულაც არ იყო ისეთი უწყინარი, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა) ბიჭმა გაიცინა და უხილავს სიყვარულით შეხედა, რადგან დედა გაახსენდა, რომელიც არაერთგზის უმეორებდა ასეთ უწყინარ კითხვას. ეს კითხვა ქვეცნობიერ შრეებში ადამიანისათვის გამანადგურებელ აზრს გამოხატავდა: ყველას თავი მოგვაბეზრე, ბარემ მოკვდი და მოგვასვენეო. — აი, ნამდვილად რას ეუბნებოდა დედა — როცა ლუკა ოთახში დაფიქრებული მიდი-მოდიოდა და ოჯახის ხმაურს ყურადღებას არ აქცევდა. ეს ერთი შეხედვით უბრალო შეკითხვა თავის თავში ათასი არანაკლები მნიშვნელობის კითხვა-მსჯელობას შეიცავდა. ჯერ ერთი, ამ შეკითხვაში დრო იყო განივთებული — უკვე ათი წელია, რაც კალმისთვის ხელი გიკიდია, შედეგი კი ჯერ არ ჩანს და მომავალშიც ღმერთმა იცის, რაიმეს თუ მიაღწევო. ერთი სიტყვით, ლუკას დაუფარავად ეუბნებოდნენ — დროს უბრალოდ კარგავ, მწერლობა ისეთი აბსტრაქტული მცნებაა, რომელიც ვერც კუჭს გააძღებს და ვერც ტანთ ჩაგაცმევსო. ამით იმასაც ამბობდნენ, დრო, რომელიც საქმის გაკეთებას ხმარდება, აუცილებლად ან ფულით უნდა იქნეს ანაზღაურებული ან სამსახურებრივი მდგომარეობით — თანამდებობით — შენ კი არც ერთი გაქვს და არც მეორეო. უკვე ოცდათხუთმეტი წლის კაცი ხარ და ოჯახისთვის არაფერი შეგიმატნია. ახლა ახალგაზრდას, ჯანმრთელს ცოტა გჭირდება, ცოტას კმაყოფილდები, მაგრამ სულ ასე ახალგაზრდა ხომ არ იქნები: წლები მოგემატება, ჯან-ღონე შეგერყევა, გული გაგიტყდება და ქვეყნის დასაცინი გახდებიო. ლუკას გულს ის უკლავდა, რომ სიტყვებში — ქვეყნის დასაცინი გახდებიო — იგუ-

ლისხმებოდა — ოჯახს დააწვები მძიმე ტვირთად, ჩვენი სარჩენ-მოსავლელი შეიქნებიო... ეს ყველაფერი ლუკას ძალიან კარგად ესმოდა. ის სიტყვებს უკვე შიგნიდან უყურებდა და მათ სუნსა და გემოს გრძნობდა. ახლობლების უნდობლობით გაოგნებული, უკმეხად პასუხობდა — მაინც რას ელოდებით ჩემი მწერლობისაგან? რა უნდა მოეცა, როცა არაფერს ვთხოვ?! ამას გაბრაზებული იტყოდა ხოლმე, როცა დედის დადარაჯებულ მზერას და მამის დაღვრემილ სახეს უყურებდა, თან სიტყვებს — ჩემს მწერლობას — გამოკვეთილად ამბობდა, რადგან ეს სიტყვები ნყალქვეშა კლდეებს მალავდნენ. გამოდის, რომ ჩემს მშობლებს პრეტენზია საერთოდ მწერლობის მიმართ კი არ აქვთ, არამედ კონკრეტულად ჩემი მწერლობის მიმართ, რომელიც მათ არაფერს აძლევს და, რომელმაც შვილი ხელიდან გამოაცალა, გზას ააცდინა და დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად დაღუპავს...

„ძალიან კარგად იცი ჩემმა მწერლობამ რაც მომცა". ეს თქვა და იქვე თავისთვის დაამატა: „რა გაბუტული ბავშვივით ლპარაკობ, თითქოს ლამბაქით მურაბა არ მოეცათ. ვის უბრაზდები? იქნებ მართლაც არ ღირდა ეს ჩემი მწერლობა იმ ტანჯვად, რაც მე ამ ათი წლის განმავლობაში განვიცადე. იქნებ სულ სხვა რამეს მოველოდი და თავს არ ვუტყდები, ისევ ვჯიუტობ, ან რაც ყველაზე უარესია — ხომ არ ვთვალთმაქცობ? მერედა ვის ვეთვალთმაქცები, საკუთარ თავს? არა, ეს ასე არ არის!" ძალიანაც კარგად იცი... ამით მან იმ შინაგან გაუცნობიერებელ ძალებს გამოაჯავრა, რომლებიც მასში ბობოქრობდნენ, გულის და გონების სხვადასხვა კუნჭულებში ამხედრებულები ამბოხებას უწყობდნენ და გარეთ, უსასრულო სივრცეში განფენას მოითხოვდნენ. კი მაგრამ, ცოცხალი ადამიანისთვის არსებობს უსასრულობა? გონების თვალით შემორკალული სივრცე ხომ გონებაშივე არსებული სივრცის ტოლფასია და იმის იქით მხოლოდ გულის ბუნდოვანი შეგრძნებები და გათავისუფლებული სულის მოძრაობა თუ გააღწევს. სულის გათავისუფლება კი რით ხდება? მხოლოდ სიკვდილით!

ლუკას ღმერთმა ყველა სიავე-სიკეთესთან ერთად ერთი თვისებაც მიანიჭა — ეს თვისება სიცხადისკენ დაუოკებელი ლტოლვა, ყველაფრისთვის საკუთარი სახელის დარქმევა იყო, რაც მის ტრაგიკულ ბედზე მიანიშნებს... ყველაფრისთვის საკუთარი სახელის დარქმევა სამყაროს თავიდან შექმნას ნიშნავს. და არა მარტო შექმნას, არამედ დასაბამიდან-დაღუპვამდე მის მოძრაობაში (განვითარება-დაცემაში) მონაწილეობის მიღებას.

დიახ, ლუკას თავისი ხელებით უნდოდა მისთვის მისაღები ცხოვრების შექმნა და ვერაფრის დიდებით ვერ ეგუებოდა ვიღაცის მიერ შექმნილი ცხოვრების ყურებას. ამიტომ შეკითხვაზე — მაინც რა მოგცა ამ შენმა მწერლობამ — მან უპასუხა: სიცოცხლე! განა სიცოცხლეს რამე შეედრება? იმ ყოვლისმომცველსა და ნათელ გრძნობას, რომელიც შენშია — განუმეორებელი, ენით უთქმელი, გარე სამყაროდან გარკვეულწილად დამოუკიდებელი (როდესაც გარე სამყაროსა და შინაგან გრძნობა-სივრცეს შორის საზღვრები თითქმის აღარ არსებობს) ერთადერთი და სხვებისთვის მიუწვდომელი (მიუწვდომელი შეიძლება ერთი ციცქნა მარცვალიც იყოს, რომელსაც ადამიანები შეუიარაღებელი თვალით ვერ ხედავენ და უნაპირო სივრცეც, რომლის შიგნითაც ადამიანები თვითონ არიან ერთი ციცქნა მარცვლის ოდენები). სიცოცხლე! რომელსაც მხოლოდ გონების თვალით კი არ ხედავ, არამედ გრძნობ, ეხები, შეგიძლია გაშლილი მკლავებით მთელი სამყარო გულში ჩაიხუტო... და ასეთ გრძნობას, ზეციური სითბოთი გაჯერებულს, როგორ

გინდა შეადარო ის არაფრისმთქმელი, დაკრისტალებული მტვერი, რომელსაც სხვადასხვა საგნების ფორმა აქვს და რომელსაც ადამიანები ცხოვრებას ვეძახით. ხოლო დედა, რომელიც ცხოვრებასაც კარგად იცნობდა და სიცოცხლის ფასიც მშვენივრად ესმოდა, რატომღაც სიცოცხლეზე წინ არსებობას აყენებდა. ასეთ ნუთებში ლუკასთვის ირღვეოდა ის, რასაც დედაშვილობის მცნება ჰქვია: იმ სითბოს სანაცვლოდ, რაც დედისაგან შვილის სხეულში გადადის, მას სიცივე და უნდობლობა ხვდებოდა და ამით გაღიზიანებულს თავისი თავიც ეზიზღებოდა და მშობლებიც. ის კი არ სტანჯავდა, რომ ღვთის ერთ-ერთ მცნებას არღვევდა, არამედ ის, რომ თვითონ თითქოს ვნების ნაყოფი იყო და არა იმ ნათელი სიყვარულისა, რაც ადამიანთა გულებს სინმინდით ავსებს. თუ თავისი ტოლ-მეგობრებისაგან რაღაცით მაინც გამოირჩეოდა ეს მისი ხალასი, ყველაფრისადმი კრიტიკულად განწყობილი გონების და მახვილი მზერის დამსახურება იყო. ზეციდან მონიჭებული მადლი თუ თვითრწმენა მასთან ცოტა გვიან მოვიდა, მთელი მისი არსება რაღაცნაირი უშურო სიჯიუტით აავსო, თავის თავში ჩაკეტა, ცხოვრებისეული საცდურებისადმი ასკეტურად განაწყო, რითაც მშობლები და ახლობლები უფრო გააბრაზა, ვიდრე გააოცა, რადგან უკვე კარგად ხედავდნენ — ბიჭის მოქმედება სულაც არ იყო ახირება და დროებითი გატაცება, როგორც ისინი ადრე თვლიდნენ. ლუკას რომელიღაც უხილავი ძალა დაეუფლა და ის ძალა ბიჭს სანამ თავის საქმეს არ გააკეთებინებდა, მანამ თავს არ დაანებებდა. როცა ეს ყველასთვის ცხადი გახდა, ყველამ ამაყი, ზიზღნარევი სინანულით შეაქცია ზურგი და ისედაც მარტოობისკენ კოსმიური სიჩქარით გაქანებული ბიჭი მალე სულ მარტო დარჩა. მარტოობა მან ოცდასამი წლისამ გააცნობიერა, როდესაც ქალაქის გარეუბანში შემოდგომის ერთ საღამოს ჩაბნელებულ ქუჩაში მიაბიჯებდა. აი, სწორედ მაშინ მიმოიხედა შიშით ირგვლივ. ვარსკვლავებით მოჭედილი მელნისფერი ცა ისეთი ჩუმი, ისეთი მიუწვდომელი ეჩვენა, დაბნეულობისაგან გული ძალუმად შეუტოკდა, მთელ ტანში უძალობამ დაუარა და რომ არ წაქცეულიყო იქვე მდგარ ხეს მიეყრდნო. შემოდგომის თბილი ნიავი უბერავდა, ხე სამურად შრიალებდა, ვიწრო ქუჩაში ადრე რახრახით მიმავალი ტრამვაი ახლა ისე მისრიალებდა, თითქოს რელსებს არც კი ეკარებოდა, განათებული ფანჯრებით ჩაბნელებული ქუჩის ფონზე ცეცხლმოკიდებული კომეტასავით ჩანდა. ლუკას ისეთი შეგრძნება დაეუფლა, ვითომ სხვა პლანეტაზე, სხვა ქალაქში მოვხვდიო. ქუჩის ორივე მხარეს უცნობი ადამიანები ჩრდილებივით დადიოდნენ, არავითარ ადამიანურ სითბოს არ გამოსცემდნენ, თითქოს ცარიელი ტანსაცმელი ყოფილიყვნენ... ქუჩაში დაუფლებული გრძნობა კი არ კლებულობდა, არამედ სულ უფრო და უფრო მატულობდა, ვრცელდებოდა და მთელ სახლს (სახლში მარტო იყო) ჰაშიშის დამათრობელი სუნივით ედებოდა. აი, სწორედ მაშინ დახუჭა თვალები, დაძაბული გონებრივი მზერა გულისკენ მიმართა და მას საგულდაგულოდ დაუწყო ჩხრეკა. ლუკამ იმ საღამოსდროინდელი მარტოობის შეგრძნება მოწმენდილ ცაზე ელვის გაკრთომას შეადარა და კიდევაც ეგონა, როგორც ყოველგვარი გაკრთომა, ეს გრძნობაც მალე გაქრებაო, ამიტომ გონებისთვის ძალა აღარ დაუტანებია უფრო შორს გაეხედა. მხოლოდ გულის უცნაურ თრთოლვას მიუგდო ყური და სწორედ იმ საღამოს მოუნდა ქაღალდზე გრძნობების გადატანა; თავის უახლოეს წარსულს მიმართა, მის წარმოსახვით გაცოცხლება-გამეორებას შეეცადა. წარმოსახვა კი, როგორც თქვენ მოგეხსენებათ, უფრო საამური და სასიამოვნოც კია, ვიდრე თვით ნამდვილი — შეულამა-

ზებელი ცხოვრება. მაგრამ ლუკა ის კაცი არ იყო, თავი ლამაზი სიზმრებით მოეტყუებინა, ამიტომ გადაწყვიტა ყველაფრისთვის თავისი სახელი დაერქვა და ქაღალდზეც ყველაფერი ისე გადაეტანა, როგორც ცხოვრებაში ხდება.

„ამ ათ წელიწადში ჩანს ბევრი რამე გისწავლია. შენი თვალთახედვის ჩამოყალიბებაში, იმედია, მეც დიდი წვლილი მიმიძღვის. რაც შემეძლო გეხმარებოდი, ნელ-ნელა გამწიფებდი. აბა კარგად გაიხსენე, რამდენი სიამე მომინიჭებია შენთვის — რამდენი ნათელი დღე და რამდენი ტკბილი ღამე. მერე რა ვუყოთ სიტკბოში თუ მწარეც გამირევია ხოლმე, ასეთია ჩემი ბუნება. მეც შენსავით განგების ნებით ვარ შექმნილი, შენი ჭურჭელი ვარ და შენთან ერთად ვიზრდები. მაგრამ, არც ის უნდა დაივიწყო, რომ მე მასწავლებელიც ვარ, თანაც ყველაზე დიდი მასწავლებელი“... უხილავს შემპარავი, ცბიერი, თან პირდაპირი — მომთხოვნი ხმა ოდნავ დაურბილდა, სიბნელეში ჩაიკარგა, შორს ცეცხლსა და მყრალ ნისლს შორის ყრუ ექოდ მიილია. როცა ლუკას ეგონა, უხილავმა ობობამ თავი ზეცის თაღს მიაბჯინა, სხვა სივრცეებისკენ იყურებაო, სწორედ მაშინ ყურის ძირში მკვეთრი, მბრძანებლური, ალერსშეპარული ჩურჩული გაისმა — ...„მე მბრძანებელიც ვარ!“...

„მაგრამ მე რომ მონა არა ვარ, მით უმეტეს შენი“...

„ვიცი, ვიცი“, გაიცინა უხილავმა კეთილი ხმით. „მახსოვს შენი სიტყვები — არა ვართ შობილნი ცხოვრების მონებად“... ისევ ჩაიცინა სერიოზულად, უბოროტო ხმით. „ცოტა ხმამაღლა ხომ არ არის ნათქვამი? გაცნობიერებული გქონდა, რასაც ამბობდი, თუ როგორც პოეტებს გჩვევიათ თქმა, მუზამ გიკარნახა?“ ჩამუქებული, ქუში სივრცე თითქოს ცოტა შემსუბუქდა, ზემოთ აიწია, გაიცრიცა და ლუკას სულის მოთქმის საშუალება მიეცა. ის სიმსუბუქე, სითბო, გამჭვირვალე ნათელი ჩაუდგა გულში, რომლითაც სავსე იყო იმ დროს, რაზედაც სიტყვა გადაუკრა უხილავმა მოსაუბრემ. იმ დროსო, გაიმეორა ლუკამ, — დროს ოურმე მარტო ფერი და სუნი კი არ ჰქონია, არამედ-გემო, სიმსუბუქეალე, იცოცხალე, რომელიც ხელშესახები ხდება, და არა მარტო გონებით, გულითაც აღიქმება-გაიზომება. სწორედ გულით აღქმულ-გაზომილი დრო არის უკვდავი დრო. ეს დრო სიტყვებში გადადის, მათ სიმსუბუქით თუ სიმძიმით ჟღინთავს, სიმწარეს ან სიტკბოს ანიჭებს, ცივს ან მხურვალეს ხდის, სინათლით ან სიბნელით შემოსავს. ზუსტად ნათქვმი სიტყვა, რაც იგივეა — დროზე ნათქვამი სიტყვა — ჰაერში თვალისთვის უხილავი, მოლივლივე დროის განსხეულებაა. იმ დროს ლუკა ბედნიერი იყო: როცა ის სიტყვები დაწერა, თითქოს ჭეშმარიტება შეიგრძნო, დროის საუბარი მოისმინა, მიხვდა — იმ დიდი სულის განუყოფელი ნაწილი იყო, რომლითაც სამყარო სუნთქავდა. ის წრე, რომელშიც ადამიანი მოძრაობს, თვითონ მასში იმყოფებოდა, სამყაროს მაჯისცემა თითქოს მასში ფეთქავდა.

„კარგი, კარგი“, თქვა უხილავმა მოსაუბრემ. — „მონაფეობაზეც უარს ამბობ?.. თუკი რაიმე გისწავლია, ყველაფერი ჩემგან გაქვს ნასწავლი. რაღა საჭიროა ჩემი დანაწევრება და ფრაგმენტებად ხატვა, როდესაც მე, მთლიანი, მარადიული მასწავლებელი ვარ?! შენთვის ხომ ცხადია (შენს პატიოსნებაში ეჭვი არ მეპარება) მასწავლებელზე უმეტესი მონაფე რომ არ არის?.. მაშ ვიღას სჭირდება დედანთან ვერმიახლოებული ყალბი ილუსტრაცია, მაშინ, როდესაც ორიგინალი ყველასთვის გამოსაჩენ ადგილას ჰკიდია“?..

„განა ყველას ეწიფება დედნის უტყუარი შეფასება და არ სჭირდება მათ სანთელი? მეც მინდა, ჩემი სანთელი ანათებდეს, თუნდაც მკრთალი შუქი ჰქონდეს. ვიღაც ხომ მაინც

დაინახავს, მოციმციმე ალზე გზას გაიკვლევს“...

„თაგვი ყოველდღე წისქვილშია, მაგრამ მეწისქვილედ ვერ იქნა და ვერ იქცა“... თქვა ობობამ.

„მე მონაფეობაზე უარს არ ვამბობ. კიდევაც რომ მინდოდეს, უარს მაინც ვერ ვიტყვი, რადგან ისე ვარ შექმნილი, რომ ყოველთვის მგონია — ყოველმა ადამიანმა თავისი საქმე ჩემზე უკეთ იცის-მეთქი. არ ვიცი, ეს არასრულფასოვნებაა, თუ პირიქით“... ცოტა ხნის შემდეგ ლუკამ ისევ თქვა: „ყოველთვის მგონია, რომ ზეციდან ვიღაც თვალს მადევნებს, ჩემს ყოველ ნაბიჯს აღნუსხავს და თითოეულ ჩემს სიტყვას იმახსოვრებს... და ის ვიღაც თითქოს მე ვარ — მე ვხედავ ჩემს თავს“...

„...ჰე, ჰე, ჰე“... გაიცინა უხილავმა ობობამ. ლუკა მისი ხმის გაგონებაზე გაფითრდა და მზერა ირგვლივ მოცახცახე ალის ჩრდილებზე გადაიტანა.

„მე ქვეყნის ნათელი ვარ თუ შიშისაგან აცახცახებული თაგვი? მთის მწვერვალზე აშენებული ქალაქი თუ ხეობაში ჩაკარგული ფარღალალა ნისქვილი? თუ საწყაო ორთავესთვის, რომელზეც სანთელი დგას?.. თაგვი რაღამ გამახსენა?! ასეთი მარტივი და ასეთი მშიშარა ვარ, რომ საწყაომ პირველად წისქვილი გამახსენა, შემდეგ კი სანთელი... აჰა, მივხვდი, მე თვითონ არ ვთქვი?.. ცხოვრება წისქვილია, დრო წყალია, სიცოცხლე ბორბალი, საფქვავი ადამიანი. ადამიანი საფქვავია თუ თაგვი? პოეტი — ადამიანია, სანთელი თუ თაგვი, რომელიც დღედაღამ მეწისქვილეობაზე ოცნებობს? მეწისქვილე ხომ წისქვილის პატრონია... წისქვილი ხომ ცხოვრებაა... ობობაც ხომ ცხოვრებაა“...

ობობამ ქირქილი შეწყვიტა და შემწყნარებლური ხმით (რომელსაც უკვე შეწყვეტილი ქირქილი, როგორც სიბნელეს გამკრთალი ნაპერწკლები, მის ხმასაც სიცხადეს ანიჭებდნენ) თქვა:

„მესმის, მესმის... შენ ჩემზე მაღლა დგომა გწადია. შენ ჩემს მონაფეობაზე უკვე უარს ამბობ და შემოქმედის (აქ ხმა ოდნავ დამცინავი გაუხდა) მოციქულობა გსურს. თქმა ყოველთვის ადვილია, შესრულება კი ძნელი და შენ თუ მაინც დამაინც შემოქმედი გინდა იყო, ერთი რამ შემიძლია გითხრა — მე ამიერიდან შენს მფარველობაზე ხელს ვიღებ. იმიტომ კი არა, რომ აღარ მიყვარხარ... არამედ იმიტომ — ჩემი ძალაუფლება შენზე აღარ ვრცელდება და შენ უკვე უზენაესის წინაშე აგებ პასუხს, მე კი ამიერიდან იარაღი ვხდები ეშმაკისა, რათა გაცდუნო და თუ ეს ასე მოხდება (ამაში ეჭვიც არ მეპარება) მაშინ შენ მარადიული ტანჯვისთვის ხარ განწირული“...

ლუკა ცხოვრებას:

„შენი მეშინია“.

ცხოვრება ლუკას:

„ღმერთის?“

ლუკა ცხოვრებას:

„ღმერთის მრცხვენია“.

ცხოვრება ლუკას:

„ღმერთის თუ გეშინია?“

ლუკა ცხოვრებას:

„არა. შენი მეშინია. ღმერთის მრცხვენია“.

ცხოვრება ლუკას:

„...შიში შეიქმს სიყვარულსა“...

ლუკა ცხოვრებას:

„არ ვიცი“...

ცხოვრება ლუკას:

„კი, მაგრამ მეც ხომ მისი შექმნილი ვარ?“

ლუკა ცხოვრებას:

„მერე რა — მონა ბატონზე სასტიკია ხოლმე“...

ცხოვრება ლუკას:

„აჰა, გასაგებია... მითხარი ერთი, შენ როგორ გგონია — რა არის პოეზია?“

ლუკა ცხოვრებას:

„პოეზია არის სიტყვა, საქმე კი ხარ შენ... შენ უფლისგან კი არა, ჩვენგან ხარ შექმნილი“...

ცხოვრება ლუკას:

„აი, თურმე რატომ გინდა ჩემზე მაღლა რომ იდგე: შენ შემოქმედი და ამასთანავე პირველადი ხარ, მე კი მეორადი, არა?! ბუნებრივია — პირველი ხომ მეორის წინ დგას... მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პირველი მეორეზე მაღლა იდგეს... აი, საიდან მოდის ეს გაცვეთილი გამოთქმა — შემოქმედი ცხოვრებაზე მაღლა დგას და მის ლაფში არ ისვრებაო... არ მეგონა ამდენი თუ იცოდი... როგორ თქვეს: ცხოვრება არის ცინიკოსი ღორიო... კარგი, რაც იყო — იყო... პოეზია სულ სხვა რამე მგონია“...

ლუკა ცხოვრებას:

„მაინც რა?!“

ცხოვრება ლუკას:

„მონანიება“...

ლუკა ცხოვრებას:

„მონანიება?.. რისი მონანიება, ცოდვების?“...

ცხოვრება ლუკას:

„შეიძლება ცოდვებისაც... უფრო კი არცოდნის მონანიებაა“...

ლუკა ცხოვრებას:

„რისი არცოდნის?..“

. . . . . .

„მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და“... „ლუკა, გღვიძავს შვილო“?.. ეს მამაა თუ დედა? მამამ არ თქვა?.. ცხოვრებამ როგორ მითხრა?..

დიდ ოთახში, რომლის ერთ-ერთ კუთხეში გაშლილ ტახტზე საბანში თავჩაყოფილი ბიჭი იწვა, ფართო ფანჯრიდან მაისის ნათელი დღე ილვრებოდა. მწვანედ გაფოთლილ ხეებზე ჩიტები ჭიკჭიკებდნენ. ფანჯრის პირდაპირ, ნახევრად გამოღებულ კარში, სამოც წელს გადაცილებული, მორჩილი ტანის ქალი იდგა, რომელსაც გრძელი ღამის თეთრი პერანგი ეცვა. ერთი ხელი გამოღებული კარის სახელურისთვის ჩაეჭიდა, მეორეთი კი ფანჯრიდან შემოჭრილი მზის სხივებისაგან თვალს იფარავდა. გაჭაღარავებული თავი გვერდით გადაეხარა და ტახტზე მოკუნტულ ბიჭს უყურებდა. ბიჭი ოხრავდა, კვნესოდა და მოკლედ შეკრეჭილ ქერათმიან თავს თეთრ ბალიშზე მოუსვენრად ატრიალებდა. შემდეგ, თითქოს გასაოცარი რამე დაინახარ, ბიჭმა თვალები აახილა, მზისგან განათებულ ოთახს უაზროდ მოავლო და მის პირდაპირ გაჩერებულ მოხუცზე შეაჩერა. მოხუცის ზურგსუკან წინკარში გაზაფხულის გაცრეცილი სიბნელე იდგა; ხოლო მისი წინა მხარე ელვარე შუქს გაენათებინა. რძისფერ ღამის გრძელ პერანგს რაღაცნაირი სისპეტაკე გადავლებოდა და ქალიც, თითქოს ცამდე ამაღლებული, ორი სამყაროს გასაყარზე იდგა: ზურგს უკან სიბნელე და სიცივე, წინ კი ნათელი და სითბო. რაღა დროის არისო, თქვა ლუკამ. მეხსიერება, რომელიც მიწყალობა მის ხელ-ფეხში ჩარჭობილი ლურსმნებივით მიჯიჯგნის გონებას და წამით მოსვენებას არ მაძლევს, თავის ქალიდან გადმოდენილი სისხლის წვრილი ჭიაყელებივით მიძვრებიან თვალებში, ქუთუთოებს მიხუჭავენ, რომ ახლა ვერაფერი დავინახო და კვლავ ჩემს შიგნით მოფუთფუთე წარსულში ვიცხოვრო. ბიჭის ღვიძილში დარწმუნებული ქალი გაოცებული, თბილი ხმით (ხანდახან მღელვარებისაგან სულაც რომ მიილეოდა და ამ დროს გაჩუმებული ჩიტებიც, თითქოს მას უსმენენო, ხმამაღლა მოჰყვებოდნენ ჭიკჭიკს) მას რაღაცას უყვებოდა. მღელვარებაშერეული ხმა (პატიებასა და მიტევებას მოითხოვდა, თუ ბიჭს ეჩვენებოდა ასე) — აღარ აღიზიანებდა; უფრო სწორად აღარ ეუხერხულებოდა ტახტის ბოლოში, მის ფერხთით ჩამომჯდარი დედის ხელი, რომელიც საბნის აწევასა და ფეხებზე მიალერსებას ცდილობდა. მან ერთი წამით გახელილი თვალები კვლავ დახუჭა, ფეხები მოხარა და რადგან წინადღის ნამთვრალევს თავის წამოწევის ძალა არ ჰქონდა, დედისაგან სახე თავისავე მუხლებით დაიფარა. ბიჭს მთელი ღამე წყალი ესიზმრებოდა... წყურვილისაგან გაწამებული აღმო-

სავლეთის ცხელი მზით თონესავით გახურებულ ვიწროქუჩებიან ქალაქში დალასლასებდა და ერთ პეშვ წყალს ნამლად დაეძებდა. ვიწროფანჯრებიანი, ბანიანი სახლებიდან დიდთავა და მოკლეფეხებიანი, ფართოდ პირგახეული, მზით გარუჯული ადამიანები დამცინავი ხარხარითა და მისთვის გაუგებარი სიტყვებით, ოფლით და მტვრით გაწეპილ თმაზე ძმარს ასხამდნენ, ფერდებში მუჯლუგუნებს სთავაზობდნენ და შორიახლო გორაკისაკენ მიათრევდნენ. მას კი წყალი სწყუროდა ახლა, ამ წუთში ტახტზე მომაკვდავივით მოკუნტულს და ბალიშზე უღონოდ თავმისვენებულს. პირი უშრება, გამშრალ ტუჩებზე ძმრის გემოს გრძნობს და ლამის არის გულ-გვამი ამოაღებინოს, ამ დროს კი მისთვის უცხო ქალი (რომელიც ასე შორეული ჯერ არასდროს ყოფილა) რაღაც ბუნდოვან სიზმარზე ელაპარაკება. თან როგორი აღტაცებით; ზარ-ზეიმი სახეზე აწერია, ის მცირეოდენი დაბნეულობა, რაც სიზმრისგან გამოჰყვა, ახლა თვითდაჯერებაში გადაზრდილიყო, ყოვლისმხილველის სიმტკიცე შემატებოდა და მაისის ამ ნათელ დილას შაქარყინულივით დნებოდა. ტახტზე მილურსმულ ლუკას დედა ფეხებზე ეალერსებოდა და ცრემლით ულტობდა... გამშრალ ტუჩებზე კი ძმრის გემო სულს უხუთავდა და ლამის იყო წყურვილისაგან დამხრჩვალიყო. ლუკა კვირინელი გოლგოთას აღმართს მიუყვება, მიბორძიკობს და ბეჭგადატყაული თვითმარქვიას ჯვარს გულში უკურთხებს, რამეთუ მას ადამიანისთვის ტანჯვა-ვაების მეტი არაფერი მოაქვს ამ ცოდვილ — აზრისგან, ჰაერისგან და წყლისგან... დაცლილ მტვრის გროვაში. ხოლო, იქ ზევით, სადაც არც ქორწინებაა და არც რამე სხვა, უბაცილებო სივრცეში — ალბათ სიხარულიც არ იქნება, რადგან უეკლო ვარდი ვის მოუკრეფია... ზუსტად ორჯერ უფროსია ჩემზე; ჩემი ტოლი რომ იყო, ალბათ, მამაჩემი დანახულიც არ ყავდა და სულაც რომ არ დაენახა ყველაფერს ის აჯობებდა. აღარ დამჭირდებოდა თქმა „იმისა-ო, მამა ჩემო, ო, მამა ჩემო, რად მიმატოვე!!!.. ან, მართლაც ნარკომანი რომ ვყოფილიყო, მამის კუბოსთან მდგარი სულაც ასე ვიტყოდი — დამტოვე, მამი?

— ხარაშო... იმას რა ენალვლებოდა, მთელი თავისი ახალგაზრდობა ქეიფსა და ქალებში გაატარა ზღვის სანაპირზე. მაგრამ იმ კაცს არც ოჯახი ავიწყდებოდა, თვეში ერთხელ ფულის მოზრდილ თანხას აგზავნიდა, ხოლო ეს ქალი იმ ქვითრებს მაღაზიაში შოკოლადებსა და ათასნაირ ჩასაცმელზე ახურდავებდა. როცა დაუძლურებული კაცი ოჯახში დაბრუნდა, ის გადახურდავებული ქვითრები (აწი ცარიელი ქაღალდები) მოითხოვა, ერთად დაიანგარიშა და ქალს მხრებსზემოდან ისე გადახედა, თითქოს მის განადგურებას აპირებსო.. მანაც თავისი ხელფასის ყოველთვიური ჯამი წარუდგინა და თან ისიც დაამატა — ხომ არ გავიწყდება, აქ რომ მომიყვანე რა გქონდა. ნამდვილად დაგავიწყდა, ერთი ბალიშის მეტი რომ არაფერი გქონდაო. ლუკა მაშინ მოზრდილი ბიჭი იყო და თითქმის ყოველდღე ასეთი ლაპარაკის მოსმენისას, რაც იმ ცნობილი ბალიშით მთავრდებოდა, ასე ფიქრობდა: გქონიას ნაცვლად, დედა გებადას იტყვის, და თუ ეს ასე მოხდება, მართალიც ის იქნებაო, მაგრამ ამაოდ — ქალი თავის საყვარელ სიტყვას არ სცვლიდა და ლუკამაც იმ წუთამდე (ტახტზე მილურსმულმა) ვერ გაარკვია მართალი რომელი იყო — დედა თუ მამა. მკვდრები ყოველთვის დიდებულები ხდებიან. ამ იარაღს ახლა მოურჯულებელი შვილის წინააღმდეგ იყენებდა ქალი, როგორც ერთ დროს ქმარს საკუთარი მშობლების აჩრდილებს ახსენებდა ხოლმე: ჩემი დედამთილი, გაანათლოს მისი სული, სოფელში ამორჩეული ქალი იყოო. მამამთილი თქვი, მისთანა ნკრიალა და სუფთა, თანაც ულამაზესი კაცი, მეორე არავინ დადიოდაო. კაცს

მშობლების ხსენებაზე გაეღიმებოდა, კეთილ თვალებში ნაპერწკლები გაუკრთებოდა, მოგრძო სახეზე ჩრდილი გადაუვლიდა და იტყოდა — კი, მამაჩემი ლამაზი კაცი იყო, მაგრამ ნურც ის დაგავიწყდება, ზარმაციც რომ იყოო. ამას რომ იტყოდა, გახურებულ ღუმელს მოშორდებოდა, წინკარში საკიდიდან უკვე გვარიანად შელანძღულ დალიანდაგებულ ქურქს ჩამოხსნიდა და კლუბში ჭადრაკის სათამაშოდ მიდიოდა, რადგანაც კარგად იცოდა, თავისსავე პირიდან გამოსული სიტყვა — ზარმაცი — მის წინააღმდეგ საშიშ იარაღად გადაიქცეოდა კამათის ეშხში შესული ქალის ხელში. ამ დროს მაგიდასთან მჯდომი ლუკა თავს წიგნში ჩარგავდა და გაისუსებოდა, რადგან ისიც ხვდებოდა, რომ სიტყვა — ზარმაცი — მათ გვარს წყევლასავით ჰქონდა მიკერებული და როგორც ბაბუამისს, მასაც თანაბრად ეკუთვნოდა. წიგნში თავჩარგული უხილავ ეკლებს ისხამდა ტანზე, რათა ქალს მასში არ შეეღწია: აი, ხომ ხედავ, მე სულაც არ ვარ ზარმაცი, სულაც არ ვგავარ არც ბაბუას და არც მამასო... მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, შენ გგავარ — შენ უცხო ხარ, შენ ჩემი დედა არა ხარ, მერე რა, რომ შენ მშობე... მერე და მერე ლუკა ხშირად ეკითხებოდა საკუთარ თავს, ნეტავ სამშობიაროში ბავშვების ერთმანეთში არევა თუ შეიძლებაო... ალბათ შეიძლებაო, ასკვნიდა ბოლოს.

აკვანში ჩაკრული თეთრი, ფუმფულა ბიჭუნა თურმე ერთ იჯრაზე ორ ბოთლ ძროხის რძესა და ერთ ქილასაც მისსავე მაწონს სვამდა და მოუთმენლად ელოდა ინსტიტუტიდან დედის დაბრუნებას. მას ფეხის ხმაზე ცნობდა და, როცა დედა კარს მოადგებოდა, ლამის იყო აკვნის არტახები დაეგლიჯა, ფეხი აედგა და საყვარელ დედიკოს მიგებებოდა. ამას რომ ვერ ახერხებდა, ჭყლოპინ-ჭყლოპინი გაუდიოდა, მოახლოებული დედის სუნზე თავს აქეთ-იქით მორგვივით ატრიალებდა. მუქი ყავისფერი თუ მწვანე თვალები სიხარულისგან ბუდიდან ამოვარდნას ლამობდნენ: რადგან ფეხებს არ შეეძლოთ გათავისუფლება, ისინი ცდილობდნენ მიგებებას ლექციებიდან დაბრუნებულ, გაყინულსა და ლოყებაწითლებულ არც თუ ისე ახალგაზრდა ქალთან. ინსტიტუტი, რომელიც ბედნიერ წითელ რესპუბლიკას მაღალგანათლებულ პედაგოგებს უზრდიდა, მაშინ ქალაქის განაპირას მდებარეობდა და მის ირგვლივ ბარაკებისა და პატარა წითელი აგურის შენობების ეზოებში ძროხები ბალახობდნენ. ნავთქურაზე ლუკას ნათესავ ახალგაზრდა ქალს პატარა თეთრი ქვაბი შემოედგა და ბიჭისთვის საჭმელს აკეთებდა. ბავშვს ხორციანი მკლავები გაეთავისუფლებია, თეთრი, ლამაზი თითები პირთან მიეტანა და აღუ-აღუს გამეორებით თვალები კარისთვის მიეპყრო. ჩაჭყლეტილ — ფართო ცხვირში მისთვის უკვე კარგად ნაცნობი საჭმლის სუნი სცემდა, მაგრამ ამ სუნს უეცრად გამოღებული კარიდან შემოჭრილი ცივი ჰაერისა და დედის ლოყებიდან ავარდნილი თბილი ალმურის გემო აკლდა...

ლუკამ ბალნიანი მკლავები საბანში ღრმად ჩამალა, კიდევ უფრო მოიკუნტა და მის ფერხთით ჩამომჯდარ მოხუც ქალს გულისტკივილით შეხედა.

— მისმენ, შვილო? სულ მინდა რომ შეგეკითხო...

მანამდე კი წინკარში მის გასაგონად საგანგებოდ ატეხილ ბაკა-ბუკს ჯერ მოთუხთუხე პატარა ქვაბი უნდა გაეარა, მისგან ადენილ ოხშივარს უნდა შეზავებოდა. თბილი რძისა და თოვლ-ჭყაპისაგან დასველებული რეზინისა თუ ტყავის გასაოცარი სუნი ბიჭის ფართო, ჩაჭყლეტილ ცხვირამდე რომ მიაღწევდა, კარიც გაიღებოდა და მოზრდილ ოთახში ლოყებაწითლებული, ყინვისგან ოცი წლის გოგოდ ქცეული დედა შემოვარდებოდა.

— ვაი მე, დედა, — ამოიკვნესა

ლუკამ. ერთი ჭიქა წყალი ისე მოუნდა, კინაღამ გონება დაუბნელდა... ნახევარ დედამინას ვიძლევი ჭიქა წყალში...

მაგრამ ბავშვთან იმწამს კი არ მივიდოდა, ხელებს და ტანსაცმელს ჯერ ნავთქურაზე გაითბობდა და მერე აჭყლოპინებულ თეთრ-ბუთხუზა ბიჭუნას ჩაეკვროდა. ბიჭუნა სიამოვნებისგან კრუტუნებდა, თეთრი მკლავებით დედის ხშირ, შავ თმას ეხვეოდა, ხუჭუჭა კულულები ფართოდ გაღებულ, აქა-იქ ამოსულ კბილებიან პირთან მიჰქონდა, რაზედაც ქალის ბედნიერი შეკივლება ისმოდა: არა, შვილო, არ შეიძლება, არა შვილოო... ბავშვის თოთო, თბილ კეფას ორივე ხელს შემოხვევდა და ჯერ კიდევ თმამოუცვლელ, ღიავარდისფერ თავს მკერდში ნაზად იკრავდა. ღუ-ღუ-ღუ-ნებდა სუნთქვაშეკრული ბავშვი და ფუნჩულა ხელებს ბედნიერ დედას ლოყებზე უტყაპუნებდა...

ნათესავი გოგო ბედნიერ დედაშვილს აღელვებული უყურებდა, ნავთქურიდან გადმოღებულ ქვაბს წინკარში გასაგრილებლად მიარბენინებდა და ახლავე-ახლავეს ძახილით ბიჭს ტანსაცმელს ქურაზე უთბუნავდა.

პატარაობიდანვე თავადივით გზრდიდითო, წამოსცდებოდა ხოლმე დედას.

თავადივით მზრდიდით, არა? მწარედ ჩაიღიმებდა ლუკა. მწერლობა თუ თავადობა და უსაქმურობა გგონიათ, მეტი რაღა გელაპარაკოთ... მეტი რაღა გაგაგებინოთ... ბავშვობიდანვე გასხვისებული ვიყავი. თავისი შვილი ყველამ თვითონ უნდა გაზარდოს. დიახ, ღმერთმაც... საშინელი უზურპატორი, დიდი ბელადი და ჩვენი პატარა ქვეყნის უდიდესი საამაყო შვილი ახალი მკვდარია. მგლოვიარე სამშობლოსათვის მკვდარი შვილის ნამეტანი მგლოვიარობის გამო თითი ჯერ არ დაუქნევიათ, მაგრამ სულ მალე დაუქნევენ და აკვანში მწოლიარე ბავშვს ოთახში შემოჭრილი დედისაგან რძისა და ტყავის სუნი კი აღარ ეცემა, არამედ რაღაც სხვა ბავშვს ისე შეაშინებს, რომ დედა დიდი ხანი ახლოს ველარ მიიკარებს და გახარებული ნათესავი გოგო ბიჭუნას ერთგვარი ჟინითა და სასრენებით გათქვარულ მკერდში ჩაიკრავს. თუმცა დედამისი სუფთა კი არა, უსუფთავესი ქალი იყო მთელი დედამიწის ზურგზე, ლუკამ ეს სუნი ვერაფერით ვერ მოიცილა. განა მარტო მან? მისმა სამშობლომ! — გახრწნილი წითელი გვამის დამპალი სისხლის, შარდისა და შიშში არეული ოფლის სუნი, რომელიც ლამის დედამიწის ნახევარს მოსდებოდა. მაოხრებელი მკვდარი — ცოცხალმან მოგვთხარა და მკვდარმან აგვაოხრაო...

ნახევარ ჭიქა წყალში მთელი მსოფლიო... არავისაც არ უნდა. რა დროს ხუმრობაა, როდის უნდა დასერიოზულდე... დასერიოზულდე კი არა, დაბრძენდე... დაბრძენდე კი არა, აი, ძლივს არ ვიპოვე?! როდის უნდა ჩაკიდო ცხოვრებას ხელი... შენი ტოლი რომ ვიყავი, მომისმინე თუ გინდა სიმართლე გაიგო, ცალ ხელში წიგნი მეჭირა, ცალი ხელით შენ გარწევდი... აკვანში რომ არ ისვენებდი, ამოგიყვანდი, ხელში დაგიკავებდი, პირში ძუძუს ჩაგიდებდი, მე კი წიგნს ჩავყურებდი...

— სულ მინდა რომ შეგეკითხო, შვილო...

მაინც რომელი წიგნები ეკავა. აი, საიდან მოდის ჩემი ლიტერატურული გაკვეთილები. აბა რა ეგონა: იავნანას და გლეხის შვილოს მაგივრად კარამაზოვებს, იდიოტებს, ბეზუხოვებს რომ მასმენინებდა, ნუთუ იმაზე არ ფიქრობდა — მე მინდოდა თუ არა მწერლად დაბადება, თავადური სიუხვე და იდიოტური სიკეთე... კლასიკა ღმერთის გარეშე? აი, რამდენს მიაღწიეს უნიფხვო კომუნისტებმა... კინაღამ კაკალ გულში დაჭრეს კაცობრიობა... დედა ჩემი ტოლი რომ იყო, მე უკვე ერთი წლის ბუთხუზა ბავშვი ვიყავი და წითელი ურჩხულის შხამის

გემო ტუჩებზე არ შემშრობოდა. ფეხი იმ ხანებში ამიდგამს და ბაჯბაჯბაჯბაჯით (დიდი თავი საათის ქანქარასავით რომ დამქიანებდა იქით-აქით) თურმე პირდაპირ კარისკენ წავსულვარ. ჩემს გამზრდელს (ის დროდადრო მახსენებდა ხოლმე) სიხარულისაგან ლამის გული წასვლია და დაბნეულს მეტი რომ ვერაფერი მოუხერხებია, ჯერ იატაკზე ჩემსავით ოთხზე დაუწყია ფორთხვა, შემდეგ კი მეზობლებთან გავარდნილა — ჩვენმა ბიჭმა ფეხი აიდგაო. იმ დღეს გაუშრა დედას ძუძუ, როცა ოთახში პალტოიანი შევარდა და აღნავლებულ ათი თვის ბავშვს კრუხივით გადაეფარა. ქალს ტალახის, სისხლისა და დენთის კვამლის სუნი ასდიოდა. ისვრიან-ისვრიანო, შეშლილი სახით იმეორებდა და მის მიერ ქუჩიდან შემოყოლილი სიცივით აკანკალებულ ბიჭუნას უკან საშოში დაბრუნებას და დამალვას უპირებდა... იმ დღიდან მოყოლებული ლუკა დედის წიაღს შორდებოდა, მისი მკერდისა და რძის სუნი ავიწყდებოდა. დათვის ბელივით ატოტებულს პუტკუნა ხელებში თეთრი რძით სავსე საწოვარანამოცმული ბოთლი ეკავა და კრუსუნ-კრუსუნით თბილ სითხეს სვამდა. ზოგჯერ საწოვარა პირიდან გამოუვარდებოდა, თეთრი რძე ჩაპუტკუნებულ ნიკაპზე ჩამოელვრებოდა. აი, სწორედ მაშინ სინანულითა და მონატრებით შეხედავდა დედას, რომელიც იმ დროს წიგნებს უჯდა... დედის რძეს მოწყვეტილი ბავშვი საქონლის რძით იზრდებოდა და მთელ საზოგადოებას — მეზობლებს, ნაცნობ-მეგობრებს, ნათესავებს, ხელისუფლებას — ყველას იმის იმედი ჰქონდა, რომ ლუკაც საქონელივით ამტანი, დამჯერე და მშრომელი დადგებოდა...

კოლმეურნეობის ფერმაში ამდენი და ამდენი სული ძროხა ჰყავთ. მათზე ყოველდღიურად ამდენი და ამდენი კგ. საკვები იხარჯება. ამოცანა გვეკითხება: ძროხას დღეში რამდენ კგ. საკვებს აჭმევენ?..

ლუკას წინ ქანდაკივით ასვეტილიყო ნაცრისფერსახიანი არითმეტიკის მასწავლებელი. ბნელ საკლასო ოთახში, დღის სუსტი შუქი უკანა კედელზე გამოჭრილი ფანჯრიდან ძლივს რომ აღწევდა, ბუზის გაფრენას გაიგონებდით. მაგრამ ადრიანი გაზაფხულის დღე იდგა, კვერცხებიდან ბუზები ჯერ არ გამომძვრალიყვნენ, ამიტომ გასუსული ბავშვების სუნთქვაღა ისმოდა. ერთგვარი ზიზღითაც კი უყურებდნენ გამხმარ ხესავით ფერდაკარგულ, გამხდარ კაცს და ერთი სული ჰქონდათ გაკვეთილი როდის დამთავრდებოდა, რათა შესვენებაზე გაერკვიათ ვის უფრო მაგარი კვერცხი ედო ჯიბეში. ბავშვებს ხელის თითები, ტუჩები და წინა კბილებიც კი წითელი საღებავით ჰქონდათ მოსვრილი. ყოველი მათგანი თითქმის ერთსადაიმავეს ფიქრობდა — გარეთ მზე, სითბო, ნათელი დღე არის, ჩვენ კი ბნელ, ცივ ოთახში გაქვავებული ვსხედვართ და ამ კერპივით უსიცოცხლო კაცს შევყურებთო. ის უსიცოცხლო კერპი საშინაო დავალებას ამოწმებდა. ზურგზე შემონყობილი ყინულისფერი ხელებით, სქელლანჩიანი ოქროსფერი ბათინკებით დაჩხარულ ფიცრის იატაკზე ყრუდ დააბიჯებდა. კისერნაგრძელებულმა შავ, უხეშ მერხზე გასუსულ ბავშვებს უხმოდ ჩამოუარა, ლუკასთან შეჩერდა, გაშლილ რვეულს ჩააშტერდა, ბოროტად გაიღიმა და თქვა:

— ეს იმის ბრალია, გუშინ წითელი კვერცხით რომ დარბოდი ქუჩაში...

გამხმარი-გათოშილი ხელი ზურგიდან წამოიღო და ლუკას ყურს ჩააფრინდა. თან თხელ ტუჩებს მანჭავდა (თითქოს უპირო დაიბადა და მერე ექიმებმა სამართებლით გაუჭრესო) და, ლუკას რვეულზე რაღაც ძველ, დაგროვილ ბოღმას ანთხევდა!

ლუკას შეურაცხყოფისაგან სახე წამოუწითლდა, გულში წყენა-ტკივილმა ელვასავით გაუარა. ის მასწავ-

ლებელზე კი არ გაბრაზებულა, არამედ საკუთარ თავზე, რომ ამ უსულგულო, გაქვავებულ კაცს მისი აბუჩად აგდების საბაბი მისცა. მერე და რატომ? გუშინ ხომ კვირა იყო — აღდგომა. როგორ ელოდებოდა აღდგომას, გაზაფხულის ამ საყვარელ დღეს, რომელიც მის ბავშვურ სუფთა გულში ათასნაირ ოცნებას აღძრავდა. ეზოს ნიჩბით ასუფთავებდა, სახურავიდან გადმოყრილი, უკვე თითქმის წყლადქცეული თოვლი ქუჩაში გაჰქონდა, მოსიარულეთა ფეხქვეშ სწრაფად რომ დამდნარიყო. შავ ბათინკებს გულმოდგინედ აპრიალებდა, უნდოდა ამ დღეს რაც შეიძლება სუფთად და ლამაზად გამოწყობილი ყოფილიყო. ბიჭს მხოლოდ ერთი სადარდებელი ჰქონდა — კვირა დღეს კარგი ამინდი ყოფილიყო. სოფელში თითქოს კიდევაც იცოდნენ, როგორი ამინდი იქნებოდა: თუ აღდგომის წინა კვირას (მოხუცები ამბობდნენ, იმ დღეს ებრაელების აღდგომა არისო) კარგი ამინდი იდგა, მომდევნო კვირას აუცილებლად ცუდი ამინდი იქნებოდა, ამიტომ ლუკა გულში ნატრობდა, ნეტავი ებრაელების აღდგომას ცუდი ამინდი იქნებოდესო...

კვირას, მთელი დღე რომ თავისუფალი ყოფილიყო და მთელი არსებით შეეგრძნო აღდგომა, ლუკამ გაკვეთილები შაბათ საღამოს მოამზადა. თბილ ღუმელთან მიმჯდარს სახლში ჯდომა კიდევაც სიამოვნებდა. გარეთ ციოდა. გაქვავებული რუხ-მოშავო ფერის მინაზე აქა-იქ ვერცხლისფრად გადასარკული პატარა გუბეები ჩამავალი მზის უფერო სხივებს ირეკლავდნენ. ტყეებს ისევ ღრმა ძილით ეძინათ, გორაკებზე კი კვლავ შეულანძღავი თეთრი თოვლი იდო. მაინც იგრძნობოდა რაღაც ისეთი, რაც ამ იდუმალებას სულ მალე დაარღვევდა, ალბათ ცაც დაიქუხებდა, შემორჩენილ თოვლს ერთ ღამეში დაადნობდა და რუხ-აყალოსფრად მოტიტვლებულ ყანებს გამოაჩენდა.

ის ამოცანა პირველ რიგში ამოხსნა, პასუხიც შეამოწმა — წიგნის ბოლო გვერდებზე მკრთალად აღნიშნული ამოცანის ნომრის გვერდით მუქი შრიფტით პასუხი იყო აღნიშნული. ცოტა კიდევაც ეწყინა პირველივე ცდაზე რომ მიიღო ზუსტი პასუხი, მაგრამ აღტაცება მაინც ვერ დამალა და იქვე ნამცხვრის მომზადებაში გართულ დედას ამაყად გადახედა. ქალს მისი მოძრაობა არ გამოპარვია, მისკენ მიიხედა. თან ღია-შოკოლადისფერი ცომის მკვრივი გუნდისთვის თავი არ დაუნებებია, წყნარად, მაგრამ მბრძანებლური ხმით უთხრა — კიდევ შეამოწმე, სამასწავლებლოში იმ კაცის ცბიერი გამოხედვის თავი არა მაქვსო.

რაღა უნდა შევამოწმოო, დედის ტონით გაღიზიანებული ლუკა ამოცანის გადათეთრებას შეუდგა. თან იმაზე ფიქრობდა: აი, ხვალ აღდგომაა, ხალხი სასაფლაოზე წავა თავიანთი მკვდრების სატირლად, ჩვენ კი როგორი შინაარსის ამოცანებს გვაძლევენო... და დაწერა: ძროხა დღის განმავლობაში ამდენ კგ. საკვებს ჭამსო... ყურში ჩაფრენილი მასწავლებელი კი სისინებდა: ძროხა მაგდენზე ათჯერ მეტსაც შეჭამს თუკი შეაჭამესო. — ჭამს კი არა, აჭმევენ უნდა გეწეროს!..

იმ დღის შემდეგ (კოლექტივების დამაარსებლის გამო სისხლი რომ გვადინეს) გარკვეული დროის განმავლობაში, ბიჭუნა მოახლოებული დედის ფეხის ხმას ვეღარ გრძნობდა და აკვანში მწოლარე ხან თავის გამზრდელს, ხან ათუხთუხებულ ქვაბს გაფაციცებით შესცქეროდა. ცალი თვალიც კარისათვის მიეპყრო, რადგანაც იცოდა — ადრე თუ გვიან ის უნდა მოსულიყო. ქალის ნაბიჯები უფრო აჩქარებული, უფრო მსუბუქი გახდა. ის დამაჯერებლობა, რაც იმ დღემდე ჰქონდა, მის ძლიერ ფეხებს მოაკლდათ და მიწას მტკიცე ტერფებით კი აღარ ეალერსებოდა, არამედ თითქოს წყალზე მიაბიჯებდა... ახლა კი, აგერ სამოც წელს გადაცილებუ-

ლმა კვლავ დაიბრუნა ის სიმტკიცე და სიჯიუტე, კვლავ მტკიცედ უკაკუნებდა უკვე დაპატარავებულ ფეხის გულებს მოასფალტებულ მიწას. მაგრამ მისი ფეხის ხმა უკვე სულ სხვა რამ იყო (იქით გაჩქარებული, თავმობეზრებული, დაღლილი და ჯიუტად მობაკუნე არა სიხარულით, არამედ იმედგაცრუებით — რომ ეს სიცოცხლე თურმე ამდენ სიარულადაც არ ღირდა) და ბიჭის გულში ტკივილს იწვევდა...

— რა გინდა ჩემგან, დედა?.. ჩემი ჯერი ჯერ არ დამდგარა...

კარგია ქორწილი იცოცხლეთქვა... ოჰ, მშვენიერო ელენე, ღვთის სასუფეველი დაიმკვიდრე თუ წარმართთათვის განკუთვნილ გარესკნელში ელადის ვაჟკაცებს მწველ მოგონებებს აღუძრავ? რა თქვენი ბრალი იყო, ადრე თუ დაიბადენით. ვინ იცის, იქნებ საერთოდაც არ ყოფილა ალეგიერი თქვენთან. ძნელია იმის დანახვა, რასაც თვალი ვერ ხედავს, იმის შეგრძნება, რასაც კუჭი ვერ გრძნობს, იმის წამება, რასაც გული ვერ იგებს და აჰა, განრისხებულმა წინასწარმეტყველმა-წინამძღოლმა რჯულის დაფები მთის ძირზე დაანარცხა. გაიხარა ეშმაკმა, სხეულს დაეპატრონა და თავისკენ მიაკონწიალებდა. დაისაკუთრებდა კიდევაც, წინ რომ მიქაელ მთავარანგელოზი არ გადადგომოდა და არ ეთქვა: „შეგრისხოს უფალმა“.

„აღარ გამოჩენილა ისრაელში წინასწარმეტყველი, მსგავსი მოსესი, რომელსაც პირისპირ იცნობდა უფალი“.

„ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე“. ხოლო მან თავის მოწაფეებს უთხრა: „დედაკაცთაგან ნაშობთა შორის არ აღმდგარა იოანე ნათლისმცემელზე დიდი“.

შენ რომ ჩემს ტალღებში შემოხვიდე, ღმერთად იქცევი. ვერ შემოგიშვებ, ისედაც ბევრი იწვალე და ახალი წამებისათვის აღარ მემეტები. შეიფერე წლები და განისვენე დიდებული იერით, როგორიც ისრაელსა და კაცობრიობას დაამახსოვრდები. კაცობრიობას შენ ღმერთი დაანახე, მისი მადლი კი ადამიანებს სხვამ უნდა მოჰფინოს და არ შეუშვა მდინარემ მოსე თავის ტალღებში. ხოლო იოანე ნათლისმცემლის მიერ, იორდანეს წმინდა წყალში, თავზე ხელდადებული და ჩაყურყუმალავებული ოცდაათი წლის ახალგაზრდა კაცი რამდენიმე წამში უკვე ღმერთკაცად ქცეული, თავისი კეთილი ღიმილით მსოფლიოს გაათბობს. მიედინება იორდანე, მიაფენს ნათელ ტალღებს და ავსებს დროის იმ უხილავ ნაწყვეტს, რაც მოსეს სიკვდილიდან იესოს ხილულ დაბადებამდე არსებობს. უფლისთვის შეიძლება ერთი დღე... კაცობრიობისთვის კი გრძელზე-გრძელი ორი ათასი წელი. დრო, რომელიც სამი სიტყვის შეცვლას — სისხლი სისხლის წილ — ასევე სამ სიტყვაზე — გიყვარდეს მტერი შენი — დასჭირდა!

— უნდა მოინათლო, შვილო... — ლუკამ თვალები გაახილა, დედას გამომცდელად შეხედა. მოხუცს დამჭკნარ სახეზე ფანჯრიდან შემოსული მზის ნათელი ეფინა, ხოლო წვრილ ფოლადისფერ თვალებში სითბო და გაკვირვება ედგა. — წუხელ სიზმარში მითხრეს... — დედა შვილს სიყვარულით უყურებდა.

წუხელ სიზმარში სად ვიყავი? სიზმარში ვიყავი თუ ჯოჯოხეთში? ლუკამ ჭერის კუთხეში გაბმულ ობობას ქსელს ინტერესით შეხედა. თვითონ ობობა არსად ჩანდა. ეტყობა, რომელიმე ბნელ კუთხეში მორიგ მსხვერპლს მიირთმევს. შეიძლება ამ ტახტის ქვეშაც კი, რომელზეც ვწევარ. ბუზის ბუმბულ-ლორწოთი პირგამოტენილი ობობა. აი, ნამდვილი ჯოჯოხეთი თუ გინდა ესაა... ბოლომდე მაინც ვერ წავიკითხე. სხვას რომ ეთარგმნა, შეიძლება გული დამედო, თუმცა ვიღაცამ ხომ თქვა: ყველა იმას ამბობს, ალეგიერი გენიოსიაო, ბოლომდე კი არავის აქვს წაკით-

ხულიო... ობობას ქსელი... რამდენჯერ დამაშტერდებოდა თვალებსა და სახეზე, როცა მეძინა. რამდენჯერ ჩამოვიდოდა ჭერიდან ტახტის ძირამდე — ზეციდან ჯოჯოხეთამდე. ნეტავ რას ფიქრობდა ჩემზე? — ეს ნამდვილად უცნაური დიდი მხეცია, არა, ამას ნამდვილად ვერ მოვერევიო. სიცილი აუტყდა. შეშფოთებულმა მოხუცმა ბიჭის მზერას თვალი გააყოლა და ობობას ქსელს მიადგა.

— მაპატიე, შვილო, — წამოდგა, — ყოველთვის ვასუფთავებ, რა ვიცი საიდან რა გაჩნდა.

— იყოს, — სიცილით თქვა ბიჭმა. — ჩემი ობობაა, არას მერჩის. თუ შეიძლება ერთი ჭიქა წყალი...

მოხუცმა ამოიოხრა, გამხდარ მხრებზე მოსასხამი შეისწორა და წინკარის გავლით სამზარეულოში გავიდა.

დედა-მარი, მარიამი... თითქოს დაბინდდაო, მზე ღრუბლებს მიეფარა და ოთახში მოშრიალე ხეების სიგრილემ დაიარა.

„აჰა, ბინდდება, კვლავ დამესია მწყურვალებათა ფიქრი-ობობა"... ქარისგან აფრიალებული ფარდა კედელს მიეტყლაშუნა...

ოცდარვა წლის გენიოსს ქალი ენატრებოდა. იმ დროს ყავდა ცოლი? რა ვიცი, არ დავინტერესებულვარ. პოეტების განუკურნელი ლტოლვა ქალებისადმი: „თითები ელის საყვარელ თითებს"..... თითქოს შურიც კი იგრძნობოდა დონჟუანებისადმი. აბა კარგად დააკვირდით: „რამდენი ქალი, მღერალი ქალი შეიმოსება ბინდით, დათვალე". დათვალეო, სხვისი ქალები დათვალეო, მწუხარებითა და ირონიით ეუბნება პოეტი თავის თავს. შენ კი, ჰე, ჰე, ჰე, „რამდენ უეცარს ველოდი ამბორს"... ველოდიო, თითქოს ქალები თავისი ფეხით უნდა მისულიყვნენ მასთან, თვითონ კი გარჯა არ უნდოდა... კი არ ეზარებოდა, უბრალოდ აღარ შეეძლო, რადგან ის უკვე ოცნების სამყაროში ცხოვრობდა და რეალობა მხოლოდ სინანულსღა გვრიდა. ქალები კიდევაც რომ მისულიყვნენ, აღარ მიიღებდა, რადგან ის „ცხოვრების კაცი" კი არა, „ოცნების კაცი" იყო და ხორცს თქვლეფა აღარ შეეძლო... „აშრიალდება მრავალი ხალი და გატაცებითაც მოშავთვალე". იქნებ მოთვალთვალეც უნდა დაეწერა, ვინ იცის...

— რაც დაგწერე, დაგწერე... — გმადლობ დედა. — ციგმა წყალმა ლუკას გახურებული გულ-გვამი დაუამა. ორგანიზმში დარჩენილი წუხანდელი სპირტის „მარაგი" წყალში „გაიხსნა" და ბიჭს სიმთვრალე თითქოს კვლავ შეუბრუნდა — თავი ბალიშზე უძალოდ მიასვენა, თვალები მილულა და გაინაბა.

ყოველგვარ შხამზე უშხამესია გათენებებით ავადმყოფობა. გალაკტიონმა შორიდან მუქარით თითი დაუქნია — შენ ხომ არ გაგიჟებულხარ, ძამიკო, ციგნობას თავი დაანებეო.

როცა კალამი ხელში პირველად ავიღე, თითი მაშინ უნდა დაგექნიათ, ბატონო გალაკტიონ, ახლა გვიან არის — ჯვარსაც რომ ვეცვა... საშველი მაინც არ ჩანს.

— რა უცნაური ამინდია, წეღან როგორი მზე იყო, ახლა მთელ ცაზე შავი, საავდრო ღრუბლები დამძიმებულან, — თქვა დედამ და ისევ საწოლის კიდეზე ჩამოჯდა.

„დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!" ლუკამ დედას შეხედა. როგორ დაბერდა, სადღაა ის მკაცრი ქალი, შიშის ზარს რომ მცემდა. კბილები დასცვივდა და ლოყები ჩაეწია. ცხვირი დაუმსხვილდა და დაუგრძელდა. თმა! ის ხუჭუჭა, შავი, მბზინავი თმა სადღაა. როგორ შეთხელებია, აქა-იქ თავის ქალის ვარდისფერი მოუჩანს მთლად გაჭაღარავებული თმის ქვეშ. ასეა, ჩვენი ცხოვრების გზა სიზმარია და ჯოჯოხეთის ბნელი ქვესკნელი...

— მარი, მარი... ლუკამ ფეხი აიდგა, ლუკამ გაიარა... — დედის გაბრწყინებული თვალები, გაყირმიზებული ლოყები, ცისკენ გაშლილი ხელები და შვილის პირველი ნაბიჯე-

ბით გამოწვეული განუმეორებელი სიხარული. მოკლე სიტყვაში ჩაწნეხილი მთელი მისი ქალური სინაზე და მოლოდინი, სიყვარული და სითბო, ქალწულობისდროინდელი ოცნება და დედის უსაზღვრო სიწმინდე. ეს იყო ხმა, ეს იყო შეკივლება, ეს იყო სიცილი, თვალებზე მომდგარ ცრემლში არეული სიცილი. მართლა, შვილო, მართლა, შვილო, იმეორებდა ბედნიერი ქალი, ბიჭუნას ილლიებქვეშ ხელებს მძლავრად უჭერდა და მის ფეხზე დაყენებას ცდილობდა... ბავშვი ბორძიკობდა, დიდი, მრგვალი თავი წინ სძლევდა, მაგრამ დედის სიხარული თითქოს მასაც გადაედოო, ნელ-ნელა ნაბიჯი წადგა, შემდეგ სირბილზე გადავიდა, წინ მკვეთრად გადაქანდა და დედის გაშლილ მკლავებში ჩაესვენა.

იმ დღის შემდეგ ოცდაათ წელზე ოდნავ მეტი გავიდა. ნამთვრალევი ლუკა ტახტზე მილურსმულივით გაშეშებულიყო და თვალებდახუჭული დედას უსმენდა.

ჯვარზე გაკრული იესო გოლგოთას თხემიდან იერუსალიმს გაჰყურებდა. თვალებიდან ცრემლები, ხელ-ფეხიდან კი ცისფერი სისხლი მონვეთავდა. ლუკა იქვე, შორიახლო ჩაყუნცულიყო, უფლისთვის მტირალი თვალები მიეპყრო და თავისთვის სლუკუნებდა — შენ ხარ უფალი ჩემი, შენ ხარ ღმერთი ჩემი, მაგრამ მე ხომ ლოცვაც არ ვიცი წესიერად... ლოცვას ვინ ჩივის, პირჯვარი როგორ გადავიწერო, როგორ გამოვხატო ჩემი გრძნობები, რა ვთქვა, შენ ხომ ვერ მოგატყუებ... თუმცა სიტყვა რა საჭიროა... აგერ ჩემი გული, რომელიც სავსე არის სიკეთით და სიყვარულით... რით დავიმსახურე შენი ყურადღება, რატომ გამომარჩიე, მე ხომ ეკლესიაში ისე შევიდოდი, როგორც აგვისტოს ხვატისგან გათანგული კაცი საჩრდილობელში. მე ხომ არ მიფიქრია შენზე, მე ხომ ცოდვილი ვარ და შენი სახლის შემოგარენიც დამისვრია ნამთვრალევსა და გონარეულს... ერთადერთი, რისთვისაც თავგანწირვა შემიძლია პოეზიაა, როგორც შენ ახლა ჯვარზე ხარ გაკრული, ტანზე სისხლდადენილი თვითგვემით, რუდუნებით, გაუხარელი ცხოვრებით... ჩემი ჯვარი პოეზიაა და ის გზა, რომელსაც მე ვადგავარ შენთან მოდის თუ არა, ერც ვიცი. მე ხომ შენ არ მიძებნიხარ და არც რკინის ჯვარს არ დავუნვავარ...

ჯვარი, რომელიც ხამი ხაუკუნე მიწაში იყო ჩაფლული, სასწაულმოქმედი აღმოჩნდა, მაგრამ კინაღამ მეორე იუდა იმსხვერპლა, ხოლო დედოფალმა ელენემ (ესეც მეორე ელენე) დიდი შრომის, მოთმინებისა და მუქარის შემდგომ მოძიებული ჯვარი თავისავე ადგილზე აღამართვინა, ირგვლივ წმინდა სალოცავი აუშენა და გლახაკთათვის მოწყალებაც გაიღო.

შენ რას იზამ, ჩემო ელენე, შენ რომლის სისხლი გიდგას — მშვენიერი ელენესი თუ წმინდანი ელენესი: ციხე-ქალაქს დამანგრევინებ თუ უკვდავების ჯვარს აღმამართვინებ და ზედ გაკრულს, სულთმობრძავს პეშვით წყალს მაინც მომაწვდი...

ლუკამ ნინო მამიდას ხსენებაზე თვალები გაახილა, გამშრალი ტუჩები მოილოკა, სკამზე დადგმულ ჭიქას მისწვდა და დარჩენილი წყალიც დალია.

— რაო, ნინო მამიდა მოკვდა?!.

— რას ამბობ, შვილო, ღმერთმა დაიფაროს, თურმე შენ არც კი მისმენ. რას გეუბნებოდი არ გაგიგონია?..

გარეთ სულ ჩამობნელებულიყო, მაისის დილას კი არა, დეკემბრის საღამოს უფრო ჰგავდა, ოღონდ არ ციოდა...

ნინო მამიდას პატარა, მყუდრო სახლი. წინა ეზოში დიდრონი, მსხვილ ვარჯზე ქერქდახეთქილი ვაშლის ხეები იდგნენ. მიწიდან სამ საფეხურზე აწეულ ქვიტკირის დიდი ოთახისათვის მოგვიანებით წინიდან ხის პატარა ოთახიც მიედგათ, რომლის ფანჯრიდანაც ღამღამობით მსხვილი ვარსკვლავებით მოჭედილი

მუქი ლურჯი ცა და უზარმაზარი ვაშლის ხეების ბნელი ტოტები მოჩანდა. მაინც რა მყუდრო და რა თბილი იყო იქაურობა. დედის მოღუშულ სახესა და სარეცხიდან ახალამოღებულ, ჯერ კიდევ საპნის სუნგაუმქრალ სველ, აწითლებულ ხელებს გამოქცეული — გულამომჯდარი, თვალებზე კურცხალმომდგარი და უფრო იმისგან განაწყენებული (რომ არ იცოდა რისი გულისთვის ეჩხუბებოდა დედა) ლუკა სლუკუნ-სლუკუნით სახლის უკან კარტოფილის ყანაში მოფუსფუსე ნინო მამიდასთან მივარდებოდა — სოფლის თავიდან სოფლის ბოლოში გავიდოდა და ვაშლის ხეების ქვეშ მჯდარი იმას ნატრობდა, ნეტავი ნინო მამიდა იყოს დედაჩემიო.

მთელი თავისი დღე და მოსწრება თალხი კაბით, თავზე სქელი, შავი თავშლით, რომლის გრძელ ბოლოებს ყანაში მუშაობის დროს ლამაზად აიკეცავდა ხოლმე და მაშინ სქელი შალის ქვეშ თეთრი, შავად დაწინწკლული ჩითის თხელი თავსაკრავი გამოუჩნდებოდა. ყმაწვილქალობაშივე დაქვრივებულს გათხოვებაზე აღარ უფიქრია, სამთილოობაზე დარჩა და ღრმად მოხუცებულ თეთრ თმაწვერიან მამამთილს უვლიდა, სანამ მოხუცმა სული უფალს არ მიაბარა და თავისი გაუხარელი, ადრე გულზე მიწამიყრილი ვაჟიშვილის გვერდით არ ჰპოვა განსასვენებელი.

მწუხარებითა და ტანჯვაგამოვლილი წლებით გასპეტაკებული მოხუცი მზის გულზე ჯორკოზე იჯდა, გრძელ, ლამაზ თეთრ წვერს ივარცხნიდა, ეზოში მომუშავე ოცი წლის ქვრივ რძალს დაკვირვებით გაჰყურებდა, თავისთვის რაღაცას ანგარიშობდა და გულში იმეორებდა — დარჩება თუ არ დარჩებაო. შვილი რომ დარჩენოდათ, მაშინ სხვანაირად იქნებოდა, შვილი დატოვებდა დედას მამის ფუძეზე, ახლა კი... ასეთ პატიოსან, ლამაზსა და მშრომელ ქალს ვინ დაიწუნებს. ეჰა, ხმამაღლა ამოიოხრებდა მოხუცი. მარტოდ დარჩენისა და მარტოდ სიკვდილის ეშინოდა სამი ვაუკაცის დამმარხავ მამას...

საღამოობით, როდესაც დაბალ ტაბლას სავახშმოდ მიუჯდებოდა რძალ-მამამთილი, მოხუცი თმა-წვერზე ხელს ჩამოისვამდა, პირჯვარს გადაიწერდა. უკბილო ყბებით ლუკმას უგემურად ჩაღეჭდა, ნინოს გამომცდელად გადახედავდა და ენის წვერზე მომდგარ სიტყვებს ისევ უკან საჭმელთან ერთად ყლაპავდა. ნინო მის ტანჯვას უყურებდა, მის გულისთქმას ხვდებოდა და ანუგეშებდა — ნუ გეშინია, მამა, მე არსად წამსვლელი არა ვარო და იქით გაიხედავდა, სადაც ნიკელის საწოლის თავზე, დიდი შუააზიური ხალიჩის ფონზე, შავ ჩარჩოში ჩასმული გადიდებული სურათი ბრწყინავდა. მოხუციც იქით გააპარებდა მზერას. ხედავდა და ვერც ხედავდა, მაგრამ ისედაც კარგად იცოდა იმ სურათზე ვინც იყვნენ გამოსახული. მისი უმცროსი ვაჟი თეთრი პირისახითა და შავად აკოკრილი ულვაშით, თითქოსდა მათ უყურებდა მოელვარე თვალებით. შვილის გვერდით, აგერ, ახლა ტაბლის ბოლოში რომ იჯდა ის იყო — შუაზე გაყოფილი, წმინდად დავარცხნილი თმით. გრძელ სახეზე თითქოს სიცოცხლის სურვილი ჩაქრობოდა, მის დაღვრემილ თვალებში სიმშვიდეს დაესადგურებინა. მოხუცმა სურათს თვალი მოარიდა, მზერა ოთახის კუთხისკენ გადაიტანა, სადაც პატარა მაგიდა თეთრ-მოქარგულ სუფრას დაეფარა. სასანთლეში სანთელი იწვოდა და ღვთისმშობლის ხატს ანათებდა. მოხუცმა მზერა ხატიდან ისევ საწოლის თავზე ჩამოკიდებულ სურათზე გადაიტანა, სურათიდან ტაბლის ბოლოში მჯდარ შავ თავშალიან რძალზე და მიხვდა, რომ ეს მკაცრსახიანი ადრე დაქალებულ-დაქვრივებული გოგო ვეღარც მას და ვეღარც მის ვაჟს ვეღარასოდეს მიატოვებდა. უკვე მარა-

დისობის ნაწილად ქცეული ხალიჩაზე მოელვარე შავ-თეთრი სურათი საუკუნო კავშირის, სევდიანი მოგონების შუქურად ქცეულიყო, ხოლო ნინო, როგორც ხატზე ღვთისმშობელი, ერთდროულად იქ, იმ მარადიულ-სამყოფელშიც იყო და აქაც — ამ პატარა ოჯახის ჭერქვეშ, აგერ ტაბლის ბოლოში ჩუმად მჯდარი. ღმერთმა გიცხონოს ის ლამაზი დედ-მამათ, პირჯვარს გადაიწერდა მოხუცი. ნინო სიძველისაგან გაჟანგისფერებულ სპილენძის თასსა და სპილენძისსავე წყლით სავსე თუნგს მოუტანდა მამამთილს. ისიც, სამფეხა სკამიდან ოდნავ გვერდით გადახრილი, შავი სატინის ხალათის სახელოებს მაჯებზე დინჯად წამოიკაპიწებდა და თუნგიდან მოჩხრიალე წყალს ბებრულ, გამხმარ ხელებს შეუშვერდა. ბოლოს სველ ხელს თეთრ წვერზეც ჩამოისვამდა, პურის ნამცეცებს მოიცილებდა და რძალს ჩუმად ეტყოდა — დაღლილი ხარ, შვილო, დროა მოისვენოო. მოხუცს თან უხაროდა და თან სწყინდა, ნინო რომ მის მიტოვებას არ აპირებდა: გულით ეწადა ახალგაზრდა ქალი ბედნიერი ყოფილიყო, მაგრამ როგორ? გულის სიღრმეში ხომ არ უნდოდა მისი გათხოვება, ეს ხომ გარდაცვლილი შვილის ხსოვნას შეურაცხყოფდა, ხოლო მას ოთხკედელშუა მარტოდ-მარტო მოახლოებული სიკვდილის პირისპირ დატოვებდა... შვილი რომ დარჩენოდათ სულ სხვა იქნებოდაო, როდის-როდის იტყოდა და კედლისკენ პირშექცეული გათენებას ელოდა.

ნინო სუფრას აალაგებდა, ჭურჭელს გარეცხდა, წინკარში მზეზე გამთბარი წყლით ხელპირსა და ყელკისერს დაიბანდა, ლამპარს დაუნევდა და კედლისკენ გადატრიალებულ მამამთილს წყნარად ეტყოდა — რამე თუ დაგჭირდეს, დამიძახეო. კარგი, შვილოო, მოხუციც ჩუმად პასუხობდა. ნინო კი იმ სურათს უყურებდა, რომელზედაც ის და მისი ქმარი იყვნენ გამოსახული — თვითონ ცოცხალი, ქმარი საღღაც შუაზიაში მოკლული, აქ ჩამოსვენებული, მამა-პაპათა სასაფლაოზე დამარხული. თითქოსდა ცალ-ცალკე უნდა ყოფილიყვნენ, საერთო აღარაფერი უნდა ჰქონოდათ, მათი საწრალი თითქმის ოთხი წელი იყო გაცვეთილი... გული? ქალი აქ წყვეტდა შინაგან ხმასთან საუბარს, მოხუცთან ერთად ამ თემაზე ფიქრი ეუხერხულებოდა...

ექვსი წელი ამ ოჯახში ცხოვრობდა და მამამთილი მისთვის საკუთარ მამად გადაქცეულიყო. მამა კი ლამაზი, სუფთა კაცი, რომლის დანახვასაც არაფერი სჯობდა და რომელსაც პატარა გოგონა თვალებში შესცინინებდა, იქნება რამე მითხრას, იქნება რამე დამავალოს, ანდა სულაც მომეფეროსო — უკვე საფლავში იწვა. თოთხმეტი წლის არც კი იყო, როცა გაათხოვეს და მამის მკლავებიდან იმ კაცის მკლავებში მოხვდა, რომელიც აგერ, მეორე ოთახში აზიურ ხალიჩაზე გაკრული სურათიდან მასთან ერთად რომ გადმოჰყურებს კედლისკენ გადატრიალებულ მოხუცს.

და ტახტზე მწოლიარე ლუკას ის შორეული საუბარი გაახსენდა, ერთხელ შემთხვევით რომ შეესწრო. დედა და მამიდა გახურებულ ღუმელს მისხდომოდნენ. პატარა ლუკა წიგნს კითხულობდა. ისინი მას თითქმის ვერც ამჩნევდნენ, როცა დედამ მამიდას აი, ასეთი რამ ჰკითხა:

— ...კი, მაგრამ, გიყვარდა ქმარი?

გიყვარდაო? რა არის სიყვარული, ვინ უნდა ჰყვარებოდა მამიდას, ან ეს ქმარი ვინღა არის... მამიდა ნინო სახეზე ოდნავ წამოწითლდა, ცალი თვალით მაინც ლუკასკენ გაიხედა, დარწმუნდა რა ბიჭს ცხვირი წიგნში აქვს ჩარგულიო, მუღერადი ხმით, რომელშიც სინანულიც, ოცნებაც, სევდაც, გაფრენილი სიცოცხლის არარაობის შეგრძნებაც ერთად შედუღაბებულიყო, თქვა — მე რა ვიცოდი სიყვარულის, გუბუნაობას ვთამაშობდი ტო-

ლებთან ერთად. ჩემს მომავალ ქმარს საქონელი მიჰყავდა მდინარეზე დასარწყულებლად... აი, მაშინ დავუნახივარ თურმე. თოთხმეტისაც არ ვიყავი მგონი... მოუვიდნენ მამაჩემს შუამავლები. გვიჭირდა, მაშინ ასეთი დრო კი არ იყო. ყველას უჭირდა, შიმშილობა იდგა. ჩვენ ბევრნი ვყავდით დედაჩემს და რა ვიცი, გამათხოვეს. ისინი, თითქოს დამაჯერებლობა აკლდა მის ნათქვამს, გააგრძელა მამიდამ, ისინი (ეს სიტყვა კვლავ გაიმეორა) ვაჭრობდნენ, შუა აზიაში დადიოდნენ, ფული ჰქონდათ და ბიჭათაც კარგი იყო ცხონებული... მალე მოკლეს... მერე რატომ აღარ გათხოვდიო, დედის ეს შეკითხვა კარგად დაიმახსოვრა ლუკამ და ის პასუხიც, რაც მამიდამ თქვა: რას კადრულობთ, ერთხელ გათხოვილი, მეორედ როგორღა გავთხოვდები, საიქიოს ორი ქმარი ხომ არ მეყოლებაო...

ინვა ნინო და ბავშვობაზე ოცნებობდა (არადა, ოცზე მეტის არც იყო), იმ დროზე, როცა სახლში და-ძმებთან ერთად შუაცეცხლს ეფიცხებოდა, როცა მამა ცოცხალი იყო, როცა სათიბიდან მოსულს ფეხებს ბანდა, როცა მის მომდევნო ძმას (ლუკას მამას) არწევდა, ახლა რომ ცხრა წლის ბიჭუნა ვაჟკაცივით შრომობდა უმამო ოჯახში. ახსენდებოდა აპრილის ის დღე, როდესაც მდნობარე თოვლის ნაკადულებს აგუბებდნენ, სველ გუნდებს თანატოლი გოგო-ბიჭები ერთმანეთს ესროდნენ და იმ თბილი თოვლის სუნისაგან გაბრუებულები სველ ფეხებსა და შიმშილს არად აგდებდნენ. ნინომ წითელი და თეთრი ძროხები დაინახა. მათ უკან იღლიაში სახრეგაჩრილი ულვაშიანი ახალგაზრდა კაცი მოჰყვებოდა. კაცს თექის მრგვალი ქუდი კი არ ეხურა, არამედ შავი მეშის თბილი ქუდი მედიდურად ადგა ლამაზ, მრგვალ თავზე. კაცმა (მაშინ ასე ეგონა ნინოს, თორემ რა კაცი ის იყო, ოცდაექვსი წლის ბიჭი თუ იქნებოდა) მას ისე შეხედა, თითქოს ქალი პირველად დაინახაო. გოგონას ტანში შეაჟრჟოლა — ერთთავად გალუმპული წვიმებზე მიტმასნილი სველი წინდებისა თუ იმ ტყაპის ქუდიანი და ტყავის ჩექმებიანი ახალგაზრდა კაცის გამოხედვის გამო. გოგონა ნიკაბს ფეყრდნო, გამხდარ მხრებზე დედის მეერ მოქსოვილი გარეშიდროდ შემოიხვია და გაილურსა. შავი ფერის ტყეებში მუქ არშიად შემოვლებოდა მთელ ხეობას. ტყეებს ზემოთ თეთრად გადათოვლილი გორები ყინულოვან მწვერვალებს უერთდებოდა. ტყის ქვემოთ ფერდობებზეც ისევ სქელი თოვლის საფარველი იდო, მხოლოდ მდინარის ჭალაზე ჩანდა აქა-იქ რიღო-ჭრიღო. ლილისფერ ყინულებში ჩაკარგული მდინარე ჩუმად, უხმაუროდ მიედინებოდა.

ფანჯარაში მზემ შემოიჭყიტა. ვაშლისა და ლელვის ფოთლებზე შხაპუნა წვიმამ დაიწყო ტყაპატყუპი. „მიყვარს ავდარი მაისის თვეში"... რილო-ჭრილო, მზეავდარა... სხვაგან ასე ამბობენ — მზე პირს იბანსო. რატომ არის მთაში ყველაფერი შეკუმშული, შეკრული, ერთმუშტად ქცეული: იქ ხომ მეტი სივრცეა, მეტი სილურჯე, მეტი მზე? იქ ყველაფერი დიდხანს ძლებს — ხილი, მწვანილი, სიყვარული, სიძულვილი, მტრობა, მოყვრობა და ალბათ სიტყვაც... დედა როდის გავიდა, რა უცნაური სიზმარი მომიყვა. ეწყინა, გული ვატკინე შეკითხვით — შენც იმ აღმართს მიუყვებოდი-მეთქი?!.. მაგრამ მე რა ვქნა, გული თუ არ მიხორცდება? ნინო, ჩემი განმანათლებელი! გასცქეროდა მთებზე თეთრად შეფენილ თოვლს და არ კითხულობდა — ეს არის საქართველოო?.. გაყინულ ფეხებქვეშ სველ თოვლს გრძნობდა, ხელში წიფელის ნაპირებდანახშირებული ნიჩაბი ეკავა, რომლითაც დედამისი აგურის გახურებულ ღუმელში მრგვალ, ჯვარდასმულ პურებს ალაგებდა. ქათქათა მატყლის გარეზი თავზე ნათელივით შემოხვეოდა და მუცლის ქვემოთ ონდავ ჟრჟოლვას გრძნობდა. ბავშვების მიერ

ატეხილი ჟივილ-ხივილი, ნიჩბებით გაპობილი საგუბარი, ჯებირისაგან გათავისუფლებული მღვრიე წყალი ჯერ იისფრად გალიპულ მარხილის ნაკაურს მიჰყვებოდა, შემდეგ იმატებდა, თოვლის დამბალ ნაგურჯალებს მიატივტივებდა, დაბლა ზათქით მიექანებოდა და (კაცთაგან ხილულს ყოველივეს დაჰფარავს წყალი...) ბუნების უკანასკნელი კატაკლიზმის მაცნედ მიშხუოდა...

ხოლო მაშინ, მწარე ცრემლებისა თუ დედის ხელებისაგან სახეაწითლებული ლუკა, უკვე ორმოცდაათს მიტანებულ ნინო მამიდას რომ მიადგებოდა, სულაც აღარ ახსოვდა წიგნებში ამოკითხული... ისიც თავისი ლამაზი, ჭკვიანი, მკვირცხლი თვალებით ამშვიდებდა ბავშვს. ბიჭს მიმხმარ მკერდზე მიიკრავდა და იმას კი გაუხმა ხელებიო, რძლის მისამართით ამბობდა. ამას იმ ხელებზე ამბობდა, რომლებმაც დეკემბრის ერთ ცივ დღეს თბილ ღუმელთან მჯდარს კრემიანი ნამცხვარი და ჭიქით ადუღებული რძე მიაწოდეს, რაზედაც მამიდამ ზრდილობიანი უარი განაცხადა. რატომ არაო, რომ აღარ მოეშვნენ, ასევე წყნარად თქვა: შობის მარხვა არისო. ლუკამ ყურები ცქვიტა: ჯერ მამიდას შეხედა, მერე დედის გაკვირვებულ თვალებს დააცქერდა წამით. მერე შენ იცავ მარხვასო, დედის გაკვირვებული თვალები უკვე დაეჭვებულნი იყურებოდნენ. ვიცავო, თქვა მამიდამ. ის სიტყვაც და ის დღეც ლუკამ კარგად დაიმახსოვრა. ოდნავ დაორთქლილი სარკის ფერიცა იყო, მზე თეთრ ლაქასავით ჩანდა სადღაც ცის კიდეში; გაყინული თოვლი ცივ მდუმარებად გაქვავებულიყო. სახლის სახურავზე ორმეტრიანი მსხვილი ლოლუები ეკიდა, ფანჯრის მინები კი ათასნაირი უცნაური ზომისა და ფორმის ლამაზი ნახატებით აჭრელებულიყო. ღრმა ძილით ეძინა ბუნებას, თითქოს მომკვდარიყო კიდევაც და სიტყვა მარხვა ლუკამ გააცნობიერა, როგორც დიდი საიდუმლოება, რომელსაც მისი პატარა გონება ჯერ ვერ სწვდებოდა. ოთახში რკინის ღუმელი გუგუნებდა, ირგვლივ სითბო და სისუფთავე იყო. დამწვარი ხმელი წიფელის სასიამოვნო სუნი ტრიალებდა...

ისეთივე სასიამოვნო სუნი ასდიოდა ნინოს ხელებს, კასრში მზეზე ნადგამ გამთბარ წყალს, რომლითაც ქალი ნამტირალევ ბავშვს პირს ბანდა. ხელის ჩაყოფისას წყლის სარკე იმსხვრეოდა, ღია ფერის მოციმციმე ბუშტები ვერცხლისწყალივით დასრიალებდნენ. მამიდის გრილი ხელი შუბლსა და გრძელ თმაზე ეალერსებოდა. ლუკა მელნისფერ სარკეში მოგრძო გაფითრებულ სახესა და მოღუშულ-დაფიქრებულ თვალებს ხედავდა. აი, ის იყო ლუკა. ნინო ახლა თმასა და ყელ-კისერს ბანდა. წყალი ბიჭს მხრებს შორის დაკბილულ ხერხემალზე წვეთ-წვეთობით ჩადიოდა. ახლავე, ახლავეო, თეთრ პირსახოცს მოარბენინებდა ნინო მამიდა. ბიჭს სახეს უმშრალებდა: ნახე, რა ლამაზი ხარ, ნახე, რა ლამაზი ხარო, სიცილით ეუბნებოდა. სიცილისას ქალს დიდი, რძისფერი კბილები მოუჩანდა.

ნინო, ჩემი განმანათლებელი... მერე მე საქართველო ვარ?!..

სამოცდაათს მიტანებული მაღალი, გამხდარი ქალი, რომელსაც თავისებური სილამაზე ჯერ კიდევ არ დაეკარგა — თხელი, ოდნავ კეხიანი ცხვირით, თბილი, ჭკვიანი თვალები, თითქოს ორი პატარა მზე არისო, გაღიმებისას ნაპერწკლებს ისროდნენ ხოლმე — გარდაიცვლება იმ ღამეს, როცა ოცდათხუთმეტი წლის ლუკა ამ სიზმარს ნახავს: ლუკა პირს იბანდა და როგორც მაშინ, პატარა ბავშვი, წყლის სარკეში, იყურებოდა. სარკიდან იგივე გაფითრებული სახე, ისეთივე დაფიქრებული თვალები მოჩანდა, მაგრამ თმა... თმაც იგივე ჰქონდა, ოღონდ თავის ქალაზე, როგორც მდინარე მთელ სიგანეზე ტიტველი ზოლი გადაუყვებოდა. ნინო მამიდა მის უკან იდგა და ღიმილით ნელ-ნე-

ლა უჩინარდებოდა... მეც სამოცდაათის მოვკვდებიო, თქვა ლუკამ, სიცოცხლის ნახევარი უკვე დავლიეო...

მეორე დღეს სოფლიდან დეპეშა მიიღეს: ნინო გარდაიცვალა, დაკრძალვა შაბათს...

ეს მოხდება ამ დღიდან ოთხი წლის შემდეგ, ხოლო ამ დღიდანვე ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ ლუკაც გარდაიცვლება... დაკრძალვის ადგილი ჯერ უცნობია...

წუხელ კი, სანამ მე ჯოჯოხეთის ტლაპოში დავხოხავდი, თურმე ზეცაში ჩემზე მსჯელობდნენ. ახლაც არ დაიჯერებს დედა, რომ სხვა ვარსკვლავზე ვარ დაბადებული და სხვა ტვირთი მაქვს სატარებელი?.. მე რომ დამსიზმრებოდა, ალბათ არც დამიჯერებდა, ან კი ვეტყოდი საერთოდ? თვითონ ნახა ხილვა, თვითონ... ისე, როგორ გამოიცვალა: საეკლესიო კალენდარი იყიდა, მარხვას იცავს, დაივიწყა სკოლაში პარტორგანიზაციის მდივანი რომ იყო, ინკვიზიტორივით რომ ექცეოდა საკუთარ შვილს... კომუნისტური დოქტრინის მკაცრი ამსრულებელნი... თუმცა ზეცასთან კავშირი არასოდეს დაუკარგავს და დროდადრო ისეთ სიზმრებს ხედავდა, კაცი გაოცდებოდა... მაშინაც, როცა ბავშვს წითელი კვერცხის დაკავებას უშლიდა... ყველაფერი უწყიან ზევით, ეგრე ადვილად არ თმობენ გზააბნეული, უძღები შვილების სულებს, მოთმინებით ადევნებენ თვალყურს მათ ცხოვრებას...

ქრისტე აღსდგა, ქრისტე აღსდგა... ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად...

აი, თურმე რა არის ჭეშმარიტება!..

„... შენ ამბობ, რომ მეფე ვარ“.

„მე იმიტომ დავიბადე და იმიტომ მოვედი წუთისოფელში, რომ ჭეშმარიტება დამემოწმებინა“...

დედამ უთხრა: რა არის ჭეშმარიტება? ეს რომ თქვა, კვლავ გავიდა ქმართან და უთხრა მას: ზედმეტია მაგასთან ლაპარაკი...

„... რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები“...

აი, თურმე რა არის ჭეშმარიტება!..

უკვდავებაა ჭეშმარიტება. უკვდავი ღმერთია და კიდევ... შემოქმედი... შემოქმედი ხომ ისევ ღმერთია?..

შენ გინდა რომ ღმერთუკა იყო, ჩაიქირქილა ობობამ. არ გირჩევნია დიდი მგელი იყო? არადა, შენგან კარგი მგელი დადგებოდა... გეჭამა უკვე შექმნილი...

ცხოვრებას ჩაგიდოს ხელი, მასთან ერთად იაროს. უკვე წელში გატეხილი, შეშინებული, გაბზარული ხმა...

ზედმეტია მაგასთან ლაპარაკი!.. მაინც ჯიუტი, მაინც მოიმედე ხმა...

მკრთალად განათებული ოთახი, მოგუგუნე ღუმელი, კარის ნახვრეტებიდან წითელი ცეცხლის ენები გამოვარდნას რომ ლამობდნენ. კედელზე მოხტუნავე უცნაური ჩრდილები. გრძელ, მუშამბაგადაფარებულ მაგიდასთან მოფუსფუსე ნინო მამიდა. თეთრ, მარილოვან დიდ ჯამში წითლად შეღებილი კვერცხები. დამტვრეულები ლუკას, მთელები ჯამს. ნინოს თეთრი, კრიალა კბილები, მოჭუტული, ნაპერწკლიანი თვალები და ჩითის თხელი თავსაკრავიდან ჩამოშლილი, ლამპის შუქზე მბზინავი ვერცხლისფერი კულულები. ჭამე, ლუკა, გატეხილი კვერცხები, მთელები სასაფლაოზე წავიღოთ. მერე მარხვა?! ბიჭუნას ოდნავ ღია პირი, შუბლზე ალოკილი ჯიუტი ქერა თმა, მუქი ყავისფერი თუ მწვანე სევდიანი თვალები. ბავშვებისთვის ყველაფერი შეიძლება — ნინო მამიდას თბილი, დამაჯერებელი ხმა. გრძელი, გაუხეშებული, გამხდარი, მზისგან გაშავებული ხელის მტევნები. ქადის, ხაჭოს, კარტოფილის ბაჭულები, გლუვ, აბრაწულ კანზე თითქოს მზეები რომ ეხატათ... ლორის მოწითალო ნაჭრები, კვამლის სუნი რომ ასდიოდათ. დიდი ვაშლები — ცალ მხარეს წითლები, მეორე მხარეს ვარდისფერი, დაჭორფლილი შავი წინწკლებით. გრძელი თაფლის სანთლები. თეთრ გრაფინში მორაკ-

რაკე სისხლისფერი ღვინო. მრგვალი, სქელი დაბრაწული პურები. ასანთის კოლოფი. ლამაზად მოწნული კალათა. ნინო მამიდას გაუჩერებელი, გაუხეშებული, მაგრამ მაინც თბილი ხელები. ღუმელის გვერდით გაშლილი საწოლი. მამლის მესამე ყივილზე უნდა წამოვდგეთო, ნინო მამიდას იდუმალი, შორიდან მომაგალი ხმა, ძლივსღა რომ აღწევდა ლუკას სმენამდე...

პეტრეს მესამე უარყოფაზე უნდა წამოვდგეთ...

შვიდეულის პირველ დღეს გარიჟრაჟზე, როცა ჯერ ისევ ბნელოდა, მარიამი და კიდევ სხვა მარიამი სამარისკენ გაემართნენ, თან წაიღეს საკმეველი და ნელსაცხებლები.

რატომ — როცა ჯერ ისევ ბნელოდა? — რატომ აღვიძებდა ნინო პატარა ლუკას მამლის მესამე ყივილზე?

ღუმელში ცეცხლი გამომქრალიყო, დაწეული ლამპა ძლივს ანათებდა იქაურობას. საწოლში წამომჯდარი ბიჭუნა დახუჭული თვალებით ამთქნარებდა, ძაფზე მოქანავე თოჯინასავით აქანავებდა თავს, მკლავებს, ფეხებს და ნინოს მზრუნველ ხელებს მინდობილი ნელ-ნელა ძილბურანიდან ერკვეოდა. მამალმა მესამედ იყივლაო? ბუტბუტებდა ლუკა. იყივლაო, პასუხობდა მამიდა. პირველები ჩვენ მივალთო? აგრძელებდა დაკითხვას გამოფხიზლებული ლუკა, თან დიდ ვაშლს კბეჩდა და ტუჩის კიდეებზე ჩამოდენილ წვენს ცხვირსახოცით იწმენდდა.

უფერო ცაზე ვარსკვლავები ცივად ენთო. ბნელი, აჩონჩხილი ტყე უზარმაზარი ურჩხულივით განოლილიყო სოფლის გარშემო. აქა-იქ დროჟამისაგან გაშავებული ქვის სახლებიდან მოყვითალო შუქი გამოკრთოდა. უკვე ტალახად ქცეული თოვლი ღამით გაყინულიყო და ლუკას პატარა წითელი რეზინის ჩექმების ქვეშ ხრაშახრუში გაუდიოდა. ბავშვს მოკლებეწვიანი შავი ქურთუკი ეცვა. თავზეც ყურებიანი ტყავის ქუდი ეხურა. ვაშლის ჭამა მოეთავებინა, ხელები ქურქის ჯიბეებში ჩაეწყო და კალათით დამძიმებულ მამიდას მხნედ მიჰყვებოდა. ცხვირში ისევ საღდგომოდ მორეცხილი იატაკის და ვირეთ ღიაცისფრად შეფეთქილი კედლების სუნი სცემდა. ბნელ, ვიწრო ქუჩებში შავებში ჩაცმული ქალები მიდიოდნენ. ჩანთებით და კალათებით ჩუმად, უხმოდ თავჩაღუნულნი მიჰყვებოდნენ სასაფლაოს გზას.

ნუთუ ჩვენ ის ხალხი ვართ, ვის წინაშეც ქრისტე აწამეს?.. ნუთუ ჩვენს სისხლში ის უძველესი დროა შემონახული, როცა კვირას დილაუთენია მარიამი სამარისკენ გაიქცა?.. თუ ის ხალხი: დაშინებულ-დამონებული, ვისაც არა თუ ღმერთი, საკუთარი მკვდარიც უნდათ რომ დაავიწყონ?!.. ყინვისგან გაქვავებულ აღმართზე, ვიწრო ქუჩაში კოშკისებურ მაღალ ქვის სახლებს შორის მიდიოდა დამწუხრებული ნინო. მისდევდა დაფიქრებული ლუკა. წინ მიმავალ შაოსან ქალებს უყურებდა და იმაზე ფიქრობდა, ჩვენ პირველები არ ვიქნებით, იმათ მამალს უფრო ადრე უყივლია სამჯერო. მიდიოდნენ დამწუხრებული ქალები უფლის ნეშტის სანახავად, რომელიც რამდენიმე წუთში თითოეული მათგანის მიცვალებულად გადაიქცეოდა და ისინიც მუხლმოყრილნი, მხრებში მოხრილნი, თითქოს ღია ცის ქვეშ კი არა, კლდეში გამოკვეთილ სამარხში ყოფილიყვნენ, ცხარე ცრემლს დაღვრიდნენ.

უკან მობრუნებულებს თავზე გაზაფხულის თბილი მზე დაჰღუოდათ. შავებში ჩაცმული ქალები შემსუბუქებული კალათებით ატალახებულ შარას თავქვე დინჯი მასლაათით მიუყვებოდნენ, თითქოს იქ, სასაფლაოზე სპეტაკი სამოსით მოსილი ახალგაზრდა დახვედროდათ და ასე ეთქვას: გიხაროდეთ!.. შემხვდურები ერთმანეთს პირზეღიმილმოფენილნი ულოცავდნენ — ქრისტე აღსდგა — ჭეშმარიტად. ქრისტე აღსდგა — ჭეშმარიტად. ქრისტე აღსდგა — ჭეშმა-

რიტად! მოდიოდა ლუკა ჩაფიქრებული, რაღაც იდუმალი გრძნობით დამნუხრებულ-გახარებული. ქურქის ჯიბეებში წითელი კვერცხები ეწყო და იმაზე დარდობდა — დედა რომ შემეკითხება, ამდენი კვერცხი ვინ მოგცაო, რა ვუპასუხოო...

ახლა კი მეუბნება, მოინათლეო. ისევ ნინო მამიდა, ისევ ის მპატრონობს ტანჯვა-წვალებისაგან ნაადრევად დაბერებული. როგორც მაშინ პატარა ბიჭუნას, ახლაც ის მიცავს დედის რისხვა-ბუზღუნისაგან. როგორ ეხვეწებოდა გაალმასებულ დედას, ლუკას სალოცავზე წავიყვან, დღეს ხომ ახალი კვირა არისო. სულ გამიველურეთ ბავშვიო, ჯავრობდა დედა და გაბუსულ ლუკას გაქათქათებულ პერანგს, სუფთა შარვალს, თეთრი მატყლის წინდებს აცმევდა. სოფლის შუაგულში მდგარი მაცხოვრის ეკლესია კომუნისტებს ომის შემდგომ დაენგრიათ და სალოცავად მდინარის გაღმა გორაზე კეცი ქვისაგან აშენებულ ღვთისმშობლის კოშკთან მიდიოდნენ. გამშრალ, თუთუნისფერ შარაზე სითბოსაგან გალაღებული ბავშვები სტვენა-სტვენით წინ უსწრებდნენ ერთმანეთში მხიარულად მოლაპარაკე ქალებს. ეს დღე სულაც არ ჰგავდა წინა კვირის მობუზულ დილას, როცა ცივი საფლავის ქვებზე დამხობილი ჭირისუფლები ტირილით იკლებდნენ იქაურობას. ახლა წითელი მზე დაჰლუოდა ქვეყანას, ცა გადახსნილიყო და მილიარდობით მხიარულ სხივს უშურველად უნაწილებდა დედამიწას. ტყესაც თითქოს მხრები შეებერტყა, ძილისგან გამოფხიზლებულიყო, ტანში სიცოცხლე ჩადგომოდა. ქვემოთ ლურჯი მდინარე მიჰქროდა, შხეფებს ისროდა და თითქოს რაღაც უხაროდა. ქალებმა კოშკს სამჯერ შემოუარეს, ილოცეს და მოლზე გაშალეს სუფრა. კისკის-კისკისით პატარა ჭიქებით ღვინოს სვამდნენ, მერე სიმღერა წამოიწყეს. ნინო მამიდას წკრიალა ხმა სულ მაღლა-მაღლა მიიწევდა, კოშკის თავს სცილდებოდა, გამთბარ, მოკამკამებულ ზეცას უერთდებოდა და ალბათ უფალსაც ესმოდა მისი...

ლუკა ტყეში ბავშვებთან ერთად დარბოდა: აღარც დასვრილი შარვალი ადარდებდა, აღარც გახეული ქურთუკი თუ დაკაწრული ხელები. დროდადრო ნინოს წკრიალა ხმას აყურადებდა და ნატრობდა — ნეტავ დედაც ნინოსავით უბრალო და კეთილი იყოსო.

ხოლო გოლგოთას გზაზე იესო მიდიოდა. თავზე ეკლის გვირგვინი ადგა. შემოხეულ-შემოგლეჯილი, დასვრილი მოსასხამით ქვეყნის მტვერს მიხვეტავდა... უკან მისდევდა წელში მოხრილი (თითქოს ყანას თოხნისო) ქრისტეს ჯვარაკიდებული კვირინელი — კაცი მიწის მუშა...

კაენიც ხომ მიწის მუშა იყო?.. იქნებ ამ ჯვარისმტვირთელმა იხსნა იგი საშინელი ცოდვისაგან?.. რადგან აღმართეს ჯვარი იქ, სადაც ადამი იყო დამარხული, რადგან მის სიცოცხლეშივე ცოდვა-ბრალით აკანკალებულ ხელებს პკურებდა წმინდა, უცოდველი სისხლი...

მასთან ერთად სასიკვდილოდ კიდევ ორი ავაზაკი მიჰყავდათ... ლუკამ თვალები ჭყიტა — ერთ-ერთი ის იყო, სამოთხეში შესვლის დიდი იმედი რომ ჰქონდა და თქვა კიდევაც ასე: „პირველ ყოვლისა, წმინდა სამებას მიერთვას ჩემი საბრალო სული, სჯერა, მიაღწევს ზესთა სამეფოს, რაშიც ეყრდნობა საკუთარ სურვილს“... და მიუტევა უფალმა მას ყველა მინიერი ცოდვა, თავისთან ერთად შეიყვანა სამოთხეში, რადგან იესომ კარგად იცოდა, ისიც რაოდენ მძიმე ჯვარს ატარებდა დაბადებიდანვე...

„მისდევდნენ მას დიდძალი ხალხი და დედაკაცები, რომლებიც ტიროდნენ და მოთქვამდნენ მის გამო“.

— შენც იმ აღმართს მიუყვებოდი, დედა? — ტახტზე მწოლარე ლუკას ხმაში მსუბუქმა ირონიამ გამოჟონა.

— ჰო, შვილო, მეც იქ ვიყავი, ოღონდ უკან. წინიდან კი ნინო მამიდა

გამოვიდა... — დედის ხმა არ შეცვლილა: არც გაოცება დასტყობია, არც შვილის უკმეხობას გაუღიზიანებია. — ნინო დამელოდა და მასთან რომ მივაღწიე, მითხრა: მარი, ლუკა სად არის, რატომ არსად ჩანსო? მე ვუპასუხე — არ ვიცი, ნინო, ალბათ ამ აღმართში სიარული ეზარება-თქო...

ზარმაცო, ზარმაცო, ზარმაცო. როგორ ყველაფერი გეზარება და გესიკვდილება! შვილის სიკვდილს დიდი ხნის შეგუებული დედა. და აჰა! აქაც სიტყვა დაზარება! დედის საყვარელი გამოთქმა...

ლუკას გაეღიმა. მე სიჩუმე მიყვარს, არ მინდა ზარს შემოვკრა, სიწყნარე დავარღვიო. გე-ზარ-ება...

დედამ ეჭვით შეხედა მდუმარე შვილს და განაგრძო:

- მამიდაშენმა ბოლოს ასე მითხრა: არა, ჩემო მარი, ლუკამ თავისი ჯვარი უნდა ზიდოს, თავისი ჯვარი უნდა ზიდოსო! — კვლავ გამიმეორა.

ლუკა კი იქვე შორიახლოს იდგა, ჯვარზე დაკრულ იესოს შეჰყურებდა და ტიროდა — დიდება მოთმინებასა უფალო ჩემო იესო...

წვიმას გადაეღო, ფანჯარას მზის ნათელი ადგა. გახასხასებულ ლეღვისა და ვაშლის ფოთლებს კამკამა წვეთები სცვოდა...

— დროა მეც ავდგე... რომელი საათია, რომელი საათია...

— ცხრა ხდება, შვილო...

— კვირაა, არა დღეს?

— ჰო, შვილო, კვირა დღეა.

მამა ზოგჯერ მრისხანე, მაგრამ კეთილი და სამართლიანი ერთი წელი უკვე ზეცაშია. დედა აგერ. მოწაფეები ჯერ მე არ მყავს, ვის დავუტოვო?..

ლუკა ფანჯარასთან მივიდა, ხეებს სიყვარულით შეხედა... როგორი ხასხასა ფერებია...

„დღეს მაისი ფერში ნაირ-ნაირშია“... გოლგოთა და მთაწმინდა... ოჰ, როგორ აფუჭებს ყველაფერს... ეს სასმითა...

„დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!“..

ჯეიმზ ჯოისი

ულისე

მე-16 ეპიზოდი

ევმეოსი

თარგმანი და კომენტარი
ნიკო ყიასაშვილისა

ბ-ნმა ბლუმმა უპირველეს ყოვლისა ბურბუშელას ძირითადი მასა მოიშორა, სტივენს ქუდი და იფნის ხელჯოხი მიაწოდა და საერთოდაც, ჭეშმარიტი სამარიელის შესაფერისად გაამხნევა, რაც ასე რიგად ესაჭიროებოდა. არ ითქმის, რომ მას (სტივენს) გონება მთლად დაუბნელდა, მაგრამ ოდნავ მაინც ბარბაცებდა და როცა განაცხადა რაიმეს დავლევდიო, ბ-ნმა ბლუმმა გვიანი დროის გათვალისწინებით და იმის გამო, რომ ახლომახლო არ ეგულებოდა არათუ სასმელი არამედ არც სხვა დანიშნულების წყლის შადრევანი, უმალ მოიაზრა, რომ ერთადერთი გამოსავალი იყო იქვე ორ ნაბიჯზე მდებარე ეგრეთწოდებული მეეტლის თავშესაფარი, სადაც უთუოდ მოიძებნებოდა რაიმე სასმელი რძისა თუ სოდიანი თუ მინერალური წყლის სახით. მაგრამ იქ როგორ მიეღწიათ, საკითხავი აი ეს იყო. ერთხანს ყოყმანობდა, მაგრამ რაკიღა მოვალეობა აიძულებდა რაიმე ეღონა, დაძაბული ცდილობდა გამოეძებნა გზა და საშუალება იმ დროს, როცა სტივენი გამუდმებით ამთქნარებდა. რამდენადაც ხედავდა, სახე საშინლად ჰქონდა გაფითრებული და ბ-ნმა ბლუმმა გაიფიქრა, რომ აუცილებელი იყო მათი ახლანდელი მდგომარეობის შესაფერისი გადაადგილების რაიმე საშუალება გამოძებნილიყო, რამეთუ ორივე, განსაკუთრებით კი სტივენი, არაქათგამოცლილები იყვენენ, თუკი, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იქნებოდა ასეთი რამის გამოძებნა. შესატყვისად, ისეთი წინასწარი შემზადების შემდეგ, როგორიცაა თუნდაც პირისახისა და თმის სახელდახელო მოსუფთავება, თუმც კი საპნიანი პირსახოცის წამოღება დაავიწყდა, რომელმაც ერთგული სამსახური გაუწია პარსვისას, ორივე ბივერის ქუჩის, უფრო ზუსტად შესახვევისაკენ გაემართნენ, ვიდრე მონტგომერის ქუჩის კუთხეში საბაყლომდე და ეტლების საჯინიბოს სიმყრალემდე მიაღწევდნენ, სადაც ჯერ მარცხნივ გაუხვიეს, ხოლო იქიდან დენ ბერგინის დუქნის შემოვლით ეიმენზის ქუჩას შეერწყნენ. მაგრამ, როგორც წინასწარვე იყო დარწმუნებული, მუშტრის მომლოდინე იეჰუსის[1] ნიშანწყალიც არსად ჩანდა გარდა „ჩრდილოეთის ვარსკვლავთან“ მდგარი ოთხთვალასი, როგორც ჩანს, მოქეიფეებს ელოდებოდა და არც უჩანდა პირი, რომ თუნდაც ერთი გოჯით დაიძრებოდა ადგილიდან, როცა ბ-ნმა ბლუმმა, რომელიც სულაც არ იყო გაწაფული სტივენაში, სცადა მისი ყურადღება იმით მიეპყრო, რომ ორჯერ რაღაც სტივენის მაგვარი გამოსცა, თან თავს ზემოთ ხელები რკალად აღმართა.

ეს მარცხით დამთავრდა, მაგრამ კეთილგონიერება კარნახობდა, რომ აშკარად აღარაფერი დარჩენოდათ

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, 1998 წ., № 11-12

თუ არა ის, რომ იხტიბარი არ გაეტეხათ და გაებოტათ, რაც მოიმოქმედეს კიდეც. ისე რომ, როგორც კი მოკლეზე გადაჭრეს მალეტთან და სიგნალ ჰაუზთან, სადამდეც იოლად მიაღწიეს, ბუნებრივია, ეიმენზის ქუჩის რკინიგზის სადგურისკენ გაემართნენ და ბ-ნ ბლუმს კი საშინელი საირთულე შეუქმნა იმ გარემოებამ, რომ ერთ-ერთი ღილი მის შარვალზე, ძველისძველი გამონათქვამის პეროფრაზი რომ მოვახდინოთ, დანარჩენი ღილების გზას გაუდგა, თუმცა, ღრმად ჩასწვდა რა შექმნილი მდგომარეობის მთელ სირთულეს, გმირულად ცდილობდა არად ჩაეგდო ეს ავბედობა. ამდენად, რაკიღა ისე მოხდა, რომ მაინცდამაინც არსად ეჩქარებოდათ და ჰაერიც საამო იყო იუპიტერ პლუვიუსის[2] ამასწინდელი ვიზიტის შემდეგ, აუჩქარებლად ჩაუარეს ცარიელ ეტლს, რომელშიც არც მგზავრი იჯდა და არც მეეტლე. მოხდა ისე, რომ დუბლინის ტრამვაის გაერთიანებული კომპანიის ქვიშამოსაფანტს სწორედ იმ დროს მოუწია დაბრუნება და უფროსმა მგზავრმა თავის თანამგზავრს à propos[3] უამბო თუ თავად რა სასაწაულად გადაურჩა ხიფათს სულ რამდენიმე ხნის წინ. ჩაუარეს ჩრდილოეთის დიდი სადგურის მთავარ შესასვლელს, საიდანაც მატარებლები ბელფასტისკენ გადიოდნენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ასე გვიან ღამით ყოველგვარი მოძრაობა შეწყვეტილი იყო, და მორგის უკანა კარს (არც თუ მაინცდამაინც მიმზიდველ ადგილს, რომ არ ითქვას საკმაოდ ავბედითსო, განსაკუთრებით ღამით) და საბოლოოდ დოკის ტავერნას მიადგნენ, საიდანაც, ბუნებრივია, სტორის ქუჩაზე გაუხვიეს, რომელიც იმით იყო ცნობილი, რომ იქ პოლიციის მე-3 განყოფილება იყო მოთავსებული. ამ ადგილსა და მაღალ, ამჟამად ჩაბნელებულ ბირისფორდ პლეისის საწყობებს შორის სტვენმა გაიფიქრა იბსენზე, რომელიც მის გონებაში ასოციაციურად როგორღაც ქვისმთლელ ბეარდს უკავშირდებოდა ტოლბოტ პლეისზე, პირველი შესახვევი მარჯვნივ, იმ დროს როდესაც მისი თანამგზავრი fidus Achates[4] შინაგანი კმაყოფილებით ისუნთქავდა ჯეიმზ რურკის აქვე ახლოს მდებარე სახაბაზოს სურნელს, ჭეშმარიტად მადისმომგვრელ არომატს ჩვენი არსებობის პურისა, ადამიანის მოთხოვნილებათა შორის უპირველესისა და ყველაზე აუცილებელისა. პური, არსი არსებობისა, მოიპოვე პური შენი. სად არის, მითხარ, პური საამო?[5] რურკისას ნახე, ჭამე, გაამოს.

En route[6] მიმართავდა რა თავის სიტყვაძვირ, პირდაპირ რომ ითქვას, არცთუ ბოლომდე გამოფხიზლებულ თანამგზავრს, ბ-ნი ბლუმი, როგორც მუდამ, მთლიანად აკონტროლებდა თავის გრძნობა-გონებას, უფრო მეტიც, არსებითად გულისამრევად ფხიზელი იყო, ჩასჩიჩინებდა ზნედაცემულ ქალებთან და ჯენტლმენად გამოწყობილ თაღლითებთან ღამის ქალაქში შეხვედრის საშიშროებაზე, სადაც ათასში ერთხელ თუ შეიძლება გასვლა, მაგრამ არამც და არამც ჩვევის გამო, რაც მუდამ საფრთხეს უქმნიდა მისი ასაკის ყმაწვილკაცებს, გასაკუთრებით მათ, ვინც უკვე მისძალებოდა სმას, თუკი ცოტათი მაინც არ ფლობს ჯიუჯიცუს, ყოველნაირი მოულოდნელობებისათვის, რადგან თვით მიწაზე გაშოტილმა ლოთმაც კი შეიძლება გვარიანი წიხლი ამოგკრას, ყურადღება თუ მოადუნე. ჭეშმარიტად ღვთის წყალობა იყო იმ დროს კორნი კელეჰერის გამოჩენა, როცა ნეტარ უგუნობაში მყოფ სტივენს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ეს თერთმეტ საათზე მოვლენილი კაცი რომ არა, ფინალი შეიძლება ისეთი ყოფილიყო, რომ უბედურ შემთხვევათა კლინიკის ან ვირის აბანოს კლიენტი გამხდარიყო და მეორე დღეს სასამართლოში ბ-ნ ტობაიასის წინაშე, ანდა რაკი ის უბრალო ვექილი იყო, უნდა ეთქვა, პოლიციის მოხელეების

ულის ან სულაც მეჰონის წინაშე გამოცხადება მოუწევდა და ეს ამბავი ქვეყანას მოედებოდა, რაც ყმაწვილკაცის დაღუპვას ნიშნავდა. ეს იმიტომ ახსენა, რომ იმ პოლიციელთა უმრავლესობა, რომელთაც სულითა და გულით ვერ იტანდა, მეფის სამსახურში ყველაფრის მკისრებელი იყო და, როგორც ბ-ნმა ბლუმმა თქვა, როცა კლენბრასილის ქუჩის განყოფილების ორიოდე შემთხვევა გაიხსენა, მზად იყვნენ წარბშეუხრელად დაეფიცათ ხატზე თეთრი შავიაო. როცა საჭირონი არიან, ადგილზე ვერ ნახავ, სამაგიეროდ ისეთ მყუდრო ადგილებში, როგორიც მაგალითად პემბრუკის ქუჩაა, კანონის დამცველები ბლომად ტრიალებენ, რაც აშკარად იმით აიხსნება, რომ მათ გასამრჯელოს უხდიან საზოგადოების მაღალი ფენების წარმომადგენელთა დასაცავად. მეორე, რაც მან კრიტიკულად შენიშნა, იყო ასეთ დროს ჯარისკაცთა აღჭურვა ცივი თუ ცხელი იარაღით, რომლის ხმარება ნებისმიერი საბაბით არის მოსალოდნელი, რაც მტრობას აღვივებს მათსა და მოქალაქეთა შორის. თქვენ უმოწყალოდ ფლანგავთ თქვენს დროს, ჯანმრთელობასა და სახელს, დიდის კეთილგონიერებით შეაგონებდა იგი, თანაც ასეთი ბედოვლათობა, როდესაც დემიმონდის მკვირცხლი ქალები თქვენს გირვანქებს, შილინგებსა და პენებს აცხრებიან, მაგრამ ყველაზე საშიში მაინც ის არის თუ ვისთან სვამ გამოთრობამდე, თუმცა ალკოჰოლის ხსენებაზე, შესაფერის დროს, თვითონაც სიამოვნებით დალევდა ჭიქა ძველ ღვინოს, როგორც სასარგებლოსა და სისხლის მომმატებელს, თანაც სასაქმებელის ხელშემწყობს (განსაკუთრებით კარგ ბურგუნდიულს, რომელიც საგანგებოდ უყვარდა), მაგრამ იმ ზღვარს არასოდეს გადასცდომია, სადაც უსათუოდ უნდა შეჩერებულიყო, რადგან უბრალოდ დავიდარაბას გადაგყრიდა და თანაც სხვათა ყურადღებისა და მზრუნველობის ობიექტად გაქცევდა. მის ყველაზე დიდ გულისწყრომას სუფრის ის მტეები იწვევდნენ, რომლებმაც სტივენი მიატოვეს, ყველამ გარდა ერთისა, რაც ენით აუწერელი ღალატის ტოლფასი იყო მედიკოს თანამოძმეთა მხრიდან გარემოებათა გათვალისწინებით.

— და ის ერთი იყო იუდა, თქვა სტივენმა, რომელსაც ამამდე კრინტიც არ დაუძრავს.

იმსჯელეს რა ამა და მსგავს საკითხებზე, საბაჟოს უკანა მხრიდან მოუარეს და წრიული რკინიგზის ხიდქვეშ მოკლეზე გადაჭრეს, სადაც მოგიზგიზე ნახშირის მაყალმა, რომელიც საყარაულოსა თუ რაღაც მისდაგვარის წინ იდგა, მათი ერთობ აბლანდული ნაბიჯები მიიზიდა. სტივენი თავისი ნება-სურვილით უმიზეზოდ შეჩერდა, გამოფიტული ლოდების გროვას დააშტერდა და მაყალის შუქზე ჩაბნელებულ საყარაულოში კორპორაციის დარაჯის ფიგურა დალანდა. თითქოს გაახსენდა, რომ ეს ადრეც მოხდა ანდა ვიღაცამ ახსენა მოხდაო, მაგრამ დიდი დაძაბვა დასჭირდა რათა ბოლოსდაბოლოს გაეხსენებინა, რომ ეს ყარაული მამამისის ყოფილი მეგობარი გამლი იყო. შეხვედრის თავიდან ასაცილებლად, რკინიგზის ხიდის ბურჯისკენ მიდგა.

— ვიღაც მოგესალმათ, თქვა ბ-ნმა ბლუმმა.

საშუალო სიმაღლის კაცი, რომელიც აშკარად თაღებქვეშ იმალებოდა, კვლავ მიესალმა: საღამო მშვიდობისაო. სტივენი, ცხადია, შეკრთა, შეტორტმანდა კიდეც და შეჩერდა, რათა საპასუხოდ მისალმებოდა. ბ-ნი ბლუმი, შინაგანი დელიკატურობის კარნახით, რადგან მუდამ მიაჩნდა, რომ სხვის საქმეში არ უნდა ჩაყო ცხვირი, განზე გადგა, თუმცა კვლავაც qui vive[7] იყო, ცოტა არ იყოს შეწუხებული, მაგრამ არამც და არამც შემკრთალი. მართალია დუბლინში ეს იშვიათად ხდებოდა, მაგრამ მაინც იცო-

და, რომ არაფერი იყო უცნაური იმაში, რომ ხელიდან წასული უქონლები საშოვარზე გამოდიან, უსაფრდებიან და საერთოდ დაშინებული ჰყავთ მშვიდობიანი მოსიარულენი იმით, რომ თავზე დამბაჩას მიადებენ რომელიმე მიყრუებულ ადგილას ქალაქგარეთ, შესაძლოა ტემზის სანაპიროს კატეგორიის მანანწალები ან უბრალოდ მოროდიორები, რომლებიც მზად არიან მოგაძახონ ფული ან სული, ნებისმიერ ნადავლს დაჯერდნენ, მაშინვე მიიმალონ და სხვების ჭკუის სასწავლებლად მიმხრჩვალი და პირში ალიკაპამოდებული დაგტოვონ.

სტივენმა, როცა მისკენ მომავალი ფიგურა მოუახლოვდა, თუმც არც თავად იყო მასზე უფრო ფხიზელ მდგომარეობაში, კორლის სუნთქვის ღვინიანი სიმყრალე შეიცნო. ლორდ ჯონ კორლის, როგორც მას ზოგნი ეძახდნენ, გენიალოგია დაახლოებით ასეთნაირად გამოიყურებოდა. ის იყო უფროსი ვაჟი პოლიციის განყოფილების ამასწინათ გარდაცვლილი ინსპექტორისა, რომელსაც ცოლად ჰყავდა ვინმე კეთრინ ბროფი, ლაუდელი ფერმერის ასული. პაპამისს,ნიუ როსელელ პეტრიკ მაიკლ კორლის კი ცოლად ჰყავდა იქაური მიკიტნის ქვრივი, ქალიშვილობაში კეთრინ ტოლბოტი. ხმა დადიოდა, თუმც დაუდასტურებელი, რომ ის მელაჰაიდის ტოლბოტის ლორდთა გვარისა იყო, რომელთაც ეკუთვნოდათ სახლი, ჭეშმარიტად შესანიშნავი რეზიდენცია, მისი დათვალიერება ნამდვილად ღირდა, რომელშიც დედამისს თუ დეიდას თუ რომელიღაც სხვა ნათესავს, როგორც ამბობენ, განსაკუთრებული სილამაზის ქალს, ნილად ხვდა პატივი მრეცხავად ემუშავა. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა, მაგრამ ქარაფშუტა კაცი, რომელიც ახლა სტივენს შეეხმიანა, ენაკვიმატთა წყალობით, იწოდებოდა ლორდ ჯონ კორლიდ.

სტივენი გვერდზე გაიხმო და მისთვის ჩვეულ წუწუნს მოჰყვა. რომ ღამის გასათევი გროშიც არ გააჩნია. რომ ყველა მეგობარმა მიატოვა. ამასთან, ლენეჰანთან უსიამოვნო კამათი მოუხდა და ახლაც სტივენის გასაგონად გაუახსიერებული ნაძირალა უწოდა და კიდევ რამდენიმე მწარე-მწარე გამოთქმაც დააყოლა. ახლა უმუშევრად იყო და სტივენს შეევედრა, ხომ არ ურჩევდა როგორ მოწყობილიყო რაიმე, ნებისმიერ საშუშაოზე. არა, ეს ჭურჭლის მრეცხავის შვილი იყო, გვარის მემკვიდრის ძუძუმტე, ან დედის მხრიდან როგორღაც ენათესავებოდნენ ერთმანეთს, ორივე ერთდროულად მოხდა, თუ ყველაფერი ეს თავიდან ბოლომდე სრული მონაჭორი არ იყო. ასეა თუ ისე, კარგი დღე არ დადგომია.

— არაფერს გთხოვ, მაგრამ, დაჟინებით აწვებოდა ის, ყველაფერს ვფიცავ, ღმერთია მოწამე, მშრალზე ვზივარ.

— ხვალ ან ზეგ სამუშაო იქნება, უთხრა სტივენმა, ვაჟთა სკოლაში დოლკიში, უმცროსი მასწავლებლის ადგილი. ბატონი გერეტ დიზი. სცადე. შეგიძლია მეც მახსენო.

— ოი, არა, წამოიძახა კორლიმ, შეკაი კაცო, სკოლაში როგორ ვასწავლო. მე თქვენი ხალხისთანა ნიჭიერი არ ვყოფილვარ, ლამის სიცილით დაუმატა მან. ორჯერ დავრჩი უმცროს კლასში ქრისტიანი ძმების სკოლაში.

— ღამის გაათევი კი თავადაც არ გამაჩნია, უთხრა სტივენმა.

პირველი რაც კორლიმ გაიფიქრა ის იყო, რომ ყველაფერი უკავშირდებოდა სტივენის გაძევებას საკუთარი სახლიდან ბოზანკალის ქუჩიდან მითრევის გამო. ერთი ღამის გასათევი ქ-ნ მელონისას ეგულებოდა მარლბორო-სტრიტზე, ექვსპენიანი უბადრუკობა, ნაძირალებით სავსე, მაგრამ მაკკონაჰიმ უთხრა ერთ შილინგად „ბრინჯაოს თავში“ შეიძლება არა უშავს რა მოეწყოს კაცი უაინტავერნ სტრიტზეო (რამაც მოსაუბრეს ძმაო

ბეიკონი გაახსენა რატომღაც). ამასთან შიმშილით კვდებოდა, თუმც ამაზე კრინტიც არ დაუძრავს.

თუმცა ასეთი რამეეები ლამის ყოველ მეორე ღამეს ხდებოდა, სტივენში მაინც მისმა საუკეთესო მხარემ იმძლავრა, მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავად იცოდა, კორლის ცინცხალი მონაჩმახი, ისევე როგორც ყველა დანარჩენი, მაინც და მაინც დიდ ნდობას არ იმსახურებდა. და მაინც haud ignarus malorum miseris succurrere disco[8] და ასე შემდეგ, როგორც რომაელი პოეტი იტყოდა, მით უფრო, რომ მისდა ბედად ხელფასს უხდიდნენ ყოველი თვის შუაში, თექვსმეტ რიცხვში, რაიც ჭეშმარიტად იყო დღევანდელი დღე, რომლის კაი დიდი ნაწილი უკვე მიიფლანგა. მაგრამ ხუმრობის პენი ის იყო, რომ კორლის ვერავინ ამოუგდებდა თავიდან, რომ თითქოს სტივენი ფუფუნებაში ცხოვრობს და მხოლოდ ხელის ჩადება სჭირდება ჯიბეში, რომ ამოალაგოს რამდენსაც სთხოვენ. მაშინ როდესაც, ხელი მაინც ჩაიცურა ჯიბეში, არა იმ მიზნით, რომ რაიმე საჭმელი ეპოვა, არამედ იფიქრა შილინგის ფარგლებში რაღაც თანხით წაეხმარებოდა, მერე ხელი თავად გაენძრია და რაიმე საკვები ეშოვა, მაგრამ შედეგი უარყოფითი აღმოჩნდა, მისდა გულსატკენად, რაც ნაღდი ფული ჰქონდა, გამქრალიყო. მოძიების შედეგად მხოლოდ ნამცხვრის რამდენიმე ნატეხი იპოვა. მეხსიერება დაძაბა რათა გაეხსენებინა ხომ არ დაკარგა, რაც სულაც არ იყო გამორიცხული, ანდა სადღაც დარჩა, რაც ასეთ ვითარებაში სახარბიელო პერსპექტივას არ უქადდა, ფაქტობრივად სრულიად საპირისპიროს. საერთოდ კი, კაცმა რომ თქვას, მეტად მოქანცული იყო საფუძვლიანი ძიების ჩასატარებლად, თუმც კი გახსენებას ლამობდა. ნამცხვართან დაკავშირებით თითქოს ბუნდოვნად რაღაც ახსენდებოდა. მაგრამ არ იცოდა ზუსტად ვინ მისცა ან სად ანდა თავად თუ იყიდა. ამასობაში მეორე ჯიბეში რაღაცას წააწყდა, რაც სიბნელეში პენიან მონეტებად მიიჩნია, თუმც როგორც გაირკვა, შემცდარიყო.

— ეს ნახევარკრაუნებია, ბიძიკო, შეუსწორა კორლიმ.

ასეც აღმოჩნდა. სტივენმა ერთი მაინც მისცა.

— გმადლობთ, უთხრა კორლიმ, ნამდვილი ჯენტლმენი ხარ, ერთხელაც იქნება დაგიბრუნებ. ეს ვინ გახლავს თან? ერთი-ორჯერ „დაჭრილ ბედაურში" მინახავს კამდენ სტრიტზე ანტრეპრენიონ ბოილანთან ერთად. იქნება გეცადა კეთილი სიტყვა ჩამოგეგდო ჩემზე, ეგებ იმათ ავეყვანე. სენდვიჩ-რეკლამების ტარება გადავწყვიტე, მაგრამ მდივანმა გოგომ მითხრა ჩვენთან სამი კვირით ადრე უკვე შევსებულიაო. ღმერთო დიდებულო, აქაც წინასწარ უნდა ჩაეწერო, გეგონება ესეც კარლ როზას ოპერაა. ბიძიკო, მამაძაღლი ვიყო რამე სამუშაოს თუ ვთაკილობდე, თუნდაც ბუხრები მაწმენდინონ.

რაკიღა, მას შემდეგ რაც ორნახევარი შილინგი იშოვა, პირი აკრული აღარ ჰქონდა, სტივენს მოუყვა ერთი ყმაწვილის შესახე, სახელად ბარდანა კომისკი, რომელსაც, მისი თქმით, სტივენი კარგად იცნობდა, გემების მეპატრონე ფულამთან მოანგარიშედ მუშაობდა, სულ ნეგლისა და ო'მარასთან და დაგვაჯულ ენაბორძიკა ტაისთან რომ ტრიალებდა. ჰოდა წუხელ აიყვანეს და ათი შილინგით დააჯარიმეს ლოთობისა და წესრიგის დარღვევისათვის და კიდევ იმიტომ, რომ უარი განაცხადა პოლიციელს წაყოლოდა.

მთელი ამ ხნის მანძილზე ბ-ნი ბლუმი იქვე ახლოს ბოლთას სცემდა ლოდების და მაყალის წინ, სადაც ჯიხურში კორპორაციის ყარაული, უთუოდ გულმოდგინე ჯაფის შემდეგო, თავში გაუელვა, საკუთარი პასუხისმგებლობით არხეინად ხვრინავდა, სანამ დუბლინი მშვიდ ძილს მისცემოდა. ამავე დროს სტივენის

არცთუ მაინცდამაინც ელეგანტურად გამოწყობილ მოსაუბრეს ხედავდა ხოლმე, ისე თითქოს სადღაც ენახა ეს კეთილშობილი შესახედაობის კაცი, თუმც კი ვერაფრით იტყოდა სად და წარმოდგენაც არ ჰქონდა როდის. და რადგან გონიერი იყო და ცოცხალი დაკვირვების უნარში ბევრი ტოლს ვერ დაუდებდა, ისიც არ გამოპარვია, რომ მეტად შელახული ქუდი ეხურა და საკმაოდ შემოცვეთილი ტანისამოსი ეცვა, რაც მთლიანობაში ქრონიკულ ქესატობაზე მეტყველებდა. როგორც ჩანს ერთ-ერთი მაბეზარა მუქთახორა იყო, მაგრამ კაცმა რომ თქვას, ეს უბრალოდ კეთილი კარის მეზობლის ხარჯზე გამორჩენის შემთხვევაა, რაც ყველგან, მუდამ და ამასთან, ასე ვთქვათ, საგულდაგულოდ კეთდება და, თუ ღრმად ჩავუკვირდებით, ციხე ან თუნდაც მისი შეცვლა ჯარიმით მეტად rara avis[9] იქნებოდა. ასეა თუ ისე, მას გულცივი შეუპრვრობის გვარიანი მარაგი ესაჭიროება ასეთნაირად რომ დაუყარაულდეს ადამიანებს გვიან ღამით, ლამის გამთენიისას. რაღა თქმა უნდა, დიდი უტიფრობაა.

ის ორნი დაშორდნენ ერთმანეთს და სტივენი დაბრუნდა ბ-ნ ბლუმთან, რომლის გამოცდილ თვალს არ გამოპარვია, რომ იმ პარაზიტმა მაინც დაიყოლია სტივენი. ამის თაობაზე მან, ანუ სტივენმა, სიცილით თქვა:

— რაღაც ბედი არ სწყალობს. მთხოვა მეთხოვა თქვენთვის, რომ სთხოვოთ ვინმე ბოილანს, ანტერპრენიორს, სენდვიჩ-კაცად აიყვანოს.

ამ ცნობის, რომელსაც მისი დიდი დაინტერესება არ გამოუწვევია, მოსმენის შემდეგ ბ-მა ბლუმმა წამით განყენებული მზერა მიაპყრო სივრცეს მინახაპიას მიმართულებით, რომელსაც საუცხოო სახელი „ებლანა“ ამშვენებდა და საბაჟოს სანაპიროსთან მყარად ჰქონდა ჩაშვებული ღუზა და იქნებ სულაც შეკეთება ესაჭიროებოდა, რის შემდეგაც ორჭოფულად დასძინა:

— ამბობენ, ყველა თავის წილ ბედს ეწევაო. ახლა რომ მითხარით, თითქოს მაგონდება მისი სახე. მაგრამ წამით თავი რომ გავანებოთ ამას, რამდენი გაეცით, დაინტერესდა ბ-ნი ბლუმი, თუ ზედმეტ ცნობისმოყვარეობაში არ ჩამომართმევთ?

— ნახევარი კრაუნი, უპასუხა სტივენმა. ვფიქრობ ღამის გასათევად სჭირდება.

— სჭირდება! წამოიძახა ბ-მა ბლუმმა, თუმც დიდად არ გაკვირვებია. არამთუ მჯერა, არამედ გარწმუნებთ, რომ მას ეს სამუდამოდ ესაჭიროება. თვითეულს მოთხოვნილების მიხედვით ან თვითეულს საქმიანობის მიხედვით. მაგრამ, ზოგადად რომ ვთქვათ, ღიმილით დაუმატა მან, თავად სად უნდა გაათიოთ ღამე? სენდიკოუვში წასვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია. და ვთქვათ თუნდაც წახვედით, იქ ვერ შეაღწევთ, მას შემდეგ რაც უესტლენდ როუს სადგურში მოხდა. სულ ტყუილუბრალოდ გაწამდებით. მე არამც და არამც თავს უფლებას არ მივცემ რაიმეში ჩავერიო, მაგრამ მაინც რატომ მიატოვეთ მამის სახლი?

— განსაცდელის საძიებლად, იყო სტივენის პასუხი.

— ამასწინათ როგორღაც თქვენს პატივცემულ მამას შევხვდი, დიპლომატიურად შემოაბრუნა სათქმელი ბ-ნმა ბლუმმა, კაცმა რომ თქვას, დღეს, ან უფრო ზუსტად გუშინ. ახლა სად ცხოვრობს? საუბრიდან დავასკვენი, რომ ადგილსამყოფელი გამოიცვალა.

— მგონი აქ დუბლინში უნდა იყოს, გულგრილად უპასუხა სტივენმა. რაა, რო?

— ნიჭიერი კაცია, თქვა ბ-ნმა ბლუმმა უფროს დედალოსზე, დიდად განათლებული და უბადლო მთხრობელი. ის ამაყობს, და სრულიად სამართლიანად, თქვენით. იქნებ მაინც დაბრუნებულიყავით, შებედა მან და კვლავ მხედველობაში ჰქონდა უესტლენდ როუს სადგურში მომხდარი უსიამოვნო სცენა, როცა სრულიად

აშკარა იყო, რომ დანარჩენი ორნი, ანუ მალიგანი და მისი მეგობარი ინგლისელი ტურისტი, რომელთაც ბოლოს და ბოლოს მაინც გააცურეს მესამე კომპანიონი, ურცხვად ცდილობდნენ, თითქოს ის ოხერი სადგური მათი საკუთრება ყოფილიყო, დაძრომოდნენ სტივენს იმ არეულობაში, რაც მოახერხეს კიდეც.

მაგრამ შემოთავაზებულ წინადადებაზე პასუხი მაინც არ გაიცა, რამეთუ სტივენის გონების თვალი მთლიანად დაკავებული იყო მისი ოჯახური კერის ჭვრეტით, ისეთის როგორც უკანასკნელად ნახა, ბუხართან მიმჯდარი თმაჩამოშლილი დილი, მისი და, რომელიც ელოდა ტრინიდადის წყალწყალა კაკაოს წამოდუღებას გამჭვარტლულ ჩაიდანში და-ძმას რომ დაელია შვრიის ნახარშით რძის ნაცვლად, პარასკევის ქაშაყზე დასაყოლებლად, წყვილი ორ პენად, მეგის, ბუდის და კეიტის კი თითო კვერცხიც შეხვდა, ამასობაში კატა საჯანდრავთან მუყაოს ნაგლეჯზე ერთმანეთში ალაფულ კვერცხის ნაჭუჭს, თევზის თავებსა და ფხას სანსლავდა ეკლესიის მესამე მცნების აღსასრულებლად, იმარხულონ და ეკრძალონ აღნიშნულ დღეებში, რადგან სწორედ მარხვის დღე თუ დიდმარხვის მომდევნო დღეები იყო, ან რაღაც ამდაგვარი.

— არა, დაჟინებით გაიმეორა ბ-ნმა ბლუმმა, პირადად მე თქვენს ადგილას დიდად ვერ დავენდობი მაგ თქვენს გულმხიარულ, სულ რომ ოხუნჯობის გუნებაზეა, დოქტორ მალიგანს, არც როგორც მეგზურს, არც ფილოსოფოსს და არც მეგობარს. მან მშვენივრად იცის რომელი მხრიდან ქრის ქარი, თუმცა უეჭველია, არასოდეს უფიქრია იმაზე თუ რას ნიშნავს არარეგულარული კვება. რა თქმა უნდა, თქვენ ყველაფერ იმას ვერ შენიშნავდით, რაც მე შევნიშნე. მაგრამ სულ არ გამიკვირდება თუ შევიტყვე, რომ სასმელში ერთი მწიკვი თუთუნი ან რაიმე ნარკოტიკი შეგირიეს რაღაც ფარული მიზნით.

მაგრამ, როგორც სმენოდა, დოქტორ მალიგანი მრავალმხრივი ადამიანია და მისი განათლება მხოლოდ მედიცინით არ შემოიფარგლება, ის სწრაფად მიიწევს წინ თავის საქმეში და, თუ სმენს დავუჯერებთ, განადებული აქვს მდიდარი პრაქტიკისა და სოლიდური ჰონორარის შომთხოვნი მოდური ექიმის კარიერა, ხოლო მის პროფესიულ სტატუსს ისიც ემატება, რომ კაცი აშკარა დანრჩობას გადაარჩინა ხელოვნური სუნთქვის მეშვეობით, პირველად დახმარებას რომ ეძახიან, სადღაც სკერიზში თუ მალაჰაიდში? დიახ, მოვალეა აღიაროს, რომ ეს მეტად გაბედული, ყოველნაირი ქების ღირსი საქციელი იყო, ისე რომ, გულწრფელად რომ ითქვას, ვერაფრით ჩასწვდომოდა, რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი, იქნებ რაღაც გაბოროტება, ანდა წმინდა წყლის ეჭვიანობა.

— მაგრამ ალბათ ყველაფერი იქამდე დაიყვანება, რომ, როგორც იტყვიან, იდეებს გპარავს, ბოლოს გაბედა და მიახალა ბ-ნმა ბლუმმა.

იმან, რომ ცნობისმოყვარეობანარევი ფრთხილი, მეგობრული თანაგრძნობით გამთბარი მზერა მიაპყრო სტივენის ამჟამად ერთობ კუშტ სახეს, არსებითად შუქი ვერ მოჰფინა საკითხს იმის თაობაზე, იმ კაცმა მოახერხა უბედურად გაეპამპულებინა, დაცდენილი ორიოდე პირქუში რეპლიკის მიხედვით თუ იმსჯელებდა, ან იქნებ პირიქით, ყველაფერი განჭვრიტა და მხოლოდ მისთვის ცნობილი მიზეზით ნებაზე მიუშვა. გაუსაძლისი სიღატაკის შედეგი იყო და ლამის ღიად აგრძნობინა, რომ მიუხედავად იმ საფუძვლიანი განათლებისა, რაც მას გააჩნდა, მაინც ცოტა სიძნელეს როდი აწყდებოდა იმის ცდაში, რომ როგორმე გაჭირვებიდან თავი დაეღწია.

მამაკაცთა საზოგადო ფეხსალაგის გვერდით დაინახეს ნაყინით მოვაჭრე ურიკა, რომლის გარშემო შეკრებილი, როგორც ჩანს იტალიელე-

ბის ჯგუფი, რომელიც ცხარე კამათისას სხაპასხუპითა და განსაკუთრებული ენერგიით ხარჯავდა სიტყვებსა და გამოთქმებს თავის ხმიერ ენაზე, ალბათ უმნიშვნელო უთანხმოების მოსაგვარებლად.

— Puttana madonna, che ci dia i quattrini! Ho ragione? Culo rotto!

— Interdiamoci. Mezzo sovrano piu...

— Dice lui, pero!

— Mezzo.

— Farabutto! Mortacci sui!

— Ma ascolta! Cinque la testa piu...[10]

ბ-ნი ბლუმი და სტივენი მეეტლეთა თავშესაფარში შევიდნენ, ხის უპრეტენზიო ნაგებობაში, სადაც აქამდე ბლუმი იშვიათად ან არასოდეს ყოფილა და ამ პირველმა მეორეს წინასწარ ორიოდე სიტყვა წაუჩურჩულა დაწესებულების მფლობელის შესახებ რომელიც, როგორც ამბობდნენ, იყო ერთ დროს ცნობილი, დაუმარცხებელი „თხის ტყავი"ფიცჰერისი, თუმცა თავდებად ვერ დაუდგებოდა ამ ცნობას, რომელშიც სავსებით შესაძლებელია ჭეშმარიტების ნატამალიც არ იყო. წუთიც არ გასულა, რომ ჩვენი მეღამურეები ერთ მყუდრო კუთხეში ისხდნენ, სადაც მათ უსახლკარო მაწანწალებისა და ჰომო საპიენსის სხვა ყოველნაირი წარმომადგენლის მზერა მიესალმა, რომელთა ჭამა-სმის პროცესს ლაპარაკიც ენაცვლებოდა და რომელნიც აშკარა ინტერესს იჩენდნენ მათდამი.

— ახლა ფინჯანი ყავაა კარგი, გაბედა ბ-ნმა ბლუმმა ყინულის გალღობა, მაგრამ ვფიქრობ რაღაც უფრო არსებითიც უნდა მიიღოთ, თუნდაც ფუნთუშის სახით.

შესატყვისად, ბ-ნი ბლუმის ნაბიჯი ის იყო, რომ მისთვის დამახასიათებელი sangfroid-ის[11] შენარჩუნებით, ეს სასიცოცხლო პროდუქტები დინჯად შეეკვეთა. მეეტლეებმა და მტვირთავებმა ზერელე შეთვალიერების შემდეგ, აშკარად დაუკმაყოფილებლებმა, ზურგი შეაქციეს და მხოლოდ ერთი ჟღალწვეროსანი გამობრუჟული ვინმე, შეჭაღარავებული, ალბათ მეზღვაური, საკმაო ხანს კიდევ აშტერდებოდა, სანამ თავისი შთაგონებული მზერა იატაკზე არ გადაიტანა. ბ-ნმა ბლუმმა, ისარგებლა რა ხიტყვის თავისუფლებით და რაკი პატრონის ენასთან გაშინაურებული იყო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კვლავ ჭოჭმანობდა voglio-სთან დაკავშირებით, თავის პროტეჟეს მკაფიო და გასაგები ტონით, იმ დიდი ომის შესაბამისად კვლავაც რომ მძვინვარებდა ქუჩაში, მიანიშნა:

— მშვენიერი ენაა. ვგულისხმობ სასიმღეროდ. რატომ არ წერთ ლექსებს ამ ენაზე? Bella Poetria! ისეთი მელოდიური და მჟღერია. Belladonna. Voglio.[12]

სტივენმა, რომელსაც საშინელი მთქნარება აუტყდა და საერთოდ უსაშველო დაღლილობა მოერია, უპასუხა:

— დედალი სპილოს ყურთასმენის დასატკბობად. მთელი აყალმაყალი ფულის გამო იყო ატეხილი.

— მართლა? იკითხა ბ-ნმა ბლუმმა. რა თქმა უნდა, დაუმატა ჩაფიქრებულმა, თან გაიფიქრა ქვეყანაზე იმაზე მეტი ენა არსებობს ვიდრე საჭიროაო, იქნებ მხოლოდ სამხრეთულ ხიბლშია საქმე.

თავშესაფოის პატრონმა დაარღვია მათი tete-a-tete იმით, რომ მაგიდაზე დადგა ფინჯანი თუხთუხა და მოლივლივე ხსნარი, რომელსაც სახელად ყავა ერქვა და ადამისდროინდელი ნიმუში ფუნთუშისა თუ რაღაც მისდაგვარისა. რის შემდეგ კვლავ დახლთან დაბრუნდა, ხოლო ბ-ნმა ბლუმმა გადაწყვიტა უფრო კარგად მოგვიანებით შეეთვალიერებინა, თვლში საცემი რომ არ ყოფილიყო. რის გამოც მზერით გაამხნევა სტივენი, საქმეს შეუდექიო, თავად კი თადარიგი დაიჭირა იმით, რომ ფრთხილად მიუცურა ფინჯანი, რომელშიც მოცემულ მომენტში ეგრეთწოდებული ყავა ესხა.

— ბგერები მაცდურია, თქვა სტი-

ვენმა ცოტაოდენი დუმილის შემდეგ, სახელებივით. ციცერონი, პოდმორი. ნაპოლეონი, ბ-ნი გუდბოდი. იესო, ბ-ნი დოილი. შექსპირები იმდენივე იყვნენ რაც მერფები. რაა სახელი?

— კი, რა თქმა უნდა, გულწრფელად დაეთანხმა ბ-ნი ბლუმი. ნამდვილად. ჩვენი გვარიც შეიცვალა, დაუმატა მან, თან ეგრეთწოდებული ფუნთუშა მიუჩოჩა.

ყღალწვერიანმა მეზღვაურმა, რომელიც თვალს არ აშორებდა ახლად მოსულებს და განსაკუთრებით სტივენი ამოიჩემა, პირდაპირ მიახალა შეკითხვა:

— შენ რაღა გქვია?

ბ-ნმა ბლუმმა მყისვე წაკრა ფეხი თავისი თანამგზავრის ფეხსაცმელს, მაგრამ სტივენმა, რომელმაც უყურადღებოდ დატოვა თბილი, მოულოდნელი მიკარება, უპასუხა:

— დედალოსი.

მეზღვაური მძიმედ მიაშტერდა ნამძინარევი გუდალი თვალებით, რაც ალკოჰოლის, უპირატესად გვარიანი ჰოლანდიური ჯინის უზომო მოხმარებას მოწმობდა.

— საიმონ დედალოსს თუ იცნობ? ბოლოს იკითხა მან.

— მსმენია მის შესახებ, უპასუხა სტივენმა.

ბ-ნი ბლუმი წამით საშინლად დაიბნა, მით უფრო, რომ იქ მყოფნი აშკარად მიყურადებულნი იყვნენ.

— ირლანდიელია, რიხიანად დაადასტურა მეზღვაურმა, თან კვლავ დაჟინებით აშტერდებოდა სტივენს და თავს იქნევდა. ნაღდი ირლანდიელი.

— უნაღდესი ირლანდიელი, მხარი აუბა სტივენმა.

ბ-ნ ბლუმს რაც შეეხება, საერთოდ თავგზა აებნა მთელი ამ ამბისგან და ის-ის იყო საკუთარ თავს უნდა დაჰკითხებოდა, რა კავშირშია, როცა მეზღვაური თავად მიუბრუნდა თავშესაფარში შეკრებილთ და განმარტა:

— ჩემი თვალით ვნახე ორმოცდაათი იარდიდან როგორ ესროლა მხარიღლივ ორ კვერცხს ბოთლის თავზე და მოარტყა. თან ცაცია.

თუმც შიგადაშიგ ენა ებმოდა და ხელებსაც ვერ იმორჩილებდა, მაინც შეეცადა შეძლებისდაგვარად უკეთესად აეხსნა.

— ვთქვათ ბოთლი აქაა. ორმოცდაათ იარდს გადავზომავთ. კვერცხები ბოთლებზე. თოფს მხარზე იდებს. უმიზნებს.

ტანით ნახევრად მობრუნდა, მარჯვენა თვალი მაგრად მოხუჭა. მერე როგორღაც სახე გვერდზე მოექცა და უშნოდ სახედამანჭული ღამეს ჩააშტერდა.

— ბაც! დასძახა ერთხელ.

ყველა ელოდა მეორე ბათქს, რადგან მეორე კვერცხიც იყო.

— ბაც! დასძახა მეორედ.

როგორც ჩანს მეორე კვერცხიც დაიმსხვრა. თავი დახარა, თვალი ჩაუკრა ყველას და სისხლმოწყურებული ხმით დაამატა:

— ბაფალო ბილი იმნაირს იზამს, რომ არ ააცდენს არც ერთხელ მიზანს.

სიჩუმე ჩამოვარდა სანამ ბ-ნმა ბლუმმა თავაზიანობის გამო საჭიროდ მიიჩნია მისთვის ეკითხა ეს რომელიმე სასროლო შეჯიბრზე ხომ არ მოხდაო, როგორც მაგალითად ბიზლია.

— ჩვენ ბოდიში, თქვა მეზღვაურმა.

— დიდი ხანია? არ მოეშვა ბ-ნი ბლუმი.

— ხო, რავი, უპასუხა მეზღვაურმა, რომელიც ოდნავ მოლბა მაგიური „მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო“-ს გავლენით, ასე ათი წელი იქნება. მთელი მსოფლიო შემოიარა ჰენგლერის სამეფო ცირკთან ერთად. სტოკჰოლმში ვნახე წარმოდგენა.

— საინტერესო დამთხვევაა, მორიდებით გადაულაპარაკა ბ-ნმა ბლუმმა სტივენს.

— ჩემი გვარია მერფი, განაგრძო მეზღვაურმა. დ.ბ. მერფი კერიგალოუიდან. იცით სად არი?

— კუინსტაუნის ყურეში, უპასუხა სტივენმა.

— ზუსტად, თქვა მეზღვაურმა. კემდენის ფორტი და კარლაილის ფორტი. აი საიდანა ვარ. სად აქვს მერფის ფესვები გამდგარი. იქა მყავს ჩემი ცოლუკა. ვიცი მელოდება. „ინგლისის, მამულისა და მშვენიერებისთვის". ჩემი საყვარელი ერთგული ცოლია, მე კი უკვე შვიდი ნელია რაც არ მინახავს, სულ ზღვაში ვარ.

ბ-ნმა ბლუმმა ადვილად წარმოიდგინა მისი გამოჩენის სცენა, მეზღვაური ბრუნდება თავის გზისპირა ქოხში მას შემდეგ, რაც ერთ წვიმიან ღამეს, როცა მთვარეს ღრუბლების ლიბრი გადაკვროდა, ზღვის ყველა ჭინკა მშრალზე დასვა. დედამიწის გარშემო ცოლის ძებნაში საკმაო რაოდენობის ამბავი არსებობდა ელის ბენ ბოლტის თემაზე, თუნდაც ენოხ არდენისა და რიპ ვან უინკლისა და იქნებ ვინმემ ბრუტიანი ო'ლირიც[13] გაიხსენოს, პოპულარული, თუმც კი შესასრულებლად მეტად რთული სადეკლამაციო ნომერი, სხვათა შორის, საბრალო ჯონ კეისის შეთხზული, თავისებურად მშვენიერი პოეზიის მცირედი ნიმუში. ამავდროს არასოდეს გაქცეული ცოლის დაბრუნების შესახებ, როგორი ერთგულიც არ უნდა ყოფილიყო. სახე ფანჯარაში! წარმოიდგინეთ მისი განცვიფრება, როცა ბოლოსდაბოლოს ფინიშის ლენტი მკერდით გაარღვია და ამ დროს საშინელმა სიმართლემ მისი საუკეთესო ნახევრის შესახებ თავზარი დასცა, მთელი გრძნობები და იმედები დაუმსხვრია. აღარ მელოდი, მე კი დავბრუნდი და ყველაფრის თავიდან დაწყებას ვაპირებ. და ის კი ზის, უმკვდრო ქვრივი, იმავ ბუხართან. მკვდარი ვგონივარ, უძირო აკვანში დარწეული. იქვე ზის ბიძია ბუთხუზა ან ტომარიკო, როგორ გამოვა, „გვირგვინისა და ღუზის" პატრონი, პერანგის ამარა რამშტექსსა და ხახვს ღეჭავს. მამა უსკამოდ დარჩა. ქრრრ! ქარი! კალთაში ახლადმოვლენილი უზის, სიკვდილის შემდგომი ბავშვი. აჩუ-აჩუ ცხენო, საით გაგაჭენო! ო, თავი დახარე გარდუვალის წინაშე. გაიღიმ-გაიკრიჭე და აიტანე. ვრჩები შენი მუდამ მოსიყვარულე გულდათუთქული ქმარი დ.ბ.მერფი.

— მეზღვაური, რომელიც დუბლინის მცხოვრებს არ გავდა, ერთ-ერთ მეეტლეს თხოვნით მიუბრუნდა:

— ერთი ბედმეტი დასაღეჭი ხომ არ მოგეძებნება?

მეეტლეს, რომელსაც მიმართეს, ასეთი რამ არ აღმოაჩნდა, მაგრამ მეპატრონემ ლურსმანზე დაკიდული სოლიდური ქურთუკის ჯიბიდან საღეჭი თუთუნის კუბურა ამოაძრო და სასურველი საგანი ხელიდან ხელში გადასცეს.

— მადლობთ, თქვა მეზღვაურმა.

მონაპოვარი ხახაში იკრა და ღეჭვა-ღეჭვითა და ენის ბორძიკით ნელა განაგრძო:

— დღეს დილით თერთმეტ საათზე მოვედით. აგურით დატვირთული სამანძიანი „როუზვინი" ბრიჯუოტერიდან. ქირით სამუშაოზე შევუთანხმდი აქამდე რომ მომეღწია. ნაშუადღევს გამისწორდნენ და დამითხოვეს კიდეც. აი, ხედავ? დ.ბ. მერფი, პირველი კლასის მეზღვაური.

ამის დასტურად შიდა ჯიბიდან ამოაძრო და თავის მეზობელს გაუწოდა არცთუ ძალიან სუფთა შესახედაობის დაკეცილი საბუთი.

— მთელი მსოფლიო მოგივლია და ეგ არი, შენიშნა დახლსდაყრდნობილმა მეპატრონემ.

— ხო, ეგრეა, დაფიქრების შემდეგ უპასუხა მეზღვაურმა. რაც ნაოსნობა დავიწყე საკმაოდ ვიხეტიალე. ვიყავი წითელ ზღვაზე. ვიყავი ჩინეთში და ჩრდილო ამერიკაში და სამხრეთ ამერიკაში. ერთი მოგზაურობის დროს მეკობრეები დაგვედევნენ. ბლომად აისბერგები მინახავს, ყინულის მთები. ვიყავი სტოკჰოლმში და შავ ზღვაზე, დარდანელის სრუტე გავიარეთ კაპიტან დოლტონის მეთაურობით, მაგარი ვინმეა, სა-

უკეთესო ვისაც კი გემი დაუღუპავს. მინახავს რუსეთი. გოსპოდი პომილიუ. ასე ლოცულობენ რუსები.

— ნუ იტყვი, ბევრი საოცრება გინახავს, ჩაურთო მეეტლემ.

— რატომაც არა, თქვა მეზღვაურმა, თან ნახევრად დაღეჭილი თუთუნი აათამაშა. უცნაური რამეებიც მინახავს, კარგიც და ცუდიც. მინახავს როგორ მოაკვნიტა ნიანგმა თითი ღუზას, აი ასე, როგორც მე ამ თუთუნს.

პირიდან ნაღეჭი ამოიღო, კბილებში მოითავსა და გაშმაგებით ჩაკბიჩა:

— ჰამ! აი ასე. პერუში კაციჭამიები ვნახე, რომლებიც გვამებს და ცხენის ღვიძლს ჭამენ. აი, ნახეთ. ერთმა მეგობარმა გამომიგზავნა.

სურათიანი საფოსტო ბარათი ამოაძრო შიდა ჯიბიდან, რომელიც როგორც ჩანს ერთგვარი საკუჭნაოს მოვალეობას ასრულებადა და მაგიდაზე დადო. ბარათის დაბეჭდილი ტექსტი იუწყებოდა: Choza de Indios. Beni, Bolivia.[14]

ყველას საგანგებო ყურადღება მიიპყრო სურათმა, რომელზეც ველური ქალების ჯგუფი ჩანდა, ზოლიან თეძომოსახვევებში, ჩაცუცქულები, თვლებს ახამხამებდნენ, ძუძუს აწოვებდნენ, შუბლს იჭმუხნიდნენ, თვლემდნენ დიდძალი ბალღების გარემოცვაში (სულ ცოტა თორმეტნი იყვნენ) პრიმიტიული მოწნული ქოხების წინ.

— მთელი დღე კოკას ღეჭავენ, დასძინა ენამჭევრმა ზღვაოსანმა. სტომაქში დოლაბები აქვთ. ძუძუებს აჭრიან როცა ველარ აჩენს. მთლად შიშვლები სხედან და მკვდარი ცხენის უმ ღვიძლს ჭამენ.

მისი საფოსტო ბარათი რამოდენიმე წუთის განმავლობაში ბატონი ბუზიყლაპიების ყურადღების ცენტრში მოხვდა.

— და იცით როგორ მოიშოროთ თავიდან? — იკითხა მან.

არავის გამოუხატავს აზრის გამოთქმის სურვილი და მან თვალის ჩაკვრით თქვა:

— შუშით. თავზარს სცემს. შუშა.

ბ-ნმა ბლუმმა, გაკვირვების გამოუხატავად, თითქოსდა უნებლიედ გადააბრუნა ბარათი, რათა ნახევრად ნაშლილი მისამართი და საფოსტო ბეჭედი დაეთვალიერებინა. ზედ ეწერა: Tarjeta Postal. Senor A Boudin, Galeria Becche, Santiago, Chile. [15] მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ წერილის ან ბარათის მსგავსი ტექსტის არავითარი ნიშანწყალი არ ჩანდა.

თუმცა ბლუმი იმის ჩიტი არ იყო იქ მოყოლილი პირქუში ამბავი დაეჯერებინა (ისევე როგორც კვერცხების სნაიპერის არაკი, მიუხედავად ვილჰელმ ტელისა და „მარიტანაში" აღწერილი ლაზარილიო — დონ სეზარ დე ბაზანის შემთხვევისა, როცა პირველის ნასროლმა ტყვიამ ქუდი გაუხვრიტა მეორეს[16]), მაგრამ რაკი შეუსაბამობა აღმოაჩინა მის გვარსა (თუკი მართლა ის პიროვნება იყო ვისი სახელითაც ლაპარაკობდა და სხვისი დროშით არ დაცურავდა მას შემდეგ რაც კომპასი გააფუჭა და გეზი არ შეცვალა შუა ზღვაში) და ბარათის ფაქტიურ ადრესატს შორის, რამაც გარკვეული ეჭვი აღუძრა ჩვენი მეგობრის გულწრფელობაში და მაინც ეს ყველაფერი აგონებდა დიდი ხნის ნასათუთევ გეგმას, რომ ერთ მშვენიერ ოთხშაბათს ან შაბათს ლონდონს გაემგზავრებოდა შორეული საზღვაო გზით. არ შეიძლება ითქვას რომ მას ოდესმე შორს და დიდხანს ემოგზაურა თუმც გულის სიღრმეში ბუნებით მოგზაური იყო, მაგრამ ბედის ირონიით სამუდამოდ ხმელეთის ზღვაოსნად დარჩა თუ რა თქმა უნდა ჰოლიჰედში გასვლას არ ჩავთვლით რომლის იქით ცხვირი არ გაუყვია. მარტინ კანინგამს ხშირად უთქვამს უფასო საშვს გაგიხერხებ იგანის გავლითო, მაგრამ რაღაც სულელური დაბრკოლება იჩენდა თავს და მთელი ეს გეგმა იფუშებოდა. და თუნდაც

დავუშვათ, რომ საკუთარი ფული დაედო მოსამართლე ბოდის გულის გასახეთქად, ბოლოს და ბოლოს არც ისე ძვირი იყო, ჯიბე გასწვდებოდა, მაქსიმუმ რამდენიმე გინეა, მალინგარამდე კი, სადაც წასვლას აპირებდა, სულ რაღაც ხუთი შილინგი და ექვსი პენი ღირდა, იქით და უკან. ეს მგზავრობა ჯანმრთელობისათვის იქნებოდა სასარგებლო სამკურნალო ოზონის წყალობით და ყოველნაირად სასიამოვნოც, განსაკუთრებით იმისათვის, ვისაც ღვიძლი აწუხებდა, გზად სხვადასხვა ადგილებს მოინახულებდა, პლიმუთს, ფოლმუთს, საუთჰემპტონს და ა.შ. და ბოლოს ყველაფერი დაგვირგვინდებოდა დიდებული დედაქალაქის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებით, ჩვენი თანამედროვე ბაბილონის გაცნობით, სადაც უდავოა ნახავდა დიდ მიღწევებს და აღადგენდა ნაცნობობას ტაუერთან, უესმინსტერის სააბატოსთან, პარკ ლეინის კეთილდღეობასთან. უცებ ერთმა არცთუ ურიგო აზრმა გაუელვა, სახელდობრ იმან, რომ იქ ადგილზე შესძლებდა მიეხედ-მოეხედა, ზაფხულის საკონცერტო ტურნეს მოწყობის შესაძლებლობა დაეზვერა ყველაზე ცნობილ ფეშენებელურ კურორტებზე, მარგეიტი შერეული პლაჟებით და პირველხარისხოვანი მინერალური წყლებით, ისტბორნი, სკარბორო, და ა.შ. მშვენიერი ბორნმუთი, ნორმანდიის კუნძულები და მსგავსი თვალწარმტაცი ადგილები, რომლებიც შეიძლება ფრიად სარფიანი აღმოჩნდნენ. და რაღა თქმა უნდა, არა რომელიმე საეჭვო კლასის დასთან ერთად, ანდა ადგილობრივ მომუშავე ქალბატონებთან, როგორიცაა თუნდაც ს.პ. მაკკოის ცოლი, მათხოვეთ თქვენი ჩემოდანი და მე ფოსტით გამოგიგზავნით ბილეთს. არა, ბატონო, მხოლოდ უმაღლესი კლასი, ირლანდიური ვარსკვლავების მონაწილეობით, ტუიდი-ფლაუერის დიდი საოპერო დასი, მისი საკუთარი კანონიერი მეცხედრე როგორც პრიმადონა, რაც თავისებურად გააწონასწორებდა ელსტერ გრაიმზსა და მუდიმენერზს, ყოველივე ადვილად მოგვარდება, წარმატება განაღდებული ექნება, თუ რა თქმა უნდა, ადგილობრივ გაზეთში სარეკლამო აუიოტაჟის ასატეხად ვინმე გაქექილ ყმაწვილს იპოვიდა, რომელიც შეძლებდა ყველაზე საჭირო სიმების აუღერებას და ამრიგად ბიზნესის შეთავსებას სიამოვნებისათვის. მაგრამ ვინ? საკითხავი აი ეს იყო.

ამას გარდა, არც თუ მაინც და მაინც ნათლად, მაგრამ მაინც გაუელვა თავში, რომ ახალი საზღვაო მარშრუტების აღმოჩენით ფართე სარბიელი იხსნებოდა, რაც ფეხდაფეხ მოჰყვება ხოლმე ცხოვრებას, თუნდაც ფიშგარდ-როსლერის ხაზი, რომელიც, როგორც ხმა დაირხა, კიდევ ერთხელ განიხილეს გაჯანჯლების დეპარტამენტში და როგორც ჩვეულებრივ ხდება, კვლავ ბიუროკრატიზმის მორევში ჩაახრჩეს გამოფიტულმა ლენჩებმა და დახავსებულმა რეგვენებმა. აქ აშკარად საზრიანობისა და ენერგიის გამოჩენის დიდი შესაძლებლობანი იყო სამოგზაურო პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით ფართო საზოგადოებისათვის, რიგითი ადამიანებისათვის, ასე ვთქვათ ბრაუნის, რობინსონისა და კომპანიისათვის.

იმთავითვე გულდასაწყვეტი და აბსურდული იყო და ამაში მცირე დანაშაული როდი მიუძღოდა ჩვენს ნაქებ საზოგადოებას, რომ რიგით ადამიანს, როცა მის ორგანიზმს რეალურად ესაჭიროებოდა მომაგრება, ქეციანი ორიოდე გირვანქის გამო არა აქვს საშუალება უფრო ფართოდ მოინახულოს ქვეყანა, რომელშიც ცხოვრობს იმის ნაცვლად, რომ მუდამჟამ და სამარადისოდ ერთ ადგილას ვეგდე მას შემდეგ რაც ჩემმა დოყლაპიამ ცოლად მომიყვანა. ბოლოს და ბოლოს დასწყევლოს ღმერთმა, თერთმეტ თვეზე მეტი გაუსაძლისი ყო-

ფის შემდეგ ღირსნი არიან რადიკალურად შეიცვალონ ატმოსფერო, ქალაქის მძიმე, ერთფეროვანი ჯაფის შემდეგ, სასურველია ზაფხულში, როცა დედა-ბუნება მთელი თავისი მშვენიერებით ბრწყინავს და თითქოს ახალი ცხოვრება იწყება. ასეთივე შესანიშნავი პირობები გააჩნიათ შვებულებაში მყოფთ მშობლიურ კუნძულზეც, ტყით დაფარული ულამაზესი კუნძულები გაახალგაზრდავებას და მხნეობის მომატებას რომ უწყობენ ხელს, უთვალავი გასართობი თავად დუბლინში, მის მიდამოებში და წარმტაც შემოგარენში, პულაპუკა, სადაც პატარა ორთქმავალი დადის, უფრო შორსაც გადარეული ბრბოსაგან, უიკლოუში, სრულიად სამართლიანად ირლანდიის ბაღს რომ ეძახიან, იდეალური ადგილები ველოსიპედით სასეირნოდ ხანშიშესულთათვის სანამ წვიმა არ დაუშვებს, და დონეგალის ტევრი, სადაც, თუ მართალია რასაც ამბობენ, coup d'oeil[17] ჭეშმარიტად გრანდიოზულია, თუმც ამ უკანასკნელ დასახელებულ მიდამოებში ადვილი არ იყო შეღწევა, რის გამოც ჩამოსულთა ნაკადი ისეთი მრავალრიცხოვანი არ იყო როგორც შეიძლებოდა ყოფილიყო იმ გასაოცარი მარგებლობას თუ გავითვალისწინებთ, რისი მოტანაც მას შეუძლია, ხოლო ჰოუთი თავისი ისტორიული ასოციაციებითა და სხვაფრადაც, აბრეშუმის ტომასი, გრეის ო'მოლი, ჯორჯ IV[18], შქერის ბუჩქები ზღვის დონიდან რამოდენიმე ასეული ფუტის სიმაღლეზე, ყველა ჯურის ხალხს საგანგებოდ იზიდავდა, განსაკუთრებით გაზაფხულზე, ახალგაზრდების წადილის ჟამს, თუმცა კი ის თავის წილ სამგლოვიარო ზარს რეკდა კლდის პირიდან წინასწარი განზრახვით თუ შემთხვევით გადავარდნილთა სახით, სხვათა შორის, ჩვეულებრივ მოუთმენლები, რადგან მხოლოდ ორმოცდახუთი წუთი სჭირდება ნელსონის სვეტიდან იქ მისვლას. ეს ყოველივე იმის გამო ხდებოდა, რომ თანამედროვე ტურიზმი ჯერ კიდევ, ასე ვთქვათ, ბალღის ასაკში იმყოფებოდა და მომსახურება მეტად მოისუსტებდა. მას ასევე აინტერესებდა, უბრალოდ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ადამიანთა მიგრაცია უწყობდა ხელს ახალი გზების აღმოჩენას თუ პირიქით ან იქნებ ორივე ერთდროულად მოქმედებს. საფოსტო ბარათი კვლავ გადააბრუნა სურათის მხარით და სტივენს გადასცა.

— ერთხელ ერთი ჩინელი ვნახე, განაგრძობდა მოყოლას დაუდგრომელი მთხრობელი, რომელსაც პატარა აბები ჰქონდა, საგოზავის მაგვარი რაღაც და წყალში აგდებდა და ისინი იხსნებოდნენ და ყოველი აბი რაღაც განსხვავებულ სახეს იღებდა. ერთი გემი იყო, მეორე სახლი, ან ყვავილი. ვირთხის სუპს ხარშავდნენ, მადიანად დაამატა, ეგ ჩინელ-ჩუნელები.

შესაძლოა მათ სახეზე უნდობლობა ამოიკითხა, ამიტომ დედამიწის გარშემო მოხეტიალემ ჯიუტად განაგრძო თავისი თავგადასავლების მოყოლა.

— და ტრიესტში კი ვნახე როგორ მოკლა კაცი იტალიელმა ჯეელმა. დანა ზურგში. აი ასეთი დანით.

ამის თქმაზე ჯიბიდან ამოაძრო შიშისმომგვრელი დასაკეცი დანა ზედმიწევნით რომ შეეფერებოდა მფლობელს და დასარტყმელ პოზიციაში დაიკავა.

— ეს ბორდელში მოხდა, ორი კონტრაბანდისტი ერთმანეთს ანგარიშს უსწორებდა. ერთი ჯეელი კარს უკან დაიმალა და მეორეს გამოუხტა ზურგიდან. აი ასე.„გაემზადე ღმერთის შესახვედრად“.[19] მიაძახა. ჩახხ! ზურგში ჩაასო ტარამდე.

მისი მოქუფრული მზერა ძილმორეულად დაძრწოდა გარშემო თითქოს საბრძოლოდ იწვევდა მათ შესაძლო დაეჭვებას თუკი ასეთი გაუჩნდებოდათ.

— კარგი რამეა, გაიმეორა მან, თან თავის საზარელ სტილეტს ათვალიერებდა.

რომელ საშინელ denouement-ის[20] შემდეგ, ყველაზე გულადსაც რომ გაუსკდებოდა გული, სტილეტის პირი დაკეცა და ხსენებული იარაღი კვლავ საშინელებათა კამერაში, ანუ ჯიბეში ჩაიდო.

— ცივი იარაღის ოსტატები არიან. ყველას გასაგონად თქვა ვიღაცამ, რომელიც აშკარად ეტყობოდა ბაიბურში არ იყო, ამიტომ იფიქრეს რომ დაუმარცხებელთა მკვლელობები პარკში უცხოელთა მიერ იყო ჩადენილი იმის გამო რომ დანებს ხმარობდნენ.

ამ შენიშვნაზე, რომელიც ააშკარავებდა „სად უმეცრება ნეტარებაა“, ბ-ნმა ბ-მა და სტივენმა, თითოეულმა თავისებურად, მაგრამ ორივემ ინსტინქტურად მაინც დიდმნიშვნელოვნად, იმ მორკრძალებული რელიგიური დუმილით როგორიცაა entre nous [21], გახედეს იქით, სადაც წარბშეუხრელი „თხის ტყავი“ ანუ მეპატრონე სითხის ჭავლს ანთხევდა თავისი მოთუხთუხე მოწყობილობიდან. მისი იდუმალებით მოცული სახე, ჭეშმარიტად ხელოვნების ნიმუში, თავისებურად სრულყოფილი, რომლის აღწერა შეუძლებელია, ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, რომ საერთოდ ვერა გაეგო რა. უცნაურია, ძალიან!

საკმაოდ გრძელი პაუზა ჩამოვარდა. დამსწრეთაგან ერთი ცდილობდა ყავის ლაქებით დაფარული საღამოს გაზეთი წაეკითხა, მეორე საფოსტო ბარათს ათვალიერებდა აბორიგენთა ქოხით, სხვა — მეზღვაურის დათხოვნის საბუთს. რაც საკუთრივ ბ-ნ ბლუმს შეეხება, თავისთვის იყო ჩაფიქრებული. მას ცხადად, გუშინდელი დღესავით აგონდებოდა ის დრო, როცა ეს გაკვრით ნახსენები ამბავი მოხდა, ასე ოციოდე წლის წინ მიწებთან დაკავშირებული არეულობისას, რამაც ცივილიზებულ სამყაროს, ფიგურალურად რომ ვთქვათ, მეხი დასცა, ოთხმოციანი წლების დასაწყისში, უფრო ზუსტად, ოთხმოცდაერთში, როცა მას ის-ის იყო თხუთმეტი წელი შეუსრულდა.

— ეი, უფროსო, დაარღვია სიჩუმე მეზღვაურმა. ერთი აქეთ მომაწოდე ეგ ქალალდები.

თხოვნა შეუსრულდა რა, მან ტორით მოხაცა ასინი.

— გიბრალტარის კლდე თუ გინახავთ? ჰკითხა ბ-ნმა ბლუმმა.

— მეზღვაური თან დაეკვდა თან იმანჭებოდა, რაც შეძლება გაგებულიყო როგორც დიახ, აგრეთვე როგორც არა.

— აჰ, თქვენ იქაც ყოფილხართ, კონცხ ევროპაზე, თქვა ბ-ნმა ბლუმმა ჩათვალა რა, რომ ყოფილა, რომ ბებერი მეკობრე რაღაც მოგონებების საფუძველზე შესძლებდა ამას, მაგრამ იმედი გაუცრუა იმით, რომ უბრალოდ ფურთხის ნაკადი მიუშვა ნახერხს და თავი გააქნია ზანტი ზიზღით.

— დაახლოვებით რომელ წელს იქნებოდა ეგ? კვლავ ჩაეკითხა ბ-ნი ბ. გემებს ვერ გაიხსენებთ?

ჩვენი soi-disant[22] მეზღვაურმა დაქანცული სახით მძიმედ განაგრძო ღეჭვა და მერე უპასუხა:

— დამღალა მაგ ოხერმა კლდეებმა, თქვა მან, და ნავებმაც და ყოველნაირმა გემებმაც. გამუდმებით მლაშე ტარეხი.

აშკარად დაქანცული ჩაჩუმდა. მისი დამკითხველი კი, რომელიც ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ ბევრს ვერაფერს დასცინცლავდა ასეთ გაქექილ გაიძვერას, ფუჭ ვარაუდს მიეცა წყლის უზარმაზარი ფართობების შესახებ დედამიწის ზურგზე, საკმარისია ითქვას, რომ, როგორც რუკაზე თვალის შევლებაც ადასტურებს, მთლიანად ფარავდა მის სამ მეოთხედს და მან შესატყვისად ცხადლივ გაიაზრა თუ რას ნიშნავდა ტალღებზე ბატონობა. მას ხშირად, ძალიან ხშირად შეუმჩნევია ნორთ ბულთან დოლიმაუნტში ბებერი მეზღვაური უკვე სრულიად მიხრწნილი, რომელიც იჯდა ხოლმე არც თუ მაინცდამაინც კეთილსურნელ ზღვის პირას ჯებირზე და

რულმორეული გაჰყურებდა მას, ხოლო ის კი მას, თან ოცნებობდა მწვანე ტყეებზე და მობიბინე საძოვრებზე, როგორც სადღაც ვიღაც მღერის[23]. და მუდამ უკვირდა თუ რატომ. იქნებ ცდილობდა თავისთვის გაერკვია რაღაც საიდუმლო და ეხეთქებოდა ანტიპოდებიდან ანტიპოდებამდე და ასე და ამგვარად და ზემოდან და ქვემოდან, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ქვემოდან არა, და დაუსრულებლად ცდიდა ბედს. შანსი კი ოცი ნოლზე იყო, რომ არავითარი საიდუმლო არ იმალებოდა. და მაინც, წვრილმანებს თუ არ გამოვეკიდებით, ფაქტი ფაქტად რჩებოდა, რომ ზღვა არსებობდა მთელი თავისი ბრწყინვალებით და ადრე თუ გვიან მავანსა და მავანს მასზე უნდა ენაოსნა და ბრძოლაში გამოეწვია ბედი, თუმცა საბოლოოდ ეს მხოლოდ იმას აჩვენებდა თუ როგორ ახერხებენ ზოგიერთები მოყვასს აჰკიდონ ჯოჯოხეთის გაუსაძლისი ტვირთი ლატარეასა და დაზღვევის იდეის სახით, რომელთა საფუძველი ყველგან იდენტურია, ისე რომ სწორედ ამ და არა სხვა მიზეზით საკვირაო მაშველი ნავების შემოღება მეტად მისასალმებელი ნამოწყება იყო, რომლის გამოც ფართო საზოგადოებრიობა, დამოუკიდებლად იმისა კუნძულის შუაგულში თუ ზღვის სანაპიროზე უწევდათ ცხოვრება, თუ ღრმად ჩაუფიქრდებოდნენ, მადლიერი უნდა ყოფილიყვნენ ნავსადგურის მესვეურთა და სანაპირო დაცვისა, რომლებსაც სტიქიასთან შებრძოლება უხდებოდათ როცა კი სამსახურეობრივი მოვალეობა უხმობდა, „ირლანდია მოელის რომ ყველა“[24] და ასე შემდეგ, და ზოგჯერ საშინელ ყოფაში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე ზამთრის პერიოდში და არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ირლანდიური შუქურები, კიში და სხვებიც, რომელთაც ყოველ წამს ელით გადაბრუნების საფრთხე, რაც ერთხელ მან თავის ქალიშვილთან ერთად განიცადა, შტორმი თუ არა, საკმაოდ ძლიერი რწევა.

— ერთი კაი კაცი დაცურაგდა ჩემთან ერთად „მეკობრეზე“, ძველი ზღვის მგელი, თავად მეკობრე, ჰოდა ნაპირზე დაეთხოვა გემიდან და თბილი სამუშაო იშოვა ერთ ჯენტლმენთან კამერდინერად თვეში ექვს გირვანქად. ეს მისი შარვალია რომ ვაცვია და კიდევ მომცა მუშამბის საწვიმარი და ეს-დანა. ისე კი ის სიტყვა მომწონს, აი რომ ბარსავენ და კრეჭენ. ყელში ამოვიდა ხეტიალი. ჩემი ბიჭი, დენიც ზღვაზე გაიქცა, დედამ მემაუდესთან მოაწყო კორკში, მაგრამ მაგან იოლი გზით არ მოინდომა ფულის შოვნა.

— რა ხნისაა? იკითხა ერთმა მსმენელმა, რომელიც სხვათა შორის პროფილით ჰენრი კემპბელს, ქალაქის სამმართველოს მდივანს წააგავდა, მძიმე სამსახურებრივი ვალდებულებისაგან თავისუფალი, ტურტლიანი, რა თქმა უნდა, ჭყეტელა ძონძებში და გამოკვეთილი მეწამული ფერით შეფერილი ცხვირის წანაზარდით.

— რაო-რაო? დინჯი, გაკვირვებული ხმით იკითხა მეზღვაურმა, ჩემი შვილი დენი? ახლა ასე თვრამეტისა იქნება, ასე მგონია.

ამაზე სკიბერიელმა მამილომ[25] თავისი რუხი ან სულაც ჭუჭყიანი პერანგი ორი ხელით გაიღეღა და მკერდის ფხანა დაუწყო, რომელზეც ლურჯი ტუშის რაღაც სვირინგი მოუჩანდა, რასაც ვითომ ღუზა უნდა გამოეხატა.

— ტილით იყო სავსე ის ქოხი ბრიჯუოტერში, თქვა მან, წყალი არ გაუვა. ხვალ უნდა დავიბანო ან ზეგ მაინც. მაგ მურიან საზიზღრებს ვერ ვიტან. მთელ სისხლს გამოგწოვენ.

დაინახა რა რომ ყველა მკერდზე უყურებდა, მათთვის გასაადვილებლად მთლად გაიღეღა პერანგი, რათა მეზღვაურის იმედისა და შვების ტრადიციულად პატივცემული სიმბოლოს ზემოთ შეძლებოდათ უკეთ დაენახათ რიცხვი 16 [26] და ყმაწვილი კაცის ერთობ მოღუშულად გამომზირალი პროფილი.

— სვირინგი, განმარტა დემონსტრატორმა. ეს მაშინ გაკეთდა, როცა ოდესაში შტილში ვიდექით შავ ზღვაზე, კაპიტან დოლტონის მეთაურობით. ჭაბუკმა ანტონიომ გამიკეთა. აი ეს არის, ბერძენი.

— ძალიან მტკივნეულია როცა გიკეთებენ? ჰკითხა ერთმა მეზღვაურს.

მაგრამ ეს ღირსეული მეტად დაკავებული იყო ქექვით. სადღაც თავის. ჭყლეტდა თუ.

— ერთი გამოიხედე, თქვა მან და ანტონიოზე მიუთითა. ბოცმანს თათხავს. ახლა კი, დაუმატა მან, იგივე ყმაწვილი, თან კანი დაიჭიმა თითებით, აშკარად რაღაც განსაკუთრებული ტრიუკია, და იცინის რაღაც მონაჩმახზე.

და მართლაც ახალგაზრდა კაცის, სახელად ანტონიოს, ბრაზიან სახეზე მართლაც გამოიხატა ნაძალადევი ღიმილი და ამ უცნაურმა ეფექტმა ყველას დაუოკებელი აღტაცება გამოინვია „თხის ტყავის" ჩათვლით, რომელიც ამჯერად დახლზე გადმოიხარა.

— ეჰ, ეჰ, ამოიოხრა მეზღვაურმა, თან თავის ვაუკაცურ მკერდს დაჰყურებდა. ამანაც გაფშიკა ფეხები. ზვიგენებმა შეახრამუნეს. ეჰ,ეჰ.

ხელი შეუშვა კანს და პრიფილმა კვლავინდებურად ნორმალური გამომეტყველება მიიღო.

— სუფთად არის შესრულებული, თქვა ერთმა დოკერმა.

— კი, მაგრამ ეს ნომერი რა საჭიროა? იკითხა მერე მაწანწალამ.

— ცოცხლად შეახრამუნეს? ჰკითხა მესამემ მეზღვაურს.

— ეჰ,ეჰ, კვლავ ამოიოხრა ამ უკანასკნელმა, მაგრამ უკვე უფრო ომახიანად და სულ წამით გაუღიმასავით მხოლოდ ნომრის შესახებ შემკითხველს. შესანსლა, ბერძენი იყო.

შემდეგ დაუმატა ერთობ შავი იუმორით, თუ სავალალო ფინალს გავითვალისწინებთ:

— ეს ანტონიო გადარეულა, რომ მიმატოვა ასე ეულად.

შავი ჩალის ქუდიანი ქუჩის ქალის სახე, უსიცოცხლო და წათხუპნილი, თავშესაფრის კარში გამოჩნდა იმის დასაზვერად, ჩემს საკბილოს ხომ ვერ ვიშოვიო. ბ-ნი ბლუმი, რომელმაც არ იცოდა საით გაეხედა, უცებ მიბრუნდა, შეწუხებული, თუმცა კი გარეგნულად დამშვიდებული, მაგიდიდან ები სტრიტის გაზეთის ვარდისფერი ფურცელი აიღო, რომელიც მეეტლემ, თუკი მეეტლე იყო, დასტოვა, აიღო და გაზეთის სივარდისფრეს დააშტერდა თუმცა კი რატომ ვარდისფერი. მისი ასეთი მოქმედების მიზეზი ის იყო, რომ მან მაშინვე შეიცნო იგივე მოშტერო ქალი, რომელსაც წამით მოჰკრა თვალი შუადღისას ორმონდის სანაპიროზე, სახელდობრ ქალი შესახვევიდან რომელმაც იცოდა, რომ ყავისფერკაბიანი ლედი ხომ თქვენი დამაა (ქ-ნი ბლუმი) და სთავაზობდა სარეცხს გაგირეცხავ ხოლმეო. და რატომ გაგირეცხავთ რაც ერთობ ბუნდოვანი იყო, თქვენს სარეცხს. და მაინც გულწრფელობა აიძულებდა ეღიარებინა, რომ თავადაც რეცხავდა თავისი ცოლის საცვლებს ჰოლზ სტრიტზე და ქალებსაც ასევე უნდა გაერეცხათ და რეცხავდნენ კიდეც კაცის ასეთ რამეებს ბიულისა და დრეიპერის საგანგებო მელნით დანიშნულებს (ეს მისი საცვლები იყო ასე დანიშნული), როცა ნამდვილად უყვართ, ასე ვთქვათ, გიყვარვარ გიყვარდეს ჩემი ჭუჭყიანი პერანგი. მაგრამ ამჟამად, რაკი ეკლებზე იჯდა, აშკარად ერჩივნა ეს ქალი იქ არ ყოფილიყო და შვებით ამოისუნთქა, როცა მეპატრონემ უხეში ჟესტით ანიშნა აქედან დამეკარგეო. „ივნინგ ტელეგრაფის" ფურცლის ზემოდან მან წამით შეავლო თვალი მის სახეს, რომელიც თავისი შეშლილი მინისებრი გამოხედვით აშკარად მიანიშნებდა, რომ ცოტა უქროდა, კარის იქიდან გაკვირვებული ათვალიერებდა იმათ, ვინც შკიპერ მერფის ზღვით გარუჯულ მარილიან მკერდს უყურებდნენ და მერე გაუჩინარდა.

— გაიძვერა, თქვა მეპატრონემ.

— მანცვიფრებს, გაენდო ბლუმი სტივენს, მედიცინის თვალსაზრისით მოგახსენებთ, ვენერიული საავადმყოფოდან გამოსულ ადამიანს, სენისაგან რომ ლპება და ყარს, როგორ ყოფნის უტიფრობა რომ აგეკიდოს, ანდა ნებისმიერ ჭკუათმყოფ მამაკაცს, რომელსაც რამედ უღირს თავისი ჯანმრთელობა. უბედური არსება! ეჭვი არ მეპარება, რომ საბოლოო ჯამში უსათუოდ რომელიმე მამაკაცია დამნაშავე მისი ამ მდგომარეობის გამო. მაინც სრულიად დამოუკიდებლად იმისაგანა...

სტივენმა, რომელსაც არც კი დაუნახია ის ქალი, მხრები აიჩეჩა და მხოლოდ შენიშნა:

— ამ ქვეყანაში იმაზე უარეს საქონელსაც ასაღებენ, ვიდრე მაგას გააჩნია და ბარაქიანადაც ვაჭრობენ. და ნუ გეშინიათ იმათი, რომლებიც ხორცს ჰყიდიან, მაგრამ არ ძალუძთ იყიდონ სული [27]. ეს ქალი უხეირო ვაჭარია. ყიდულობს ძვირად და ყიდის იაფად.

მათ შორის უფროსმა, თუმცა კი არაფერი ჰქონია საერთო შინაბერა ქალებთან და ფარისევლებთან, განაცხადა, რომ ეს საშინელი სკანდალი იყო, რასაც უსწრაფესად უნდა მოღებოდა ბოლო, მხედველობაში ჰქონდა რა ის გარემობა, რომ ამ ჯურის ქალები, თუმცა კი უცილობელი ბოროტება (ამ საკითხის მიმართ შინაბერა ქალების ზიზღიანობას რომ თავი დავანებოთ), რეგისტრაციასა და სამედიცინო გასინჯვას არ გადიან სათანადო ხელისუფალთა მხრიდან, რისი მტკიცე მომხრეც ის როგორც paterfamilias[28] მუდამ იყო. და ვინც კი ხელს მოკიდებდა ამ ზომების განხორციელებას, თქვა მან და საგულდაგულოდ ჩაჰყვებოდა ღდინში, ყველა იმათ მადლს მოისხამდა, ვისაც ეს ეხება.

— თქვენ როგორც კეთილი კათოლიკე, შენიშნა მან, ხორცზე და სულზე რომ ლაპარაკობთ, ე.ი. გნამთ სულის. ან იქნებ თქვენ გულისხმობთ გონებას, ტვინის ძალას, როგორც ასეთს, რაც განსხვავებულია ყველა გარე საგნისაგან, ვთქვათ, მაგიდისგან, აი ამ ფინჯნისგან. თავადაც ასე მწამს, რადგანაც კომპეტენტური ადამიანები ყოველივეს ხსნიან რუხ-ნივთიერების ნაოჭების არსებობით. ეს რომ არა, არასოდეს გვექნებოდა ისეთი აღმოჩენა, როგორიცაა, მაგალითად, რენტგენის სხივები. განა არა?

სტივენს, ასე რიგად კუთხეში მიყუჟულს, მეხსიერების არაადამიანური დაძაბვა დასჭირდა, რათა გაეხსენებინა, სანამ უპასუხებდა:

— მე მარწმუნებდნენ, საუკეთესო ავტორიტეტზე დაყრდნობით, რომ ეს უბრალო ნივთიერებაა და ამდენად უხრწნადი. როგორც მესმის ის უკვდავია, გარდა იმ შემთხვევისა თუ მას მოსპობს მისივე თავდაპირველი მიზეზი რომელსაც, რამდენადაც მსმენია სავსებით ხელეწიფება ესეც მიუმატოს თავის ოინებს, რადგან ზეციური ეტიკეტი კრძალავს corruptio per se და corruptio per accidens.[29]

ბ-ნი ბლუმი ძირითადად უყოყმანოდ დაეთანხმა ნათქვამს, თუმც მისტიკური ნიუანსები ერთობ მიუღწეველი დარჩა მისეული საამქვეყნო აღქმისათვის, მაინც აუცილებლად მიიჩნია დაბრუნებოდა უბრალოების საკითხს, რის გამოც მაშინვე განაცხადა:

— უბრალო? არა მგონია ეს შესაფერისი სიტყვა იყოს. რა თქმა უნდა, მზად ვარ დაგითმოთ და დაგეთანხმოთ, რომ შეიძლება ათასში ერთხელ, წააწყდეთ უბრალო სულს. მაგრამ იმის თქმა მსურს, რომ ერთია მაგალითად, გამოიგონო სხივები რენტგენივით ანდა ტელესკოპი ედისონივით, თუმც ვგონებ ეს მანამდე გალილეი რომ იყო იმან, და იგივე ითქმის კანონების მიმართ, ვთქვათ ბუნების რომელიმე ძირითადი კანონი, როგორიცაა ელექტრობა. მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ამბავია, აი რომ თქვათ ზებუნებრივი ღვთისა მჯერაო.

— კი მაგრამ, შეეპასუხა სტივენი, ეს აუცილებლადაა დადასტურებუ-

ლი საღვთო წერილის რამდენიმე კარგად ცნობილ ტექსტში, გარე დამოწმებებზე რომ არაფერი ითქვას.

მაგრამ მოკამათეები, სრულიად პოლარულად განსხვავებულები, როგორც განათლებულობის ისე ყველა სხვა თვალსაზრისით, თანაც ესოდენ განსხვავებული ასაკისა, ამ ჩახლართულ საკითხში ერთმანეთს შეეჯახნენ.

— დამტკიცებული? ორითგან უფრო გამოცდილმა უნდობლობის გამომხატველი ღიმილით არ დათმო თავისი პოზიცია. მე სულაც არ ვარ ამაში დარწმუნებული. ასეთ საკითხში ყველას საკუთარი აზრი გააჩნია და სეკტანტურ თვალსაზრისზე რომ არ დავდგე, ყველა ეგ ტექსტი ნამდვილ ნაყალბევად მიმაჩნია, ყველაზე სავარაუდოა, რომ ბერების ჩამატებულია, ანდა თუნდაც ჩვენი დიდი ეროვნული პოეტის პრობლემისა არ იყოს, მაინც ვინ დაწერა მაგალითად „ჰამლეტი“ და ბეიკონი, რაზეც, ჩემგან არ გესწავლებათ, რადგან თქვენ თქვენს შექსპირს, რა თქმა უნდა, ჩემზე გაცილებით უკეთ იცნობთ. სხვათა შორის, რატომ არ სვამთ ყავას? ნება მომეცით მოვუარიო. და ფუნთუშის ნაჭერიც აიღეთ. რაღაც ჩვენი შკიპერის შენიღბულ აგურს გავს. ყველი და პური, კეთილი გული. გასინჯეთ.

— არ შემიძლია, როგორღაც ამოღერღა სტივენმა, რომელსაც გონებრივმა უჯრედებმა საშუალება არ მისცა სიტყვა გაეგრძელებინა.

რადგან კამათს, ერთი ანდაზისა არ იყოს, აზრი არ ჰქონდა, ბ-ნმა ბლუმმა მიზანშეწონილად მიიჩნია ეცადა კოშტი შაქრის მორევას ფინჯნის ფსკერზე და თან ლამის სიმწრით გაიხსენა ყავის სასახლე და მისი ანტიალკოჰოლური (და მომგებიანი) საქმიანობა. რა თქმა უნდა ამ საქმეს კანონიერი მიზნები ამოძრავებდა და, ეჭვს გარეშეა, დიდი სიკეთის მომტანი იყო ამდაგვარი თავშესაფრის დაარსება, უალკოჰოლო, მათთვის ვისაც ღამით შეაგვიანდებათ ხოლმე, კონცერტები, თეატრალური საღამოები და სასარგებლო ლექციები (დასწრება თავისუფალია), რომელთაც მცოდნე ხალხი უკითხავს დაბალი ფენების წარმომადგენლებს. მეორეს მხრივ, მას მკაფიო და მტკიცწეული მოგონებები დარჩა ფულზე, რომელიც, მის ცოლს მადამ მერიონ ტუდის — გადაუხადეს, რომელიც ერთ დროს დიდის წარმატებით თანამშრომლობდა მათთან, მეტად მოკრძალებული გასამჯელო პიანინოზე დაკვრისთვის. მათი განზრახვა, მის ღრმა რწმენით, იყო სიკეთე ეთესათ და მოგებაზეც ეზრუნათ, მით უფრო რომ არავითარი კონკურენცია არ ემუქრებოდათ. სპილენძის სულფატი, შხამი SO_4^{31}, თუ რაღაც მისდაგვარი გამხმარ ცერცვში, გაიხსენა მან რომელიღაც იაფფასიან დუქანზე წაკითხული, მაგრამ ვერ გაიხსენა როდის და სად. ასეა თუ ისე, ყველა საკვები პროდუქტის ინსპექცია, სამედიცინო შემოწმების ჩატარება მიაჩნდა ისეთ აუცილებლად როგორც არასდროს და შესაძლოა სწორედ იმით აიხსნებოდა დოქტორ ტიბლის კაკაოს პოპულარობა, რადგან სწორედ მას სამედიცინო ანალიზი უტარდებოდა.

— ახლა გასინჯეთ, გაბედა ეთქვა ყავაზე, როცა მორევას მორჩა.

ასეთი დაჟინებული თხოვნის შედეგად სტივენმა თავი მოვალედ ჩათვალა პირი მაინც დაეკარებინა და მძიმე ფინჯანი აიღო რუხი გუბურიდან, ტყაპუნი გამოიღო, როცა სახელურით ასწიეს, და საზიზღარი სითხე მოსვა.

— მაინც ყუათიანი საკვებია, ამხნევებდა მისი კეთილი გენია, მუდამ ყუათიანი საკვების მომხრე ვარ. მისი ერთადერთი და მთავარი მიზანი არავითარ შემთხვევაში გურმანობა არ იყო, მაგრამ რეგულარული კვება როგორც ნებისმიერი ნაყოფიერი შრომის, გინდ გონებრივის და გინდ ფიზიკურს sine qua non[32]. თქვენ მეტი

ყუათიანი საკვები უნდა მიიღოთ. სულ სხვა ადამიანი იქნებით.

— წვნიანს შევძლებდი, თქვა სტივენმა. მაგარამ პატივი დამდეთ, ეგ დანა მომაშორეთ. რომაულ ისტორიას მაგონებს.

ბ-ნმა ბლუმმა დაუყოვნებლივ შეასრულა თხოვნა და მოაშორა მხილებული საგანი, ჩვეულებრივი ბლაგვი, ძვლის ტარიანი დანა, რომელსაც საქმეში ჩაუხედავი თვალისათვის საკუთრივ რომაული თუ ანტიკური არაფერი ეტყობოდა, ხოლო ეჭვმიტანილი დანის პირი ყველაზე ნაკლებ საეჭვოდ გამოიყურებოდა.

— ჩვენი საერთო მეგობრის ისტორიები თვითონ მას წააგავს, დანასთან დაკავშირებით შენიშნა თავის confidente-ს ბ-ნმა ბლუმმა sotto voce[33]. ხომ არ გგონიათ რომ ყველაფერი ეს მართალია? მაგას შეუძლია მთელი ღამე მოყვეს ასეთ ამბებს და დაუღალავად როშავდეს. აბა ერთი შეხედეთ.

და მაინც მიუხედავად იმისა, რომ თვალები დაბინდული ჰქონდა ძილისა და ზღვის ქარისაგან, ცხოვრება აღსავსე იყო საზარელი ამბებით და დამთხვევებით და შესაძლებლობის ფარგლებში სრულიად დასაშვები იყო, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ტყუილების როშვა არ იყო. თუმცაღა ერთი შეხედვით არ ჩანდა მაინც და მაინც დიდი ალბათობა იმისა, რომ მისი მკერდის სიღრმეებიდან ამოხეთქილი მთელი ეს მონაგონი წმინდა სახარებას წარმოადგენდა.

მთელი ამ ხნის მანძილზე ბლუმი გულდასმით ათვალიერებდა მის წინ მჯდარ სუბიექტს და აშერლოკჰოლმზირებდა მას იმ წუთიდან მოყოლებული, რაც თვალი მოჰკრა. თუმცა კარგად შენახული ენერგიული მამაკაცი ჩანდა გამელოტების ოდნავი ნიშნებით, მაინც რაღაც დამაეჭვებელი იყო მის გარეგნობაში, რაც მის ციხეში ყოფნაზე მიუთითებდა და წარმოსახვის საგანგებო დაძაბვას არ საჭიროებდა ასეთი საეჭვო გარეგნობის მქონე ეგზუმპლიარის დაკავშირება მიწის მთხრელებისა და მორების მზიდველთა ძმობასთან. არც ის არის გამორიცხული თავად გასწორებოდა იმ კაცს, თუ დავუშვებთ რომ საკუთარ თავს გადამხდარ ამბებს ყვებოდა, როგორც ამას ხშირად აკეთებენ ადამიანები, სახელდობრ იმას, რომ თვითონ მოკლა ის და კუთვნილი ოთხი თუ ხუთი დალხენილი წელი გაატარა საპყრობილეში, რომ არაფერი ვთქვათ პერსონაჟ ანტონიოზე (ნუ ავურევთ იმავე სახელის დრამატულ პერსონაჟთან, ჩვენი ეროვნული პოეტის კალმის ნაყოფთან[34]), რომელიც თავის ცოდვებს ზემოთ აღწერილი მელოდრამატული სახით ინანიებდა. მეორეს მხრივ, მას შეეძლო უბრალოდ ეცრუა, რაც მისატევებელი სისუსტეა, რადგან ენით გამოუთქმელი ყეყეჩების, დუბლინის ბინადრების, უცხოეთის ამბებს დახარბებული გარემოცვა, ამ მეეტლეების სიკეთისა არ იყოს, ნებისმიერ ძველ მეზღვაურს, რომელსაც ოკეანეები გადაესერა, დაუოკებელ სურვილს აღძრავდა დაუჯერებელი ამბავი შეეთხზა შხუნა „ჰესპერუსზე“[35] და სხვა მისთანები. და ბოლოს, როცა ყველაფერი ითქვა და გაკეთდა, ის არაკები რომელიც კაცმა შექმნა საკუთარ თავზე გულუბრყვილო ტიტინად მოგეჩვენება იმასთან შედარებით, რასაც სხვები მოროშავენ მის შესახებ.

— რომ იცოდეთ, მე არ ვამტკიცებ რომ ეს ყველაფერი წმინდა წყლის მონაგონია, დაასკვნა მან. ანალოგიური რამეები თუ ხშირად არა, ხანგამოშვებით მაინც გვხვდება ხოლმე. თუმცა გიგანტს მეტად იშვიათად, ცხოვრებაში ალბათ ერთხელ თუ შეხვდები, მარცელა, პიგმეეების დედოფალი. იმ ცვილის ფიგურების მსოფლიო გამოფენაზე, ჰენრის ქუჩაზე, ჩემი თვალით ვნახე აცტეკები, როგორც მათ ეძახიან, ჩაცუცქულები, ვერ შლიან ფეხებს, ფულიც რომ შეაძლიო, რადგან კუნთები ამ ადგილას, ხედავთ, მან თავისი მოსაუბრის

მყესზე, თუ რაც ჰქვია, მიუთითა მარჯვენა მუხლის უკან, სრულიად უძლური გაუხდათ ღმერთებს რომ სცემენ თაყვანს ასე დიდხანს ჯდომისაგან. აი უბრალო სულების კიდევ ერთი მაგალითი.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს მეგობარ სინდბადს და მის შემაძრწუნებელ თავგადასავლებს (ცოტათი ლუდვიგს, იგივე ლედვიჯს აგონებდა, „გეიეტიში" რომ გამოდიოდა, როცა მაიკლ განი „მფრინავი ჰოლანდიელის" დადგმაში ყველაფერს განაგებდა, არნახული წარმატება, მოზღვავებული თაყვანისმცემლები თავპირს იმტვრევდნენ რომ მოესმიანთ, თუმცა ყოველნაირი გემები, თუნდაც მოლანდებული და თუნდაც პირიქით, სცენაზე უაზროდ გამოიყურება ისევე როგორც მატარებელი), მზად იყო დაეშვა, რომ არაფერი შეუძლებელი ამაში არ იყო. პირიქით, ზურგში დანის ჩარტყმა სავსებით შეეფერებოდა იტალიელს, თუმცა უმალ იმას იფიქრებდა, რომ ის მენაყინეები და შემწვარი თევზის ვაჭრები ანდა შემწვარი კარტოფილისა და სხვანი თავის პატარა იტალიაში კუმბის[36] მახლობლად გონიერი, ხელმომჭირნე და მუყაითნი იყვნენ, მხოლოდ იქნებ ერთობ დახარბებულნი ღამით ენადირათ უდანაშაულო სასარგებლო კატის მოდგმის ცხოველზე, თანაც სხვის საკუთრებაზე, რათა მეორე დღეს გემრიელი ნოყიერი კერძი მოემზადებინათ ნივრით de rigueur[37] სხვებისგან უჩუმრად და, დაუმატა, იაფად.

— ესპანელები, მაგალითად, განაგრძო მან, ფიცხი ხალხია, ვნებიანი ტემპერამენტით, ჰოდა ცდილობენ თავად აიღონ ხელში მართლმსაჯულება და მშვიდობა მოგიპოვონ ფაშვში გაყრილი ალესილი დანით მუდამ თან რომ ატარებენ. ეს ყველაფერი აუტანელი სიცხის ბრალია, ზოგადად კლიმატის. ჩემი ცოლი, შეიძლება ითქვას, ესპანელია, ესე იგი ნახევრად. ფაქტიურად შეუძლია ესპანეთის ქვეშევრდომობა მოითხოვოს თუ მოინდომა, რადგან დაიბადა (ფორმალურად) ესპანეთში, გიბრალტარში. ესპანელის ტიპია. მეტად ძავგვრემანი, მუქი წაბლისფერი თმით. პირადად მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ჰავა განსაზღვრავს ხასიათს. ამიტომ გკითხეთ იტალიურად ხომ არ წერთ ლექსებს-მეთქი.

— ეს ტემპერამენტიანები კარს უკან, ჩართო სტივენმა, ვნებით გიზგიზებენ ათი შილინგის გამო. Roberto rula roba sua.[38]

— სავსებით მართალია, კვერი დაუკრა ბ-ნმა ბლუმმა.

— შემდეგ, თქვა სტივენმა, თან თვალი გაუშტერა და მიმართა საკუთარ თავს ან ვიღაც უცხო მსმენელს, ჩვენ გვაქვს დანტეს მზგნებარება და მისს პორტინარი, ტოლფერდა სამკუთხედი, რომელიც მას შეუყვარდა და ლეონარდო და სან ტომაზო მასტინო.[39]

— ეს სისხლშია, დაუყოვნებლივ დაეთანხმა ბ-ნი ბლუმი, ყველაფერი მზის სისხლში განიბანება. სხვათა შორის სწორედ დღეს ვიყავი მუზეუმში, კილდერ სტრიტზე, უშუალოდ ჩვენს შეხვედრამდე, თუკი შემიძლია ასე ვუწოდო, და იქ ანტიკურ ქანდაკებებს ვათვალიერებდი. თეძოების, მკერდის გასაოცარი პროპორციები. ასეთ ქალს აქ ვერ ნააწყდები. თითოოროლა გამონაკლისის გარდა. ლამაზები, თავისებურად მოხდენილები, დიახ შეიძლება ნახოთ, მაგრამ მე მხედველობაში მაქვს თვით ფორმის ქალურობა. თან უმეტესობას ისეთი ცუდი გემოვნება აქვთ ჩაცმაში, რაც უნდა თქვათ, ასე აუცილებელია ბუნებრივი სილამაზის გამოსაკვეთად. ჩაჩაჩული წინდები, კი ბატონო, იქნებ ეს ჩემი ბზიკებია, მაგრამ ვერ ვიტან ასეთი რამის დანახვას.

იქ მყოფთა საუბრის ინტერესი ნელ-ნელა მიწყდა და მერე კვლავ გაგრძელეს ლაპარაკი ზღვაზე მომხდარ ფათერაკებზე, ნისლში დაკარგულ გემებზე, აისბერგებთან შე-

ჯახებაზე და მისთანებზე. ჩვენს ზღვაოსან პალუნდრას სათქმელი გამოუჩნდა. მან არაერთხელ შემოუარა კეთილი იმედის კონცხს, გაუძლო მუსონებს, ერთგვარი ქარიშხალია, ჩინეთის ზღვებში და მთელ იმ ზღვაოსნობის ხიფათებში ერთი რამ იფარავდა მას, ეს იყო როგორც მან თქვა, წმინდა მედალიონი, ის იხსნიდა ხოლმე განსაცდელისაგან.

ამის შემდეგ ისინი დრეიფზე დადგნენ დონტის კლდესთან, სადაც ის ნავსი ნორვეგიული ორჩხომელი, უცებ ვერავინ გაიხსენა მისი სახელი, სანამ მეეტლემ, პირნავარდნილი ჰენრი კემპბელი რომ იყო, გაიხსენა, „პალმე“ ბუტერსტაუნის სანაპიროებთან. მთელ წელს ქალაქში ეს იყო სალაპარაკო (ალბერტ უილიამ ქვილმა შესანიშნავი ლექსი გამოაქვეყნა ამ თემაზე „აირიშ ტაიმზში“) ; როცა ტალღებმა გადაუარეს ხომალდს და ათასობით თავზარდაცემული ადამიანი ნაპირზე გააქვავა. შემდეგ ვიღაცამ ახსენა სუონზის პორტის გემი „ლედი კერნზი“ „მოუნას“ რომ დაეჯახა, რომელიც საპირისპირო კურსით მიცურავდა საშინელ უკუნეთში და ეკიპაჟიანად დაიღუპა. არავის არავითარი დახმარება არ გაუწევია. „მოუნას“ კაპიტანმა განაცხადა, რომ შეეშინდა მისი შპონგოუტები შეჯახებას ვერ გაუძლებდა. ტრიუმში კი, როგორც გამოირკვა, წყალს არ შეუღწევია.

სწორედ ამ დროს ინციდენტი მოხდა. მიხვდა რა, რომ აფრის გაშლის დრომ მოუწია, მეზღვაურმა თავისი ადგილი მიატოვა.

— ერთი შენი ტრავერსი გადამაკვეთინე, უთხრა მან მეზობელს, რომელიც თავჩაქინდრული განცხრომით თვლემდა.

დუნედ გაბაჯბაჯდა კარისკენ, მძიმედ ჩააბიჯა ის ერთი საფეხური თავშესაფრიდან გასავლელში რომ იყო და კურსი მარცხნივ აიღო. სანამ ის გეზის გარკვევაში იყო, ბ-ნმა ბლუმმა, რომელმაც შენიშნა ჯერ კიდევ მაშინ როცა ის წამოდგა, რომ თითოეული ჯიბიდან თითო ბოთლი, როგორც ჩანს მეზღვაურის რომი, ჰქონდა ამოჩრილი მოგზიგზე შიგნეულის გასაგრილებლად, დაინახა როგორ ამოიღო ბოთლი, ამოაძრო ან მოხსნა საცობი, ტუჩებთან მიიტანა მისი ყელი და კაი გემოიანი ყლუპი გადაუშვა ბუყბუყით. გამოუსწორებელმა ბლუმმა, რომელსაც სასტიკად ეპარებოდა ეჭვი, რომ ეს ძველი კომედიანტის დამაბნეველი მანევრი იყო და რომ სინამდვილეში უკვალოდ და სამუდამოდ გამქრალ, ქალის სახით მოვლენილ, ანტიმიმზიდველს გაედევნა, დიდი დაძაბვის შედეგად მაინც შენიშნა, რომით გვარაინად შეწუხებული თუ როგორი გაოგნებული ათვალიერებდა დამბებსა და ბურჯებს წრიული მარშრუტის ხიდზე, რადგან, რაღა თქმა უნდა, მისი უკანასკნელი ვიზიტის შემდეგ იქაურობა საგრძნობლად იყო შეცვლილი და გაუმჯობესებული. უხილავმა პირმა ან პირებმა წარმართეს იგი დასუფთავების კომიტეტის მიერ გარკვეული მიზნით აგებული მამაკაცთა პისუარისაკენ, მაგრამ ცოტა ხნით გამეფებული სიჩუმის შემდეგ, მეზღვაურმა როგორც ჩანს გადაწყვიტა ღუზა ჩაეშვა და იქვე განთავისუფლდა, მისი ტრიუმის წყლები ერთხანს ქვაფენილზე მორაკრაკებდა და ამან იქვე სადგომზე მყოფი ცხენი აშკარად შეაწუხა. ყოველ შემთხვევაში ნალმა ხმაურით მოინაცვლა ადგილი და აკაზმულობა აუღარუნდა. ოდნავ შეწუხებული თავის ჯიხურში მაყალის გვერდით სადაც ნახშირი ღვიოდა, კოოპერატივის ქვების დარაჯი, თუმცა კი ცხოვრებამ ძალიან დაჩაგრა და დასცა, ფაქტიურად სხვა არავინ იყო თუ არა ზემონახსენები გამლი, ამჟამად პრაქტიკულად სამრევლო დახმარებაზე მყოფი, ხოლო დროებითი სამუშაო პეტ ტობინმა მისცა ადამიანური შესაძლებლობების ფარგლებში ადამიანური გრძნობების კარნახით და ძველი ნაცნობობით, ამოძრავდა და მხარი იცვალა თავის.

ჯიხურში სანამ კვლავ მშვიდად არ ჩაეფლო მორფევსის მკლავებში, რაც იმის აშკარა მაჩვენებული იყო თუ როგორ დაუნდობლად მოექცა ცხოვრება ახალგაზრდა კაცს, ყოვლად წესიერ ოჯახიშვილს, რომელიც მთელი სიცოცხლე ფუფუნებაში ცხოვრებას იყო მიჩვეული, ერთხანს 100 გირვანქა სტერლინგი შემოსავალიც კი გაუჩნდა, მაგრამ რა თქმა უნდა ამ ბედოვლათმა ყურპარტყუნა ვირმა მთლიანად დაამღერა. და აი ახლა უკიდურეს მდგომარეობამდე იყო მისული. იმ დროს, როდესაც ბარაქიან ნადიმს მართავდა ხოლმე მთელი ქალაქის დასანახად, გახვრეტილი გროშიც აღარ ეგდო ჯიბეში. რა სათქმელია და უსაშველოდ ბევრს სვამდა რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სრულიად თავისუფლად შეეძლო დიდი წარმატებისთვის მიეღწია ბიზნესში თუ — და ეს „თუ" კი ვვარიანი თუ — მოახერხებდა მორეოდა ასეთ მიდრეკილებას.

გაგრძელება იქნება

კომენტარი

1. მეეტლე; იხ: II მეფეთა 9:20.
2. „წვიმის მომგვრელი", იუპიტერის ერთ-ერთი სახელი.
3. (ფრ.) აქ: „სიტყვამ მოიტანა და".
4. (ლათ.) „ერთგული აქატე", ვირგილიუსის „ენეიდას" პერსონაჟი.
5. ფრაზა პორციას სიმღერიდან, „ვენეციელი ვაჭარი", მოქ. III, სურ. 2.
6. (ფრ.) „გზად".
7. (ფრ.) აქ: „ფხიზლად, მზადყოფნაში".
8. (ლათ.) პარაფრაზი „ენეიდას" სტრიქონისა „უბედურებამ შემასწავლა ბედკრულთა შველა", 1:630, თარგ. რ. მიმინოშვილისა.
9. (ლათ.) „იშვიათი რამ".
10. (იტ.) — მადონას დაწყევლილო, ვინ გაძლევს ამ ნახევარფართინგებს! ასე არ არი? დამპალო ტრაკო! — ყველაფერი ნათელია. აღარაფერი გაეგება...— კიდევ რო ლაპარაკობს! — ნახევარი. — ნაძირალა! მოსაკლავია! — მისმინე! თითოს კიდევ ხუთი გვერგება..."
11. (ფრ.) „აუღელვებლობა".
12. (იტ.) „მშვენიერი პოეზია" (უნდა იყოს Poesia); ბლუმს უნდა თქვას „მშვენიერი ქალი მსურს" მაგრამ შეცდომით ახსენებს ბელადონას, შხამიან მცენარეს.
13. ცნობილი ბალადებისა და ლექსების პერსონაჟთა რემინისცენცია.
14. (ესპ.) „ინდიელთა ქოხი. ბენი, ბოლივია.[15].
15. (ესპ.) „საფოსტო ბარათი. სენიორ ა. ბუდენი, გალერეა ბეკი, სანტიაგო, ჩილე."
16. ირლანდიელი კომპოზიტორის უილიამ უოლესის (1813-65) ოპერის რემინისცენცია.
17. (ფრ.) „ხედი".
18. ირლანდიის და ინგლისის ისტორიული ფიგურები.
19. შდრ.: ამოს 4:2.
20. (ფრ.) „კვანძის გახსნა".
21. (ფრ.) „ჩვენს შორის."
22. (ფრ.) „ვითომდა".
23. მილტონის პასტორალური ელეგია „ლისიდასის"რემინისცენცია.
24. ადმირალ ნელსონის ცნობილი სიტყვები („ინგლისი...") ტრაფალგარის ბრძოლის წინ.
25. დიდი ირლანდიური „შიმშილის" მიგრაციის დროინდელი ანონიმური ბალადის პერსონაჟი.
26. ევროპულ ნუმეროლოგიაში ჰომოსექსუალიზმის ციფრი.
27. შდრ.: მათე 10:28.
28. (ლათ.) „ოჯახის მამა".
29. (ლათ.) „გაფუჭება შიგნიდან... გაფუჭება შემთხვევით", თომა აქვინელის ერთ-ერთი ტრაქტატიდან.
30. (ლათ.) „მთლიანობაში".
31. ბლუმის განსწავლულობა ქიმიაში ისევე ზერელეა, როგორც მეცნიერების სხვა დარგებში; უნდა იყოს $CuSO_4$.
32. (ლათ.) „აუცილებელი პირობა".
33. (ფრ.) „მესაიდუმლე"; (იტ.) „ხმადაბლა".
34. იგულისხმება შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის" მთავარი პერმსონაჟი ანტონიო.
35. ჰ. ლონგფელოს ბალადის „პესპერუსის დაღუპვა" (1840 წ.) რემინისცენცია.
36. იტალიელთა კომპაქტური დასახლება დუბლინის ერთ-ერთ რაიონში.
37. (ფრ.) „აუცილებლად".
38. (იტ.) „რობერტომ მოიპარა მისი კაბა" (ენის გასატეხი).
39. ბეატრიჩე პორტინარი (1266-90) ითვლებოდა დანტეს მუზად და რამდენადაც ის გათხოვილი იყო, სტივენი „სამკუთხედს" ახსენებს; სან ტომაზო მასტინო (1226-74) იგივე თომა აქვინელი.

ოთარ ჭურღულია

„ცხოვრების საზრისი“

ქართული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „აჭარამ“ გამოაქვეყნა მეტად საინტერესო წიგნი „ცხოვრების საზრისი“. მისი ავტორია ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, მწერალი და კრიტიკოსი, პროფესორი იური ბიბილეიშვილი. კრებულში მიმოხილულია ქართული მწერლობის როგორც კლასიკური მემკვიდრეობა, ასევე თანამედროვე ლიტერატურული პროცესი, თეატრის, კინოს, ლიტერატურისმცოდნეობის პრობლემური საკითხები.

წიგნის ავტორი ავლენს მრავალმხრივ განათლებას, ღრმა ერუდიციას, გასული და მიმდინარე საუკუნის ქართული მწერლობის, კულტურისა და აზროვნების თავისებურებათა საფუძვლიან ცოდნას. მკითხველი აქ ნახავს საინტერესო მსჯელობას ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, მემედ აბაშიძის შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ. დიდი ადგილი აქვს დათმობილი ჩვენი საუკუნის სახელოვანი მწერლების: ლ. გოთუას, გ. ფანჯიკიძის, ჯ. ჩარკვიანის, რ. მიშველაძის, გ. კალანდიას, პ. ლორიას, მ. ვარშანიძის. ფრ. ხალვაშის, რ. ჭეიშვილის, დ.მჭედლურის, ჯ.ჯაყელის, ზ. გორგილაძის, შ. ზოიძის, ი. ფაღავას, გ. ლორთქიფანიძის, ა. სამსონიას, ჯ. ქათამაძის, ც. ანთაძის, ა. ხაბაზის, დ. თევდორაძის, ვ. ახვლედიანის, ზ. ხარაბაძის, ზ. ფირცხალაიშვილის, ე. დავითაძის, ჟ. ხაჯიშვილის; ჯ. ხოფერიას ცალკეული ნაწარმოებებისა თუ შემოქმედების ანალიზს. წიგნში განხილულია ნ. დუმბაძის, გ. შარაძის, ნ. ვერძაძის, ა. ნიკოლეიშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. განაკვეთში — „თეატრი, კინო“ საუბარია ხელოვნების ამ ორი დიდი დარგის წინაშე დასმულ პრობლემებზე.

ზემოაღნიშნულ ურთულეს საკითხებს მკვლევარი აშუქებს თანამედროვე მეცნიერების თვალსაწიერიდან. მისი კვლევის მეთოდი, ჩვენი აზრით, უთუოდ სწორი და მისაღებია, ხოლო მოქალაქეობრივი პოზიცია — პრინციპული. ავტორი თავს არიდებს დრომოჭმულ, გაცვეთილ, დაშტამპულ თეორიებსა და აზრებს და ცდილობს ახლებურად, მეცნიერული პოზიციებიდან გააშუქოს არც თუ შორულ წარსულში საკმაოდ მყარად დამყარებული შეხედულებები.

მკვლევარი დგას უთუოდ სწორ პოზიციაზე, როდესაც აანალიზებს ნ. ბარათაშვილის ეპოქალურ პოემას „ბედი ქართლისა“. როგორც ცნობილია, წლების მანძილზე ეს ნაწარმოები, მისი იდეური შინაარსი და მასში დასმული პრობლემატიკა ცალსახად იყო გაგებული. ასევე უმაღლეს სასწავლებელსა და სკოლაში მისი სწავლება არ იყო, მაინცდამაინც, მყარ მეცნიერულ საწყისებზე დაფუძნებული.

სიმართლის ძიება ყველაზე დიდი სიკეთეა, მისი მოპოვება უდიდესი ბედნიერების მომგვრელია, მაგრამ მას თან ახლავს ნინააღმდეგობები, რომელთა დაძლევა არცთუ იოლი საქმეა. სიმართლის ძიება იმდენად მწველია, რამდენადაც სიხარულის მომნიჭებელი. ქართველ ხალხს დიდებულად აქვს ნათქვამი — სიმართლის მძებნელს, ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო, ან — მიჰყვე, მიჰყვე

სიმართლესა, ის წაგართმევს სინათლესაო. ამიტომ არის, რომ სიმართლისათვის მებრძოლი ადამიანი ყველაზე საპატიო და ამაღლებული რაინდია. სიმართლისათვის ეშაფოტზე მიდიოდა ადამიანი, სწირავდა მას ყველაზე სანუკვარსა და ძვირფასს, რაც რამ გაუჩენია მამაზეციერს ადამიანისათვის — სიცოცხლეს! სიმართლის ძიება კაცობრიობის აზრის, გონის მამოძრავებელი ძალა იყო ოდითგანვე. დიდი სიამაყით ამბობდა დ. გურამიშვილი:

მართალს ვიტყვი, შევიქნები
ტყუილისა მოამბე რად,
ვერას ვუქებ საძაგელთა
უფერულთა პირსაფერად...

სიმართლისათვის მებრძოლი არა მარტო გამბედავი და რაინდული სულის პიროვნება უნდა იყოს, არამედ ზნეობრივად სუფთა და უმწიკვლო ადამიანი. იური ბიბილეიშვილი ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა შორის ასეთ პიროვნებად, პირველ რიგში, მიიჩნევს ილია ჭავჭავაძეს და შემთხვევითი მოვლენა არ არის, რომ ამ დიდი მამულიშვილისადმი მიძღვნილ გამოკვლევას სათაურად აქვს — „სიმართლის მებაირახტრე". დიდმა ილიამ თავისი მწველი სიმართლით თვალი აუხილა ხალხს და უჩვენა საქართველოს მაშინდელი მძიმე ეროვნული და სოციალური მდგომარეობა, მხატვრული ნაწარმოებებით, პუბლიცისტური წერილებითა და უანგარო საზოგადოებრივი მოღვაწეობით ნათელი გახადა, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნეს" და „გლეხ-კაცის და ყრმის ლიტონი ბედი ვერა, ვერ გაძლებს ბატონის ხელში". დიდმა მწერალმა ამხილა თავადაზნაურობის მუქთახორული ცხოვრება და ამ საზოგადოებას სასტიკი კრიტიკის მათრახი გადაჰკრა ლუარსაბისა და დარეჯანის ცხოვრების ჩვენებით. სასიქადულო მწერალმა, რგორც იტყვიან, ჩიტის გაფრენის სიმაღლიდან თვალნათლივ გადაუშალა თავის ქვეყანას ეროვნული და სოციალური ტკივილები, ის მწარე კვნესა, რომელიც „ქართველის ძილშიაც კი ისმოდა", ამასთან მათი მოძუშების ერთგვარი მინიშნებაც კი მოგვცა.

მართალია, ის პრობლემები, რომლებიც მწერალს აწუხებდა და ასახა თავის შემოქმედებაში, მეტნაკლებად შესწავლილია და გაშუქებული. არაერთმა თაობამ დიდი რუდუნების შედეგად გააანალიზა და საჩინო გახადა გენიალური მწერლის შემოქმედების თავისებურება. დაიწერა გამოკვლევათა ტომები, მონოგრაფიები, ესეები, მაგრამ დიდი მწერლის სულიერი მემკვიდრეობა ამოურწყავი ზღვაა. ყოველი თაობა ილიას უმდიდრეს მხატვრულ შემოქმედებასა და გააზრებაში თავისი ინტერესების გამომხატველ იდეალებს ხედავს.

ი. ბიბილეიშვილის სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ მან „მონახა" დიდი მწერლის შემოქმედების ის თავისებური თვისებები, რომელთა ინტერპრეტაცია დღესაც აუცილებელია. ამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ერთ ამონარიდს სარეცენზიო წიგნიდან:

„არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ „საქართველოს მოამბის" სარედაქციო წერილში ჩამოყალიბებული შეხედულება ცხოვრება — კაცის ურთიერთობაზე, რამდენადმე ავტობიოგრაფიული მასალითაც არის ნასაზრდოები და უფლება გვაქვს განვაცხადოთ, რომ დებულება „დროებაზედ უფლება მარტო გენიოსის საქმეა", მთლიანად მიესადაგება მისი ავტორის, ილია ჭავჭავაძის სახელს. ილიასთანა ადამიანები არასოდეს არ არიან მიღწეულით კმაყოფილნი, მისი ნატვრა იყო: „ნეტავი იმ ხალხს, რომელსაც არ დაუკარგავს იმედი განახლებისა და არ გაჰქრობია უკეთესობის ნდომა". ამ სიტყვების მთქმელი რეფორმისშემდგომ სინამდვილეს ვერ მიიჩნევდა

სასურველად საქართველოში. ამიტომ არ შეაუღლა გლეხკაცი გიორგი და აზნაური კესო, არ დაუსახა პერსპექტივა არჩილისთანა მონანიე და განათლებული აზნაურების ოცნებას. ეს იყო სიმართლე. ეს სიმართლე უნდა ეთქვა ხალხისათვის მის აღიარებულ მესაიდუმლესა და მის უგვირგვინო მეფეს — ილია ჭავჭავაძეს“ (გვ. 34).

მართალია, აქ თითქოს ახალი არაფერია თქმული, თითქოს ადრე ყოველივე ეს ცნობილი იყო, მაგრამ დიდი კონსტანტინე გამსახურდიასი არ იყოს, დღეს ახლის თქმა ძნელია, შეუძლებელია, უკვე ითქვა სათქმელი, მაგრამ, თუ შენ აღიარებულ აზრს ახალი ფორმა, სამოსელი მოუნახე, ის უკვე შენი აზრიაო. ჭეშმარიტებას ღაღადებდა მწერალი.

მკვლევარის მიერ მეტად ორიგინალურად, საინტერესოდ არის გააზრებული ი. ჭავჭავაძის „განდეგილის“ თემა და იდეა, ის აზრი, რომელიც მწერალს ამ პოემაში აქვს ჩადებული. სტატიის სათაურიდანვე ჩანს, რომ მეცნიერი თავისებური თვალთახედვით განიხილავს განდეგილობის პრობლემას ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში. ეს სათაურია „რწმენის ძალა“.

„განდეგილში“ დასმულმა პრობლემამ ჯერ კიდევ მწერლის სიცოცხლეში გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა, დავა, კამათი, რაც დღესაც არ შენელებულა. ცნობილია, რომ ამ პოემაში მწერალმა ერთმანეთს დაუპირისპირა „სული“ და „ხორცი“, ცხოვრების ერთგულებისა და მისი განდგომის მარად ძველი და მარად ახალი საკითხი. უფრო ადრე ეს პრობლემა ქართულ მწერლობაში დასვა ნ. ბარათაშვილმა ფილოსოფიურ ელეგიაში „ფიქრნი მტკვრის პირზედ“, სადაც აღიარა: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისათვის არა იზრუნოს!“.

ი. ბიბილეიშვილმა დიდი ილიას ამ პოემაში დაინახა მხატვრულ ლიტერატურაში (ა. პუშკინი, ე. ზოლა, გ. ფლობერი, ლ. ტოლსტოი და სხვ.) უკვე არაერთგზის დამუშავებული თემების გადამღერება კი არა, არამედ ამ უდიდესი პრობლემის — კაცისა და ცხოვრების ურთიერთობის, რეალური სინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულების სხვადასხვა პოზიციიდან მიდგომა, კერძოდ, ადამიანის რწმენის საკითხი. ადამიანის ფენომენის განმსაზღვრელი რწმენაა, რომელსაც აგრეთვე ფსიქოლოგიურ კოდს უწოდებენ.ამ ურთულეს პრობლემასთან დაკავშირებით დიდებულად თქვა ჩვენმა სახელოვანმა რეჟისორმა მიხეილ თუმანიშვილმა: „...რწმენამ და მცნებამ შექმნა ქრისტიანული რელიგია. ეს კი სრულიადაც არ გახლავს დროდადრო ეკლესიაში შერბენა და გულზე ჯვრის ტარება. ჯვარი ხომ სისტემის ნიშანია. სულის წესრიგი — ეს არის რწმენა. ჯვარი სულში უნდა იყოს და არა ძაფზე (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 9-16 მაისი, 1997 წ.). რწმენისადმი ერთგულებაში გამოიხატება ადამიანის ხასიათი, სულიერი სამყარო, საერთოდ ამქვეყნად მისი არსებობის არსი, კარგავს რა რწმენას, აზრი არა აქვს ადამიანის ყოფას, იფერფლება მისი მიზნები, იგი როგორც მოქალაქე, საზოგადოების წევრი კვდება.

ი. ბიბილეიშვილის აზრით, ეს პრობლემა არის დასმული „განდეგილში“ ი. ჭავჭავაძის მიერ. რწმენის, იდეალის ერთგულმა კაცმა იოლად დათმო ამქვეყნიური ცხოვრება, განერიდა მას და ღვთის საუფლოში ჰპოვა შვება. მაგრამ, როდესაც იქაც განიცადა კრახი, მის ცხოვრებას უკვე აზრი არ ჰქონდა. დასკვნა ასეთი შეიძლება იყოს, რწმენის დამკარგავი ადამიანი განწირულია დასაღუპავად.

დიდი ინტერესით იკითხება ი. გოგებაშვილის შესახებ დაწერილი გამოკვლევა — „იაკობ გოგებაშვილი — საბავშვო მწერლობის კრიტიკო-

სი". მასში განხილულია მწერლის შემოქმედების ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი — დამოკიდებულება საბავშვო მწერლობისადმი, მისი პრობლემური საკითხების განხილვა-გაშუქებისადმი. სამართლიანად მიუთითებს მკვლევარი, რომ ი. გოგებაშვილმა შექმნაო საბავშვო ლიტერატურის ეროვნული სკოლა. მან საგანგებო ყურადღება მიაქცია „საბავშვო მწერლობას და მას ხალხის ინტელექტუალური ცხოვრების საძირკველი უწოდა" (გვ. 39).

შრომაში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს ძირძველი კუთხის აჭარის ლიტერატურის, კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენლის, ი. ჭავჭავაძის თანამოაზრისა და თანამებრძოლის მემედ აბაშიძის ცხოვრებისა და შემოქმედების გაშუქებას. აქ გაანალიზებულია მ. აბაშიძის მხატვრული შემოქმედება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა და მთარგმნელობითი საქმიანობა. წარმოდგენილი ნარკვევები უთუოდ შეავსებს იმ ხარვეზს, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს ამ სახელოვანი მამულიშვილის ნაამაგარის შეფასებაში.

ყურადღების ღირსია წერილები გ. ფანჯიკიძისა და ჯ. ჩარკვიანის შემოქმედების შესახებ. უდროოდ წასული ჩინებული მწერლის და საზოგადო მოღვაწის გ. ფანჯიკიძის სახელთანაც არის დაკავშირებული მამხილებელი რომანის აღორძინება ჩვენს ლიტერატურაში. ცნობილია, რომანის ეს ახალი სახეობა ქართულ მწერლობაში შემოვიდა და დამკვიდრდა ეპოქის კარნახით, ახალი ცხოვრების თავისებურებათა გათვალისწინებით. განათლებულმა თაობამ, ახალგაზრდობამ თავისი კუთვნილი ადგილი დაიჭირა მხატვრულ სამყაროში. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მკვლევარს:

„მათ მოქმედებაში წამყვანი ტენდენცია არის მოვლენების გააზრება მეცნიერების დონეზე... ინტელექტუალი მოვლენებს მეცნიერების უკანასკნელი მონაპოვრების ფონზე და დონეზე განიხილავს და შედარებისათვისაც მეცნიერულ ჭეშმარიტებებს, მონაპოვრებს, სიახლეებს მიმართავს, როგორც საკითხის არსის სწორად გაგებისათვის... სოციალური და ისტორიული ჟანრის რომანების პერსონაჟთაგან განსხვავებით ინტელექტუალური რომანის პერსონაჟები გამორჩეული სახასიათო თვისებებით, აზროვნების წესითა და ქცევის მანერებით ხასიათდებიან. ამ ჟანრის რომანის გმირების ცხოვრების მხატვრულ წარმოსახვას აღმზრდელობით ფუნქციასთან ერთად შემეცნებითი ფუნქციაც ახასიათებს" (64-66).

ი. ბიბილეიშვილის აზრით, გ. ფანჯიკიძის დამსახურება ეროვნული მწერლობის განვითარების საქმეში უდავოდ დიდია. მკვლევარი ქართველი რომანისტის შემოქმედების განხილვის დროს ითვალისწინებს ქართველი მწერლებისა და კრიტიკოსების — შ. ნიშნიანიძის, რ. მიშველაძის, ჯ. ჩარკვიანის და სხვათა მოსაზრებებს. მათზე დაყრდნობით გამოხატავს თავის პოზიციას მწერლის შემოქმედების შეფასებაში.

ჯ. ჩარკვიანმა თავისებური სიტყვა თქვა მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში. სარეცენზიო წიგნის ავტორი საფუძვლიანად იხილავს ქართველი პოეტის შემოქმედების ძირითად მოტივებს და მიუთითებს იმ დამსახურებაზე, რაც მას მიუძღვის მშობლიური პოეზიის განვითარებაში. მკვლევარი აღნიშნავს: „პოეტი ათას კითხვას დასტრიალებს თავს და ყოველთვის ესწრაფვის მთავარს — შინაარსით მდიდარი და მშვენიერი გახადოს მკითხველის ესთეტიკური სამყარო" (84). ამ მიზნის მიღწევა ყოველი პოეტის, შემოქმედის ოცნებაა.

ცნობილია, მწერლობა, საერთოდ შემოქმედება მეორე სამყაროს, არ არსებულის, მაგრამ უფრო რეალურის, ვიდრე თვით ცხოვრებაა, შექმნაა. ვისაც ეს უნარი აქვს, ვისაც ხე-

ლენინფების ქვეცნობიერად შექმნას არსებულის, ხილული სამყაროს „მოჩვენებითი“ სახენაცვალი — ნამდვილი შემოქმედია. ამაშია ჭეშმარიტი ხელოვნების საიდუმლო. ამ პოზიციიდანაა განხილული ცნობილი აჭარელი მწერლების პარმენ ლორიას, მამია ვარშანიძის, ფრიდონ ხალვაშის, ჯემალ ჯაყელის, შოთა ზოიძის, იუსუფ ფაღავას, ალექსანდრე სამსონიას, ვახტანგ ახვლედიანის, ზურაბ გორგილაძის და სხვ. შემოქმედება. თვითეულ მათგანზე საუბარი უკვე ცალკე თემაა და არც არის აქ ამის საშუალება, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ მკვლევარმა ყოველ მათგანს კუთვნილი ადგილი დაუთმო თავის წიგნში, მიეფერა იმ დიდი ღვაწლისა და ამაგისათვის, რაც მიუძღვით სამშობლოს წინაშე.

ყოველი ჭეშმარიტი ქართველი შემოქმედის ოცნება იყო მამულის ერთიანობა და აღორძინება, განუყოფელი სამშობლოს აყვავება. ქართული მწერლობის ეს საერთო გულისნადები ჩინებულად გამოხატა მამია ვარშანიძემ ლირიკულ ნაწარმოებში „გლოცავს შენი სავანე“, რომელიც მგზნებარე მამულიშვილს მემედ აბაშიძეს ეძღვნება. ამ ლექსში გამოთქმულია საერთო ეროვნული ტკივილი:

ვინ დამიყო მამული,
საქართველო ერთია,
ჩვენი მდინარეები
ჩვენს დედაწყალს ერთვიან.
ვინ დამიყო მამული,
საქართველო ერთია!

ეს თემა, ეს სატკივარი, ნათელ ზოლად გასდევს აჭარის მწერალთა და მოღვაწეთა შემოქმედებას, რაც ასე მკაფიოდ არის გამოხატული სარეცენზიო წიგნში.

ფრიდონ ხალვაშს, როგორც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, მთელი საქართველო იცნობს. მან ლიტერატურის ყველა ჟანრში შექმნა საყურადღებო ნაწარმოებები და მკითხველთა დიდი ადიარება მოიპოვა. საქართველოს ლიტერატურულმა სამყარომ მწერალს ღირსეულად რუსთაველის პრემია მიანიჭა.

მკვლევარი აანალიზებს ფრიდონ ხალვაშის როგორც ლირიკულ, ისე ეპიკურ და დრამატულ ნაწარმოებებს, მკითხველს აცნობს მწერლის მდიდარ სულიერ მემკვიდრეობას და მიუთითებს იმ საპატიო ადგილზე, რომელიც მას უკავია ქართულ ლიტერატურაში.

მეტად თბილ, გულისხმიერ სტატიაში „წერილი მეგობარს“ ასახულია კრიტიკოსის დამოკიდებულება პოეტ გენო კალანდიას შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობისადმი. აფხაზეთის მკვიდრს, დღეს ლტოლვილ პოეტს, იცნობს მთელი საქართველო თავისი გაბედული პოეტური სიტყვისა და უანგარო საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობის გამო. თავისი კოლეგისა და მეგობრის მისამართით წიგნის ავტორი წერს:

„თქვენი ლექსების ლირიკული გმირი ჩვენი თანამედროვეა, ჩვენს წინ დგას და სანთელივით იწვის და ანათებს. ამიტომ მე მისი გულწრფელად მწამს, და ვენდობი, როცა ამბობს: „არ მენაღვლება იგი სიკვდილი, თუ ღირსეულად ზეზე მოვკვდები“. იგი სწორედ დონ-კიხოტივით სუფთა, ალალი და შემართულია. აკი თვითონვე ამბობს: „მე დონ-კიხოტის მაჩუქეთ დაშნა, თქვენ ესპანეთის ვარდები გქონდეთ“. ამისთანა გმირი უნდა ჩვენს ახლანდელ სინამდვილეს, გმირი, რომელიც ქვეყანაზე ფიქრობს და ქვეყნიერებისათვის იღვწის“ (გვ. 282).

არ შეიძლება ამ ჭეშმარიტ და გულწრფელ სიტყვებს არ დაეთანხმოთ.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ქვეთავი — „ლიტერატურის თეორია, ლიტერატურის ისტორია, პუბლიცისტიკა“. აქ გაანალიზებულია სახელოვანი მწერლების, მეცნიერე-

ბისა და საზოგადო მოღვაწეების: ლევან გოთუას, რევაზ მიშველაძის, გურამ შარაძის, ნელი დუმბაძის, ნური ვერძაძის მხატვრული თუ სამეცნიერო-პუბლიცისტური ნაწარმოებები. თითოეული მათგანის დამსახურება ეროვნული მწერლობისა და კულტურის წინაშე გაშუქებულია მეცნიერული კეთილსინდისიერებით.

ი. ბიბილეიშვილის წიგნში „ცხოვრების საზრისი“ გაშუქებულია ქართული მწერლობისა და კულტურის მრავალი საინტერესო საკითხი. მკვლევარის ნაშრომთა ეს-კრებული ქართული კრიტიკული აზროვნების უთუოდ საყურადღებო შენაძენია.

ასრათ ომარაშვილი

შეცდომები დროზე უნდა გასწორდეს!

დიდია ენციკლოპედიის, როგორც ერთ-ერთი უძველესი მეცნიერული ხასიათის ნაშრომის, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ამ კუთხით საკმარისია თუნდაც იმ გრანდიოზული სახის სამუშაოების გახსენება, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის" მომზადებასა და გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარდა (1937, 1952, 1972 წლებში).

ცხოვრების შემდგომმა პროგრესმა შესაძლებლობა მისცა მრავალეროვან საბჭოთა ხალხს, განევითარებინა როგორც სოციალურ-ეკონომიური, ისე შემოქმედებითი პოტენციალი, რაც სხვადასხვა ასპექტით გამოიხატა. ამ მიმართებით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო **საქართველოს (1975-1987 წწ. 11 ტომი) და აზერბაიჯანის (1976-1987 წწ. 10 ტ.)** ენციკლოპედიების გამოცემა.

ეროვნული ენციკლოპედიის ძირითად არსს შეადგენს, სრულყოფილად წარმოაჩინოს ამა თუ იმ ერის შემოქმედებით-მეცნიერული პოტენციალი სხვა ხალხებთან ურთიერთმიმართებაში.

ქართულსა და აზერბაიჯანულ ენციკლოპედიებში, ისე როგორც სხვა ეროვნულ ენციკლოპედიებში, გარკვეული დოზირებით შეიტანეს მეზობელი ხალხების სოციალურ-ეკონომიური თუ კულტურული ცხოვრების ამსახველი ფაქტები.

საინგილო, როგორც ისტორიული ჰერეთის ნაწილი, ქართული და აზერბაიჯანული ენციკლოპედიების შემდგენელთა ყურადღების ცენტრში იდგა. ამგვარი ცხოველი ინტერესი საქართველოს ამ უძველესი კუთხისადმი დღეისათვის იქ არსებულმა მდგომარეობამ განაპირობა. ზოგიერთი საზოგადო მოღვაწისა და პოლიტიკოსის მიერ წარსულში ჩადენილი უხეში შეცდომა ახლანდელი თაობისთვის ძნელად გამოსასწორებელი გახდა.

ორივე რესპუბლიკის ენციკლოპედიათა გამოცემები წინ უსწრებენ ჩვენს ქვეყანაში დაწყებულ ძირეულ ცვლილებებს. ამიტომაცაა, რომ მათში ძირითადად ძველი დოგმების მიხედვით წარმოჩენილი „სინამდვილეა" ასახული. დადგა დრო ადრე დაშვებული მეცნიერული შეცდომებისა თუ საგანგებო უზუსტობების წარმოჩენისა და გამოსწორებისა.

როგორაა ასახული ინგილოური ტოპონიმები ქართულსა და აზერბაიჯანულ ენციკლოპედიებში?

ჩვენი შენიშვნა, რაც, პირველ რიგში, ქართული ენციკლოპედიის მიმართ გვაქვს, ესაა მასში ინგილოური ტოპონიმების მცირე რაოდენობით შეტანა. იმდროინდელი სიტუაციიდან გამომდინარე ჩვენმა ენციკლოპედისტებმაც გაითვალისწინეს სხვადასხვა ფაქტორები და შეეცადნენ, სიფრთხილით მოჰკიდებოდნენ ყველასათვის ერთობ საშიშ საინგილოს საკითხს; მეზობელი კოლეგების განაწყენებისა თუ მოერიდათ. სწორედაც რომ მორიდებულობისა და ზედმეტი თავაზიანობის გამო ამ მრავალტომიან მეცნიერულ, აკადემიურ გამოცემაში ასხვა ვერ ჰპოვეს ამ ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილმა ისეთი ისტორიული მნიშვნელობის ქართულმა ტოპონიმებმა, როგორიცაა: **ალიბეგლო** (ისტორიული ქათმის ხევი), **ბერთბინა, ვერხი-**

ანი (ვერხვიანი), **ზერნა, კატეხი, ლექართი \\ლექეთი, მუხახი, მოსული, სოსკაანი** (სოსიკაანთ კარი), **ფიფინეთი** (ფიფანი), **ყორაღანი, შოთავარი, ცილბანი** (წილუბანი), **წერეთელ თახტა** (წერეთლიანთ ტახტი), **წერეთელორ** (წერეთლების მდინარე).

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „საყდარი" არის „ტახტი", რომელიც შემდგომ საკრებულო ადგილსაც ეწოდებოდა. საინგილოში არსებულ წერეთელთა ტახტის შესახებ ჯერ კიდევ 1884 წლის „ივერიის" მე-11-12 ნომერში ვკითხულობთ: „წერეთელნი... ოდეს მოვიდა ლანგ თემური და აიძულა მუნებურთა გამაჰმადიანება. ამათ დაუტევეს ადგილი თვისი და მოვიდნენ ჩერქეზს და მუნიდგან გადმოვიდნენ იმერეთს, მეფის ბაგრატის დროს 1395 წელს და მან მიიღო პატივით, მისცა საჩხერე და უწოდა თავადად და აწცა არიან მუნ ჟამითგან აქამომდე. გიორგი მეფის დროს 1709 წელს შეიქმნენ უმეტეს წარჩინებულნი". საინგილოში შემორჩენილი ისტორიული ტოპონიმის „წერეთელ ტახტის" შემდგომი სიღრმისეული კვლევა ძალზე საინტერესო სურათს წარმოაჩენს წერეთლების საგვარეულოს გენეალოგიის თვალსაზრისითაც.

ქართულ ენციკლოპედიებში ინგილოური ტოპონიმებიდან სულ 17-იოდე ერთეულია შეტანილი. ესენია: **ბაზარი, ბელაქანი, გიში, ელიენი\\ენისელი, ელისოს სასულთნო, ზაქათალა, ზაქათლის ნაკრძალი, კაკი\\კახი, კასრის საყდარი, კატეხი, ლექეთი, მაწის-წყალი, საინგილო, ქურმუხის წმ. გიორგი, შაქი, შაქის სახანო, ჭარი, ჭარ-ბელაქანი.**

ზემოთ ჩამოთვლილი ტოპონიმების ანალიზისას გამოყენებულია ქართული ისტორიულ-წერილობითი წყაროები და საინგილოზე არსებული დიდძალი ლიტერატურა.

ბელაქანზე, კაკსა და კატეხზე მსჯელობისას ყურადღება გამახვილებულია როგორც ისტორიული მნიშვნელობის საეკლესიო ცენტრებზე. ვფიქრობთ, საჭირო იყო ამ ტოპონიმების მისამართით „ქართლის ცხოვრებასა" და „საისტორიო ძეგლებში" არსებული სხვა საყურადღებო ფაქტების მითითებაც. მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანს. მაგალითად, **ბელაქანზე:** „ამათვე ჟამთა ბრწყინვიდა პიმენ სალოსი, რომელი გარეშჯით წამოვიდა და დაემკვიდრა ბელაქანს, ქვაბსა რასმე, რომელმან ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა, რომელნი ჰგიან სარწმუნოებასა ქრისტესა" (ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 283.). XIII საუკუნეში მონღოლთაგან განდიდებული სადუნი მეფე დიმიტრისგან ითხოვს: „იურვა მეფე დიმიტრისაგან თელავი და ბელაქანი, და მრავალი ქვეყანანი" (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 272). 1604 წელს თინათინ დედოფალმა შუამთას შესწირა ბელაქნის მცხოვრებნი: ექვსი კომლი ურია და ორი კომლი ქართველი (დ. ფურცელაძე, გუჯრები, გვ. 85). ჟამთააღმწერლის ცნობით, დამპყრობ ალათემურს ჯავახეთის, თრიალეთის, რუსთავისა და კამბეჩანის შემდეგ გეზი ბელაქნისაკენ აუღია: „და წარვიდეს გზასა ბელაქნისასა" (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 252). რუსების ჯარის შესვლასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „ქ. ამ წელს: ჩყგ: შევიდა ბელაქანში რუსი. კიდეც წახთინა მარტს: თ: („წარწერა შილდის ხელნაწერისა: „საქრისტიანო მოძღვრება"). იხ. თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. III, 1967, გვ. 462. ბიბლიის მიხედვით: "აღდგა ბაილაკ სეპფორისი მეფე მოაბისა და ეწყო ისრაელსა" (ისუ ნავე, კდ, თ.)

კაკი და **კატეხი** მოხსენებული არიან მელქისედეკ კათალიკოზის 1020 წელს სვეტიცხოვლისადმი დაწერილ სიგელში, რომელშიც საკათალიკოსო ტაძრის ეკლესიები და სოფლებია აღნიშნული: „შემდგომად ამისა წმინდამან მეუფემან კათალიკოს-პატრიარქმან მელქისედეკ მოიგო

ქართლს... და კახეთს ახატანს უბანი ერთი და ნოსორნა სოფელი ერთი; და ჰერეთს მონასტერი დიდითა ძალითა და ლაგოდეხი და ჰერეთსავე კატეხისა ეკლესია შესავლითა მისითა; და კაკს ვაჭარი ათორმეტი და ზიარი სოფელი დიდი" (ქართლის ცხოვრება გვ. 295). კაკი უნდა დომინირებდეს ცნობილი მოგზაურის ევლია ჩელაბის ნაწერში: „აქედან გზა განვაგრძეთ და ქალაქ „კახეთში" მივედით. საქართველოშია და ირანის ბრძანებლობაში იმყოფება... მათი ბრძანებელი ცალკე სულთანია" (ე. ჩელაბი, „მოგზაურობის წიგნი", I, გ. თოფურიძის თარგმანი, კომენტარები და გამოკვლევა, თბ., 1971, გვ. 292). მემატიანის ცნობით, 1602 წელს ერევნის ციხის ასაღებად მოსული შაჰ-აბასი კახთა მეფე ალექსანდრეს მოუწვევია: „ხოლო შაჰ-აბაზ პატივ-სცა დიდად. არამედ შემდგომად აღებისა ერევნისა მოუღო ალექსანდრეს კაკი და მისი წილ მისცა შვიდასი თუმანი ყოველს წელს კუალად მისცა ნიჭი და გამოუტევა კახეთს". შაჰმა მიტაცებული კაკი უბოძა გამაჰმადიანებულ ქართველ ვახვახიშვილს (ვახუშტის მიხედვით ვახახიშვილს) და „დასუა სულტნად იგივე აქა" (წყ. ვახუშტი, გვ. 579, 539). უფრო მოგვიანებით, „1751 წელს თეიმურაზს, ერეკლეს ქართველთ და კახთ ჭარში მიმსვლელთ დაუმარცხდათ აჯი ჩალაბისა და ჭარელთაგან კაკს და მოსწყვიტეს მრავალი სული და მოიშთო ალაზანში" (თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ.III, თბ, 1967, გვ. 211). ამასთანავე მეფე ერეკლე II ყოფილა: „მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მემკვიდრე-მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსა, მთავარი შამშადილისა, მთავარი კაკისა, მთავარი შამახისა, და მთავარი შირვანისა, მფლობელი და ბრძანებელი განჯისა და ერევნისა" (ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 457).

შედარებით ვრცლადაა მიმოხილული ტოპონიმი **ელისენი\\ენისელი.** მითითებულ წყაროთა შორის არ არის იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა", სადაც დასახელებულია ენისელში შემავალი სოფლები, სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო ობიექტები: „ბელაქანი, მაკაბელი, კატეხი, ბოთანი, ლანუხი, მანეხი, ვარდიანი, ფიფინეთი ანუ ჭარი, ბაქათალა, პატარა ჭარი, ნინუბანი, თალა, ჩარდახი, მუხრანი, კოსორი, ჯინიწი, ბაზარი, მოსაბრუნი, ფადარი, იქნა ჯამი ამ სოფლებისა". (გვ. 359). აქვე ვკითხულობთ: „საძოვარი ადგილნი და სათიბნი მინდორი და მთებნი და სანადირო-ადგილნი, სამეფო: ბელაქნის მთა", (გვ. 379) და აგრეთვე „მღვდელმთავარნი: ენისლისა და ბელაქან-ჭარისა-ბედელი" (გვ. 381). ურიგო არ იქნებოდა, მიგვენიშნებინა 1392 წლის მცხეთის საეკლესიო მამულების ისტორიულ დოკუმენტზე, სადაც ჩამოთვლილია: „ენისელში სოფელი კუნელანი და წინ-უბანი და სოფელი განღოტი" (თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 197). ტოპონიმ-**ელისენზე** მსჯელობისას საჭირო იყო, გვეთქვა, რომ ამ სახელწოდებით დომინირებდა დღევანდელ საინგილოში ერთ-ერთი დიდი სოფელი, რომელიც ახლა **ალიაბადის** სახელს ატარებს.

ისტორიული ქალაქი **ბაზარი-ზაგემი** XV-XVI სს. ფეოდალურ საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრთაგანი იყო. მისკენ მიილტვოდნენ აბრეშუმის მოყვარული ინგლისელი ვაჭრები და რუსი დიპლომატები. ვფიქრობთ, უფრო მეტი ფაქტების მოტანა შეიძლებოდა. გავიხსენოთ თუნდაც ისკენდერ მუნშის ცნობა: „ზაგემი სატახტო ადგილი და იმ სამეფო გვარის სამყოფელი არის", იქვე „ლევანხანი, კახეთის ზაგემისა და გრემის მართველია" (ისკენდერ მუნში, ცნობები საქართველოს შესახებ. ვ. თოფურიძის თარგმანი და გამოცემა, 1969, გვ. 17-57). ხოლო თურქი ისტორიკოსის იბრაიმ ფეჩევის მიხედვით,

კახთა მეფე XVII საუკუნეში ყოფილა „ზაგემ და გრემად წოდებული ორი დიდი ქალაქისა და საქართველოს რამდენიმე პროვინციის სახელოვანი ემირი“ (იბრაიმ ფეჩევი, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ს. ჯიქიას თარგმანი და გამოცემა, 1964, გვ. 42). ქართულ წყაროებში ქ. ბაზრის შესახებ ცნობას ვხვდებით 1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში, რომელშიაც ნათქვამია: „ბაზარს ოცდაშვიდი კომლი კაცი ვაჭარი სომეხი და ურიანი“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 180). ყველაზე მნიშვნელოვანი, რაზედაც არაფერია ნათქვამი, ესაა ამ ნაქალაქარის ტერიტორიაზე დღემდე ნანგრევების სახით მოღწეული **ბახთალის** ღვთისშობლის ეკლესია, რომლის მშენებლობასაც ისტორია კახეთის მეფეს ლევანს (1520-1574 წწ.) მიაწერს, ამასთანავე ის საშინელი ტრაგედია, რომელიც შაჰ-აბასის დავალებით 1605 წელს ჩაიდინა მამა-ძმის მკვლელმა კონსტანტინემ **ბაზარ-ზაგემ** - ში. მემატიანის ცნობით, ალექსანდრე კახთა მეფემ „მხიარულმა შემოიკრიბა სპანი და მიეგება ბაზარს მოსრულს კონსტანტინეს“ (ვახუშტი, გვ. 582). ნაქალაქარის ადგილის სახელი დღესაც **ზოლბაზარი\\ ესკიბაზარის** სახით დომინირებს.

კასრი ერთ-ერთი უძველესი ტოპონიმია საინგილოში. ის მდებარეობს კახში საყარაულოს მთაზე. დღეისათვის შემორჩენილია კასრის საყდრის ნანგრევები. ისტორია კასრის მშენებლობას ჰერეთში არჩილს (VIIIს.) მიაწერს: „და დაჯდა წუქეთს, და აღაშენა კასრი, და ხევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე (ქართლის ცხოვრება I, გვ. 243), მანვე კლარჯ მთავარს მიუბოძა წუქეთი ციხით და კასრითურთ (ქართლის ცხოვრება I, გვ. 243). კასრის საყდარი მოხსენებულია 1310 წლის ლ.ა. მაღალაშვილის სახარებისათვის მიწერილ „ანდერძში“, სადაც ვკითხულობთ: „კასრი სამებისა... ზარს წმიდისა მოწამისა გიორგის, ვარდიანს-წმიდისა ჰაბოისი, განუხს არჩილისი, გიშსნუსხ ღვთისმშობლის, ვარდთაშენს ელიასი...“ (მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, ზ. ჭაჭიბაძის გამოცემა, თბ., 1895, გვ. 206), **კასრის** ანალიზისას პროფესორი დ. მუსხელიშვილი გამოთქვამს საყურადღებო მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, კასრი კახის უძველესი სახელწოდება უნდა ყოფილიყო. **კასრი** და **კაკი** დამოუკიდებელი ტოპონიმიკური ერთეულები არიან. ამ უკანასკნელში კი ქართული ეთნოსის ელემენტი ჩანს.

გიში ჰერეთის ქრისტიანობის ყველაზე ადრეული ცენტრი ყოფილა. იგი მრავალჯერაა მოხსენიებული მ. კალანკატუაცის „ალბანეთის ისტორიაში“. ამ კუთხეში ქრისტიანობის შემოტანას თადეოზ მოციქულის მოწაფის, ელისეს სახელს მიაწერენ. ვახუშტის თქმით: „გიში არს მთის ძირს, რომელი იყო საერისთაო წუქეთისა და ეკლესია დიდი გუმბათიანი და იჯდაცა ეპისკოპოსი, მწყემსი ელისენისა, წუქეთისა და შაკიხისა“ (ვახუშტი, აღწერა, გვ. 96). ა. მაღალაშვილის „ოთხთავის“ მინაწერის მიხედვით: „...პატრიარქმან ჩუენმა ექუთიმემ მოიხილა... და მოვლო გიშ-ნუხის ღვთისმშობლისა“ (მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1895, გვ. 206), „დავით აღმაშენებელმა... დაიპყრა გრიგოლისძენი... და აიღო ციხე გიში“ (ქართლის ცხოვრება, თბ., 1955, გვ. 334). გიშის ღვთისმშობლის ეკლესიის დათარიღება რთულია იმის გამო, რომ იგი რამდენჯერმეა დანგრეული, აღდგენილი და გადაკეთებული. აქ რომ X-XI საუკუნეებზე ადრე იქნებოდა ტაძარი იმითაც მტკიცდება, რომ იგი VI საუკუნის „ეპისტოლეთა წიგნის“ ქართულ საეპისკოპოსო ნუსხაშია ნახსენები, ხოლო „განგება დარბაზის“ მიხედვით, ქართველ ეპისკოპოსთა შორის გიშელი რიგით 35-ე იყო.

ქართულ ენციკლოპედიებში ინგილოური ტოპონიმების ანალიზი ეკუთვნით თ. პაპუაშვილს, დ. მუსხელიშვილს, ზ. ცინცაძეს, ჯ. გვასალიას, გ. მაისურაძეს. ეს მეცნიერები, რა თქმა უნდა, კარგად იცნობენ საინგილოს ისტორიას, მის ახლანდელ მდგომარეობას და ამიტომაც მათი მსჯელობები ამა თუ იმ საკითხზე დამაჯერებელია. განსაკუთრებით ეს ითქმის პროფ. დ. მუსხელიშვილის მოკლე და ღრმა მეცნიერული დონის წერილებზე. ვიმედოვნებთ, ქართული ენციკლოპედიის მესვეურნი მეორე გამოცემისას გაითვალისწინებენ იმას, რომ ჰერეთი, ანუ დღევანდელი საინგილო საქართველოს ისტორიული ნაწილია, ისევე როგორც ქართლ-კახეთი, გურია და... სხვადასხვა მიზეზთა გამო მისი განცალკევება გაუმართლებელია, ამიტომაც აუცილებელია, ვრცლად წარმოადგინონ ამ კუთხში დღემდე შემონახული ქართული ტოპონიმები, რომელთა მნიშვნელობაც განუზომლად დიდია ქართველი ერისთვის.

აზერბაიჯანულ ენციკლოპედიაში ინგილოური ტოპონიმები დიდი რაოდენობითაა შეტანილი. ამგვარი სიუხვე იმითაა განპირობებული, რომ, ჯერ ერთი, საინგილო ოფიციალურად აზერბაიჯანის ტერიტორიის შემადგენელი ნაწილია, ხოლო მეორეც, აზერბაიჯანული ენციკლოპედიის შემდგენლებმა საჭიროდ მიიჩნიეს, რაც შეიძლება მეტი ყალბი ინფორმაცია მოეხმოთ ქართული ტოპონიმების ფალსიფიცირებისათვის.

აქ შეტანილია საინგილოს ტერიტორიაზე არსებული თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ობიექტის სახელწოდება. მათი საერთო რაოდენობა ასამდე აღწევს. ესენია: **აღჩაი, ალმალუ (ვაშლოვანი). ლაქით, ბელაქან, ვარხიან, გახ, ელიაბად, კატეხ, გულუგ (ვარდოვანი), მაწეხ, მუხახ, ელიბეილი, ზაგამ, ილისუ, მუღანლუ, მოსულ, თასმალუ, ითითალა, ხალხალ...**

აზერბაიჯანული ენციკლოპედიის ავტორები ინგილოური ტოპონიმების განხილვისას ტენდენციურობას ავლენენ და ძირითადად აზერბაიჯანელ მეცნიერთა ნაშრომებს ეყრდნობიან. იგნორირებულია ქართული ისტორიული წერილობითი წყაროები, თუმცა აქა-იქ დასახელებულია რუსი თუ ქართველი ავტორებიც.

ძირითადი პრინციპი აზერბაიჯანელ მკვლევრებისა მიმართულია იმისაკენ, რაც არ უნდა დაუჯდეთ, წაშალონ ქართული კვალი საინგილოში შემონახულ გეოგრაფიულ სახელწოდებებში. ეს განსაკუთრებით შეინიშნება ამ ტერიტორიაზე შემორჩენილ ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე. შევეცდებით, ზოგიერთ მათგანზე გავამახვილოთ ყურადღება.

ტოპონიმ-**ბელაქნის** ვრცელ მიმოხილვას მოსდევს აქ არსებული კულტურული მშენებლობის ამსახველი სურათები. დასახელებულია სოფ. **გულარში** არსებული XII-XIII სს. ისტორიული ძეგლი **„ფერიყალა“** ანუ **„თამარის ციხე“**. გადმოცემის მიხედვით, თამარ მეფეს საინგილოში „ფერიას“ ეძახდნენ. ციხე-სიმაგრე დანგრეულია. იგი უნდა აშენებულიყო გვიან ფეოდალურ ხანაში, თუმცა დასათარიღებელი ნიშნები აღარ შემორჩენილა. აზერბაიჯანულ ენციკლოპედიაში ამ ციხის თარიღად XII-XIIIსაუკუნეებია დასახელებული, ვის მიერ არის დადგენილი, ან რომელ წყაროს ეყრდნობიან, არ არის მითითებული.

ზაქათალაში არსებული არქიტექტურული ძეგლების ჩამოთვლისას დასახელებულია საყოვლეთაოდ ცნობილი **კავკასიის** გრძელი კედელი, რომლის თარიღიც ნაჩვენები არ არის. ხოლო ამავე ნაშრომის 282-ე გვერდზე წარმოდგენილ სტატიაში „ზაქათალის კედელი“ საუბარია კავკასიის დიდ კედელზე. აღნიშნულია, რომ ის, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული, დაახლოებით V-VII საუკუნეებში თავდაცვითი კედელი

იყო, რომლის მიდამოებშიც მეფის მთავრობის ჯარებსა და შამილის მომხრეებს შორის რამდენიმე შეიარაღებულ შეტაკებას (1847 წ. 5 მაისი და სხვ.) ჰქონია ადგილი, (ასე. IV ტ., 1980, გვ. 282).

1936 წელს ჩატარდა „კავკასიის კედლის" არქეოლოგიური გათხრები ე.ა. პახომოვის ხელმძღვანელობით (ე.ა. პახომოვი, ზაქათალის კედელი, აზერბ. სახ.უნივერ. შრომები, 1950), რომელსაც იმოწმებენ აზერბაიჯანელი ენციკლოპედისტები. ალბათ, პახომოვის სტატიის სათაურიდან გამომდინარე უწოდებიათ მისთვის ზაქათალის კედელი, ისე კი ყველგან ეს კედელი „კავკასიის კედლის" სახელით მოიხსენიება (ა. დიუმა., კავკასია, 1970); Д. Зубарев, Поездка в Кахетию, Тушетию, Пшавию, Хевсуретию и Джаро-Белаканскую область, РВ, 1941; А. Посербский, Кавказ, 1864, N48, закатала; А.С. Хаханов, Экспедиции на Кавказ 1892, 1893, 1895 гг; ი. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, საინგილო, თბ., 1979). თუ **„ზაქათალის კედელი"** იგივე **„კავკასიის კედელია"**, მაშ ერთგან რატომაა მითითებული V-VI სს. ხოლო მეორეგან — არც თარიღი და არც მეორე სახელი? ამ კედლის ირგვლივ არსებული მდიდარი ლიტერატურიდან პახომოვის გარდა სხვა ავტორებმა რა დააშავეს?!

საგანგებო ყურადღებას იპყრობს ს. ყუმისა და ლექართის სამლოცველოთა კომპლექსებზე დაწერილი წერილები. ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების ეს უნიკალური ისტორიული ძეგლები ალბანური კულტურის შთამომავლებად არიან მიჩნეული. ეს ალბათ, იმიტომაც, რომ ისინი (ე.ი. აზერბაიჯანელები — ა.ო.) ალბანელებს თავიანთ წინაპრებად ასაღებენ და აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, დასკვნის გაკეთებაც, ალბანური კულტურის ძეგლები მათ საკუთრებას შეადგენს, არადა „ისტორიული წყაროები არ იძლევიან იმის საფუძველს, წუქეთის არქიტექტურული ძეგლები (**ყუმი, ლექეთი**) გამოცხადებულ იქნენ ალბანურ ხუროთმოძღვრების ძეგლებად"(თ. პაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიული საკითხები, თბ., 1970, გვ. 303).

ყუმის ბაზილიკისა და ლექართის ტაძრის, როგორც ერთ-ერთი უძველესი მნიშვნელოვანი ქრისტიანული ძეგლების შესახებ დ. შარიფოვის, ე. სალამზადესა და ბ. ბარანოვსკის ნაშრომთა გვერდით საჭირო და აუცილებელი იყო, მიეთითებინათ: გ. ჩუბინაშვილის, ალ. ხახანაშვილისა და ი. ადამიას შესანიშნავი გამოკვლევებიც. პ. ბარანოვსკიმაც ყუმის ბაზილიკისა და ლექართის ტეტრაკონქის შესწავლისას საგანგებო ყურადღება გაამახვილა ა. ხახანაშვილის მოსაზრებაზე, რომლის მიხედვითაც, ლეკითში უნდა ყოფილიყო წუქეთის, ელისენის და შაქის საეპისკოპოსო ცენტრი. პროფ. გ. ჩუბინაშვილი ამ ორი ძეგლის შესწავლისას მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ისინი მთლიანად და სავსებით უდგანან მხარში კახეთის უძველეს არქიტექტურულ ძეგლებს. სწორედ ამიტომაც დაინუნეს ჩვენმა აზერბაიჯანელმა კოლეგებმა ეს ნაშრომები.

კაკის\\კახის არქიტექტურული ძეგლებიდან ჩამოთვლილია: **ს. ლექეთის** მრგვალი სამლოცველო და მის ახლოს შენობის ნანგრევები (V-VII სს.), **აბანო** (?), **ქარვასლა** (?), სოფელთან ახლოს სამლოცველო კომპლექსი (მე-12-13 სს.), **ს. ყუმის** სამლოცველო, **სირთ ყალა** და გალავანი (მე-17-18 სს.), **ს. ილისოს ყალა** (მე-17-18 სს.), **ძვლის ციხე** (?), მდ. ქურმუხზე **ულუ ხიდი** (?). ეს უკანასკნელი, უბურჯო ხიდი ანუ „გზა ლეკეთისა" (ამ გზიდან დათარეშობდნენ ჩრდილოეთიდან მომდინარი მტრის ურდოები), ი. ადამიას აზრით მე-12-14 საუკუნეებში საქართველოში ფართოდ გავრცელებული ერთთაღიანი ასიმეტრიული კომპოზიციის ფრიად საინტერესო მაგალითს წარმოადგენს.

გიში\\კიში. გიშის ქრისტიანული სამლოცველო ტაძარი ერთ-ერთი უძველესთაგანია ამ კუთხეში. აზერბაიჯანული ენციკლოპედიის მიხედვით, იგი ადრე შუასაუკუნეების კავკასიის ალბანეთში ქრისტიანობის ცენტრთაგანი ყოფილა, რომელიც აზერბაიჯანის ერთ-ერთ უძველეს საცხოვრისს წარმოადგენდა თურმე. ანაქრონიზმია თუ... აზერბაიჯანელი ერის ჩამოყალიბება ახლანდელი მოვლენაა. გიში უძველესი ქრისტიანული მოდგმის ხალხის საცხოვრისს შეადგენდა, რომელმაც შემდგომ ჟამთა სიავის გამო თავისი პირვანდელი სახე დაკარგა. დღევანდელი აზერბაიჯანელი ხალხის უძველეს საცხოვრისად გიშის გამოცხადება მოკლებულია ყოველგვარ ჭეშმარიტებას, მაშინ, როცა იგი ქართული წყაროების მიხედვით საეპისკოპოსო კათედრას წარმოადგენდა. გიში იხსენიება ქართულ საეპისკოპოსო ნუსხებში (მე-6 ს.). „განგება დარბაზობის" მიხედვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გიშელი საქართველოს ეპისკოპოსთა შორის 35-ე იყო. ქართველ მეცნიერთა მითითებით გიშში შემორჩენილია მე-10-12 სს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. გიშის ირგვლივ არსებული მრავალრიცხოვანი ნაშრომებიდან, სამწუხაროდ, არცერთია დასახელებული.

ენციკლოპედიებში განგებაა გამოტოვებული ისეთი მნიშვნელოვანი ქართული ეკლესია — მონასტრები, როგორიცაა: **ქურმუხის წმ. გიორგის ეკლესია, კასრის საყდარი, პატარა ალავერდი, ბარბარეს ეკლესია, ნინოწმინდის ეკლესია, კახის წმ. გიორგის ეკლესია და სხვ.**

აზერბაიჯანელ ენციკლოპედისტებს ყურადღების გარეშე არ დარჩენიათ საინგილოს ტერიატორიაზე მცხოვრები ინგილო — ქართველების წარმომავლობის საკითხი. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ამგვარი დაინტერესება შემთხვევითი არ ყოფილა. მანამდეც, არა ერთხელ გვქონდა შესაძლებლობა პრესითა თუ სხვა საშუალებებით გავცნობოდით ყალბ მონაჭორებს ინგილოების ეთნეზისის შესახებ (გეიბულაევის „აზერბაიჯანული ტოპონიმია" და სხვ.). ამჯერადაც ჩვენს წინაშეა ვიდევ ერთი დამახინჯებული დოკუმენტი, რომელიც ენციკლოპედიის საშუალებით დიდხანს დარჩება ისტორიაში და თაობიდან თაობას გადაეცემა.

აზერბაიჯანული ენციკლოპედიის მიხედვით: „ინგილოები აზერბაიჯანის სსრ-ის კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფია, რომელნიც დაახლოებით X-XII სს-ში ენის გავლენით გაქართველებულად ივარაუდებიან; XVI საუკუნის დასასრულს ისლამის სარწმუნოება მიიღეს და „ჰენგილოდ" (ახალ სარწმუნოებაზე გადასული) იწოდებოდნენ (ქართული წარმოთქმის მიხედვით „ინგილო"). ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე ლაპარაკობენ. ყოფა-ცხოვრების, ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციის მიხედვით აზერბაიჯანელებისაგან მცირედ განსხვავდებიან" (აზერბაიჯანის საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. V., გვ. 119). არც მეტი არც ნაკლები, აი, ის ძირითადი განაჩენი, , რომელიც ინგილო-ქართველებს ჩვენმა აზერბაიჯანელმა მეგობრებმა გამოგვიტანეს. ჩვენ რომ ძირძველი ქართველები ვართ და ოდითგანვე იმ მიწაზე ვცხოვრობდით, რომელზედაც ახლა ვიმყოფებით„მოსვენებას არ აძლევს აზერბაიჯანელებს. საინტერესოა, რომელი ისტორიული წყაროს მიხედვით ვარაუდობენ მე-10-12 სს. ენის გავლენით ჩვენს გაქართველებას?! იქნებ დაავიწყდათ, რომ V ს. ჰერეთი ქართლის სახელმწიფოში შემავალი ძირეული ქართული პროვინცია იყო (დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, 1966, გვ. 64). VIII ს. არჩილ მეფე ჰერეთში აშენებს „...ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს ორთა წყალთა შუა" (ქართლის ცხოვრება, გვ. 244). XI საუკუნეში დასრულდა ჰერეთ-კახეთის პოლიტიკური შერწყმის პროცესი

(კვირიკე დიდის დროს), როგორც ამას სამართლიანად შენიშნავდა აკად. ნ. ბერძენიშვილი. რუსი მკვლევარის ა. პოსერბსკის მიხედვითაც, ახლანდელი ზაქათალის ოლქის საზღვრებში შემავალ მიწაზე დასახლებულ ტომთაგან, მას შემდეგ რაც იგი ალბანელებმა დატოვეს, რომლის შესახებაც სტრაბონი მოგვითხრობს, ქართველები პირველები იყვნენ. მაშასადამე, გამოდის, რომ ეს მხარე ალბანეთის სახელმწიფოში აღარ შედიოდა უკვე I საუკუნეში ჩვენს ერამდე.

ასე რომ, ინგილოები გაქართველებულები კი არა ვართ, არამედ თავიდანვე ქართველები ვიყავით, ვართ და ვიქნებით, ხოლო რაც შეეხება სახელწოდება **ჰენგილოს \\ინგილოს** ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას და მის ახალ სარწმუნოებაზე გადასვლის აღმნიშვნელ ტერმინად მონათვლას იგი არ გამორიცხავს ჩვენი მეობის უარყოფას. ტერმინ „საინგილოს“ სხვადასხვა გაგების მიუხედავად, ერთი რამ არ უნდა ავიწყდებოდეთ აზერბაიჯანელ მეცნიერებს, რომ ინგილოს მიღმა ყოველთვის ქართველი იგულისხმება. ან იქნებ უმჯობესი იყო, ჩაეხედათ ენციკლოპედიურ ლექსიკონებსა და სხვა აკადემიურ გამოცემებში, სადაც წერია: „ინგილოები, ასე უწოდებდნენ ადგილობრივი თათრები ქართველ მუსლიმანებს, მცხოვრებთ ზაქათალის ოლქში საერთო რაოდენობით 8727 ოჯახი“ (Энцик. словар, т. XIII, издатели: Ф.А Брокгоуз(Леипциг), И.А. Ефрон (С. Петербург), С. Пет. 1894, стр. 54). „ინგილოები, მცირე შტო ქართველთა ტომისა, მცხოვრები ზაქათალის ოლქში ავარებსა და თათრებს შორის და მათი გავლენით მუსლიმანობა მიღებული“ (Энцик. словар, под. ред. проф. В.Я. Железова, М.М. Коваленнкого и др. 7-ое изд., т. 21., стр.21.) „ინგილოები (ახლადმონათლულნი) იგივე ქართველებია, მაგრამ აღმსარებელია ისლამისა, ცხოვრობდნენ 9 ათასი რაოდენობით ზაქათალის ოლქში“ (Энцик. словар., т.IX а, С. Петербург, 1893, стр. 791). „ინგილო (ქართ. ინგილო, დამახინჯებული თურქული ენგილო-ახლადმოქცეული) ქართველი მუსლიმანები ზაქათალის რაიონის ნარჩენი მოსახლეობისა ჩრდ.-აღმოსავლეთი ნაწილი ჰერეთისა (სტრაბონი „ალბანეთი“) აღმოსავლეთი საერისთაო კახეთის სამეფოსა (საეგოდევო). XVII ს. შაჰ-აბასის შემოსევის დროს ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი განადგურებული იქნა, ნაწილი კი გადასახლებულ იქნა სპარსეთში. დარჩენილები იძულებული იყვნენ მიეღოთ ისლამი და გამხდარიყვნენ ახლადმოქცეულნი („ენგილავ-ინგილო“). საქართველოს რუსეთის დაპყრობის შემდეგ საგრძნობი ნაწილი ინგილოებისა კვლავ დაუბრუნდა ქრისტიანობას“ (Б.С.Э., т. XXVIII, 1937, стр.62). „ინგილოები (ინგილა, ინგილო, ქართველების სახელწოდებაა. წარმოშობით ქართველები, რომლებიც ცხოვრობდნენ აზერბ. სსრ სამ დასავლეთ რაიონში. ინგილოთა დიდი ნაწილი იძულებული გახდა ისლამი მიეღო (შიიტური მიმდინარეობა) მე-17 საუკუნის დასაწყისში სპარსეთის მიერ დაპყრობის პერიოდში. აქედან მოდის სახელწოდება ინგილო — დამახინჯებულ თურქულ „ენგილავ“-დან „ახლადმოქცეული“ — (Б.С.Э., II изд., т. XVIII, 1952, стр.622). (ამ აკადემიურ გამოცემაშიც შეცდომაა დაშვებული. ინგილოები სუნიტები არიან და არა შიიტები. ზემოთ აღნიშნული ტერმინი (ინგილო — ა. ო) „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის ბოლო გამოცემაში (1972 წ.) შეტანილი არ არის.

რაც შეეხება ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებს, უმჯობესი იყო აზერბაიჯანელ ენციკლოპედისტებს სიტყვა მცირედის მაგივრად ეხმარათ გამოთქმა საკმაოდ განსხვავდებიანო.

ენციკლობედია ამა თუ იმ ერის სულიერი საუნჯეა და ამიტომაც მასში დაშვებული შეცდომები და უზუსტობანი დროზე უნდა გასწორდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ იცის? ცხოვრების ციკლი ხომ დროსაც რკალავს და დასაწყისს დასასრულად წარმოგვიჩენს, ხოლო დასასრულს — ახალი აღმასვლის დასაწყისად.

პიესაში აღწერილი ვითარება, მოქმედი პირების მარტოობა, თვითოეულის არსებობისათვის განსაზღვრული პირადი დრო და მისი ფარგლებიდან ამოსვლის, თავდახსნის, ერთიან დროში დამკვიდრების შეუძლებლობა, რეი ბრედბერის „მარსის ქრონიკების" ერთ მოთხრობას მაგონებს: მარსის მიყრუებულ მთიან გზაზე შემთხვევით დედამიწელი და მარსელი შეიყრებიან, ორივე მთის ძირას გაშლილ ქალაქს დასცქერის, მაგრამ ერთი დანგრეულსა და გაცამტვერებულ ნაშთებს ხედავს, მეორე კი სადღესასწაულოდ გაცისკროვნებულ, მჩქეფარე სიცოცხლით სავსე მიმზიდველ ადგილს.

შატაიძის პიესა სწორედ ამ დაქსასულობიდან, კარჩაკეტილობიდან თავის დაღწევისაკენ მარადიული ლტოლვის შესახებ გვიყვება. პიესის შინაგანად უაღრესად რთული დროული სქემის გარეგანი მოქმედება ორ წინასაახალწლო საათს მოიცავს. დროის ეს დაძაბული მონაკვეთი კონფლიქტებითა და ვნებათაღელვითაა გაჯერებული და მოვლენებს დაჩქარებულ რიტმსა და ნევროზულობას ანიჭებს. ესაა მისტიკური სრბოლა „არაფრისაკენ", წარმოსახული ზღუდისკენ, რომელშიც წარმავალი და მარადიული მყისიერად უნდა გადაიკვეთოს და გაერთიანდეს. დრამატურგი ამ ფარულ მიზანს ყოველგვარი მაღალფარდოვანი ნიაღსვლებისა და ფილოსოფიური აქცენტების გარეშე აღწევს, ის ჩვეულებრივი ყოფის ფარგლებს არ სცილდება და თავის პერსონაჟებს, ერთი შეხედვით, სრულიად სადა, უბრალო და გასაგებ ამოცანებს უსახავს. ოჯახი ცდილობს დროზე დაასრულოს საახალწლო სამზადისი, რძალსა და დედამთილს შორის დროებითი ზავი მაინც ჩამოაგდოს და მშვიდად და ხალისით შეხვდეს სასიხარულო თარიღს. ბოლოსდაბოლოს, სადღესასწაულო მოლოდინით გამძაფრებული კონფლიქტების მოგვარებაც კი ხერხდება, ყველანი მაგიდასთან იკრიბებიან, თავად უხილავი პაპაც კი აქ არის, მარადიული მეკვლე, რომელიც უსასრულო განმეორების ჯაჭვს მიუძღვება — პაპა, შვილი, შვილიშვილი... პაპა, შვილი, შვილიშვილი... მაგრამ სიმშვიდე ისეთივე ხანმოკლე გამოდგება, როგორც დღესაწაულის მოუხელთებელი წამი, დროებითი ჰარმონია ირღვევა და პიესა თითქოს იმავე ტონალობასა და ვითარებაში სრულდება, რომელშიც დაიწყო.

ლიტერატურულ ასოციაციას უკვე მივმართე, ეხლა ერთ სპექტაკლსაც გავიხსენებ, კერძოდ, მიხეილ თუმანიშვილის მიერ დადგმულ უაილდერის „ჩვენს პატარა ქალაქს". ეს სპექტაკლიც ადამიანური და „ზეადამიანური" დროის შესახებ მოგვითხრობს, მაგრამ ამოცანის მისაღწევად უფრო იოლ ხერხს მიმართავს, პირველი ნაწილი „სიკვდილის" კარიბჭემდე მიგვაცილებს, მეორე კი იმ გარინდების მოწმედ გვხვდის, უკანასკნელ ზღურბლს გადაცდენილთ რომ ეუფლებათ. ნუგზარ შატაიძის რადიომინიატურა იმითაცაა ღირებული, რომ აქ ეს ორი მხარე კი არ იმიჯნება, არამედ ერთიანობაში წარმოგვიდგება და სიცოცხლის ერთი შეხედვით მარტივ თვალსაჩინო ციკლში უჩინრად „ინტეგრირდება". ყველაზე უმნიშვნელო საოჯახო დღესასწაულიც კი „სიცოცხლის აღსრულების" უდიდეს სირთულეზე მეტყველებს, თურმე რაოდენ გრძელია გზა სამზარეულოდან ოთახამდე, მაგიდიდან ფანჯრამდე, დედიდან შვილამდე, რძლიდან დედამთილამდე... რამდენი ზღურბლის გადალახვა, რამდენი სამყაროს დაზავება, რამხელა ენერგიისა და სულიერი ძალის დახარჯვაა საჭირო იმისათვის, რომ სულ

მცირე შედეგს მიაღწიო — ოჯახის ხუთი ერთმანეთის მოყვარული წევრი ერთ მაგიდასთან დასვა სადღესასწაულო ვახშმის მისართმევად.

ოჯახურ თემასა და გარემოს ჩვენს თვალში რატომღაც დაკნინებული მნიშვნელობა ენიჭება, ოჯახი რა მოსატანია იქ, სადაც ბობოქარი ვნებები ღელავს და ეპოქალური საქმეები კეთდება. შატაიძის „მოკრძალებული" თემატიკა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ არ არსებობს არაფერი ოჯახზე უფრო რთული და გამოუცნობი. ოჯახი დროის წინააღმდეგობრივი ერთიანობის მოდელია, მასში თავმოყრილია ყველა ის შესაძლო კონფლიქტი და დაპირისპირება, რომლებიც შეიძლება ადამიანის წინაშე ცხოვრებაში აღმოცენდეს. ოჯახი ადამიანის სასიცოცხლო გამძლეობის დაუსაბამოდ განვრცობის, დაუოკებელი და ჯიუტი ჟინის დასტურია, სიცოცხლის სასრულობასთან შეგუებისა და მის უსასრულობაში სამუდამო დამკვიდრების ფორმაა. სწორედ ამიტომ, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ნებით თუ უნებლიედ, ოჯახის ყოველი წევრი ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს მარადისობის „გაცურების", „ბედის მოტყუებისა" და „მოხიბვლის" რიტუალში, რათა უმაღლესი პასუხისმგებლობის წამში ღირსეულად წარმოჩნდეს, კიდევ ერთი მიჯნა გადალახოს, კიდევ ერთ „განსაცდელს" გადაურჩეს და ოჯახური „ჰარმონიის" უხილავი იდუმალი მონმე მფარველად და მოკავშირედ აქციოს.

სადღესასწაულო რიტუალის აღსრულების ფონზე შესანიშნავად იკვეთება იმ პრინციპული დაპირისპირების მუდმივი მიზეზი, რომელ-ღედამთიელიანს რომ ეძახიან. აქ ჩვენ მხოლოდ ზნესა და ხასიათთან, ნაკლთან და ღირსებასთან როდი გვაქვს საქმე, აქ სიცოცხლის ყოველწუთიერი საკრალური მსახურებისთვის, მისი წარმართვისათვის ბრძოლა მიდის, რადგან ქალის ოჯახური ფუნქცია მხოლოდ ამ სარბიელზე ხორციელდება და მისი ადგილი ამ საქმინობისადმი მიმართებით განისაზღვრება — მოლოდინით, ფლობითა და გამოთხოვებით.

შატაიძის პიესა ჟანრის კანონებსაც ზედმიწევნით ზუსტად პასუხობს, მსმენელის წარმოსახვის გაცხოველების, მის სულიერ სამყაროში ძალდაუტანებელი შეღწევის თვისება აქვს. ნაცნობი ვითარება და მოქმედების ადგილი ადვილად ჩაგვრთავს თანაშემოქმედებისა და თანაგანცდის პროცესში და მსუბუქად გაუხსნის გზას იმ მოულოდნელ რეფლექსიას, ეს უხმაურო და ჩვეულებრივი ამბავი რომ აღძრავს.

მერი ინაძე

არგონავტთა თქმულება სტრაბონის გეოგრაფიაში

სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს სავსებით მიღებულია ის თვალსაზრისი, რომ არგონავტების შესახებ თქმულების უძველესსა და პირვანდელ ვერსიებში აისახა ბერძენ-აქეველთა მოგზაურობანი შავიზღვის სანაპიროებისაკენ. აღიარებულია ისიც, რომ ეს თქმულება ეგეოსური სამყაროსა და შავიზღვისპირეთს შორის რეალურად არსებულ ურთიერთობაზეა აღმოცენებული და მის უძველეს ვერსიებში ასახულია აქეველ ზღვაოსანთა მიერ პონტოს სანაპიროების ათვისების ის ეტაპი, როცა რეგულარული საზღვაო ვაჭრობისათვის ჯერ კიდევ არ იყო ნიადაგი მომზადებული და ბერძენთა კონტაქტები ადგილობრივ მოსახლეობასთან უმთავრესად ნადავლის მოპოვებაში — სიმდიდრის მოტაცებაში გამოიხატებოდა. ე.ი. როცა მათ ურთიერთობაში მეკობრეობა სჭარბობდა ვაჭრობას. ამაზე პირდაპირ მიუთითებს სტრაბონის გეოგრაფიაში დაცული მეტად საყურადღებო ცნობა, რომელიც ერატოსთენეს ეკუთვნის. ავტორი გვამცნობს, რომ „ძველი ხალხები ცურავდნენ ყაჩაღობის და ვაჭრობისათვის... როგორც იაზონი" (I.,3.2).[1]

აღნიშნულ ცნობასთან ერთად ყურადღებას იმსახურებს თუკიდიდეს გადმოცემაც, საიდანაც ირკვევა, რომ კრეტა-მიკენურ სამყაროში გარდატეხა მეკობრეობიდან ვაჭრობაზე გადასვლის თვალსაზრისით მოხდა მეფე მინოსის დროს. კრეტის **მბრძანებელმა** ააგო ფლოტი და განმინდა ზღვა მეკობრეთაგან, რის შედეგად გაძლიერდა კავშირები ხალხთა შორის. ჯერ კიდევ სტრაბონი ძალზე რეალურად აგვიწერს იმ ქვეყნის სიმდიდრეს, სადაც მივიდნენ არგონავტები, ასევე იმ მიზეზებს, რისთვისაც ისინი იაზონის წინამძღოლობით ეწვივნენ ამ ქვეყანას.

„გრძნეული მედეას შესახებ მოგვითხრობენ — აღნიშნავს გეოგრაფოსი — და იმ ქვეყნის სიმდიდრეზე, რომელიც ოქროს, ვერცხლის, რკინისა და (სპილენძისაგან) შედგება, რაც იყო მიზეზი ლაშქრობისა, რისთვისაც ჯერ ფრიქსემ მოაწყო თავისი მგზავრობა", შემდეგ იაზონმა (1,2, 29)[3]. მიუხედავად იმისა, რომ აქეველთა მისვლას ოქროსსაწმისიან ქვეყანაში სავსებით რეალური საფუძველი უდევს და მასში მართლაც გარკვეული სინამდვილის შემცველი ამბებია აღბეჭდილი, სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი აზრი იმ ქვეყნის ადგილმდებარეობის შესახებ, რომელიც წარმოადგენდა არგონავტთა ლაშქრობის თავდაპირველ ობიექტს.

ზოგიერთი მკვლევარი, რომელიც ძირითადად სტრაბონის ცნობებს და ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილ გვიანბრინჯაოს ხანის ბრწყინვალე კოლხური კულტურის ძეგლებს ემყარება, ცდილობს დაამტკიცოს, რომ არგონავტები სრუტეების გამოვლის შემდეგ სამხრეთ შავიზღვისპირეთის გასწვრივ ცურვით პირდაპირ მდინარე ფაზის-რიონის შესართავს მოადგნენ. და ამდენად ოქროს საწმისისათვის არგონავტების ლაშქრობის თქმულებაში აიეტის ქვეყნის სახით აისახა დღევანდელი კოლხეთის დაბლობზე თი-

თქოს ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში შექმნილი პოლიტიკური გაერთიანება.

ზოგი მკვლევარი არგონავტთა თავდაპირველ სალაშქრო ქვეყნად მიიჩნევს კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს და მის მიმდებარე რეგიონებს, სადაც ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი საუკუნეებისათვის მდ. ჭოროხის აუზის მეტალურგიული კერის ბაზაზე ჩამოყალიბდა ქართველ ტომთა (ასურულ და ურარტულ წარწერებში კულხად, ანუ კოლხად წოდებული), ძლიერი სახელმწიფოებრივი გაერთიანება. მკვლევართა ერთი ნაწილი ოქროსსაწმისიან ქვეყანას ცენტრალური ანატოლიის ჩრდილოეთ რაიონში ვარაუდობს. ამას თითქოს კარგად ეხმაურება ის გარემოებაც, რომ მდინარე ჰალისი ოქროთი მდიდარ მდინარედ ითვლებოდა, ხოლო ოქროს საწმისი ოქროს სიმბოლურ გამოხატულებად იყო მიჩნეული. ამასთან ითვალისწინებენ იმასაც, რომ წინახეთურ, ხათურ ტრადიციებს შორის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ცხვრის ან თხის ტყავის კულტი, რომელიც მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა ხათურ ვეგეტაციურ ქალღმერთ ინარასთან, ხოლო ხეთების სამეფოს მფარველი წმინდა ცხვრის ტყავის ცენტრალურ ანატოლიური იდეა, მიკენურ-ბერძნულ სამყაროში ოქროს საწმისის სახით იყო წარმოდგენილი. აქ ოქროს საწმისი თვით პელოპონესურ პელოპიდთა სამეფოს განასახიერებდა. ამრიგად, ჯერ კიდევ მიკენურ-ბერძნული და მცირეაზიური მოსახლეობის უძველეს წარმოდგენებში საწმისი სიმბოლოა ძლიერების და ნაყოფიერების.[4]

სპეციალური ლიტერატურის ეს მოკლე მიმოხილვაც ნათელჰყოფს, რომ ყველა ზემოთ მოტანილი მოსაზრების ავტორი თუმც ოქროსსაწმისიან ქვეყანას შავიზღვისპირეთში ვარაუდობს, მაგრამ საკითხი იმის შესახებ თუ პონტოს რომელ მონაკვეთში მდებარეობდა აიეტის სამფლობელო, სადაც მივიდნენ პირველი ეგეიდელი ზღვაოსნები (თესალიელი იაზონი და მისი თანამგზავრნი), ჯერ კიდევ კვლევა-ძიებას მოითხოვს. ამისათვის საჭიროა კიდევ ერთხელ გადავხედოთ იმ წყაროებს, რომელნიც არგონავტთა ლაშქრობის თემას ეხებიან.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეპიკური არგონავტიკის უძველეს ვერსიაში, რომლის ცალკეული ფრაგმენტები ჰომეროსის „ოდისეაშია" შემონახული, არგონავტთა სალაშქრო ქვეყნად ანუ აიეტის სამფლობელოდ კოლხეთი არ არის დასახელებული. ჰომეროსი იხსენიებს მარტოოდენ „ყველასათვის სანუკვარ" ხომალდს „არგო"-ს და აიაიას კუნძულს,... „სადაც ჰელიოსი აღმოსვლას იწყებს" (XII, 1-4; XII, 59-72)[5]. აქედან ჩანს, რომ ამ კუნძულს პოეტი აღმოსავლეთში გულისხმობს. კუნძული აიაია იხსენიება პოემის სხვა ადგილებშიც, მაგრამ უკვე როგორც მრისხანე აიეტის ღვიძლი დის, მშვენიერკულულებიანი ღმერთქალის, ენატკბილი და გრძნეული კირკეს სამყოფელი (X, 135-139)[6].

არგონავტთა სალაშქრო ქვეყნის თავდაპირველი ადგილმდებარეობის დადგენის თვალსაზრისით ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ ამ საკითხის შესახებ ბერძენ მწერალთა შორის ადრიდანვე არ არსებობდა ერთსულოვნება. და თუმც სტრაბონი ირწმუნება, თითქოს ჰომეროსიდან მოყოლებული ყველა ბერძენი ავტორი იაზონის სალაშქრო ქვეყანას ფაზისთან მიუთითებდა, მაგრამ როგორც იმავე სტრაბონის „გეოგრაფიიდან" ირკვევა ეს საკითხი ბერძნულ სამყაროში ხანგრძლივი დროის მანძილზე მუდმივი განსჯის საგნად იყო ქცეული.

ძველი ბერძენი ლირიკოსი პოეტი მემნერმე (ძვ. წ. VII-VI), ისევე როგორც ჰომეროსი, აიეტის სამყოფელს აღმოსავლეთით, დასახლებული სამყაროს საზღვრებს იქით, ოკე-

ანეში ათავსებდა და ამტკიცებდა, რომ პელიასმა სწორედ იქ გაგზავნა იაზონი საწმისის მოსაპოვებლად.[7]

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შემდგომი შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ძვ. წ. III-II სს-ის მოღვაწის დემეტრიოს სკეფსისელის კრიტიკულ შეხედულებებს არგონავტთა თქმულების შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი შენიშვნა, რომლის თანახმად, ჰომეროსისთვის სრულიად უცნობი იყო იაზონის ფაზისში მოგზაურობა (I,2,38). დემეტრიოსის შეხედულებასთან ერთად დიდ ინტერესს იწვევს ძვ.წ. IIIს-ის ცნობილი ალექსანდრიელი გეოგრაფოსის და ქრონოგრაფის ერატოსთენე კვირენელის მოსაზრებები არგონავტთა ლაშქრობის ობიექტის თაობაზე. ერატოსთენე უნდობლად ეკიდება ამ ცნობებს, რადგან, მისი მტკიცებით, ჰომეროსის დროს არ არსებობდა ზუსტი და კონკრეტული მონაცემები ევქსინის პონტოს გასნვრივ მდებარე შორეული ქვეყნების შესახებ (1,3,2).

ერატოსთენეს სკეპტიკურ დამოკიდებულებას ჰომეროსის გეოგრაფიული ცოდნის სიზუსტისადმი იზიარებდა ერატოსთენეს სკოლის წარმომადგენელი, ძვ. წ. I ს-ის ცნობილი ისტორიკოსი აპოლოდორე. ერასტოთენეს მსგავსად, აპოლოდორეც აღნიშნავდა, პოეტს არ ჰქონდა კონკრეტული წარმოდგენა შავი ზღვის შორეულ სანაპიროზე არსებულ ქვეყნებსა და მდინარეებზე-ო (სტრაბონი, XII, 3,26).

სტრაბონი, რომელსაც ხელთ ჰქონდა ჰომეროსის პოემების და არგონავტთა თქმულებების ირგვლივ საუკუნეთა მანძილზე შექმნილი ლიტერატურა და კარგად იცნობდა მათ კრიტიკულ შეფასებას, თუმც არ სცნობდა ზემოდასახელებულ ავტორთა შეხედულებებს, მაგრამ მაინც საჭიროდ მიიჩნევდა თავის „გეოგრაფიაში" დიდი ადგილი დაეთმო მათი მიმოხილვისათვის. ამიტომ, ბუნებრივია, ამ შეხედულებების გაცნობასთან ერთად მის წინაშეც დასმულიყო და დაისვა კიდეც საკითხი, თუ რა იყო ჰომეროსის პოემებში რეალური და რა მითიური. მისი გეოგრაფიის I თავიდან ნათლად ჩანს, რომ, ერთი მხრივ, ის ბრმად ენდობა ჰომეროსის ავტორიტეტს და ცდილობს დაასაბუთოს ფაზისის შესართავთან მდებარე კოლხეთში თავიდანვე იაზონის მოსვლის რეალურობა (იგი წერს: „...ფაზისში მგზავრობა სარწმუნოა... ვფიცავ ზევსს, რომ ნამდვილად იყო ეს შორეული მოგზაურობა... აიას ხომ მიუთითებენ ქალაქ ფაზისთან, ხოლო აიეტი სარწმუნოა, რომ კოლხიდაში მეფობდა... იქაურებში ეს სახელი ადგილობრივია..." (I,2,39)[8]. მეორე მხრივ, სტრაბონი იძულებულია სცნოს ის გარემოება, რომ ჰომეროსს მართლაც ხელთ არ ჰქონდა საჭირო მონაცემები პონტოს შორეულ სანაპიროებზე არსებული პუნქტებისა და ქვეყნების შესახებ, რის გამო თავის პოემებში რეალური სინამდვილის ამსახველ ფაქტებს ის ზოგჯერ ურთავს მითიურ ეპიზოდებს. სტრაბონის სიტყვით, ამას მოწმობს პოეტის მიერ აიეტის სამფლობელო ქვეყნის ოკეანეში გადატანა და სხვ.

„ჰომეროსმა — გვამცნობს სტრაბონი — ყველაფერი თვითონ არ გამოიგონა, არამედ მოისმინა მრავალი საყოველთაოდ ცნობილი მოთხრობა და თვითონ დაუმატა მანძილთა სიგრძე და (მოქმედების)ადგილები" (V,2,6)[9].

ამრიგად, სტრაბონის მიხედვით, არგონავტების ლაშქრობის თქმულებაში ადრიდანვე რეალური მჭიდროდ ერწყმოდა მითიურ ამბავს და თუმც ეჭვს არ უნდა იწვევდეს დასაბამითგან ამ თქმულების კავშირი პონტოსპირეთთან, მაგრამ ჰომეროსის მიერ აიეტის სამფლობელო ქვეყნის ოკეანეში გადატანა და მით უფრო „ოდისეაში" კოლხეთის და ფაზისის სახელების მოუხსენებლობა,

ჩვენი აზრით, არ გვაძლევს უფლებას სარწმუნოდ მივიჩნიოთ სტრაბონის მიერ ოქროსსაწმისიანი ქვეყნის თავდაპირველი ადგილმდებარეობის მაინცდამაინც მდინარე ფაზისთან ლოკალიზება.

ეხლა თუ დავუბრუნდებით სტრაბონის დასკვნას, რომლის მიხედვით არგონავტთა „სალაშქრო" ქვეყნის მოთავსება შორეულ მხარეში, ოკეანეში თვით ჰომეროსის მიერ გამოყენებული მხატვრული ხერხის ნაყოფია („რეალურ მონათხრობს მან დაუმატა მანძილთა სიგრძე და მოქმედება შორეულ მხარეში გადაიტანა"), მაშინ ჩვენ საფუძველი გვაქვს ისიც ვიფიქროთ, რომ არგონავტთა (ანუ სინამდვილეში თესალიიდან და ბეოტიიდან წამოსულ ზღვაოსანთა) მიერ სიმდიდრის (ძვირფასი ლითონის) მოპოვების მიზნით შავიზღვისპირეთში მოწყობილი ექსპედიციის თავდაპირველი ობიექტი მაინცდამაინც დიდი მანძილით არ უნდა ყოფილიყო დაშორებული პონტოში შემოსასვლელ სრუტეებს.

ამ დასკვნას თითქოს მხარს უჭერს სტრაბონთან შემონახული კიდევ ერთი გადმოცემა, რომელიც ძველი წყაროებიდან უნდა მომდინარეობდეს. სტრაბონი გვაუწყებს: „ამბობენ, რომ ბევრი საბუთი არის იაზონის ლაშქრობისაც და ფრიქსეს (ლაშქრობისაც) სინოპთან და მის სანაპიროზე" (I, 2,39)[10]. ძნელია თქმა, თუ რა უნდა იგულისხმებოდეს იაზონის მიერ სინოპეს სანაპიროსთან დატოვებულ „ბევრ საბუთში", მაგრამ ერთი რამ უდავოა — ამ გადმოცემაში ასახვა ჰპოვა პონტოს სამხრეთი სანაპიროს ცენტრალურ ნაწილში თესალიელ ზღვაოსანთა საქმიანობამ. ხოლო ამავე გადმოცემაში ფრიქსეს ხსენება შესაძლებელს ხდის ამ მხარეში თესალიელებთან ერთად ვივარაუდოთ ასევე ორქომენელ ბეოტიელთა მოღვაწეობაც (საგულისხმოა, რომ ტრადიციის მიხედვით ბეოტიელები და თესალიელები უფრო მოგვიანო ხანაშიც ახორციელებდნენ თავის სავაჭრო-საკოლონიზაციო პრაქტიკას შავიზღვისპირეთის ამ რეგიონში). (ამის შესახებ ქვემოთ).

სამხრეთ შავიზღვისპირეთის ცენტრალური ნაწილის, სახელდობრ სინოპეს მახლობლად მდებარე მიწების ათვისებაში ორქომენელ ბეოტიელთა მონაწილეობას შესაძლოა მიანიშნებდეს ჰომეროსის ილიადაში მდინარე პართენიოსის აღმოსავლეთით ადგილ კიტოროსის ხსენება (Ilias, II, 851-857). სტრაბონის გადმოცემით, „კიტორონი (იგივე კიტოროსი — მ.ი.) ოდესღაც სინოპელთა სავაჭრო ადგილი იყო. ხოლო სახელი ეწოდა მას კიტოროსისაგან, ფრიქსეს შვილისაგან, როგორც ეფორე ამბობს" (XII, 3,10)[11].

ჰომეროსისა და სტრაბონის ზემოთ მოტანილი ცნობები სავარაუდოს ხდის ბეოტიელთა მიერ ადრიდანვე მოსახერხებელი სანავსადგურო პუნქტის (კიტორონის) შექმნას მერმინდელი სინოპეს მახლობლად, რაც თავის მხრივ უნდა მოასწავებდეს სამხრეთ შავიზღვისპირეთის ცენტრალურ ნაწილში აქეველ ზღვაოსანთა შორის ბეოტიელთა საქმიანობასაც.

სტრაბონის ზემოთ განხილული ცნობა საგულისხმოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ცნობა კიტოროსის შესახებ მას გადმოუღია ცნობილი ისტორიკოსის ეფორესაგან. და რაც განსაკუთრებით საინტერესოა-ეფორესგანვე მომდინარეობს გადმოცემა მოგვიანო ხანაში სამხრეთ შავიზღვისპირეთში ბეოტიელთა საკოლონიზაციო აქტიურობის შესახებ. მხედველობაში გვაქვს ბეოტიელთა მიერ მეგარელთა თაოსნობით ქალაქ ჰერაკლეას დაარსება (Ephor., fr.446). ბეოტიელებს და მეგარელებს მიაწერდა ამ ქალაქის დაფუძნებას ფსევდო-სკიმნოსიც (973), რომელიც თავის „დედამიწისაღწერილობაში" ხშირად მიმართავდა ეფორეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ჰერაკლეის დამაარსებლად ბეოტიელებს ასახე-

ლებს იუსტინეც (Just., XVI, 3), ხოლო სტეფანე ბიზანტიელი იხსენიებს ბეოტიელთა წინამძღოლს პანელოსსაც (Steph.Byz., s. Hrakleia)

როგორც ზემოთ აღინიშნა, სტრაბონის ცნობების შუქზე სამხრეთ შავიზღვისპირეთის ცენტრალურ ნაწილში ბეოტიელთა მოღვაწეობასთან ერთად ადრიდანვე ნათლად იკვეთება ამ ადგილებში დამკვიდრების თესალიელთა აქტიური მცდელობაც. ამ საქმიანობაში ისინი დიდ წარმატებას აღწევენ. სტრაბონი გვამცნობს: „ჩანს, რომ (ავტოლიკე) (წარმოშობით თესალიელი — მ.ი.) იმათგანი იყო, ვინც იაზონთან ერთად მოგზაურობდა და მან დაიპყრო ეს ადგილი" (XII,3,II).[12] ამ ცნობის მიხედვით ავტოლიკე იაზონის ერთ-ერთი თანამგზავრია, ე.ი. ერთ-ერთი იმ პირველ აქეველთაგანია, ვინც დასაყრდენი პუნქტი შექმნა სამხრეთ შავიზღვისპირეთის ცენტრალურ ნაწილში და დაეუფლა ამ მიწას. სტრაბონის ცნობიდან ისიც კარგად ჩანს, რომ აქეველთა მიერ ამ ტერიტორიის დაკავების პროცესი მშვიდობიანი გზით არ მიმდინარეობდა. ამასვე გვაუწყებს ფსევდო-სკიმნოსი, რომელიც ამ შემთხვევაში იმავე ეფორეს უნდა ემყარებოდეს.

მიზიელების და ფრიგიელების შემდეგ, გვამცნობს ფსევდო-სკიმნოსი, არის ქალაქი სინოპე... (ამაძონთა) მახლობლად გამაგრებული ადგილი. ამ (ქალაქში) ოდესღაც ცხოვრობდნენ კეთილშობილი სირიელები, ხოლო ამის შემდეგ, როგორც ამბობენ, ელინთაგან (ცხოვრობდნენ) ისინი, ვინც ამაძონებზე გადაიარეს (ე.ი. ილაშქრეს — მ.ი.). (ესენი იყვნენ) ავტოლიკოსი და ფლოგიუსი დეილენტონთან ერთად, რომლებიც თესალიელები არიან" (Ps. — Scymn., 940 — 946)[13].

მართალია ფსევდო-სკიმნოსი თესალიელებს გვიხატავს როგორც ნახევრადლეგენდარულ გმირებს, მაგრამ ცნობილია, რომ თესალიელებს და მათ წინამძღოლ ავტოლიკეს სინოპელები ქალაქის საკუთრებით რეალურ დამაარსებლებად მიიჩნევდნენ. აქ არსებობდა ავტოლიკეს კულტი და სამისნე (Str., XII, 3, 11; Plut. Luc., 23; App., Mithr., 83 და სხვ.), მისი სტატუარული გამოსახულება, შესრულებული ძვ. წ. IV ს-ის ცნობილი ბერძენი მოქანდაკის სფენიდეს მიერ, სინოპელთა სასწაულმოქმედ სალოცავად ითვლებოდა[14]. სინოპეში შემორჩა აგრეთვე ავტოლიკეს ერთ-ერთი თანამგზავრის — ფლოგიუსის კულტის არსებობის დამადასტურებელი წარწერა. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს სინოპეში მილეტელ მოახალშენეთა მოსვლამდე (ძვ.წ. 631 წ.) დიდი ხნით ადრე ირგვლივ მდებარე ტერიტორიაზე თესალიელთა ძლიერი გავლენის გავრცელებას. ხოლო ყველა ზემოთ განხილული ცნობა გვარწმუნებს ჩვენთვის საინტერესო ადგილებში აქეური პერიოდიდან ადრეანტიკურ ხანამდე (გარკვეული ინტერვალებით) თესალიელთა და ბეოტიელთა ერთობლივ საქმიანობას, რაც აისახება კიდეც ბერძნულ მწერლობაში შემონახულ გაბმულ (თითქმის უწყვეტ) საისტორიო ტრადიციაში. ჩვენი ვარაუდით, მთელი ამ ხნის მანძილზე თავიანთი ძლიერი ფლოტით მათ პარტნიორობას უწევდნენ იმდროინდელ მსოფლიოში ლითონის ძიებით სახელგანთქმული ეოლიელი ზღვაოსნები. ამის ნათელი დადასტურებაა არქაულ ხანაში სინოპეს აღმოსავლეთით ქალაქ კარუსას წარმოქმნა (ამ ქალაქის ეოლიურ წარმომავლობაზე მიუთითებს მისი სახელწოდების ჩრდილო-დასავლეთ მცირეაზიური დაბოლოება — ssa), ხოლო კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთით იმავე ეოლიელთა მიერ გამაგრებული ადგილების სიდას და ჰერმონასას დაფუძნება.

არგონავტთა (აქეველთა) მიერ თავდაპირველად სრუტეებთან შედარებით ახლოს მდებარე სამხრეთ შავიზღვისპირეთის ათვისების უტყუა-

რი მოწმობაა ის ფაქტიც, რომ საუკუნეთა მანძილზე ძველი სამყაროს ცენტრების ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობანი კოლხეთთან ხორციელდებოდა სამხრეთ პონტოს-პირეთში ამ ცენტრების მიერ დასაყრდენი პუნქტების შექმნის გზით. მათ შორის კი ყოველთვის გამორჩეული ადგილი ეჭირა სინოპეს [15].

აქეველთა მიერ სამხრეთ პონტოს-პირეთში თავიდანვე ფეხის მოკიდება სავსებით კანონზომიერი ჩანს იმ მხრივაც, რომ ბუნებრივი რესურსებით მდიდარი იყო არა მხოლოდ შორეული კოლხეთი, არამედ ჩრდილოეთ ანატოლიის ცენტრალური და აღმოსავლეთი ნაწილიც.

მიკენურ საბერძნეთსა და ანატოლიის ამ ნაწილს შორის კონტაქტების არსებობას ადასტურებს არქეოლოგიური მასალაც,[16] რაც თავის მხრივ ცხადყოფს ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებიდან სამხრეთ შავიზღვისპირეთისადმი ეგეოსური სამყაროს მზარდ ინტერესს. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, ამ ინტერესების უმთავრეს ობიექტს წარმოადგენდა ცენტრალური ანატოლიის უნიკალური სიმდიდრე ლითონის წიაღისეულით (აქ არსებული სპილენძის, ვერცხლის, ოქროს საბადოებით) და ასევე მაღალი დონის ბრინჯაოს და რკინის პროდუქციით.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ იაზონის ლაშქრობა ზღვისიქითა ქვეყანაში მხატვრული განსახიერებაა აქეველ ზღვაოსან-მეკობრეთა ერთ-ერთი პირველი ექსპედიციისა, რომელმაც შესძლო პონტოში შემოსასვლელი სრუტეების გამოვლა (მითის მიხედვით, აქ არსებული უზარმაზარი მოძრავი კლდეების ე.წ. სიმპლეგადებისაგან თავის დაღწევა)[17] და შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს ცენტრალურ ნაწილში ადგილობრივ მოსახლეობასთან ბრძოლით მიწისა და აქ არსებულ ბუნებრივ სიმდიდრეთა მოპოვება. ამიერიდან პონტოს შორეული და უცნობი ნაპირებისაკენ მისასვლელი გზა ეგეიდელ ზღვაოსანთათვის უკვე გაკვალული იყო.

ყველა ზემოაღნიშნული გარემოებანი ოქროს საწმისის იდეის წინახეთური, ხათური წარმომავლობის ფაქტებთან ერთად, იმაზე მიგვანიშნებს, რომ აქეველი ბერძნები შორეულ კოლხეთს მხოლოდ ჩრდილოეთ ანატოლიაში დასაყრდენი პუნქტების შექმნის შემდეგ გაეცვნენ. არგონავტთა ლაშქრობის ჩრდილო ანატოლიური ლოკალიზაციის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ისიც, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, არგონავტთა მითის უძველესი ბირთვი ტროის ომის წინამორბედ ხანაში (ე.ი. მიკენურ პერიოდში) უნდა იყოს შექმნილი, ამ დროს კი მცირე აზიაში ძლიერი იყო ხეთური სახელმწიფოებრიობა, ამასთან აქ ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო წინახეთური, ხათური კულტურული ტრადიციები. ამდენად სავსებით შესაძლებელია, რომ არგონავტების თქმულების ადრეული პლასტი ხეთურ სამყაროს უკავშირდებოდეს.[18]

ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ ოქროს საწმისის იდეამ ადრე მოიკიდა ფეხი დასავლურ-ქართულ სამყაროშიც, რომელსაც ძველთაგანვე (განსაკუთრებით ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებიდან) მჭიდრო კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილოეთ ანატოლიის მოსახლეობასთან. წარმოდგენა წმინდა ხეზე ჩამოკიდებული საწმისის შესახებ შემონახულია სვანურ დღესასწაულებშიც. ამ მხრივ ჩვენ საყურადღებოდ გვეჩვენება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებაც საწმისის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვის Koas -ის (უძველესი ფორმა Kov) ტყავის ქართველურ ტყავ სიტყვიდან წარმომავლობის შესახებ (დასავლურ-ქართველ-ზანური ტყოუ-ტკოვ). ამ დაკვირვებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ოქროსსაწმისიანი ქვე-

ყნის დასავლურ-ქართულ სამყაროსთან დაკავშირებისათვის. ამასთან ძველბერძნულ სამყაროს და დასავლურ-ქართველურ ტომთა შორის ადრეული კონტაქტების დადგენის თვალსაზრისითაც [19].

ქართველი ტომები, განსახლებულნი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ადრიდანვე მჭიდრო კავშირში აღმოჩნდნენ ანატოლიის მოსახლეობასთან. თუ გავითვალისწინებთ სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის გამორჩეულ სიმდიდრეს ლითონით და აქ, ჭოროხის აუზში ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებიდან ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების მაღალ დონეს, სავსებით რეალური ჩანს ვიფიქროთ, რომ ამ რეგიონმა საკმაოდ ადრე მიიქცია ბერძენ ზღვაოსანთა (თესალიელ-აქეველთა) ყურადღება. მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ამავე ხანებში აქ ფართოდ განფენილ დასავლურ-ქართველურ ტომთა სოციალურ-ეკონომიკური დაწინაურება და მათ მიერ კულხას ძლიერი პოლიტიკური გაერთიანების შექმნა[20], რასაც მნიშვნელოვნად აჩქარებს ირგვლივ მოსახლე სახელმწიფოებრივი ტრადიციების მატარებელ ხალხებთან მეზობლობა, მათთან მუდმივი ურთიერთობა. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ძვ.წ. 1160-1050 წწ. ეგეოსელ ზღვაოსნებსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ურთიერთობაში იწყება ახალი ე.წ. სუბმიკენური ხანა. ამ დროს ეგეოსელმა ზღვაოსნებმა მიაღწიეს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებს. ერთ-ერთი მთავარი პროდუქტი, რომელიც ჭოროხის აუზის და მის ჩრდილოეთით არსებული მეტალურგიული კერებიდან შეიძლებოდა გაეტანათ ეგეოსელ ზღვაოსნებს იყო სპილენძის ზოდები და სეგმენტისებური იარაღი. ორივე ამ ნაწარმის შემცველი განძები უხვად არის აღმოჩენილი აღნიშნულ ტერიტორიაზე (ართვინის, ზენითის, ციხისძირის, ჩაქვის და სხვა განძები). ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან სპილენძის ზოდების და სეგმენტისებრი იარაღის შემცველი მრავალრიცხოვანი განძები ჩნდება მდინარე რიონის ჩრდილოეთითაც, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ეს ზოდები თითქმის უცვლელი სახით არის მოხვედრილი განძებში, რაც უფრო დამაჯერებელს ხდის ვარაუდს მათი საექსპორტო დანიშნულების შესახებ. როგორც არქეოლოგიური ფაქტებიდან შეიძლება დავასკვნათ, სპილენძის სანაცვლოდ ეგეოსელ ზღვაოსან-ვაჭრებს ჭოროხის აუზში უთუოდ შემოჰქონდათ კალა, რომელიც კოლხეთში ძალზე მცირე რაოდენობით მოიპოვებოდა. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კოლხეთში კალა გაცილებით უფრო ხელმისაწვდომი ხდება სწორედ ე.წ. სუბმიკენურ ხანაში (ძვ.წ. XI სს.), როდესაც მოსახლეობაში საყოველთაო გავრცელებას ჰპოვებს კალიანი ბრინჯაოს სხმულები. [21]

ზემოთ აღნიშნული გარემოებანი სავარაუდოს ხდის არგონავტების მითის ოქროსსაწმისიანი ქვეყნის დაკავშირებას სამხრეთ-დასავლეთ კოლხურ სამყაროსთან ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებიდან მაინც. ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღებულ ხანაში ბერძენ ზღვაოსან-ვაჭართა ეკონომიკური ინტერესები სულ უფრო აღმოსავლეთისაკენ ინაცვლებენ, რის შედეგად, მნიშვნელოვნად ფართოვდება მათი გეოგრაფიული ჰორიზონტი და წარმოდგენები ამ სამყაროს შესახებ. ამისდაკვალად აღმოსავლეთისაკენ ინაცვლებს ძველბერძენთა წარმოდგენაც არგონავტთა სალაშქრო-ლითონით მდიდარ მხარეზე. ამითვე უნდა აიხსნას მითში გარკვეული გეოგრაფიული და კულტურულ-ისტორიული ხასიათის ცვლილებების შეტანა და თქმულების ადრინდელი ბირთვის შევსება ახალი პლასტებით.

ეგეოსელ ზღვაოსანთა მიერ სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის ახლოს გაცნობის და მათ შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარების შედეგად არგონავტების თქმულებაში ახალი პლასტების წარმოქმნას შეიძლება უკავშირდებოდეს სტრაბონის „გეოგრაფიაში" დაცული ერატოსთენეს ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ იაზონმა „დატოვა ხომალდები და კოლხებიდან არმენიასა და მიდიამდე ფეხით ილაშქრა" (1,3,2). „ეს ცნობა-წერს ო. ლორთქიფანიძე — როგორც ჩანს, მომდინარეობს იმ უძველესი ვითარების ამსახველი ტრადიციიდან, როდესაც კოლხეთი იგულისხმებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ჭოროხის აუზში, საიდანაც მართლაა შესაძლებელი „არმენიაში და მიდიაში" პირდაპირ გადასვლა".[22] და მაინც ახალი პლასტების გაჩენის თვალსაზრისით არგონავტთა თქმულებას ყველაზე არსებითი გადამუშავება უნდა განეცადა ძვ.წ. VIIIს-ის მეორე ნახევარში, როდესაც ბერძნული სამყაროსათვის ცნობილი გახდა მდინარე ფაზისის და კოლხეთის სახელწოდებები.

მდინარეებს ფაზისს და რესოსს (რიონის ზემო წელს) მსოფლიოში ცნობილ მდინარეთა შორის პირველად ასახელებს ძვ. ნ. VIII ს-ის მეორე ნახევრის დიდი ეპიკოსი პოეტი ჰესიოდე თავის პოემაში — „თეოგონია", ხოლო „კოლხეთის მინის" შესახებ პირველად გვაუწყებს თავის „კორინთიაკაში" ძვ.ნ. VIII ს-ის ეპიკოსი პოეტი ევმელოს კორინთელი.

ძვ.ნ. VIII ს-დან ჰესიოდეს და ევმელოსის ნაწარმოებებში ფაზისის და კოლხეთის შესახებ ცნობების გაჩენა სავსებით კანონზომიერია თუ გავითვალისწინებთ სწორედ აღებული ხანიდან შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპიროს და კოლხეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა ინტენსიურ ათვისებას მცირე აზიიდან მოსულ ლითონისმაძიებელ ეოლიელ ზღვაოსან-ვაჭართა და მათი პარტნიორების (თესალიელების, ბეოტიელების, შესაძლებელია არკადიელთა მიერ)[23]. როგორც ზემოთ ითქვა, სამხრეთ კოლხეთში ამ ზღვაოსან ვაჭართა შეღწევას ძირითადად საფუძველი მოუმზადა ეოლიელთა მიერ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მთელი რიგი გამაგრებული სამოსახლოების (კარუხა, სიდა, ჰერმონასა და სხვ.) დაფუძნებამ; მაგრამ, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, უთუოდ იმავე ეოლიელთა ინიციატივით, ასევე სიდად წოდებული სავაჭრო პუნქტის (ფაქტორიის) დაარსება ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში (დღევანდელი გალის სამხრეთით, მისგან 10-15 კმ დაშორებით). ყველაფერ ამას მოჰყვა დასახელებული რეგიონების ჩართვა მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში და აქედან უცხოეთის ბაზრებზე დიდი რაოდენობით ლითონის, განსაკუთრებით რკინის გატანა. ამიერიდან კოლხეთი ცნობილი ხდება მთელ იმდროინდელ სამყაროში ლითონისსპილენძის, რკინის, ანთიმონის, ოქროს სიმრავლით.

უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ რაჭაში, კერძოდ ბრილის სამაროვნის ადრეანტიკურ კომპლექსში ჩნდება უდიდესი რაოდენობით ეგვიპტური (ნავკრატისული) მძივები, ამფორისკები, სკარაბეები და სხვ., რის საფუძველზე დაასკვნიან, რომ აღნიშნულ პერიოდში და შესაძლოა რამდენადმე ადრეც, რაჭის სამთომეტალურგიული კერა გადის მსოფლიო ასპარეზზე... აღნიშნულია ის ნიშანდობლივი ფაქტიც, რომ ეგვიპტის ბრინჯაოს მეტალურგია ვითარდება ძირითადად იმპორტირებული მადნის ბაზაზე (ა. ლუკასი). ეგვიპტური ნაკეთობების ქიმიური ანალიზი აჩვენებს მათში სპილენძის მინარევების სახით ანთიმონის და დარიშხანის არსებობას, რაც სწორედ კავკასიური მადნებისთვისაა დამახასიათებელი.

აქედან გამომდინარე მკვლევარნი სავსებით დასაშვებად მიიჩნევენ ზოდების სახით კავკასიური მადნის გატანას სამხრეთით-საშუამავლო ცენტრების მიერ.[24] არ გამორიცხავენ პირდაპირ სავაჭრო-ეკონომიკურ კონტაქტებსაც. ჩვენი აზრით, ეს კავშირები უნდა განხორციელებულიყო ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში ბოლიელთა მიერ დაარსებული სავაჭრო ფაქტორიის სიდას მეშვეობით.

ძვ.წ. VIII ს-დან არგონავტთა თქმულების ოქროსსაწმისიანი ქვეყნის საბოლოოდ კოლხეთად გააზრებაში დიდი როლი უნდა შეესრულებინა ასევე რიონისპირეთსა და მის ჩრდილოეთ მიმდებარე ტერიტორიაზე შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას; სახელდობრ, ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრიდან სამხრეთით კოლხას პოლიტიკური გაერთიანების დაცემის [25] შემდეგ სოციალურად დაწინაურებულ კოლხთა სატომო ბირთვის გადმონაცვლებას რიონისპირეთსა და კავკასიონს შორის მდებარე ნაყოფიერი მხარისკენ და აქ, ამ მიწაზე კოლხთა თაოსნობით, სხვა დასავლურ — ქართველურ ტომებთან (ეგრებთან) ერთად ძლიერი წინასახელმწიფოებრივი ერთეულის შექმნას ცენტრით კვიტაია, (იგულისხმება ქუთაისი და მისი სანახები)[26].

ყოველივე ზემოაღნიშნული იმის მაუწყებელია, რომ ძვ. წ. VIII ს-ის დასასრულიდან არგონავტთა თქმულების ოქროსსაწმისიან ქვეყანაში უნდა იგულისხმებოდეს სწორედ ეს ოქროთი და სხვა ლითონით მდიდარი კავკასიონის სამხრეთ მთიანეთსა და ფაზისს შორის მდებარე წინასახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. ხოლო აიეტში კი ამ პოლიტიკური ერთეულის ძლიერი მბრძანებელი. ამრიგად, არგონავტთა თქმულების შესახებ ჩვენამდე მოღწეული წყაროების დაწვრილებითი შესწავლა გვარწმუნებს, რომ რეალურ-ისტორიულ ნიადაგზე აღმოცენებულ ამ თქმულებაში ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ დროთა და სხვადასხვა წარმომავლობის დანაშრეებია წარმოდგენილი; ნათლად წარმოჩნდა ისიც, რომ სამხრეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ათვისება ბერძენთა მიერ იყო ხანგრძლივი პროცესი, რომელიც მიკენურ ხანაში დაიწყო და მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი ეგეოსელ ზღვაოსანთა კოლხეთში შემოღწევით და მის მკვიდრ მოსახლეობასთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებით დასრულდა.

ბერძენთა მიერ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ახლოს გაცნობის შემდეგ ანტიკურ მწერლობაში მრავლად იქმნება ფაზისთან მდებარე კოლხეთში არგონავტების ლაშქრობის ამსახველი ნაწარმოებები, ხოლო იაზონის მიერ მედეას დახმარებით ოქროს საწმისის გატაცების ამბავი ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ თემად იქცევა ბერძენ-რომაელ ავტორთა შემოქმედებაში.

როგორც ცნობილია, ჩვენამდე მოღწეული პირველი ნაწარმოები, რომელშიც ვრცლად არის აღწერილი კოლხეთში არგონავტთა ლაშქრობის ამბავი, ეკუთვნის საგუნდო ლირიკის უდიდეს წარმომადგენელს — პინდარეს (522\518 — 442\433).

მხატვრულად იქნა გადამუშავებული არგონავტთა თქმულება სხვა ავტორთა, მათ შორის ესქილეს ტრაგედიაშიც „მედეა“. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ძვ. წ. III ს-ის პოეტის აპოლონიოს როდოსელის თხზულება, რომელიც მითის ეპიკურობასთან (ანუ ჰომეროსისებურად გააზრებასთან) ერთად უხვად არის დატვირთული რეალურ-ისტორიული ცნობებით, სახელდობრ, ძვ.წ. VII-VI სს-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მობინადრე მრავალი ტომის აღწერილობით და მათი ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული დეტალებით. საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ის გარემოებაც, რომ „არგონავტიკა“ ერთ-ერთი პირ-

ველი ნაწარმოებია, რომელმაც შემოგვინახა ცნობა აიეტის ქალაქ კვიტაიაზე; ეს ცნობაც, ისევე როგორც კოლხეთის მეზობლად მობინადრე ტომთა აღწერილობანი, ჩვენი დაკვირვებით VIII-VII სს-ს უნდა განეკუთვნებოდეს.

არგონავტების თქმულებაში ახალი გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობების შეტანასთან ერთად სახე იცვალა ასევე აიეტის ადრინდელი სამყოფელის — კუნძულ „აიაიას" ადგილმდებარეობამ. თავდაპირველი ვერსიების მიხედვით ქვეყნის კიდეში, შორეულ ოკეანეში მდებარე კუნძულიდან „აიაია" კოლხეთის ნაწილად, შემდეგ კი მის ქალაქად იქნა გააზრებული.

მაგრამ ზემოთქმულიდან გამომდინარე რამდენადმე საკამათოა აპოლონიოს როდოსელთან შემონახული რეალიების ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარიღება, როგორც ამას ვარაუდობს ზოგიერთი მკვლევარი. ძნელი წარმოსადგენია, რომ წყაროებში, რომლებითაც სარგებლობდა აპოლონიოსი, შემონახული ყოფილიყო ძვ.წ. II ათასწლეულის ვითარება, რადგან ჰომეროსთანაც კი აღწერილია მისი თანადროული თუ მასთან ახლო ხანის საბერძნეთის რეალური გარემო.

ამრიგად, წერილობითი წყაროების განხილვიდან ნათლად იკვეთება ის დასკვნა, რომ თუმც არგონავტთა თქმულების ძირითად ბირთვს ეგეოსეულ ზღვაოსანთა მოგზაურობას ოქროს საწმისიან ქვეყანაში — საკავე მიკენურ ხანაში უდევს, მაგრამ საუკუნეთა მანძილზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბერძნები ახლოს გაეცვნენ შავიზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს და კოლხეთს, თქმულებამ მნიშვნელოვანი სახეცვლილება განიცადა. ყოველივე ამის გამო, ვფიქრობთ, არ შეიძლება ჩვენამდე მოღწეულ მხატვრულად გადამუშავებულ გვიანდელ ვერსიებში (პინდარე, ევრიპიდე და სხვ.) წარმოდგენილი კოლხეთის კულტურულ-ისტორიული გარემო მთლიანად გადავიტანოთ იმ ეპოქაში (ჰომეროსის წინარე ხანაში), როდესაც იქმნებოდა არგონავტების თქმულების უძველესი ციკლი, თავდაპირველი მითი და გვიანდელ ვერსიებში წარმოდგენილი სურათი გავიაზროთ როგორც ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის ცენტრალურ კოლხეთში შექმნილი ვითარება.

შენიშვნები

1. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ.,1957, გვ. 74.
2. იხ. მ. ინაძე, სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთში, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, II, თბ., 1962, გვ. 84,85.
3. თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 70,71.
4. გრ. გიორგაძე, „საწმისი" ხეთურ წყაროებში და მისი ანტიკური პარალელები, თსუ შრომები, 227, თბ., 1982, გვ. 287-293; გ. ქავთარაძე, ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ., 1985, გვ. 33 და შემდ.
5. აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1967, გვ. 176,7.
6. იქვე, გვ. 174,5. ძველი მწერლების მიხედვით, გმირმა აიეტმაც თავისი სახელი აიადან მიიღო.
7. მემნერმე, ნანო, ფრაგ. 11. ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრ. , გვ. 201.
8. თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 70.
9. თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 97. თავის ნაშრომის მეორე ადგილას სტრაბონი იმასაც აღნიშნავს, რომ „ჰომეროსი ერთი მხრივ ეთანხმება ისტორიკოსებს, ხოლო მეორე მხრივ თვით უმატებს თავის მხრივ. ის ეთანხმება (ისტორიკოსებს), როდესაც სახელს სდებს აეტესს, იაზონს, ლაპარაკობს არგოსზე,როდესაც აჲასაგან აჲაჲეს თხზავს და... მედეას მიხედვით ჰქმნის ჯადოქარ კირკეს..." (1,2, 40; თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ.12).
10. თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 71.
11. თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 201.
12. თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 201.

13. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. I, 1967, გვ. 99.
14. **М.И. Максимова, Античные города Юго-Восточного Причерноморья, М.-Л., 1956. с.42.**
15. კოლხეთთან კონტაქტების დამყარებაში სინოპეს განსაკუთრებული როლის შესახებ იხ. ი. ბრაშინსკის სპეციალური ნაშრომი: **„Синопа и Колхида", Кавказско-Ближневосточный сборник, 1 У, Тбилиси, 1973.**
16. არქეოლოგიური მონაცემებიდან აღსანიშნავია უკანასკნელ ხანებში თურქ არქეოლოგ თ. იოზგუჩის მიერ მდ. იეშელირმაკის ხეობაში მდებარე ძეგლ მაშათში გამოვლენილი გვიანჰელადური III B პერიოდის მიკენური კერამიკა, რითაც ნანილობრივ მაინც მისაღები გახდა ძველ სამსუნში (ამისონში) ადრიდანვე მოპოვებული თანადროული მასალა. (**М.И. Максимова**, დასახ. ნაშრ., გვ. 41; იხ. გ. ქავთარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 32,33). ფრიად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აგრეთვე იმავე სამსუნის მახლობლად, აკ-ალანთან მიკენური კერამიკის აღმოჩენის ფაქტი.
17. აპოლოდორე, ბიბლიოთეკა, წ. I, თ. VIII, 22, აკ. ურუშაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 358, 359.
18. გ. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.
19. თ. გამყრელიძე, ინდოევროპელები, ქართველები, სემიტები, „მნათობი" №6, 1984 წ., გვ. 151.
20. გ. მელიქიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 371-373.
21. კალას იღებდნენ მეზობელი ირანიდან და შორეული ხმელთაშუა ზღვისპირეთიდან (გ. გობეჯიშვილი, გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 244-5). ამრიგად, ნათელია, რომ მეტალმომპოვებელი სამუშაოების მკვეთრი აღმავლობის ფონზე სპილენძის მადანი ხდება შორეული ექსპორტის საგანი (მ. ბარამიძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ. წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში. ავტორეფერატი — ისტ. მეც. დოქტ. სამეც. ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1998, გვ. 32).
22. ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 10, შენ.6.
23. შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე არკადიელთა საკოლონიზაციო საქმიანობას სინოპელ მილეტელთა მიერ ამ ადგილებში ახალშენების დაარსებამდე ერთნახევარი საუკუნით ადრე სავარაუდოს ხდის პავსანიას ცნობა, რომელშიც ტრაპეზუნტის დაფუძნება მიეწერება სამხრეთ არკადიის ქალაქ ტრაპეზუნტს (Paus ., VIII, 27,6).
24. მ. ბარამიძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში, გვ. 32.
25. გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 392-393.
26. მ. ინაძე, ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბილისი 1994, გვ. 44, 59-66; მისივე, კოლხურ-მცირეაზიული ადრეული კონტაქტები (იბეჭდება).

მანანა ჯავახიშვილი

ჟან რიშარი — საქართველოში კათოლიკე მისიონერების შესახებ

ჟან რიშარი ევროპულ სამეცნიერო წრეებში ცნობილი ფრანგი ისტორიკოსია. მისი ფუნდამენტალური გამოკვლევა „პაპობა და აღმოსავლეთის მისიები შუა საუკუნეებში (XIII-XV საუკუნეები)" (პირველი გამოცემა, რომი, 1977; მეორე გამოცემა — რომი, 1998) კათოლიკური მისიების ისტორიის საეტაპო ნაშრომია. მისიონერთა მოღვაწეობას ჟან რიშარმა არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა: „იერუსალიმის ლათინური სამეფო" (პარიზი, 1953 წ.), „პაპობისა და სპარსეთის მონღოლთა ურთიერთობის სათავეები", „ლათინი მისიონერები ინდოეთში XIV საუკუნეში", „მონღოლები და ფრანკები", „მონღოლები და დასავლეთი: ურთიერთობის ორი საუკუნე", „პაპობა და კათოლიკური მისიები შუა საუკუნეების აღმოსავლეთში", „ლეგენდარული შორეული აღმოსავლეთი შუა საუკუნეებში", „პირველი ლათინი მისიონერები ეთიოპიაში (XII-XIV სს) და სხვ. ჟ. რიშარი წერდა: „ლათინი მისიონერების აზიაში მოღვაწეობა XIII საუკუნის პირველი ათეულიდან მხოლოდ ორდენების გაჩენის შედეგი როდია, თუმცა ბერები უკეთ იყვნენ განსწავლულნი, ვიდრე თეთრი სამღვდელოება... მისიონერებმა ევროპელებს გზა გაუკაფეს აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ". მეცნიერის აზრით, სწორედ კათოლიკე მისიონერებმა შეუწყვეს ხელი დასავლეთ ევროპაში აღმოსავლური კულტურის გაცნობასა და გავრცელებას, ერთმანეთს დაუახლოვეს დასავლეთი და აღმოსავლეთი.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანია, რომ ჟ. რიშარის ნაშრომში „პაპობა და აღმოსავლური მისიები შუა საუკუნეებში (XIII-XV სს)" ყურადღება ეთმობა კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობას კავკასიის ქვეყნებში, კერძოდ, საქართველოშიც. ჩვენ შევეცდებით აღნიშნული ნაშრომიდან გამოვყოთ ძირითადი საკითხები, რომელიც საქართველოში კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობას შეეხება.

ჟ. რიშარი აღნიშნავს, რომ XII-XIII სს-ის მიჯნაზე საქართველო ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ქართული ეკლესია იმდენად ძლიერი იყო, რომ მას საკუთარი მონასტრები ქვეყნის ფარგლებს გარეთაც ჰქონდა, მაგალითად, იერუსალმში და შავ მთაზე (ანტიოქიაში). საქართველოთი რომის პაპები და ევროპული ქვეყნების გამგებლებიც დაინტერესდნენ. XIII საუკუნის 20-იან წლებში პაპი ჰონორიუს III-ის ლეგატს-პელაგიოსს საქართველოს მეფისათვის თხოვნით მიუმართავს: ჩაბმულიყო მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში. თავის მხრივ, საქართველოს დედოფალი რუსუდანი 1224 წლის ნერილში პაპს შემდეგი ეპითეტებით მიმართავს: „უწმინდესო პაპო, მამაო და ყველა ქრისტიანის მეუფევ." რუსუდანი ჰონორიუს III-ს აუწყებდა, რომ სამწუხაროდ, საქართველომ ვერ შეძლო ჯვაროსნულ ომში ჩაბმა, მიზეზად კი მონღოლთა ჯარის მოულოდნელ თავდასხმას ასახელებდა. რუსუდანისათვის ცნობილი ყოფილა, რომ სიცილიის მეფე-ფრიდრიხი

(1197-1250)[1] მეთაურობდა ჯვაროსნულ ლაშქრობებს. დედოფალი პაპს სთხოვდა ფრიდრიხის ლაშქრობის დროის შეტყობინებას, რათა ქართველები, ივანე მხარგრძელის მეთაურობით, ჯვაროსნებს შეერთებოდნენ. ჰონორიუსიც აუწყებს ქართველებს იმპერატორის მომავალი გამგზავრების დროს. შემდგომ ჟ. რიშარი მოგვითხრობს, რომ საქართველოს თავს დაატყდა ხვარაზმ-შაჰ ჯალალ ედ-დინის შემოსევა, ხოლო, პაპობა, თავის მხრივ დაკავებული ყოფილა ესპანელებთან ბრძოლით და კატართა ერესის ჩაქრობით. ამრიგად, ქართველთა და ევროპელთა საომარი მოქმედებების კოორდინაციის მცდელობა ფუჭი აღმოჩნდა. თუმცა ჟ. რიშარის აზრით, საქართველოში კათოლიკური მისიის განვითარებას სწორედ ქართველთა მხრიდან ევროპელ ჯვაროსნებთან ურთიერთობამ შეუწყო ხელი.

XIII საუკუნის 30-იანი წლებიდან საქართველოში დაიწყო ფრანცისკანელი მისიონერების მოღვაწეობა (ჩვენთვის ცნობილია ერთ-ერთი მათგანი — იაკობ დე რუსანო), 40-იანი წლებიდან — დომინიკანელების, რომლებმაც თბილისში საკუთარი მონასტერიც კი დააარსეს. ჟ. რიშარი აღნიშნავს, რომ საქართველოს მეფეები კეთილგანწყობით იღებდნენ კათოლიკე მისიონერებს და თავის მხრივ, პაპებისაგანაც ლოცვა-კურთხევას ღებულობდნენ. მკვლევარი იქვე აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქართველები ბერძნულ ტიპიკონს აღიარებდნენ და ანტიოქიის საპატრიარქოზე იყვნენ დამოკიდებულნი, კათოლიკეთა შორის დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ. პაპი ნიკოლოზ IV აბრაამ ქართლის კათოლიკოსს 1289 წლის ეპისტოლეში მოუწოდებს შემოუერთოს ქართული ეკლესია რომის ეკლესიას. საქართველოს შესახებ მისთვის ცნობები მიუწოდებია ფრანცისკელ ბერს — იოანე დე მონტეკორვინოს.[2] 1291 წლის წერილში პაპი ნიკოლოზ V საქართველოს მეფეს — დემეტრე II-ს მოუწოდებდა წმინდა მიწების განთავისუფლებისაკენ, ხოლო თავად დემეტრეს „კათოლიკე მეფეების" ვერცხლით აყენებდა.

XIII-XV საუკუნეებ კათოლიკე მისიონერების განსაკუთრებული წარმატებების ხანაა. მათ დიდ შედეგებს მიაღწიეს აღმოსავლეთის ქვეყნებში ქადაგებით. ილხანთა ირანის ცენტრი — სულთანიე — კათოლიკური მისიის ცენტრად იქცა. ჟ. რიშარი წერს, რომ მქადაგებელმა ძმებმა თბილისშიც თავიანთი მონასტერი დიდხანს შეინარჩუნეს, კათოლიკობა ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა ჩვენში. 1321 წელს ინდოეთში, ქ. თჰანაში ფრანცისკელ ძმებთან ერთად კათოლიკური აღმსარებლობისათვის მონამებრივად აღესრულა თბილისელი დიმიტრიც. ჟ. რიშარი არც სებასტოპოლისში (სოხუმში) არსებულ კათოლიკურ საეპისკოპოსო კათედრას ივიწყებს, რომლის პირველი კათოლიკე ეპისკოპოსი ბერნარ მეორე იყო.

1321 წელს პაპი იოანე XXII გიორგი V ბრწყინვალეს წერილს უგზავნის, სადაც სთხოვს რომის ეკლესიასთან შემოერთებას. პაპი ჰპირდებოდა გიორგი ბრწყინვალეს სპეციალურად კრების მოწვევას საქართველოს საკითხის გადასწყვეტად. არავინ იცის, თუ რა პასუხი გასცა გიორგი V-მ აღნიშნულ წერილს. შემდგომში 1328 წელს პაპმა იოანე XXII-მ სმირნის საეპისკოპოსო თბილისში გადმოიტანა, ხოლო პირველ ეპისკოპოსად დომინიკანელი იოანე ფლორენციელი დანიშნა. პაპმა ამ უკანასკნელს თბილისში წერილები გამოატანა გიორგი V-დმი, საქართველოს კათოლიკეებისა და სამღვდელოებისადმი. თბილისში მოღვაწეობისას იოანე ფლორენციელმა ლათინურიდან ქართულად მრავალი წიგნი თარგმნა. 1347 წელს იგი პერაში (კონსტანტინოპოლთან) გარდაიცვალა. თბილისის მეორე

ეპისკოპოსი დომინიკანელი ბერტრანდო კოლეტი იყო, რომელიც მოგვიანებით გერმანიაში გადაიყვანეს. 1370 წელს საქართველოში გამოგზავნეს ახალი ეპისკოპოსი — ანტონიო (მალტის ყოფილი ეპისკოპოსი), რომელიც 25 ფრანცისკანელ ბერთან ერთად ჩამოვიდა. ამრიგად, XIII-XIV საუკუნეებში საქართველოში კათოლიკეთა მისია ნაყოფიერად მოღვაწეობდა, თბილისის გარდა, მათი მისია ახალციხეში ყოფილა. ჟ. რიშარი დანანებით აღნიშნავს, რომ პრაქტიკულად უცნობია კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობა საქართველოში XIV საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დასაწყისში.

იგი აღნიშნავს, რომ საქართველოში კათოლიკური მისიის შემდგომ წარმატებას ხელი შეუშალა თემურლენგის ამაოხრებელმა თავდასხმებმა. მკვლევარი ნაშრომის ბოლო ნაწილში ეხება პაპი კალიქსტ III-ის (1455 -1458) მიერ თურქეთის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის დაგეგმვის მცდელობას. 1456 წელს კალიქსტ III-მ აღმოსავლეთში გამოაგზავნა ფრანცისკანელი ლუდოვიკო ბოლონელი, რომელიც იმავე წელს ჩვენს ქვეყანასაც ესტუმრა. ჟ. რიშარი მოგვითხრობს ანტიოსმალური კოალიციის ისტორიას და მასში ქართველი მეფე-მთავრების მონაწილეობას. ბოლოს, მკვლევარი ეხება ქართლის მეფე-კონსტანტინე II-ის ელჩობას პაპ ალექსანდრე VI-სთან ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების (1437-1439 წწ) ეკლესიათა ერთიანობის შესახებ.

ჟ. რიშარი აღნიშნულ ნაშრომში საქართველოს შესახებ საუბრისას ძირითადად ეყრდნობოდა მ. თამარაშვილის ნაშრომს „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე" (რომი, 1910 წ) და ჯ. გოლუბოვიჩის 5 ტომეულს „Biblioteca bio-bibliografica della Terra Santa et dell' Orienta francescano (Quaracchi, 1906-1927 წწ).

ვფიქრობთ ჟ. რიშარის ნაშრომი „პაპობა და აღმოსავლეთის მისიები შუა საუკუნეებში (XIII-XV სს)" საინტერესო გამოკვლევაა ზოგადად კათოლიკური მისიების მოღვაწეობის თვალსაზრისით და კერძოდ, ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლის კუთხითაც.

---

1. ფრიდრიხ II — სიცილიის მეფე და გერმანიის იმპერატორი (1212-1250 წწ.)
2. იოანე დე მონტეკორვინო იყო პაპის ლეგატი ინდოეთსა და ჩინეთში.

ვლადიმერ ლეკიაშვილი

ფრაზეოლოგიური ერთეულების კლასიფიკაციის ფორმალური კრიტერიუმები

ფრაზეოლოგიური ერთეულების ტრადიციული კლასიფიკაცია, მიუხედავად იმისა, რომ ის კომპონენტთა და მთლიანად გამოთქმების სემანტიკაზეა დაფუძნებული, ექვემდებარება ფორმალიზებას და ამით შესაძლოა მკაფიოდ განისაზღვროს ის სემანტიკური კრიტერიუმებიც, რომელთა შემდგომი ანალიზი სხვაგვარად ვერც განხორციელდებოდა. გარკვეული დონის ენობრივ ერთეულთა (ამ შემთხვევაში სიტყვების) კომბინატორული სქემა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: ე.წ. სრულმნიშვნელოვანი სიტყვა შემდგომი, უფრო მაღალი დონის ერთეულის — სინტაგმის ფარგლებში ხასიათდება მრავალმხრივი კომბინატორული შესაძლებლობებით — ის ეთავსება ასევე „სრულმნიშვნელოვან" სიტყვათა გარკვეულ სიმრავლეს, რომლის ზუსტი განსაზღვრაც, მართალია, პრაქტიკულად შეუძლებელია (რამდენადაც მას მხოლოდ და მხოლოდ ენობრივი უზუსი უდევს საფუძვლად), მაგრამ ამ სიმრავლიდან გამოიყოფა სტაბილური ქვესიმრავლე, რომლის წევრთა შეთავსებადობას ხსენებულ სიტყვასთან შესაბამის ენაზე მოლაპარაკეები უეჭველად მიიჩნევენ (სწორედ ეს გარემოება განაპირობებს სიტყვის მნიშვნელოვან „ცოდნას"). ბუნებრივია, ენაში არსებობს სიტყვათა სხვა რიგიც, რომლის წევრები სინტაგმის ფარგლებში შეეთავსება დაახლოებით იმავე სიმრავლეს, მაგრამ არა მის ყველა წევრს (რამდენადაც ასეთ შემთხვევაში საქმე გვექნებოდა „სრულ სინონიმებთან"), სიტყვათა ეს რიგი ზემოხსენებულ სიტყვასთან ერთად ქმნის ჯგუფს, რასაც ტრადიციულად სემანტიკურ ველს ან სემანტიკურ კატეგორიას უწოდებენ. თავის მხრივ, ამ ჯგუფის თითოეული წევრისთვის არსებობს ლექსემათა გარკვეული რაოდენობა ან სულაც ერთეული ლექსემები, რომლებიც უზუალურად მისაღებ სინტაგმას ქმნიან მხოლოდ ხსენებულ წევრებთან და არ ეთავსებიან ჯგუფის სხვა წევრებს. სწორედ ასეთ სინტაგმებს ვუწოდებთ არარეგულარულს კომპონენტთა შეთავსების თვალსაზრისით (არარეგულარულს მოცემული ლექსიკური მიკროსტრუქტურის ფონზე) და ტრადიციულად ისინი განიხილებიან ფრაზეოლოგიის კვლევის ობიექტად. არსებობს ლექსემათა დისტრიბუციის შემდეგი თეორიული შესაძლებლობები: 1. ხსენებული არარეგულარული სინტაგმის ორივე კომპონენტიდან თითოეული ქმნის დასაშვებ სინტაგმათა დამოუკიდებელ სისტემას, ე.ი. ორივე მათგანს აქვს „სრულფასოვანი მნიშვნელობა". 2. მათგან ერთ-ერთი გვხვდება მხოლო და მხოლოდ მოცემული სინტაგმის ან ძალზე შეზღუდული რაოდენობის სინტაგმათა ფარგლებში. ამ შემთხვევაში ლაპარაკობენ სინტაგმის ერთი წევრის საფუძველზე მეორის უტყუარი პროგნოზირების შესაძლებლობაზე ან, სხვაგვარად, პირველი წევრის მხრივ ხდება სრული დეტერმინაცია — მაგ., თუ ტექსტში გვხვდება სიტყვები „დაახამხამა", „სახტად", „Безвыходное", სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სინტაგმაში მისი მომდევნო სიტყვა იქნება „თვალები", „დარჩა", „положение" ან, ელიფსისის დროს, ნულოვანი ლექსემა. ასეთ გამოთქმათა არარეგულარობა და მათი ერთ-ერთი კო-

მპონენტის „დესემანტიზებულობა" ადვილად ამოიცნობა სინტაგმური პარადიგმის შედგენის მცდელობით — ვერ აიგება ისეთი პარადიგმა, რომლის წევრთა „მუდმივი" კომპონენტი „სიტყვა-დეტერმინანტი" იქნებოდა. რაც შეეხება პირველ პუნქტში აღნიშნულ არარეგულარულ სინტაგმებს, რომელთა კომპონენტები ცალ-ცალკე საკმაო რაოდენობის სინტაგმებში გვხვდება ერთ-ერთ შემადგენლად, მათი კლასიფიკაცია, თავის მხრივ, შესაძლებელია არარეგულარობის ხარისხის მიხედვით, ანუ იმის მიხედვით, თუ რამდენ წევრს შეიცავს სინტაგმური პარადიგმა, რომლის წევრთა „მუდმივი" კომპონენტის როლს შეასრულებდა ერთ-ერთი შემადგენელი და ამ უკანასკნელის ჩანაცვლება კი პარადიგმის ყველა წევრში დასაშვები იქნებოდა სიტყვათა გარკვეული სიმრავლით. თვით ის ფაქტი, რომ სინტაგმა განისაზღვრება, როგორც არარეგულარული, ნიშნავს, რომ ასეთი პარადიგმის წევრთა რაოდენობა ძალზე შეზღუდულია; ამდენად, ამ შემთხვევაში ორ სხვადასხვა ჯგუფში მოხვდებიან, ერთის მხრივ, ისეთი სინტაგმები, რომელთა პარადიგმაც შეიცავს ერთ-ორ წევრს და მეორე მხრივ, ისეთი სინტაგმები, რომელთა პარადიგმაში შევა რამდენიმე წევრი. ეს უკანასკნელი ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, როგორც არარეგულარული, ხოლო პირველი — როგორც უნიკალური გამოთქმები. სემანტიკურ ტერმინებში არარეგულარულ გამოთქმებს განსაზღვრავენ, როგორც ფრაზეოლოგიზმებს, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი ნახმარია „არაპირდაპირი მნიშვნელობით" და ამასთან ეს მნიშვნელობა არის დერივაციულ კავშირში იმავე სიტყვის „პირდაპირ მნიშვნელობასთან"; უნიკალურ სინტაგმებს განსაზღვრავენ, როგორც ფრაზეოლოგიზმებს, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი ნახმარია „არაპირდაპირი მნიშვნელობით" და სინქრონულ ასპექტში არანაირი დერივაციული კავშირი რეგულარულ გამოთქმებში ნახმარ იმავე სიტყვის მნიშვნელობასთან არ არსებობს (ჩვენ აღვნიშნავთ თვით „სემანტიკური დერივაციის" ცნების უკიდურეს პირობითობას და ბუნდოვანებას და დავამატებთ, რომ ნებისმიერ უნიბრივ ფაქტს შეიძლება ნებისმიერი სახელი ეწოდოს, მაგრამ ის დარჩება მხოლოდ და მხოლოდ პირობით სახელწოდებად და ვერ იქცევა ამოსაცნობ ნიშნად, თუ ექსპლიციტურად არ დაეფუძნა ფორმალურ კრიტერიუმებს). მაგალითად, „გამოთქმა „ჩავარდა გაჭირვებაში" ინტუიციურად შეიძლება დახასიათდეს, როგორც ერთეული, რომელიც შეიცავს არაპირდაპირი მნიშვნელობით ნახმარ ლექსემას („ჩავარდა") და რომლის ეს მნიშვნელობაც „ლოგიკურად" გამოიყვანება მისი პირდაპირი მნიშვნელობიდან. ფორმალური თვალსაზრისით, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ არარეგულარული სინტაგმა — თუ შევადგენთ სინტაგმურ პარადიგმას კომპონენტის „ჩავარდა" მუდმივობის საფუძველზე, ჩვენ შესაძლოა მივიღოთ სინტაგმათა რიგი „ჩავარდა გაჭირვებაში", „ჩავარდა უბედურებაში", „ჩავარდა (შავ) დღეში",„ჩავარდა (უხერხულ) მდგომარეობაში" და ამასთან ეს მუდმივი კომპონენტი თავისუფლად ჩანაცვლდება ყველა წევრში სიტყვათა რიგით — „აღმოჩნდა", „არის", „ჩააყენეს". გამოთქმა „медвежья услуга" ტრადიციულად აღინიშნება ერთ-ერთი კომპონენტის — „медвежья" — არადერივაციული, გადატანითი მნიშვნელობით. ზემოთ მოტანილი განსაზღვრის თანახმად, ესაა უნიკალური სინტაგმა, რამდენადაც მისი ერთ-ერთი შემადგენლის „მუდმივობის" ან „ცვლადობის" საფუძველზე შექმნილი პარადიგმის წევრებში „მუდმივი" არათუ სიტყვათა რიგით, ერთი სიტყვითაც ვერ ჩანაცვლდება — „медвежья услуга", „медвежья берлога", „медвежья шкура", „медвежий угол" და ა.შ.

ელენე ჟურდაძე

ერეკლეული ბიბლიოთეკა

უხილავი ძაფი

ბოლო დროის არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა არა მარტო გააქარწყლა ერთ ხანს გაბატონებული აზრი იმის თაობაზე, თითქოს საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი მოსახლეობა სხვა მხრიდან იყო მოსული, არამედ ისიც გამოავლინა, რომ ხშირ შემთხვევაში მასების გადაადგილებას ამიერკავკასიიდან ჰქონდა ადგილი. მაგ. „ამიერკავკასიის მუსტიე ახლოს დგას ირანის ზეგანზე გავრცელებულ ამავდროულ კულტურასთან. რადგან წინარემუსტიერული ძეგლები ირანში შედარებით სუსტად არის წარმოდგენილი, ამიერკავკასიაში კი სწორედ მუსტიეს ხანაში პირველყოფილი ადამიანის ფართო განფენა შეინიშნება, გამოითქვა მოსაზრება კავკასიიდან მოსახლეობის ერთი ნაწილის ირანის ზეგანის მიმართულებით გადასახლების თაობაზე. გვიანპალეოლითის კულტურის დროსაც კვლავ ჩანს ურთიერთობა კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთს შორის, განსაკუთრებით სიახლოვე შეინიშნება ჩრდილოეთით აზოვისპირეთის, ხოლო სამხრეთით ირან-ერაყის ძეგლებთან"(1) ირან-ერაყი კი სწორედ ის ტერიტორიაა, რომელიც უძველესი ცივილიზაციების წარმოშობის კერად არის მიჩნეული.

ქვის ხანის ადამიანს ინტენსიურად აუთვისებია დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი გამოქვაბულები, თუმცა არქეოლოგებმა ამ პერიოდის ღია სადგომიც ბევრი აღმოაჩინეს. ბოლო დროს უცხოელმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ გამოქვაბულში ადამიანი მუდმივად კი არ სახლობდა, როგორც ეს ადრე იყო მიჩნეული, არამედ შიგ გარკვეულ რიტუალებს ატარებდა. ძველი მონადირეებისათვის და მათი მისნებისთვის მიწისქვეშა ბნელი გვირაბები და მღვიმეები დედამიწის საშოს განსახიერება იყო, სადაც სიცოცხლის ჩასახვის მარადიული მისტერია თამაშდებოდა. გამოქვაბული მათთვის ტაძრის ფუნქციას ასრულებდა. ამიტომაც იქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალები, კედლის მხატვრობა იქნება თუ უცნაური საგნები, ხშირ შემთხვევაში განხილულ უნდა იქნეს, როგორც უძველესი რწმენა-წარმოდგენების გამომხატველი მისტიური რეგალიები. ამ მხრივ ალბათ ყველაზე საინტერესოა საფრანგეთში, მას-დ' აწილის გამოქვაბულში აღმოჩენილი მეზოლითის ხანის მდინარის კენჭები, რომლებზედაც წითელი საღებავით მაგიური ნიშნებია გამოხატული. მათმა აღმომჩენმა ფრანგმა მეცნიერმა ე. პიეტმა ისინი უძველესი დამწერლობის ნიშნებად მიიჩნია და გამოთქვა მოსაზრება, თითქოს იმ ადგილას არსებობდა ქვის ხანის უდიდესი მიწისქვეშა სკოლა. (11) ასეთი ქვები ესპანეთის და შვეიცარიის გამოქვაბულებშიც გამოვლინდა, უფრო მოგვიანებით კი მათ პალესტინაში, ბერშებაშიც იპოვიან. მიწის ზედაპირიდან 10 მ სიღრმეში ფრანგი არქეოლოგები წააწყდებიან კლდეში ხელით ნაკვეთ უდიდეს მიწისქვეშა ქალაქს, ჭების, გამოქვაბულების, კიბეების, შიდა სათავსების, ერთმანეთთან შემაკავში-

რებელი დერეფნების ფართოდ დატოტვილი ქსელით, დღემდე სრულიად უცნობი მაღალი ცივილიზაციის კვალით, რომელიც მე-4 ათასწ. განეკუთვნება. მეცნიერები განაცვიფრა ბრინჯაოს დამუშავების უჩვეულო ტექნიკამ და მოხდენილი ფორმის კერამიკამ. ამ კულტურის შემქმნელთა წარმომავლობა ჯერჯერობით საიდუმლოებით არის მოცული. ბიბლიიდან ცნობილი ადგილი ბერშება, სადაც აბრაამმა აბიმელექთან ფიცის ნიშნად დარგო იალღუნი, სადაც ისააკმა აღაშენა საკურთხეველი, უკვე აბრაამამდე 2 ათასი წლით ადრე უცნობი, მაღალგანვითარებული ხალხის საკულტო ადგილი ყოფილა.

ახლა უკვე საიდუმლოს არ წარმოადგენს და მეცნიერულადაც დადასტურდა ის ფაქტი, რომ კოსმოსიდან შემოსული ენერგია, მკრთალი შუქის სახით, მიწისქვეშა სიცარიელეში, ბუნებრივ გამოქვაბულებში გროვდება. შესაძლოა ამ მიზნით იქმნებოდა ხელოვნური გამოქვაბულებიც, რაც შემდგომში ქრისტიანი მამების მოღვაწეობის ადგილად იქცა.

ე.წ. „გამოქვაბულის ადამიანი", რომელიც ასე ახლოს იყო კოსმიურ ენერგეტიკასთან, არაფრით არ შეიძლება დაბალგანვითარებული ყოფილიყო, როგორც ეს გარკვეულ მეცნიერულ წრეებშია მიღებული. ადამიანის გამოქვაბულში ყოფნისას უნდა წარმოქმნილიყო ის რელიგიური რწმენა- წარმოდგენები, რაც საფუძვლად დაედო შემდგომი დროის რელიგიურ მოძღვრებებს და აქედან გამომდინარე სხვადასხვა კულტურებს. შესაძლოა, მართლაც აქვე შეიქმნა დამწერლობის პირველი სისტემაც.

ზოგიერთი მატერიალისტი მეცნიერის აზრით, რელიგია წარმოშვა ადამიანის შიშმა და უძლურებამ ბუნების დაპირისპირებული ძალების და შინაგანი ინსტინქტური განცდების წინაშე (2), მაგრამ ძალზედ საეჭვოა, რომ ადამიანს, რომელიც კოსმიურ ინფორმაციას ფლობდა, ბუნების ასე შინებოდა, რადგან სწორედ ბუნებასთან იყო იგი ყველაზე მჭიდროდ და ჰარმონიულად დაკავშირებული.

ბიბლიური ტრადიციით ასეთი იყო ადამი. ბუნებისა და კოსმოსის ჰარმონიას, რომელშიც ის ცხოვრობდა, შეერქვა სამრთხე, სიმბოლურად ბაღი, სადაც უზენაესი წესრიგი იყო დამყარებული. იგი პირველი ეზიარება კოსმიური წესრიგის საიდუმლოს ანუ ღვთაებრივ სიბრძნეს. ამ ცოდნიდან გამომდინარე იგი პირველი ქურუმი და კანონმდებელია, მაგრამ თავადვეა ამ კანონების პირველი დამრღვევიც.

სიმბოლურად ადამი ბაღის მომვლელი და მიწათმოქმედია. მის შვილებში უკვე ხდება ძირითადი პროფესიის გაყოფა. ისინი განასახიერებენ ორი ტიპის ხალხს — მიწათმოქმედსა და მწყემსს — ანუ ბინადარსა და მომთაბარეს, რომელთაც თავთავისი, ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული ცხოვრების წესი და ტრადიცია გააჩნდა.

ზოგიერთი მკვლევარი ეჭვს გამოთქვამს კაენის აგრესიული ბუნების გამო, რადგან ისტორიულად დასტურდება, რომ მიწათმოქმედები უწყინარი, შრომისმოყვარე ხალხია და მათ ნადავლის მითვისების მიზნით, სწორედ მომთაბარენი ესხმოდნენ თავს.

რ. გენონის აზრით აბელის და კაენის ამბის ბიბლიური ვარიანტი განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ებრაული თორა მომთაბარე ტომების ტიპს არის მისადაგებული. ბინადარი ხალხის თვალსაზიერიდან იგი სხვაგვარად იქნებოდა მოწოდებული და სხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას მოგვცემდა. ბიბლიური ტრადიცია ასევე კრძალავს ისეთ ხელობას თუ ხელოვნებას, რაც ბინადარი ხალხისათვის არის შესაფერისი, ასევე ყველაფერს, რაც მუდმივი საცხოვრებლის მშენებლობასთან

არის დაკავშირებული. როგორც ცნობილია, იერუსალიმის ტაძრის ასაგებადაც კი უცხოელები იყვნენ მიწვეულნი.

მეცნიერებმა დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება, რომ ბიბლიის ტექსტის ბევრი სიუჟეტი შუმერების ტექსტებიდან არის ნასესხები. აბელის და კაენის ამბის იდენტურია ძველი შუმერული ტექსტი, სადაც მწყემსი დუმუზი და მინათმოქმედი ენქიდუ ერთმანეთს ეპაექრებიან სიყვარულის ქალღმერთ ინანას გულის მოსაგებად. ინანას უყვარს მინათმოქმედი, კაცი „არხებისა და გუთნისა", მაგრამ საბოლოოდ მწყემსს აირჩევს საქმროდ, ოღონდ მწყემსმაც, თავის მხრივ უნდა სახე იცვალოს, უნდა „აითვისოს" მინათმოქმედის პროფესია, თუ უნდა, რომ ინანას ქმარი გახდეს, რადგან ინანას თქმით:

„ჩემი ასო ყამირი მიწაა,
ჩემი ასო გასატეხი კორდია,
ქალწული ვარ, ვინ იქნება მისი
მოშხვნელი?
ჩემი ასო მორწყული მიწაა,
ცის დედოფალი ვარ, ხარს ვინ
ჩამიყენებს?" (3)

როგორც ჩანს, შუმერებისათვის მინათმოქმედების სიმბოლიკა ქორწინების საიდუმლოსთან იყო დაკავშირებული და გარკვეულ ცოდნას, ცივილიზაციას გულისხმობდა. მწყემსი კაცი ინანას მეშვეობით, „მინათმოქმედად" გადაიქცეოდა, ანუ უმწიფარი, ველური სიყვარულის მეშვეობით მოწიფული, ცივილიზებული კაცი ხდებოდა (იგივე მოვლენას ვხვდებით გილგამეშის ეპოსში). შუმერებისათვის, როგორც ირკვევა, „კაცად" ქცევა „მინათმოქმედად" ქცევას ნიშნავდა. ალბათ ამიტომაც, „თვით მეფენიც კი მისდევდნენ მებაღეობას. მებაღეობა მეფეების საკრალურ ფუნქციაში შედიოდა და ბაღსაც არ ჰქონდა სამეურნეო, ან ესთეტური მნიშვნელობა, არამედ პირველ რიგში საკულტო მნიშვნელობა."(3)

მინათმოქმედება, მართლაც რომ, გარკვეულ ცოდნას, განსაკუთრებით კოსმოსზე დაკვირვებას გულისხმობდა, სხვა შუმერული ტექსტიდანაც ჩანს: „იყო ერთი მოკვდავი კაცი, ვინმე შუქალეთუდა, რომელსაც ერთადერთი საბრუნავი ჰქონდა — მიწისპირის აყვავება და ბაღის გაშენება უდაბნოში. რა დონეს არ ხმარობდა, მაგრამ ვერადაერ მოიმკო შრომის ნაყოფი. გამწარებულმა კაცმა დაძაბა მთელი თავისი არსება, შეისწავლა ციური ნიშნები, ეზიარა ღვთაებრივ სიბრძნეს და ამის წყალობით გაახარა თავის მიწაზე ერთი ხე, ცარბათუ, რომლის ჩრდილმა მზის აღმოსვლიდან მზის დასვლამდე უწია"(3). მებაღე, რომელიც ღვთაებრივ სიბრძნეს შეიმეცნებს, თავად გვევლინება სიცოცხლის ხის დამრგველად, რაც სიმბოლურად რელიგიური ცენტრის დაარსებას გულისხმობს, ამ შემთხვევაში ხის დარგვა ტაძრის აშენებას ნიშნავს.

პირველი მშენებლები რომ მინათმოქმედები ყოფილან, ამას ბიბლიაც ადასტურებს (პირველი ქალაქი კაენის დაფუძნებულია), ამიტომ მეგალითური ნაგებობის აშენება მათ უნდა მივაწეროთ. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ ნაგებობების ადგილი რაღაც ნიშნებით არის შერჩეული, რაც შესაძლოა მიწიდან გამომავალ მაგნიტურ ველს ან სხვა მოვლენას უკავშირდება და მიწის წიაღის ღრმა ცოდნას ეფუძნება. მეგალითები უმეტესად ვულკანური წარმოშობის მთებზე გვხვდება და საშენ მასალადაც ვულკანური ლოდებია გამოყენებული.

ქალაქ ურის ზიქურატის გათხრისას ლეონიდ ვული ერთ უცნაურ მოვლენას გადააწყდა, ერთ-ერთ ტერასაზე აღმოაჩინა მართკუთხა, აუზის მაგვარი ორმო, რომელშიც უზარმაზარი ლოდები ეწყო. უცნაური კი ის იყო, რომ მთელ შუმერის ტერიტორიაზე არ არსებობს ვულკანური წარმოშობის მთები და ლოდები. ამიტომაც აშენებდნენ შუმერები ხელო-

ვნურ მთებს, საშენ მასალად კი თიხას და ლერწამს იყენებდნენ, რაც ყველაზე უფრო დამახასიათებელი იყო მათი ჭაობიანი ნიადაგისათვის. ის ლოდები კი რომელიღაც მთიანი ქვეყნიდან მოუტანიათ გარკვეული მიზნებისათვის, რაც არქეოლოგებისათვის ამოუხსნელი დარჩა.

ამ მოვლენის გამოძახილად შეეძლება ჩაითვალოს უძველესი შუმერული ტექსტი, რომელიც მოგვითხრობს ურუქის მეფე ენმერქარის ამბავს. მისი მეფობის დროს შუმერის ჩრდილოეთით, შორეულ მთიან მხარეში (მეცნიერთა აზრით ირანის მთიანეთში) მდებარეობდა ძვირფასი ლითონებით მდიდარი ქალაქი — სახელმწიფო არათა. ენმერქარი სთხოვს ქალღმერთ ინანას, რათა დაეხმაროს არათას სიმდიდრის ხელში ჩაგდებაში:

„ქალბატონო ჩემო, ინანა, ურუქისათვის
ოქრო და ვერცხლი გამომიხურვონ,
წმინდა ლაჟვარდი ზოდებად მომიზიდონ,
აღრალები, ქვები პატიოსანი
ურუქში, წმინდა მთაში, მომიტანონ,
ანშანის სახლი, სადაც შენ დგახარ,
ამიშენონ...
მე კი მის წიაღში მსხვერპლს შევწირავ.
არათამ ურუქის წინაშე ქედი მოიხაროს.
არათას ხალხმა
მთის ლოდები თავის მთებიდან
მომიტანოს.
დიდი საწმიდარი ამიშენოს, დიდი საყდარი
აღმიმართოს
დიდი საყდარი, ღმერთების საყდარი
აღმიმართოს." (3)

ამ ტექსტის მიხედვით, ურუქის მეფე-ქურუმი ძვირფას ქვებთან ერთად ითხოვს მთის ლოდებს ტაძრისათვის, მაგრამ ასევე სურვილს გამოთქვამს, არათას ხალხმა ტაძარი თავად ამიშენოსო. ეს ტექსტი თითქოს იმაზეც მიუთითებს, რომ იმ დროს იყო ხალხი, რომელიც ტაძრის აგების განსაკუთრებულ ხელოვნებას ფლობდა, მითუმეტეს, შუმერული მითების მიხედვით ცნობილია, რომ შუმერის მცხოვრებთ ტაძრის აგებას ენგურიდან ამოსული თევზ-კაცები ასწავლიან.

რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ვული უკვე ანტიოქიის დაბლობის დასაწყისში „წყურვილის ბორცვის" გათხრას დაიწყებს, იგივე მოვლენას გადააწყდება. მუშაობის დაწყებისთანავე ხეთების მეფის თუხდხალიას ტაძარი გაითხარა. მრავალ საინტერესო ნივთთან და საკურთხეველთან ერთად, შიდა სათავსში აღმოჩენილ კირქვის მძიმე ლოდებით მოპირკეთებული ჭა.

ამ ბორცვზე 17 კულტურული ფენა გამოვლინდა. უძველესი მე-4 ათასწ. განეკუთვნებოდა. მე-16 ფენაშიც აღმოჩნდა დიდი ტაძარი, აგურებით მოკირწყლული ეზოთი, სადაც კვლავ იპოვეს აგურების ქვეშ დამალული ღრმა ჭა დიდი ლოდებით. ისევე, როგორც შუმერში, იმ არემარეშიც ლოდები არ არსებობს. გაოცებული ავტორი კითხულობს, თუ რა აიძულებდა პრეისტორიულ ადამიანს, რომლისთვისაც უცხო იყო ურემი,არ ყავდა მუშა საქონელი, შორეული მთებიდან მოეთრია ეს მძიმე ლოდები თითოეული დაახლ. 3 ტ რომ იწონიდა და ჭაში ჩაყარა. ხმელთაშუა ზღვის პირას ნაპოვნი ეს სატაძრო ჭა, ასე რომ წააგავდა ურის ტაძრისას, გაცილებით მასზე უფროსი აღმოჩნდა. (6)

არქეოლოგებს ძველი ტაძრების და სასახლეების ნაშთი ყველა ფენაში ხვდებოდათ, მაგრამ ყველაზე საინტერესო მე-7 ფენა გამოდგა. მოულოდნელად მათ თვალწინ უაღრესად მაღალი ცივილიზაციის ნაშთი გადაიშალა. მისი შედარება მხოლოდ კრეტის კულტურასთან იყო შესაძლებელი. ქვის კედლები, ხის ბოძები მრგვალ ძირზე, ფერადოვანი, ნათელი ფრესკები, სტილით, ფერით და ტექნიკით იმდენად წააგავდა კრეტისას, რომ გამოითქვა აზრი, თითქოს ამ ტერიტორიაზე კრეტელთა წინაპრებს ეცხოვროთ. (6) ამ ფენაშიც აღმოჩნდა კვადრატული ჭა და შიგ ჩაწყობილი უმძიმესი ლოდებით. ჭაში ჩასასვლელ კიბეს მძიმე ქვის კარი ფარავდა. ჭა მოგვიანებით ვიღაცას

ამოევსო. როცა შიგ ჩასვლა მოხერხდა, მის ფსკერზე აღმოჩნდა ხის ბურბუშელაში ჩადგმული ექვსი ქოთანი და ხის კიდობანი — ღრმა ეზოთერული სიმბოლიკის ნივთი, რაც თითქოს ჭების ფუნქციაზე ბუნდოვნად მიგვანიშნებს.

სატაძრო ჭების ლოდებით ამოშენებით, შესაძლოა ქურუმები გარკვეულ ადგილებში არსებული მთების ძლიერი ენერგეტიკის ხელოვნურად შექმნას, ტაძრის სიღრმეში გადმოტანას ცდილობდნენ, რაც მათი კულტმსახურებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

მეგალითური სადგომების შემადგენელი ნაწილია ე.წ. კრომლეხები — წრეზე დაწყობილი ქვები, რაც ჩვენში საკმაოდ ბევრია, თუმცა დღემდე სრული სახით არ მოულწევია. კრომლეხის საუკეთესო ნიმუშია ბრიტანული სტოუნხენჯი, რომელიც მკვლევართა აზრით ასტრონომიული კალენდარი და უძველესი კულტმსახურების ადგილი უნდა იყოს. ამ შემთხვევაშიც სამინათმოქმედო ტრადიციასთან გვაქვს საქმე. ვარსკვლავებზე დაკვირვება, ამინდის გამოცნობა, ატმოსფერულ ნალექებში გარკვევა მოსავლიანობის საუკეთესო გარანტიაა. მითოლოგიაში კულტურული გმირი, ვინც ადამიანებს სამინათმოქმედო კულტურას ასწავლის, აუცილებლად კალენდარსაც აცნობს მათ. ამის აშკარა მაგალითია პრომეთეს მოღვაწეობა, რომელიც შუმერში მოსულ თევზ-კაცებივით ხალხს ასწავლის წერა-კითხვას, მალამოების დამზადებას, სახლისა თუ გემის აშენებას, მინის დამუშავებას, ლითონების მოპოვებას, მისნობას, მსხვერპლშეწირვას, მაგრამ ამავდროულად იტაცებს ღვთაებრივ ცეცხლს, რაც გარკვეულ ეზოთერულ ცოდნას გულისხმობს და მხოლოდ ქურუმთა ვიწრო წრისათვის იყო ცნობილი, ამ შემთხვევაში ჰეფესტოს ქურუმ კაბირებისთვის. რენანის თანახმად, ქრისტეს ჯვარზე გაკვრა მას შემდეგ გადაწყდება, როცა იგი ლაზარეს აღადგენს, რადგან მოვდელმთავართა აზრით, ქრისტე ისეთ დიდ სასწაულს ახდენს სახალხოდ, რაც ჩვეულებრივ მოკვდავთათვის დაფარული უნდა ყოფილიყო.

საბოლოოდ პრომეთეს კავკასიონზე მიაჯაჭვავენ, რაც გარკვეული ცოდნის ადგილსამყოფად კავკასიის მიჩნევას გულისხმობს, რადგან პრომეთე სიმბოლურად ცოდნას განასახიერებს. იგი ამირანის პროტოტიპია და მითოლოგიაში ღმერთთან დაპირისპირებულ ტიტანად არის მიჩნეული. მსგავსი სიმბოლო ბიბლიაში, ვითომდა ღმერთთან გატოლების მიზნით, ბაბილონის გოდოლის მშენებლობაა, რაც შესაძლოა გოდოლის სიმაღლეში ზრდაზე კი არა, თავად ციხის შიგნით შექმნილ რაღაც პირობებზე მიანიშნებდა (ამავე მოვლენასთან შეიძლება დავაკავშიროთ ჭებში ჩაწყობილი ლოდები). გოდოლ-ზიქურატი თავის ფორმით მთას განასახიერებს. საინტერესოა, მაინც რა მთას აშენებდნენ მინათმოქმედი-მშენებლები, რატომ ერქვა მას ციხე, და რატომ ითვლებოდა ამ მთის გულში მიმდინარე პროცესები ღმერთად ქცევის სიმბოლოდ. ამირანი-პრომეთეც ხომ კავკასიონის მთაშია მიჯაჭვული. კავკასიის მთებს და შუამდინარულ გოდოლ-ზიქურატებს რაღაც კავშირი უნდა ჰქონდეს ერთმანეთთან, შეიძლებოდა ასევე კავშირი გვეგულისხმა ჩვენში არსებულ მაგალითებთან, რომლის მთავარი ნაწილი მთაზე აშენებული ციხეა.

თუ ჩვენ ქართულ ბრინჯაოს სარტყელზე გამოხატულ თევზს ვერტიკალურად ჩავხატავთ, როგორც ბუნებაშია წარმოდგენილი ქანდაკების სახით, სიმბოლურად მივიღებთ მთა-ზიქურატს ზედ შემოდგმული ტაძრით, ასევე სვეტს ზედ შემოდებული კვრბით (კვრბებზე სტატია იხ. „ცისკარი" 1997. №10). ზიქურატი რომ ნამდვილად თევზ-კაცის სხეულს ნიშნავდა, ამას მოწმობს შუმერული ფრაზა: „ენინუს დიდი ღერძი დააყე-

ნა, იდუმალების აბგალი აღმართა, თავის ქალაქში მშვენიერი ცარბათუ დარგო, ქალაქზე ჩრდილი მოაფენინა." უკვე ნახსენები ხე ცარბათუ დიდ ღერძად, აბგალად იხსენიება, რაც მისტიური ცოდნის მატარებელი თევზაკაცის სახელწოდებაა და მიანიშნებს იმაზე, რომ შუმერები ტაძრად მართლაც თევზის სხეულს აგებდნენ, რაც უძველეს ქართულ ტრადიციას ეხმიანება, რადგან ჩვენში სიცოცხლის ხედ და სამყაროს ღერძად სწორედ თევზი იყო მიჩნეული.

სიცოცხლის ხის და მის გარშემო არსებული სივრცის ანუ სამოთხის სიმბოლიკა უკვე ცნობილი ყოფილა ჩვენ ტერიტორიაზე არსებული ადრესამწათმოქმედო კულტურისთვის, რომელიც მე-7 ათასწ. თარიღდება და მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს სამწათმოქმედო კერას წარმოადგენს. მისთვის დამახასიათებელია წრიული სახლები, რომლის ცენტრში მრგვალი კერაა მოწყობილი. კერასთან დაფიქსირებულია ორმო ხის ბოძისათვის.

ამ ხანის ზოგიერთ ნამოსახლარზე თიხის ანთროპომორფული ქანდაკებები გამოვლინდა. უმეტესი მათგანი კერებშია ნაპოვნი. ერთ-ერთ კერაში ჩვიდმეტამდე ასეთი ფიგურა აღმოჩნდა. თითქმის ყველა სტილიზებული ქალის ქანდაკებას წარმოადგენს, რომელთა უმრავლესობაზე ნაყოფიერების გამომხატველი ნიშნები საკმაოდ მკვეთრადაა ხაზგასმული. (1)

კერებში ნაყოფიერების გამომხატველი ქალის ფიგურების ასეთი სიუხვე მიანიშნებს კერის საკრალურ მნიშვნელობაზე და მის კავშირზე ნაყოფიერება-გამრავლებასთან. ამ ხალხის კულტურაში უკვე აშკარად იკვეთება „კერის" ანუ მისტიური ცენტრის, სიყვარულის, ქალის და მამაკაცის კავშირის რელიგია.

შემდგომი მტკვარ-არაქსის კულტურისათვისაც, რომელიც აგრძელებს წინა ხანის ტრადიციებს, ყველაზე მეტად დამახასიათებელია წრიული ნაგებობების ცენტრში თიხის მრგვალი კერის არსებობა. ძალზე საინტერესოა საცხოვრებელი სახლების ფორმა, რომელიც გადაჭრილ კვერცხს წააგავს. რადგანაც იმ დროის სახლები წყვილადი ოჯახისთვის იყო განკუთვნილი, გამოდის რომ ცოლ-ქმარი „თიხის კვერცხებში" ცხოვრობდა. მათ შიგვე ჰქონდათ საკულტო ადგილი, რაც სახლს ტაძრის ფუნქციასაც ანიჭებდა. ისინი, თავისებურად, კერის რელიგიის მსახური ქურუმები იყვნენ, რაც ჯანსაღი სიცოცხლის დაბადებაში ვლინდებოდა და მოსახლეობის გამრავლებას მეტად უწყობდა ხელს. გამრავლებული მოსახლეობა კი განფენას იწყებს სხვადასხვა მიმართულებით და თან მიაქვს გარკვეული რწმენა წარმოდგენები, ძირითადად „კერის" კულტი, რაც ხშირად თავს იჩენს კავკასიიდან მეტად დაშორებულ ტერიტორიაზე. „ჩრდილო კავკასიაში ისინი იკავებენ ჩრდილო-აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილს. უფრო ფართოდ ეს კულტურა ვრცელდება სამხრეთით, იკავებს თითქმის მთელ აღმოსავლეთ ანატოლიას, ურმიისპირეთს და ირანის პლატოს ნაწილს. მისი გავლენის ქვეშ ექცევა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ოლქები, სირია-პალესტინა. აქ ყოველგვარი ადგილობრივი ტრადიციების გარეშე უეცრად ჩნდება ახალი კულტურა, რომელსაც მისი პირველი აღმოჩენის ადგილის მიხედვით „კირბეთ-კერაკის" კულტურა ეწოდა." (1)

„კირბი" რელიგიურ-რიტუალური ტერმინია, აღნიშნავს საკულტო კერას, მასთან დაკავშირებულ დამწერლობას და ნაყოფიერებას ქალღვთაება „კიბელას" სახელწოდების წარმოშობის ახსნის საშუალებას იძლევა. კიბელა — დიდი დედის, სიცოცხლის მიმნიჭებელი ქალღვთაების სახელია და მთელს მცირე აზიის რელიგიებში, ასევე კრეტაზე, ცენტრალური ადგილი ეკავა. მის სახელთან იყო დაკავშირებული მთავარი სამწათმოქმედო დღესასწაულის გამა-

რთვა. დამწერლობა „კვრბების" შექმნა კი მის ქურუმებს კორიბანტებს მიეწერებათ, რომლებიც, სტრაბონის ცნობით, კოლხეთიდან ყოფილან, რაც ასევე ადასტურებს ამ მოვლენის კავკასიურ წარმომავლობას.

ზემოთ ნახსენები „წყურვილის ბორცვის" მეშვიდე ფენა, რომელიც მეცნიერებმა კრეტის მონათესავედ მიიჩნიეს, ემთხვევა კავკასიიდან მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების გადასახლებას, რომელსაც თან მიაქვს კიბელას და „კვრბის" კულტი. ამ პერიოდის ქართული კერებისათვის დამახასიათებელია ზედსადგარები ხარის გამოსახულებით. როგორც აღვნიშნეთ, კრეტაზე მთავარი ღვთაება კიბელა იყო. მასთანვე იყო დაკავშირებული ხარის იმდენად პოპულარული კულტი, რომ კრეტას ხშირად ხარის კუნძულს უწოდებენ. მიიჩნევენ, რომ აქედან გავრცელდა ესპანეთში საქვეყნოდ ცნობილი „კორიდა", რომლის სახელწოდება ახლოს დგას კიბელას შვილის და ქურუმის სახელთან „კორიბ-ანტი", ასევე ძველ ბერძნულში გულის, სიღრმის, შუაგულის აღმნიშვნელ ტერმინთან — „კარდია". დაახლოებით იგივე სახელწოდებით — „კარდუხი" — ცნობილი იყო ტომი ვანის სამხრეთ-დასავლეთით, მდ. ტიგროსის ზემოწელზე. გ. მელიქიშვილის აზრით, „თუ მას ხური-ურარტული სატომო სახელდების მაწარმოებელ „ხი" დაბოლოებას ჩამოვაცილებთ, „კარდუ" დაგვრჩება. ეს ხალხი ქართული წარმოშობის უნდა ყოფილიყო. მისი სახელი „კარდუ" (გამოთქმაში უნდა გვქონდეს „ქართუ") იდენტურია აღმოსავლეთ-ქართული გაერთიანების ჰეგემონი ტომის ადგილობრივი სახელისა."(5)

აქვე უნდა განვიხილოთ ინდოევროპული ტერმინი: „Card", „Карта", რაც ინდოევროპულში რუკის, სათამაშო ბანქოს, აბრის, მისალოცი ბარათის, სამისამართო დაფის თუ სხვა სახელს აღნიშნავს. ბერძენი ავტორის ცნობით, კოლხები კარტოგრაფიული მნიშვნელობის კვრბებს ინახავდნენ. არის კიდეც მოსაზრება, რომ ტერმინი „Карта", — რუკა — „კვრბიდან" მომდინარეობს. ხოლო სათამაშო კარტი, ერთ დროს რელიგიური დანიშნულების კვრბებით მყარი ფირფიტები უნდა ყოფილიყო. მაგიური ნიშნებით დაფარული ეს ფირფიტები შესაძლოა კულტმსახურებისათვის გამოიყენებოდა.

ასევე საინტერესოა ტერმინი „კერაკი", რომელიც ამჟღავნებს სიახლოვეს აიეტის დის კირკეს სახელთან, ასევე ბერძნულში ჰერმესის ორ გველ შემოხვეული კვერთხის „კერიკიონის" და წრიულის „კირკ" დასახელებასთან, ხოლო ლათინურში მუხის სახელთან „კერკუს", რაც თითქოს საფუძვლად დაედო ინდოევროპულ ენებში ტაძრის აღმნიშვნელ სიტყვას (მაგ. church, „Церковь, Kirche"), პლინიუსის მიხედვით ფაზისზე არსებობდა ქალაქი კირკეუმი, ტიმეოსის თქმით, კირკეონი ველი ყოფილა კოლხეთში, როდესელი კი წერდა კირკეონის ველზე მდგარ მუხაზე იდო საწმისიო. ყველა ეს მოვლენა ახლოს არის ქართულში „კერის ხესთან", ანუ სიცოცხლის ხესთან, რომელზეც კვრბი-საწმისი უნდა დებულიყო.

მკვლევარები მუხის ინდოევროპულ დასახელებას უკავშირებენ ინდოევროპელთა ერთ-ერთი მთავარი ღვთაების „პერკუნის" სახელს. პერკუნი ჭექა-ქუხილის, წვიმის, ომის ღვთაება იყო, რომელსაც თავდაპირველად ნაყოფიერების, სიუხვის მიმნიჭებელი ფუნქცია უნდა ჰქონოდა. მოგვიანებით, ბერძნულ ტრადიციაში იგი ზევსთან გააიგივეს და მუხაც ზევსის ხედ გადაიქცა, მისი ფუნქციები კი არესზე და ჰეფესტოზე გადანაწილდა. რომაულ მითოლოგიაში კი მთელი მისი ფუნქციები მარსმა შეინაცვლა. (4)

როგორც ვიცით, კოლხეთში არესი-მარსის ველზე მდგარ მუხაზე იდო ოქროს საწმისი. ქართველურ

ენებში არესის დღის — სამშაბათის უძველეს ვარიანტად ივ. ჯავახიშვილი „ტერკუნს" ასახელებს. ადრეც აღვნიშნეთ, რომ არესის ქართული სახელწოდება შესაძლოა იყო „რკინა", რაც მარსის ლითონად არის მიჩნეული. ბერძნული წყაროებით ცნობილი „კირკეონი"-ც ალბათ ამასვე ადასტურებს.

კოლხეთში არსებული „რკინის ველი", რაც შესაძლოა მაგნიტურ ველს გულისხმობდა, საკულტო ხითა და მაგიური ნივთებით, ხომ არ დაედო საფუძვლად ინდოევროპულ ენებში ნაყოფიერების მიმნიჭებელი ღვთაების, მისადმი მიძღვნილი სიცოცხლის ხის და სხვადასხვა რელიგიური ტერმინის წარმოშობას?

ძალზედ საინტერესოა პლინიუსის ცნობა, რომლის მიხედვითაც კასპიის ზღვას „გირკანია" (ზოგ რუკაზეა „ჰირკანია", რასაც იბერებსაც უწოდებდნენ) რქმევია, რაც ქართულ ცნობებში „გურგანს" შეესიტყვება. ქართულში შუაგულის აღმნიშვნელი ტერმინი „კურკა" საბას ლექსიკონში „გურკად" იწოდება და ენათესავება „წრიულის" აღმნიშვნელ სიტყვებს: გურგალი, მგრგუალი, გირკალი, გრაგნილი, გორაკი და სხვ. ყველა ეს მოვლენა ხომ არ ადასტურებს ადრე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ღვთაება გიორგის პირველწყაროდ უნდა მივიჩნიოთ ფუძე „გურ\გ\ი", რაც წყალს და სიმბოლურად წრიულს უკავშირდება? ტერმინი „ბერმუხაც" გიორგისადმი მიძღვნილ ხეს ხომ არ გულისხმობს, რადგან „ვისაც გიორგისადმი სამსახურის და მონობის აღთქმა აქვს დადებული, იგი ბერად იწოდება."

ბერძნული წყაროების მიხედვით, რკინის აღმომჩენებად ხალიბები ითვლებიან, რომლებიც მითოლოგიაში არესის შვილებად იხსენიებიან. სტრაბონის ცნობით კი, ბაბილონში ესოდენ პოპულარული ქალდეველები ხალიბები ყოფილან. ისინი საქვეყნოდ იყვნენ აღიარებულნი, როგორც ბრძენები, მოგვები, ასტროლოგები და საერთოდ ოკულტური მეცნიერების მცოდნენი. ჰეროდოტეს გადმოცემით, ქალდეველი ქურუმების მოღვაწეობა ბაბილონის გოდოლს უკავშირდება. მისი აღწერით ერთმანეთზე მდგარა რვა გოდოლი. „უკანასკნელ გოდოლზე აღმართულია დიდი ტაძარი. ამ ტაძარში ღგას დიდი, ბრწყინვალედ მორთული სარეცელი და მის გვერდით ოქროს ტაბლა. არავითარი გამოსახულება ღვთაებისა იქ არ მოიპოვება. არც არავინ ათევს იქ ღამეს, გარდა ერთი ქალისა, რომელსაც ქალდეველთა, ამ ქურუმთა სიტყვით, ღმერთი ამოარჩევს ადგილობრივ ქალთაგან. ეს ქურუმები იმტკიცებიან (თუმცა არა მჯერა) თითქოს თავად ღმერთი ეწვეოდეს ზოგჯერ ტაძარს და ღამეს ათევს ამ სარეცელზე."

ხელოვნურ მთაზე შემოდგმული ტაძარი, რომელშიც საკრალური ქორწინების რიტუალი სრულდებოდა, სიმბოლურად იმეორებს ხეზე შემოდებული ჯვარგამოსახული კვერის კომპოზიციას, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს შუამდინარეთის უძველესი რელიგიის ნათესაობას კოლხურ-კავკასიურ რელიგიურ ტრადიციასთან.

საკრალური ქორწინების სიმბოლიკა ქართულ არქეოლოგიურ მასალებში კერის ფორმაში აისახება და საშუალებას იძლევა მისი ეზოთერული მხარის გაგებისა. „ყუერბი" — შუაგული, ასევე დამწერლობა, განასახიერებს კერის ადგილის, დედამიწიერ ქალურ ენერგიას, რომელიც კოსმიური მამაკაცური ინფორმაციით ნაყოფიერდება დაშვებული ენერგეტიკული სვეტის მეშვეობით, რაც სიცოცხლის ხედ გაიაზრება. ამ ხის ნაყოფია მისტიური ცოდნის შემცველი ნივთი, რომელიც ბიბლიაში ვაშლის, ხოლო მითოლოგიაში ოქროს ვერძის სახით გვხვდება. ეს მოდელი უდევს საფუძვლად ყველა ძველ სამინათმოქმედო რელიგიებს და, აქედან გამომდინარე, ძველ ცივილიზაციებს.

დღემდე ცნობილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, დამწერლო-

ბა „კვრბის" ყველაზე ძველ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს უნგრეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი თიხის მრგვალი ფირფიტა, რომლის ცენტრში ჯვარია გამოსახული, ხოლო დამწერლობა შუმერული პიქტოგრამული ნიშნებით არის შესრულებული და საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით იკითხება. ეს აღმოჩენა საკმაოდ სენსაციური გამოდგა, რადგან ფირფიტა მე-5 ათასწ. დათარიღდა, ეს კი ის პერიოდია, როცა შუმერული დამწერლობა კი არა, თავად შუმერიც ჯერ არ არსებობდა. მეცნიერებმა გამოთქვეს აზრი, რომ დღემდე შუმერულად ცნობილი დამწერლობა, იქნებ სულაც არ არის შუმერული (უმეტესი ნიშნები კრეტული პიქტოგრამული ნიშნების იდენტური გამოდგა) შესაძლოა იგი სხვა ხალხის შექმნილია და სხვა ტერიტორიაზეა წარმოშობილი. ამის საბუთად იმასაც თვლიან, რომ შუმერული დამწერლობა, რომელიც მე-4 ათასწ. მეორე ნახევარით თარიღდება, გაჩნდა უეცრად და უკვე განვითარებული ფორმით. სტატიის ავტორის ცნობით „ზოგიერთი მეცნიერი თვლის რომ მე-15, მე-13 ათასწ. პროტოშუმერები გამოეყვნენ პროტოქართველებს და საქართველოს ტერიტორიიდან ეხლანდელი ქურთისტანის ტერიტორიაზე გადასახლდნენ, მაგრამ როგორ შეძლეს მათ, გადაეცათ თავიანთი დამწერლობა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ხალხისათვის, კითხვა მნიშვნელოვანია, მაგრამ პასუხი არ ჩანს"(8) უცხოელი ენდრიუ კოლინზი კი ამტკიცებს, რომ ნეოლითის ხანის ბოლოს ქურთისტანის ტერიტორიიდან ეგვიპტეში მოსულა ხალხი, რომელიც მუსიკალური ინსტრუმენტის გარკვეულ სიხშირეებზე და ტონალობაზე დაკვრით ლოდების ჰაერში გადაადგილების ტექნიკას ფლობდა, მისი აზრით, ეგვიპტური პირამიდები სწორედ ამ ხალხის აშენებულია. დაახლოებით მსგავსი ლეგენდა არსებობს ჩვენში, დიდი ლიახვის სათავეში მეგალითური ციხის მშენებლობასთან დაკავშირებით. ლეგენდის მიხედვით, ციხე იმ დროს აუშენებიათ, როცა ადამიანი უკვდავი იყო, ქვა კი მოკვდავი. მშენებლების მოთხოვნით ქვები თავისთავად გადაადგილდებოდა და ერთმანეთზე ეწყობოდა.

უნგრეთში აღმოჩენილ ფირფიტებთან დაკავშირებით შუმეროლოგმა ა. კლიშინმა გამოქვეყნა სტატია, რომელშიც განიხილავს რა შუმერული პიქტოგრამული დამწერლობის შინაგანი განვითარების კანონებს, ასკვნის, რომ მე-4 ათასწ. დასასრულისათვის ეს დამწერლობა, როგორც სისტემა იყო არა ჩამოყალიბების, არამედ დაშლის პროცესში. ასევე განიხილავს სხვადასხვა ხალხის უძველეს დამწერლობებს და მათ შორის არსებულ უდავო მსგავსებების მიზეზად მათი წარმოშობის საერთო წყაროს მიიჩნევს, რომლის დაშლაც მე-7 ათასწ. უნდა მომხდარიყო. „მე-4 ათასწ. დამწერლობების სხვადასხვა სისტემა ჩვენი პლანეტის სხვადასხვა ადგილას კი არ აღმოცენდა, არამედ ეს იყო მთლიანი რელიგიური სიმბოლიკის პროტისისტემის დაშლილი ნამსხვრევების ავტონომიური განვითარების შედეგი. თავის მხრივ ეს სისტემა ერთ კონკრეტულ ადგილას გაჩნდა, ისევე როგორც ერთ კონკრეტულ ადგილას გაჩნდა ჰომოსაპიენსი, თუმცა არსებობს არაერთი საპირისპირო ვერსია."(9)

ქართულ ზეპირსიტყვიერ მასალებში დღემდეა შემორჩენილი მიწაზე ღვთაების დაშვების ადგილად კერის მიჩნევა, რაც გამოიხატება კერაში ამოსული ხის სიმბოლიკით. ასეთ შემთხვევაში მაცხოვრებლები ადგილს მიატოვებდნენ ხოლმე და ის ტერიტორია ხატის საკუთრება ხდებოდა. ასეთ ადგილს კვრივს უწოდებდნენ.

რადგან ქართული კერა მრგვალია, საკრალურ შუაგულს განასახიერებს და ღვთაების დაშვების ადგილსაც გულისხმობს, მასთან კავში-

რში უნდა იყოს აღმოსავლეთის რელიგიებში ცნობილი მოვლენა „მანდალა". მიიჩნევენ, რომ იგი აღმოცენდა ინდურ ნიადაგზე, შეითვისა ბუდიზმმა და გადასცა თავისსავე მოგვიანო განშტოებებს ტიბეტში, ცენტრალურ აზიაში, მონღოლეთში, ჩინეთში, იაპონიაში. „მანდალა" ნიშნავს მრგვალს, წრიულს. იგი რიტუალური ნივთია, შესაწირავის სახეობაა. მზადდებოდა ხისაგან, თიხისაგან, ლითონისაგან, ქვიშისგან, ცომისაგან და ა.შ. მანდალა ტიბეტში და მონღოლეთში განიხილება, როგორც ღვთაების ან ღვთაებათა ადგილსამყოფელი. ბუდისტური ტანტრიზმის დამაარსებელმა, რომელსაც მიეწერება პირველი მანდალას დამზადება, როდესაც ღვთაების დახმარება დასჭირდა, მანდალა დაამზადა და შვიდი დღე ლოცულობდა, რის შემდეგაც ღვთაება დაეშვა ცენტრში და შეუსრულა თხოვნა. ღვთაების მოძრაობის ამ მოტივს ზევიდან ქვევით, ციდან მიწაზე — მანდალას ცენტრში — მის სტრუქტურაში შეაქვს ვერტიკალური კოორდინატი, რაც უკავშირდება სამყაროს ვერტიკალური სტრუქტურის სხვა სიმბოლოებს, როგორიც არის სამყაროს ღერძი, სიცოცხლის ხე, მერუს მთა და ა.შ. აქედან გამომდინარე მანდალას უკავშირებენ რიტუალური შენობების: ზიქურატების, სასახლეების, ტაძრების დაგეგმარების სტრუქტურას, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, ისე ცენტრალურ ამერიკაში. ზოგი მკვლევარი თვლის, რომ მეგალითური ნაგებობები, როგორც ტიბეტში, ისე სხვა ადგილებში (მაგ. სტოუნხენჯი) თავის საფუძველში შეიცავს მანდალას პრინციპს, ანდა პირიქით, მანდალა სხვა არაფერია, თუ არა სქემა მეგალითური ნაგებობისა. (7)

სტოუნხენჯი გარდა იმისა, რომ თავის მონაცემებით უზუსტესი კალენდარია, ასევე კოსმიური ენერგიის მისაღები ადგილიც უნდა იყოს. იგი სამოთხეს, შუაგულს, ყუერბს განასახიერებს და თაგისებურ კუნძულს წარმოადგენს, რადგან გარშემო წრიულად 6 მ სიგანის თხრილი შემოუყვება. ეს არის „კუნძულზე" აგებული უძველესი ტაძარი, რომლის შიგნით ჯერ კიდევ ბევრი საიდუმლოა ამოხსნელი. იქნებ პლატონის ატლანტიდაც ასეთი სიმბოლური კუნძული იყო, რომელიც აღწერით საკმაოდ პატარაა და მხოლოდ ერთ ტაძარს იტევს, მრავალრიცხოვანი მოსახლეობა კი მატერიკის მცხოვრებნი უნდა ყოფილიყვნენ.

ისე სად არ ეძებდნენ პლატონის მიმდევრები გამქრალ კუნძულს, ოკეანეებსა თუ ზღვებში, კონტინენტებსა თუ კუნძულებზე. ერთმა რუსმა ავტორმა ისიც კი თქვა, რომ მისი აზრით, ატლანტიდა კოლხეთში უნდა ყოფილიყო. „თუ ჩვენ შევადარებთ კოლხეთის მეფის აიეტის ბრწყინვალე სასახლის აღწერას პლატონის მონაყოლს ატლანტიდაზე, არ შეიძლება არ გაოცდეთ, ისე უცნაურად გავს კოლხეთის მეფის რეზიდენცია პოსეიდონის სასახლეს. შემთხვევითი არ არის, რომ საბჭოთა ატლანტოლოგი ი. ჟიროვი არგონავტების და ოდისევსის მოგზაურობაში გამქრალი ატლანტიდის კვალს ხედავს. "(9)

ამ საკითხთან დაკავშირებით ახლა რაიმეს თქმა ძნელია, ისე ბერძნული წყაროებით აიეტის სასახლეც და ოქროს საწმისიც ფაზისის კუნძულზე მდებარეობდა. ლეგენდის მიხედვით კი რიონისა და პალიასტომის შესართავში მართლაც არის დაძირული ქალაქი, რასაც ვახუშტი ბაგრატიონიც ადასტურებს: „ამას იტყვიან ნაქალაქევს და მოცულსა წყლისაგან"-ო. სხვა თქმულების მიხედვით, სანამ ქალაქი დაიძირებოდა, მასში არსებული კულტი ატანილ იქნა იმ არემარის უმაღლეს ადგილზე, სადაც დღესაც დგას მთავარანგელოზის საყდარი. როგორც ამ გადმოცემიდან ჩანს, ქალაქში, მართლაც, რაღაც განსაკუთრებული კულტი არსებულა.

თხრილით შემოსაზღვრული დასახლებები კოლხეთში ჯერ კიდევ გვიანნეოლითის ხანაშია დამოწმებული. განიერი თხრილი უვლიდა ასევე გარს გვიანბრინჯაოს ხანის ყაფლანისხევის და ნაცარგორის ნასახლარ ბორცვებს. ორივეგან გამოვლინდა საკულტო ნაგებობები. გამოითქვა მოსაზრება, რომ ნაცარგორის საკურთხეველები ნაძერწი სვასტიკებით და ხარის ქანდაკებებით, ახლოს დგას კრეტაზე მინოსის სასახლის საკულტო ნაგებობებთან. აქვე აღმოჩნდა რიტუალური დისკოები ე.წ. „თიხის პურები". დასანანია, რომ არცერთი მკვლევარი არ აღნიშნავს, დისკოები იყო თუ არა შემკული რაიმე ნიშნით.

უნგრეთში აღმოჩენილი მრგვალი ფირფიტა, ისევე, როგორც კრეტაზე ნაპოვნი თიხის დისკო ფესტის სასახლიდან, სიმბოლური დატვირთვით მჭიდროდ უკავშირდება შუამდინარეთში აღმოჩენილ ე.წ. სამარას კერამიკას, რომელიც შუმერამდელ ცივილიზაციას ეკუთვნის. ამ თეფშებზე, რომლებიც საკულტო დანიშნულების უნდა ყოფილიყო, წრეში ჩახატული ჯვრის მოძრაობაა გამოხატული, ხშირად სვასტიკის სახით. ყველა მათგანზე დაფიქსირებულია ცენტრი. მოძრაობა ამ შემთხვევაშიც საათის ისრის საწინააღმდეგო მხარეს არის მიმართული. დიდი ხანია ცნობილია, რომ თუ საგანს საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით დავატრიალებთ, გარკვეულ სიჩქარეზე იგი ფრენას იწყებს. გამოდის, რომ ეს თეფშები „მფრინავ თეფშებს" განასახიერებს და სიმბოლურად მაღლასვლას, კოსმოსში გასვლას გულისხმობს. რადგან ოქროს ვერძიც „მფრინავი" იყო და თან ზოდიაქოს ვერძს აღნიშნავდა, ჩვენ საერთო იდეასთან გვაქვს საქმე.

რადგანაც მთა-ზიქურატები, ანუ უძველესი ტაძრები მისტიური ცენტრის სიმბოლიკას განასახიერებენ, ისინი ე.წ. „დაკარგული სამოთხის" ხელოვნურად შექმნის მცდელობას წარმოადგენენ. ამიტომაც არის ბაბილონის გოდოლის მშენებლობა ღმერთთან მიახლოვების სიმბოლო. ძველი ქურუმები, ვინც უძველეს ტაძრებს და პირამიდებს აგებდნენ, ჯერ კიდევ ფლობდნენ დედამიწაზე არსებული კოსმიური ცენტრის შესახებ საიდუმლო ინფორმაციას. ამ ნაგებობების, ანუ ხელოვნურად შექმნილი ცენტრების საშუალებით ისინი კონტაქტს ამყარებდნენ კოსმიურ ენერგეტიკასთან.

სულ ცოტა ხნის წინათ უცხოელმა ფიზიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ ამ ენერგეტიკას თავისი ტალღური სიხშირეები გააჩნია. მათ შეძლეს ამ სიხშირეების ხელსაწყოების საშუალებით დაფიქსირება და დაიწყეს ამ მოვლენის შესწავლა. გამოითქვა მოსაზრება, რომ დღემდე არსებულ ენებში, არის ენა, რომელიც ამ სიხშირეებთან კონტაქტისთვის არის შექმნილი. ამ ენად მათ სავარაუდოდ ქართული მიიჩნიეს, რაც ქართული ეზოთერული ტექსტის დადასტურებად უნდა ჩაითვალოს, სადაც ნათქვამია, რომ ყველა მისტიური საიდუმლოს ამოსახსნელი გასაღები ქართულ ენაშია მოცემული და დიდი ხნის წინ დახურული კოსმიური ცენტრის კარი მხოლოდ მისი საშუალებით გაიღება.

ლიტერატურა:

1. ო. ლორთქიფანიძე. „ქართული არქეოლოგია". თბ. 1991
2. Э. Фромм. „Психоанализ и религия". — Сумерки Богов — М. 1990
3. ზ. კიკნაძე. „შუამდინარული მითოლოგია" თბ. 1979.
4. Т.В. гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов. „Индоевропейский язык и индоевропеицы" Тб. 1984.
5. გ. მელიქიშვილი. „ურარტუ". თბ. 1951
6. Э. Церен. „Библейские холмы". М. 1966.
7. Мифы народов мира. М. 1982.
8. Б. Перлов. „Живые слова Гертерии". „Техника Молодежи." 12.1975.
9. А. Кифишин. „Ветви одного дерева. „Техника Молодежи." 12.1975.
10. А. Г. Разумов. „Злые волны Эвксинского Понта". „Техника Молодежи." 1976.
11. Всемирная история. Том I. М. 1956.

ზაურ კილაძე

სულიერება

ნინათქმა

იმ ავად მოსაგონარ დღეებში, როდესაც თბილისის ცენტრი ცეცხლის ალში იყო გახვეული, თავისუფლების მოედანზე გაჩნდა წარწერა - სულიერება! რომელიც მერე გაქრა სხვა წარწერებთან ერთად. ეს იყო შემთხვევა, როდესაც ჭეშმარიტება ცხადდება, შეიძლება ერთი, ერთადერთი სიტყვის მეშვეობითაც.

მართლაცდა, რა სულიერებამ, მისმა რომელმა განზომილებამ მიგვიყვანა ამ დღემდე, რა სულიერებამ დაგვაკარგვინა დამოუკიდებლობა მე-19 ს. დამდეგს და მე-20 ს. ოციან წლებში, და ბოლოსდაბოლოს, რა შემზარავი სიცხადით დავინახეთ ერთი, თუმცა კი უდავო, მაგრამ მოუხელთებელი ჭეშმარიტება, ჩვენ ის კი არა ვართ, რასაც ვამბობთ, არამედ ის, რასაც ვიქმთ, და რასაც ვიქმთ, უკვე რეალობაა, დამადასტურებელი იმისა, რაც ვართ. და სწორედ ეს რეალობა უნდა იყოს თვალხილული მცირეოდენი ნაწილი იმ აისბერგისა, რომლის უდიდესი, მეორე ნაწილი ზღვისქვეშეთშია და არა ჩანს, და სწორი სამოქმედო ორიენტირების მონიშვნა მხოლოდ ამ აისბერგის უჩინარი ნაწილის წარმოჩენისა და შეცნობის მერე შეიძლება.

ჰოი, ნაპირნო

> და ნუ გეშინიათ იმათი, რომელნიც ჰკლავენ ხორცს, მაგრამ არ შეუძლიათ სულის მოკვლა, არამედ უფრო გეშინოდეთ იმისა, ვისაც შეუძლია სულიცა და ხორციც წარწყმიდოს გეენას.
>
> მათე, 10,28

ამბობენ და მართალიცაა, ერის ბედ-იღბალი კაცის ბედ-იღბალს ჰგავსო — კაცის დარადვე ერიც რას არ გადაეყრება და ვის არ გადაეყრება და ეს „შეხვედრები" გარკვეულ კვალს სტოვებენ იმის სულში. თავის მხრივ ეს სული, უნიკალური და განუმეორებელი, ასევე უნიკალური ბედისა ხდება. კაცის დარადვე ერს შეუძლია თქვას, ნეტავი ასე გამევლო ეს წუთისოფელი და არა ისე, ნეტავი იმას გადავყროდი ჩემი ცხოვრების გზაზე და არა იმას, ნეტავი ის გადამხდენოდა თავს და არა ისო.

ყოველი ერის ისტორია თითქოსდა ამას ღაღადებს, როგორი ან რა იქნებოდა ახლა ჩემი სული, სხვანაირად რომ გამევლო ისტორიული შარაგზები და არ მომსვლოდა ის საბედისწერო შეცდომები, რაც ახლა უკვე ნათელია და ცნობილი...

მაგრამ ერთი კაცისაგან განსხვავებით, ერს უმნიშვნელოვანესი თვისება აქვს — ის უკვდავია იმდენად, რამდენადაც უკვდავი შეიძლება იყოს მისი სამშობლო, და თითქოსდა ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ცნება, ერის უკვდავების და სამშობლოს უკ-

ვდავების იგივეობისა, შეიძლება პარადოქსულად გაისმას, და თუკი ისტორიას მოვიშველიებთ, დავინახავთ, რომ ამ პარადოქსს აქვს თავისი საფუძველი, რადგან, როგორც ვიცით, თავად ერს, ანუ უფრო სწორად, იმის კარგა დიდ ნაწილს ხშირად სასწორზე შეუგდია სამშობლოს ბედი.

ცნობილია, სასწორზე იყო შეგდებული მრავალი ქვეყნის არსებობა, მაგრამ ღირსეულად დაუღწევიათ თავი ამ ქვეყნის შვილებს მომაკვდინებელი განსაცდელისთვის. მაგრამ ესეც ვიცით, მრავალი ქვეყანა და ერი აღგვილა პირისაგან მიწისა. ამის მიზეზების ჩაღრმავება შორს წაგვიყვანდა, თუმცა ერთი კი უნდა აღვნიშნოთ, ძირითადად, ერთი კაცის მსგავსადვე, ერის სულის არსებობაც უნდა ვივარაუდოთ, ოღონდ ეს სული გაცილებით რთული, მოუხელთებელი, გაცილებით თავისთავადი, თავისდაუნებური თვითმკვლელობის უფრო დიდი უნარის მქონეცაა.

ხსენებული უნარი ყოველი ერისათვის უნიკალური და განუმეორებელია, ვთქვათ, სხვადასხვაგვარად იყო უფსკრულის პირას მისული XVIII ს. მინურულს საფრანგეთი, აშშ 1861-1865 წწ. სამოქალაქო ომის დროს, გერმანია 1933-1945 წწ. და, თუ გნებავთ, ჩვენი დროინდელი რუსეთი და ა.შ. და თუ დიდი ერები, როგორც წესი, ნახულობდნენ ძალას აღდგომოდნენ ისტორიულ-ეროვნულ ქარტეხილებს, პატარა ერების ბედი შეიძლება სავალალო გახდეს.

ქართველ კაცს ეს ორი საუკუნეა თავისი სულის შესაცნობად არ ეცალა, რადგან თავისი ფიზიკური შენარჩუნების სასოწარკვეთილის ძალისხმევით იყო დაკავშირებული.

ორსაუკუნოვან ტყვეობას ქართველი კაცის სულისთვის, რაღა თქმა უნდა, უკვალოდ არ ჩაუვლია და ახლა, როცა ტყვეობის ხუნდები რამდენადმე ახსნილია, დაკარგული აქვს საყოველთაო მიმძლავრების დროინდელი ავბედითი წონასწორობა.

თანამედროვე ქართველი კაცის სულს მძიმე ლოდად აწევს იმისი ცოდნა, რომ უახლოეს წარსულში არსებობდნენ, ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ისეთი ისტორიული პიროვნებები, რომლებიც ფიზიკურად საქართველოში იშვნენ და მათი საქმიანობა დამღუპველი გამოდგა ამ ქვეყნისთვის. ცხადია, ეს აზრი მრავალს ფესიმიზმის ხვანჯებში ახვევს და ისინი დღეიადაგ ამ მწარე, ქვეშეცნეული მოლოდინით არიან გატანჯულნი, ვაითუ მსგავსი პიროვნებები, რაღა თქმა უნდა, სხვა, სულ ახალი სახელებით. ასევე ახალი, თუმცა კი ძველებურად დამღუპველი საქმიანობით და ამის შესაბამისი ახალივე ნიღბებით მოგვევლინონ და, საუბედუროდ, როგორც უკვე ვიცით, ისტორიული პიროვნებების ნიღბების ამოცნობა ყოველთვის გვიან, ანუ ამ პირების გარდაცვალების მერე ხდება, მაშინ, როდესაც იმათი მოღვაწეობის აღმოფხვრა დიდ ძალისხმევას ან სულაც ახალი ეპოქის დადგომას მოითხოვს.

მართლაც ისტორიას პიროვნებები ქმნიან და ყოველი ერის ისტორია გარკვეულწილად ამ პიროვნებებს საქმეთა შარავანდედით თუ ბურუსითაა გარშემოვლებული. რაღა ლარი და ხაზი უნდა იმას, რომ თანამედროვე ქართველი კაცი უფრო შავბნელი ბურუსითაა მოცული, ვიდრე შარავანდედით, რომელიც, მხოლოდ, ძველი, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ხანიდან გვაწვდის თავის მომაჯადოებელ, მაგრამ ჯერ კიდევ, საბედნიეროდ, ჩაუმქრალ სხივებს.

იმ ძველი ხანის შვილები და მათი მემკვიდრეები უკვე კარგა ხანია აღარ არიან, დღეს ჩვენი, ახალი ხანის შვილებისა და იმათი მემკვიდრეების ეპოქაა ჯერ კიდევ და ისინიც ამ ეპოქის გამრუდებული დაღით არიან აღბეჭდილნი და ამისდა კვალად იმათ უჭირთ თავიანთი საქმიანობისთვის სწორი სადინარის გამონახვა

და თავისდა უნებურად აგრეთვე გაუკუღმართებული თავ-თავიანთი საწყაულების აღვსებას მიელტვიან.

ფრიად საყურადღებო უნდა იყოს მიკვლევა ამ გაუკუღმართებული საწყაულებისა, რომელიც ასე ტრაგიკულად, ასე მწარედ, ასე საბედისწეროდ გადაჯაჭვული იყო ჩვენი სამშობლოს ბედთან შედარებით ახლო წარსულშიაც და დღესაც. ამ საწყაულების საფუძველი ერთ სავალალო ანაქრონიზმშია საძიებელი, ეს არის დღევანდელი ქართველი კაცის ფეოდალური მეობა და აქ გასაოცარი არაფერია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ე.წ. სოციალისტური ყოფა თავისი არსით შუა საუკუნეების ფეოდალური ყოფის განმეორება იყო, თუმცა კი მარქსიზმ-ლენინიზმის მისტიკური მოძღვრებით შენიღბული, და სწორედ ამ სოციალისტური ფეოდალიზმის ეპოქამ წარმოშვა, როგორც ჩანს, ის საშინლად მოურჩენელი სენი, რომელიც ღრღნის თანამედროვე ქართველი კაცის სულს მარად დაუძინებელი მატლივით და სასწორზე აგდებს ქართველი ერის დამოუკიდებლობას.

საბჭოურ ნუთისოფელს მოვლენილი ადამიანი მიმხვდარია, გრძნობს თავის უსუსურობასა და უბადრუკობას. მემკვიდრეობა მას არა აქვს, თავდადებული, პატიოსანი შრომა ვერას შემატებს მატერიალურად და, უფრო მეტიც, სულაც სასაცილო შეიქმნება. და ისიც გამოსავალს ეძებს, რათა მოიპოვოს შემოსავლის წყარო, რომელიც, ძირითადად, იქა ჩფქეფს, სადაც თავმოყრილია მმართველობის სადავეები.

და ასეთმა სოციალურმა ყოფამ შვა უნიკალური ტიპი ადამიანის, რომლისთვისაც პიროვნული ღირსება, მნიშვნელობა და რაც მთავარია, თავისთავადობა, მისი თანამდებობაზე ყოფნით შემოისაზღვრება, თანამდებობის დაკარგვა მისთვის ღირსებისა და პატივის, საშინელი სუბიექტური ტრაგედიის ბადალი ხდება. ცხადია, ასეთი ადამიანი ყოველი ღონით ცდილობს ამ სასწაულებრივი სავარძლის შენარჩუნებას თუნდაც იმიტომ, რომ კაცად ის მანამდე რჩება და მანამდე ახურავს ქუდი, სანამ ამ სკამზე ზის.

ხანგრძლივი, დემოკრატიული ტრადიციების მქონე, ცივილიზებულ ქვეყნებში, ცხადია, სკამის დაკარგვა არამცდარამც არ მდაბლდება ასეთი უგვანო დონემდე, რადგან იქ სახელმწიფოებრივი თუ სხვა თანამდებობა უდიდეს პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული, ჯერ ერთი და, მეორე, სკამის დაკარგვა შედარებით ნაკლებად მოქმედებს იმის ცხოვრების პირობებზე.

ერის ჭეშმარიტი თავისუფლების მოპოვება თითოეული მისი შვილის სულის ამაღლების მეშვეობით ხდება, ანუ, ეს ამაღლება ნიშნავს თავის ფლობას იმ ძალითა და მასშტაბებით, რომ დაითრგუნოს ქვენა ინსტინქტების თარეში, რომლის დროსაც კაცი თავს ყოვლისუფლებას ანიჭებს და ამდენად არათავისუფალი ხსენებული ინსტინქტების მონა-მორჩილია და ეს მორჩილება იმდენად ბრმა არის, რომ ამ დროს სულ ადვილად, ამაზრზენი სიმშვიდითა და ცინიზმით ფეხქვეშ ითელება ადამიანის უფლებები და ასეთი შვილების სამშობლო განწირული იქნება ამა თუ იმ სახის არადემოკრატიული მმართველობის ხუნდებში მოსაქცევად.

დღევანდელი ქართველი კაცის სული მრავალნაირი შიშის სათარეშო გამხდარა, ახალ სულიერებას ის ვერ მოიპოვებს ამ თარეშის მოუთოკავად. თუმცა კი ამგვარი სახის შიშიანობაზე საუბრისას აუცილებელია ამ გრძნობის ახსნა და გაშიფვრა. ცხადია, ჩვეულებრივი შიშის გრძნობა არ იგულისხმება აქ, ეს არის სულის სიღრმეში ჩაბუდებული, ღრმად შენიღბული, გაუთავისებელი, არაცნობიერი განცდები, რომლის მიკვლევა და არსებობის კონსტატირება, მისთვის ზუსტი სახელის დარქმევა

მხოლოდ იმის საცხადო გამოვლინებაზე დაკვირვებით თუ შეიძლება.

თუ დღეს ქართველი კაცის მიმძლავრებული სულის პრობლემების მიკვლევას შევეცდებით, რეალური უნდა იყოს ასეთი ვითარება: სამშობლოს თავისუფლების პრობლემა დღენიადაგ სულსა და გულს უმღვრევს (დღეს უკვე ჩანს, ამისი საფუძველი შეიძლება იყოს — 1. შინაგანი ქარტეხილები; 2. გარეგანი პირობები), შიში გაუკუღმართებული ნარსულისადმი და აწ უკვე საბედისწერო ტრადიციად ქცეული საკუთარი უილაჯობა და უსუსურობა; შიში იმ შებღალული საკუთარი სულისა, რომლის განწმენდა და ნათელი ორიენტირებით აღჭურვა ძნელზე ძნელი ჩანს; შიში იმ გარესამყაროსადმი, რომელიც თითქმის ყოველთვის მტრული იყო მისთვის, შიში მიუსაფრობის და უმეგობრობის — უცხოთა თვალში ქართველი კაცის სული ცალმხრივად, გროტესკულად აღიქმება და მხოლოდ ერთეულები თუ შეძლებენ მის ადეკვატურ გაგებას; შიში იმისა, რომ მას კარგად არ აქვს გათავისებული დემოკრატიის არსი და ხშირად მისთვის დემოკრატია ანარქიის ბადალი ჩანს... ქართველი კაცისათვის ის სანუკვარი ნაპირები ამ საყოველთაო შიშიანობის მიღმაა საძიებელი, როდესაც მას გაუჩნდება იმედი მკვიდრი, ნათელი, დემოკრატიული მმართველობის ტრადიციების შექმნის, ცხადი გახდება მისი შემოქმედების, შრომის, სწავლის, თავისიანებთან და სხვებთან ურთიერთობის მიზნები და შედეგები.

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ადამიანი განახლების ქარტეხილებმა მოიცვა, და კიდევაც შეეცადა უკუგდო ის თავისი წარსული, რომელიც თითქოს ნათელი გახდა მისთვის. და თურმე, როგორც ეს დღეს ჩანს, წარსულის ვითომცდა ნათელი ორიენტირებისდა კვალად მომავლის ნათელი ორიენტირების მონიშვნა საშინელი მარცხით დასრულდა, რადგან ადამიანმა თავისდა უნებურად მოვლენათა სახელების შეცვლით მოინდომა ფონს გასვლა. და არსი კი, ასევე თავისდა უნებურად, ხელუხლებელი დატოვა (თუმცა კი ეს მწარე გზაც ხომ იყო გასავლელი!). ერთი სიტყვით, სახელებმა ტრაგიკულად შეინიღბეს არსი და ამას უსაშინლესი სიხლისღვრა მოჰყვა, ლამაზი სახელების პროკრუსტეს სარეცელზე მოავლმა ადამიანმა ნახა აღსასრული. და დადგა არსისა და სახელების დაშორიშორების შემზარავი ეპოქა, როდესაც ასე უწყალოდ დაიგმანა არსი და გზა გაეხსნა საყოველთაო სიშლეგესა და ადამიანის სულიერ წარღვნას.

ქართველი კაცი ამ სულიერი წარღვნის დრამის უშუალო და ერთერთი მთავარი მონაწილეც გახდა.

და დღეს უკვე ცხადია, წუთისოფლის მღვრიე მორევში შეგდებულ მრავალტანჯულ ქართველ კაცს უჭირს ისტორიული მნიშვნელობის მოვლენების გათავისება და მათთვის ზუსტი სახელების მოძებნა.

საბჭოური ყოფიერების კანონების ვერაღსრულება საყოველთაო მოვლენა გახდა, რადგან ეს კანონები იმთავითვე არარეალური აღმოჩნდა და, შეიძლება ვთქვათ ამ კანონებმა გარყვნა ადამიანი.

ჩვენ ახლა ამ ხანის პირმშო ადამიანებთან გვაქვს საქმე, და სავარაუდებელია, ჰომო სოვეტიკუსი ახლაც მოისურვებს ძველებურად ცხოვრებას, რაც ახალი ეკონომიკური, საბაზრო ურთიერთობის პირობებში შეიძლება დამღუპველი გამოდგეს. ჩვენი ახალი დრო-ჟამის ამოცანაა ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობა და მისი კანონების დაცვა, რათა რამდენადმე მაინც შესაძლებელი გახდეს ამ საბედისწერო, ნახევარსაუკუნოვანი ქართველი კაცის სულიერების დამანგრეველი ინერციის შეჩერება და იმ დროებისკენ მობრუნება, როდესაც უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭება მოქალაქის პასუხისმგებლობას ერის წინაშე.

ჯერ კიდევ სოკრატეს აზრით, მართალია ადამიანები ახორციელებენ კანონებს და ახორციელებენ ზოგჯერ არასამართლიანად და მრუდედ (ტელევიზიის გავრცელებამ პოპულარული გახადა ინტერვიუს აღება ცნობილი პირებისაგან. ჟურნალისტები და მაყურებლები სწორედ მათგან მოელიან სწორ პასუხს ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებზე. ერთ-ერთი ასეთი აქტუალური და პოპულარული კითხვაა — „რა არის დემოკრატია?" თითქმის ყველა ამ შეკითხვაზე ასე პასუხობს (მოკლედ, უკომენტაროდ): „კანონის უზენაესობა"; და ამ დროს პასუხის მიღმა რჩება ის გარემოება, რომ კანონის უზენაესობის დამკვიდრება მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც მას სათანადო ზნეობით, სულიერებით აღბეჭდილი ადამიანები ასრულებენ, და ყოველი დიდებული კანონი განწირულია სახელმწიფო მოხელეთა დეგრადაციის პირობებში. როგორც ვხედავთ, ეს პრობლემა სოკრატეს დროსაც იყო აქტუალური. დღეს კი უკვე ზოგადსაკაცობრიო გამოცდილება ადასტურებს იმ აზრს, რომ დემოკრატია არამარტო სამართლიანი და სრულყოფილი კანონების შექმნა და მიღებაა, არამედ ხელისუფლებაში ისეთი ადამიანების მოხმობა, თავისი მაგალითითა და ზნეობით ამ კანონების განხორციელებას რომ უზრუნველყოფენ.), მაგრამ ამის მიუხედავად კანონების უგულებელყოფას სავალალო შედეგები მოსდევს საბოლოოდ, რადგან იწვევს სახელმწიფოს ნგრევასა და გაუთავებელ სისხლისღვრას, დაბოლოს, დაღუპვას იმ ერისას, რომლის ცხოვრებაში კანონების ხელყოფა მასობრივ სახეს ღებულობს. სიკვდილმისჯილი სოკრატე ასე ეუბნება კრიტონს, რომელიც მას საპყრობილედან გაქცევას სთავაზობს: „მაშინ ამასაც დაუკვირდი, აქედან გასაქცევად გამზადებულებს — თუ რაც გინდა ის დაარქვი ჩემს მოქმედებას — ანაზდეულად რომ წამოგვდგომოდნენ თავს სახელმწიფო კანონები და ასე ეკითხათ: „გვითხარი, სოკრატე, ეს რა განგიზრახავს? ხომ არ აპირებ შენი განზრახვის აღსრულებით დაგვღუპო ჩვენ, სახელმწიფოც და კანონებიც, რამდენადაც შენ შეგიძლია იყო ამის მიზეზი? ან იქნებ გგონია, რომ შეიძლება არ შეირყეს სახელმწიფო, სადაც სასამართლო განაჩენს არავითარი ძალა არა აქვს და სადაც მისი აღსრულება ან გაუქმება მხოლოდ და მხოლოდ კერძო პირთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული" (ბ. ბრეგვაძის თარგმანი).

შემობრუნება ადამიანისკენ, როგორც ინდივიდისკენ და მათი უფლებების გათვალისწინება და დაცვა (რაც მხოლოდ დემოკრატიულ სახელმწიფოშია შესაძლებელი), ადამიანის ოდინდელი, ამა თუ იმ ზომით მისი მარადიული ბუნების შესაბამისი კანონების შექმნა და მათი მტკიცე მასობრივი განხორციელება გზაა იმ ნაპირებისკენ, რომელსაც ჯერ კიდევ ბურუსი ჰფარავს, მაგრამ უკვე ჩანს და იმათკენ ლტოლვა სულ უფრო და უფრო დაუძლეველი ხდება.

ცოდვა უმეცრებისა

1.

თავის დროზე, როგორც გვახსოვს, ტოტალიტარიზმის, დიქტატურის სახე კარგად გვიჩვენა, ანუ „ნათელი აზრის შუქი" მოჰფინა თენგიზ აბულაძის ფილმმა „მონანიებამ".

ეს ფილმი საყურადღებო იყო არა მარტო იმით, რომ მას დიდი წარმატება ხვდა წილად. ის სხვა მხრივაც იყო საყურადღებო — ფილმის დამდგმელი რეჟისორი ქართველი გახლდათ, ქართველები იყვნენ შესანიშნავი მსახიობები, და საქართველოს გარეთ, რუსეთსა და სხვა ქვეყნებში (განსაკუთრებით, რუსეთში) შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება (და, ცხადია, არც დარჩენილა შეუმჩნეველი), რომ თითქოს დიქტატორული სულისკვე-

თება ქართველებისთვის არის დამახასიათებელი. ამ შეხედულებას სტალინის ქართულმა წარმომავლობამაც შეუწყო ხელი და ბევრს როგორღაც, საოცარია, მაგრამ ასეა, აღარც ახსოვდა, რომ სტალინის აღზევება არაქართულ, რუსულ ნიადაგზე მოხდა. უფრო მეტიც, ამ კაცის საბედისწერო გაბოროტების საფუძველი ის იყო, რომ მან საქართველოში ვერ ნახა სასურველი ასპარეზი თავისი მოღვაწეობისთვის.

შეიძლება უკვე უდავო ფაქტად ჩაითვალოს, რომ ჩვენი ქვეყნის, საქართველოს, გარკვეული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, პოლიტიკური ცხოვრება დიქტატურის, ტოტალიტარიზმის შიშით აღბეჭდილი გახდა.

დღეს, ჩვენს სინამდვილეში ეს უმართებულო შიში საფუძველს უქმნის ანარქიული პროცესების უფრო მეტად გაღვივებასა და დამკვიდრებას. ცოდნა და გათვალისწინება ამ გარემოებისა აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადოება (და რაღა თმა უნდა, მთავრობაც!) ყოველთვის მზად უნდა იყოს წინ აღუდგეს ხსენებული პროცესის დამანგრეველ გამოვლინებას.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ამ შიშის ჩამოყალიბებაში სწორედ ზემოთ ხსენებულ ფილმს ჰქონდა ზეგავლენა. საგულისხმოა, რომ „მონანიება" გარკვეულწილად ამ შიშის არსებობის ფაქტად მოგვევლინა. მაგრამ აქ თავიდათავი ის არის, რომ ქართველი კაცის რეალობა სხვა რამეს გვამცნობს.

ჩვენთან სულ მუდამ იყო და არის დიქტატურის, ტოტალიტარიზმის კი არა, ანარქიის საშიშროება.

საქართველოს ძველ, ახალ და უახლეს ისტორიას ვინც თუნდაც სულ ზედაპირულად იცნობს, მისთვის ნათელია, ჩვენს ქვეყანას ანარქიულმა პროცესებმა ბევრჯერ მიაყენა მომაკვდინებელი, უმძიმესი და საბედისწერო დარტყმა. აქვე უნდა დავსძინოთ, ჩვენ ამ ტერმინით, ანარქიით, ძირითადად, ვგულისხმობთ ხელისუფალთა არაკომპეტენტურობას, უპასუხისმგებლობას, სისუსტეს, ბედოვლათობას, როდესაც კარგად ან სულაც არა აქვთ გაცნობიერებული სახელმწიფო ინტერესები და მათი უგულებელყოფა ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. ცხადია, ასეთი პროცესები ყოველ დროსა და ყოველ ჟამს იყო ხალხის გაუხარებელი ყოფის საფუძველი. ასეთ ვითარებაში კი, ისიც ცხადია, შეუძლებელი იყო და არის გარეშე იმპერიული ძალების მოგერიება.

დავით გურამიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთმანეთის ძვირის თქმამ, „უკუღმართად ხვნა და ფარცხვამ ეს ნაყოფი გამოიღო".

1801 წელს დამოუკიდებლობის დაკარგვა; ილიას მკვლელობა; 1921 წელს კვლავ დამოუკიდებლობის დაკარგვა; 1991-1992 წწ. დეკემბერ-იანვრის გადატრიალება; აფხაზური და ოსური სეპარატიზმის აღზევება და ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა... როგორც ვხედავთ, უღონოსა და უილაჯოსთვის არ დანანებიათ „თვითო ქიშტი!" არც მომავალში დაენანებათ, თუ გათიშულ-გაორებულნი დავხვდებით საფრთხეს.

ქართული სახელმწიფოებრივი საძირკვლის მოშლამ და უქონლობამ ქართველი კაცის სულიერებასაც მომაკვდინებელი დაღი დაასვა — ძალიან დიდხანს და დღესაც ის სახელმწიფოებრივი ნიჰილიზმით იყო და არის შეპყრობილი. ამისი კი უნდა გვეშინოდეს სწორედ და სათანადო დასკვნებიც უნდა გავაკეთოთ, ამ დასკვნებს კი სათანადო შედეგიც უნდა მოჰყვეს.

მომავალში საქართველო თავს დააღწევს მისი სულ მუდამ შემმუსრავი ანარქიის ხუნდებს და ეს პროცესი დაჩქარდება, თუ გამოჩნდებიან შემოქმედნი, რომლებიც მაღალმხატვრულად წარმოაჩენენ ამ ჩვენს რეალობას. ჩვენს თაობებს კი ექნებათ

თვალსაჩინო წარმოდგენა იმისა, თუ რა მაოხრებელი ზნეც გვჭირდა და გვჭირს.

2.

ერის ისტორიაში დადგება ხოლმე ჟამი განახლებისა და განწმენდისა, მაგრამ ამ ჟამის დადგომა იმდენად უნიკალურია, რომ საკმარისია იმის დინებაზე თუნდაც სულ მცირეოდენი მიმძლავრება და იმედის, ნუგეშის მომცემი ყოველი სამომავლო გზა უღვთოდ იმუსრება. მხოლოდ დიდი, დიდი დროის გასვლის შემდეგ შეიძლება ეს გზა აღდგეს და ნაკლებ მტკივნეულად იყოს გასავლელი.

ჩვენ აქ სულიერ კრიზისს ვგულისხმობთ, ჩვენი საზოგადოება და განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდობა რომ მოიცვა უკანასკნელ წლებში. დღესაც ეს კრიზისი იმდენად ღრმა ჩანს, შეიძლება ვთქვათ, ჩვენს თვალწინ იქნებ სულაც დაკარგული თაობაა — დაკარგული ქვეყნისთვის, მისი სახელმწიფოებრიობისათვის, ანუ, სწორედ ამ თაობის გამო სამართლიანი, ცივილიზებული სახელმწიფოს მშენებლობა ნახევარი ან სულაც ერთი საუკუნითაა გადავადებული.

ამაზრზენი ვარაუდია, ამაზრზენი პერსპექტივა, მაგრამ საუბედუროდ, რეალური. სწორედ ამას მოწმობს ჩვენი დღევანდელი ცხოვრება.

რა კვებავს ჩვენს ახალგაზრდობის სულს, — რა რწყავს, რა ამშვენებს მას, რა აძლევს სიცოცხლის საზრისს? ამ კითხვაზე ასეთი პასუხია სავარაუდებელი — მართალი, მშვენერი, დიდებული იდეალები. დიახ, ეს ასეა, მაგრამ ძნელზე ძნელია ამ იდეალების მიკვლევა, რადგან ჩვენვე, შედარებით ხანდაზმულთა თაობას, არასწორად გვესმის, თუ რა არის ერი. ეროვნული იდეალი, რა არის ეროვნული ცნობიერება და მისი თანამდევი ამაღლებული გრძნობა.

ეროვნულ ცნობიერებასა და კულტურაზე რომ ვლაპარაკობთ, მრავალი ფიქრობს, რომ ისინი მხოლოდ ეროვნული წარმომავლობით განისაზღვრება. ეს უდიდესი შეცდომაა. ეროვნული ცნობიერებისა და კულტურის თავიდათავი ის არის, რომ გვესმოდეს, რომელი ქვეყნის შვილები ვართ, სად დაბადებულვართ (თუ არა ვცდები, აშშ-ს პრეზიდენტი კონსტიტუციის თანახმად უსათუოდ ამ ქვეყანაში უნდა იყოს დაბადებული, ხოლო იმის ეროვნულ წარმომავლობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს), რომელი ერის სახელმწიფოში ვცხოვრობთ. სხვანაირი დამოკიდებულება უკვე ის ყბადაღებული ყოვლისდამანგრეველი, აწ უკვე სისხლისმსმელ ბომონად გარდასახული ინტერნაციონალიზმია. იმ ცნობილ იდეოლოგიაზე დაფუძნებული ბატონობის ბალავარი, მისი მექანიზმი.

უილიამ შექსპირი არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო კომუნისტი. სწორედ ამიტომ მას ბუნებრივად ესმოდა თუ რა არის ეროვნული ცნობიერება, ეროვნული ღირსება თუნდაც უცხო წარმომავლობის კაცისთვის. მისი ცნობილი ნაწარმოების გმირი, ვენეციელი მოქალაქე, მავრების შთამომავალი, ოტელო, თუ გახსოვთ, ასე ამბობს: „მე ვენეციის სახელმწიფო განმგებელთათვის გამიწევია სამსახური... ერთხელ ალეპოში ოსმალი ვინმე ვენეციელს სცემდა ერთსა და მის ქვეყანას უშვერის სიტყვით აგინებდა. მივწვდი მე ყელში იმ ქოფაკ ძაღლსა წინდაცვეთილს და დავკალ ასე...”

ეროვნული ცნობიერების მატარებელი ეროვნული წარმომავლობით კი არა, უფრო იმ ქვეყნის პატრიოტობით განისაზღვრება, რა ქვეყანაშიც ცხოვრობს; და აქ ისევ დღევანდელი ამერიკის შეერთებული შტატები გავიხსენოთ, სადაც მოქალაქეთა წარმომავლობის ინტერნაციონალური ფესვები მტკიცე, ერთი ნაციონალური სახელმწიფოს საფუძველი ხდება, ეს ნაციონალობა ამერიკელია.

დღეს, ახალ პირობებსა და ახალ ვითარებაში, საბჭოური მენტალიტე-

ტი მრავალ ამაზრზენ გამოხატულებად გარდაისახა. თითქმის მთელი ჩვენი აწმყო ამ შემზარავი ნიშნითაა აღბეჭდილი: „ადამიანი თავს იწვავს თავისი ნებით, და ესეც ამაოდ ჩაივლის. როცა ასეთი მაგალითიც კი ფუჭია, რა უნდა მოხდეს ისეთი, რომელიც შეძრავს ადამიანს, საზოგადოებას? ამიტომ ფიქრობს კაცი, რომ მოსალოდნელია რისხვა" — ზურაბ კიკნაძე ამას გაზეთ „კავკასიონის" 1996 წლის 8 ივნისის ნომერში წერს, მაგრამ ნამდვილად მოსალოდნელია რისხვა? არა. ამ რისხვის გამოვლინება უკვე ჩვენი დღევანდელი რეალობაა, სწორედ ჩვენი დღევანდელი რეალობა არის მაუწყებელი რისხვისა, რომლის დამანგრეველ ძალასაც უკვე თვალნათლივ ვხედავთ.

რა გამოგვიყვანს ამ რეალობიდან, ამ მოჯადოებული წრიდან? არადა, ეს წრე რომ მოჯადოებულია, ამას ჩვენი ასე ვაგლახად მიმძლავრებული სულიერება გვამცნობს; და ვინც ახლა და აწი უნდა დიაბადოს, იმას ასეთ სულიერ გარემოში მოუხდება ცხოვრება.

ცხადია, აქ სავარაუდებელია პასუხი: სწრაფად უნდა შეიცვალოს გარემო და ამისათვის ყოველი დღე ძვირფასია, დღესვე უნდა მივანიშნოთ ამ გარემოს შეცვლის გზა... მაგრამ გარემოს როგორ შევცვლით, როდესაც სულიერებაა შესაცვლელი. სულიერების შეცვლას თაობები სჭირდება, ჩვენი თაობა კი ხომ ისეთია, როგორც ზემოთ ითქვა, ადამიანის თავის დაწვაც ვერ შეძრავსო.

ჩვენს დღევანდელ რეალობას ასე თუ ისე ვხედავთ და გვესმის, მაგრამ რეალობის ძირისძირის მოკვლევა საშინელი ვნებათა ღელვისა და დაპირისპირების საფუძველი ხდება. თუმცა კი ამბობენ, ჭეშმარიტება დავიდარაბით მოიპოვებაო, დღეს უკვე ნათელია ზოგადეროვნული და ზოგადსახელმწიფოებრივი ჭეშმარიტების მოპოვება უფრო მშვიდი და საღი გონებით არის შესაძლებელი. თუ დაკონკრეტებაზე მიდგება საქმე, მკითხველის ყურადღება მხოლოდ ორ, ჩვენი აზრით, უმნიშვნელოვანეს საკითხზე უნდა შევაჩეროთ, ხსენებული საკითხი იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც შაბი საძირკველი უმეცრების წიაღიდანაა ამოზიდული, და რამდენად შეიძლება ამ უმეცრების ბურანს გაფანტვა?

ეროვნული ცნობიერება ანუ ის, რაც ამ ცნებაში, ჩაჭდეული, მრავალთათვის დღეს ბუნდოვანებით არის მოცული.

კარგა ხანია ჩვენთან დიდ პატივშია ცნება „ტოლერანტობა", მაგრამ იმ ათას და ათას ცნებათაგან, რაც ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში, აგრეთვე, სხვა დარგებშიც მოგვეპოვება, ხსენებული ცნება იმდენად ხორცშესხმული ბოგინებს ჩვენს რეალობაში, რომ ამასთან შედარებით სხვა ცნებები უმნიშვნელო ჩანან და მათი არსებობა მრავალთათვის არც კია ცნობილი, ანუ, გინდა იყოს და გინდა არა, იმ მრავალთათვის სულ ერთია.

„უცხო სიტყვათა ლექსიკონში" თუ ჩავიხედავთ, იქ წერია: „ტოლერანტობა — მომთმენი, შემწყნარებელი" მერე კი ეს სიტყვები ასეა ინტერპრეტირებული, „სხვისი აზრის, რწმენის შემწყნარებლობა".

მართლაცდა, ცხოვრებაში თვალნათლივ ვხედავთ მოთმინებისა და შემწყნარებლობის სიკეთეს, თუკი ეს მოთმინება და შემწყნარებლობა მრავალმხრივი ან ორმხრივი მაინცაა, მაგრამ რამდენად შეიძლება ძე ხორციელი იყოს მხოლოდ ცალმხრივად შემწყნარებელი და მომთმენი, როდესაც ხსენებული ცნებები თავის არსს კარგავს და უკვე სხვა არსით წარმოგვიდგება (თავის მხრივ რომ უკვე სხვა სახელებს მოითხოვს), და ეს არსი კი გვამცნობს ნგრევასა და სიკვდილს; მით უფრო დამანგრეველი და მომაკვდინებელია ეს აწ უკვე თავის არსდაკარგული ცნება, თუკი მისი გამოვლინება სახელმწიფო მასშტაბით ხდება.

ტოლერანტობა სხვა ეროვნებათა მიმართაც მოთმინებასა და შემწყნარებლობას ნიშნავს, მაგრამ სად არის ზღვარი ამ მოთმინებისა და შემწყნარებლობისა, სრულიად დაუდგენელია და სქელ ბურანშია გახვეული არა ცალკეული პიროვნებებისათვის, არამედ ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოებისათვისაც. დღეს აფხაზური ჯოჯოხეთის მერე თითქოსდა კარგად უნდა ჩანდეს ეს ზღვარი: სისხლისმსმელ ურჩხულად გარდასახული სეპარატიზმი ნათლად მოწმობს, რა იყო ის ტოლერანტობა, რომელიც მნიშვნელოვანწილად გახდა ამ ჯოჯოხეთის მაუწყებელი და საფუძველი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თუკი შეიძლება ეგრეთწოდებული ტოლერანტობა ხალხის თვისება იყოს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ის, რაც ამ ცნებაშია ჩაბეჭდილი სახელმწიფო მასშტაბებამდე იყოს აყვანილი, რადგანაც დღეს უკვე ცხადლივ ჩანს, ეს შემმუსრავი და დამღუპველი იქნება ყოველი სახელმწიფოსათვის.

ცივილიზებულ ქვეყნებში უკვე შეუძლებელია სხვა ეროვნებებისადმი უღირსი, უდიერი დამოკიდებულება, მაგრამ ამ ქვეყნის მთავრობები სულაც არ იჩენენ „ტოლერანტობას" იმათ მიმართ, ვინც ხელჰყოფს სახელმწიფო ინტერესებს, მის მთლიანობას, სიმშვიდეს, სტაბილურობას, სხვაგვარად რომ იყოს, ყოველი ეს ქვეყანა ნგრევასა და განადგურებისათვის იქნებოდა განწირული.

ეროვნული ცნობიერებისა და ღირსების იგნორირება სახელმწიფო მშენებლობის დროს ქმნის ჩვენი ახალგაზრდობის სულიერებაში იმ ვაკუუმს, რომელშიც უკვე დიდ ადგილს პოულობს ეგრეთ წოდებული კრიმინალური რომანტიკა, ნარკომანია, პესიმისტური განწყობილება. რაც თავის მხრივ მაცნე და მაუწყებელია საყოველთაო ნგრევისა, ანუ იმ ზემოთ ხსენებული განკითხვის დღისა. ისიც უნდა ითქვას, თუკი გავითვალისწინებთ, რომ სწორედ ახალგაზრდობაა ეროვნული არმიის ბურჯი, ცხადლივ დავინახავთ ეროვნული ცნობიერების მნიშვნელობას.

დემოკრატიის სული

— რატომ სტირი, ჩემო სოკრატე, ასე როგორ ავიჩუყაგული ჩემმა სიტყვებმა?

— ეს სიხარულის ცრემლებია, იმ სიხარულისა, რომელსაც ეჭვის გაცამტვერება იწვევს. ის, რაც მხოლოდ ეჭვად მქონდა და ცხადლივ დაუდასტურებელი, ახლა ჩემთვის ცხადი გახდა და დადასტურებული.

„დიალოგები"

ტოტალიტარიზმისა და ანარქიზმის ფესვები ჯერ კიდევ ცხოველთა სამყაროშია საძიებელი და ტოტალიტარული და ანარქისტული ბელადები შეიძლება ფარის თავში მოქცეულ ყოჩებს შევუდაროთ, ფარა იქით მიდის, საითაც ეს ყოჩები გაუხვევენ, თუნდაც უფსკრულისაკენ.

დემოკრატიის სულის დამკვიდრება ადამიანის ცხოველური საწყისების დაგდებაა და იმ საუფლოს კარიბჭის გავლაა, სადაც ადამიანი მასობრივად ეზიარება ღვთაებრივს და ის ოდინდელი სოკრატისეული ზრუნვა სულზე კიდევაც აღწევს მიზანს.

დემოკრატიის პირობებში ადამიანს უკვე ძალა შესწევს იყოს შეურყვნელი, თავისთავადი, თავისუფალი, პასუხისმგებელი თავის და სხვათა წინაშე.

ცხადია, ტოტალიტარულ და ანარქისტულ ქვეყანაში ადამიანი განწირულია დასაცემად და მისი ძირითადი მამოძრავებელი ძალა არის შთამომავლობისა და სიცოცხლისშენარჩუნება, ხოლო შედარებით უკეთეს შემთხვევაში — მდგომარეობის შენარჩუნება.

ცხოველურისა და ღვთაებრივის ჭიდილი ადამიანში, როგორც ვხედავთ, მთელი სახელმწიფოების მასშტაბებით ხდება.

ზემოთქმულის მიხედვით, უნდა ვივარაუდოთ ტოტალიტარულ სახე-

ლმწიფოს მართავს ცხოველური ძალა, გარკვეულ არაცხოველურ ხარისხში აყვანილი, ანუ ადამიანის ინტელექტის ნაყოფი — ძლიერი არმია, შეიარაღება, სამართლებრივი სისტემა მონინააღმდეგეთა დევნისა სწორედ ამ ძალის სამსახურშია ჩაყენებული.

ანარქისტულ სახელმწიფოში ძლიერი არმიის უქონლობა და შეუძლებლობა, ძალოვანი და სამართლებრივი ორგანოების კორუმპირებულობა, მოუწესრიგებლობა და ქაოსი ასევე მომაკვდინებელია ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ.

დემოკრატიულ სახელმწიფოში კი ხსენებული ინტელექტი და მისი მოღვაწეობის ნაყოფი ადამიანის უფლებების დაცვისათვისაა მოწოდებული და ამ დროს გარკვეული ღვთაებრივი (კეთილი) ძალა წარმართავს ამ სახელმწიფოს ცხოვრებას.

გზა დემოკრატიისაკენ რთულზე რთულია და ის გზა ადამიანის სულში გადის. მხოლოდ ადამიანის სულის მეშვეობით უნდა განსხეულდეს დემოკრატიის სული, სხვაგვარად შეუძლებელია. თუ ობიექტურად არ იმძლავრა დემოკრატიის სულმა ადამიანში, ბოლოს ის მაინც ტოტალიტარიზმის ან ანარქიის ბადეში გაებმება.

ზემოთქმულის დაკონკრეტება ასე შეიძლება.

ტოტალიტარიზმისა და ანარქიული ხვანჯებისაგან თავის დაღწევა ჯერ კიდევ არ ნიშნავს დემოკრატიის სულის ზეობას, რადგან ამ დროს ადამიანს კიდევ ერთი და უმნიშვნელოვანესი, სულიერი, შინაგანი გზა აქვს გასავლელი.

ტოტალიტარიზმისა და ანარქიული მარწუხებისაგან თავდაღწეული ადამიანი პირველ რიგში გარეგან თავისუფლებას პოულობს, ხოლო შინაგანი თავისუფლება მისთვის ჯერ კიდევ უცხო არის და მხოლოდ სულიერი განწმენდის შემდეგ მიიღწევა.

საქმე ისაა, რომ გარეგანი თავისუფლების მოპოვების შემდეგ ადამიანი შინაგანი ბნელი ძალების ტყვე ხდება და მისთვის გარკვეული დროით თავისუფლება და ყოვლისუფლება სინონიმები ხდება.

ამ მხრივ ფრიად თვალსაჩინო მაგალითია საფრანგეთში XVIIIს. ბოლოს მომხდარი რევოლუცია. მეფის აბსოლუტიზმის დამხობას-თუ იმდენად არ მოჰყოლია თავისუფლება, რამდენადაც ამ რევოლუციის მამამთავრებმა ვერ მოთოკეს ყოვლისმომნელებელი ვნების ბოგინი და ამდენად შინაგანად არათავისუფალნი დარჩნენ.

თუ რა სისხლისღვრა მოჰყვა ამას, ცნობილია, და ბოლოს იქ დემოკრატია ჩანასახშივე მოშთობილ იქნა და დამყარდა ნაპოლეონის ტირანია.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: XIX ს. ადამიანის ინტელექტუალური მოღვაწეობა შემოისაზღვრა მეტად არაინტელექტუალური შედეგებით, და ეს პროცესი მით უფრო დამძიმებული აღმოჩნდა, რაც უფრო მახვილგონივრული, ორიგინალური მოძღვრებები შეიქმნა, სწორედ მაშინ წარმოიშვა ილუზია იმისა, რომ ამ მოძღვრებებით შეიძლებოდა საყოველთაო სამართლიანობის მიღწევა და ამ დროს სრულიად უარყოფილი იქნა მმართველობის ფორმის რაგვარობა. მით უმეტეს, რომ ამ უარყოფის საფუძველი თითქოსდა ნათელი იყო, მარცხი განიცადა მმართველობის ორივე იმხანად ცნობილმა ფორმამ, რესპუბლიკურმა და მონარქისტულმა, რადგან ის სანუკვარი ადამიანის უფლებების საყოველთაო დაცვა მაშინ შეუძლებელი აღმოჩნდა და რაკი ასე მოხდა, იმძლავრა იმ აზრმა, რომ საკუთრების ფორმაა ყველაფრის თავიდათავი და ამან სრულიად დაჩრდილა დემოკრატიული იდეები, რომლის ხორცშესხმა დასავლეთში ჯერ კიდევ ახალი დაწყებული იყო და თითქმის სრულიად გაუცნობიერებელი.

იდეისა და იდეოლოგიის ფეტიშირება ხდებოდა დემოკრატიის სულის ჩაკვლით, იდეისა და იდეოლოგიის სულმა შეცვალა დემოკრატიის სუ-

ლი, ანუ იდეისა და იდეოლოგიის სიკეთის პირველობა იქნა აღიარებული და ამ აღიარებით გარკვეული ხნით კიდევაც შეინიღბა ტოტალიტარიზმის ბოროტება.

დემოკრატიის სულის ზეობის საფუძველი ბუნდოვანებითაა მოცული. თუმცა დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში ჩანს ამ სულიდან ამოზიდული ნათელი, მაგრამ ძირისძირი მისი ჯერ კიდევ მისაკვლევია. ამ მიუკვლევლობასა და ბუნდოვანებას თუნდაც ის მოწმობას, რომ დემოკრატიული მმართველობა ძნელი დასამკვიდრებელია, როგორც ვხედავთ.

რა შეიძლება ესაძირკვლებოდეს დემოკრატიის სულს?

იქნებ კერძო საკუთრება, როდესაც იზრდება უშუალოდ პიროვნების პასუხისმგებლობა და თავის მხრივ ეს პასუხისმგებლობა მოიცავს ცხოვრების მრავალ სფეროს. გარკვეულწილად ეს ასე უნდა იყოს, მაგრამ ვერც იმას უარვყოფთ, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში სახელმწიფო გარკვეულ და ქმედუნარიან მარეგულირებელ ძალად გამოდის და იქ კერძო საკუთრება, ანუ კაპიტალისტური ურთიერთობანი სახელმწიფო კონტროლს სულაც არ არის მოწყვეტილი.

იქნებ ეს შეიძლება დემოკრატიული არჩევნები იყოს, როდესაც უკვე მტკიცე ტრადიცია არსებობს სამართლიანი არჩევნებისა და მთავრობა დღენიადაგ პარლამენტის მეთვალყურეობის ქვეშაა...

როგორც ჩანს, უნდა ვიფიქროთ, დემოკრატიის სული ჰომო საპიენსის იმ ძირისძირთან არის წილნაყარი, საბოლოო ჯამში ადამიანური ცივილიზაციის საფუძვლად რომ წარმოგვიგება.

დემოკრატიულ სახელმწიფოში შექმნილია ისეთი მდგომარეობა, რომელსაც შეიძლება საყოველთაო პასუხისმგებლობის ატმოსფერო ვუწოდოთ.

დემოკრატიისათვის პასუხისმგებლობის უდიდესი მნიშვნელობა აღნიშნული აქვთ მრავალ მეცნიერს — პიროვნული პასუხისმგებლობით დაწყებული და დამთავრებული სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობით. მათი აზრით, სწორედ ეს არის დემოკრატიის ქვაკუთხედი.

მართლაცდა ასეა და უფრო მეტიც, შეიძლება ესეც დავსძინოთ, თუკი ვინმე რატომღაც დემოკრატიის სახელის შეცვლას მოისურვებს, შეუძლია მას პასუხისმგებლობა დაარქვას.

მაგრამ აქ ჩვენთვის საყურადღებოა ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება.

ეს პასუხისმგებლობა იმ ღვთაებრივ-ადამიანური სულის რაღაც სიმებთანაა დაკავშირებული. თავად რელიგიების წარმოშობა გარკვეულწილად (იქნებ მთლიანად?!) იმ ფენომენის არსებობას მოწმობს, როდესაც აუცილებელია ღვთაებრივი თვალის კონტროლი ადამიანის სულის მოძრაობისადმი და აქედან წარმომდგარი გაუნელებელი პასუხისმგებლობა თავის და სხვათა წინაშე.

და, როგორც ვხედავთ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ რელიგიის განქიქებამ საყოველთაო ცხოველურ-ადამიანური სულიერი უპასუხისმგებლობის აღმოცენება გამოიწვია ტოტალიტარიზმისა და ანარქიზმის ბელადებში.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, ზემოთ ნახსენები ბელადების ტოტალიტარული (დესპოტური, ტირანული, ანარქიული, ფაშისტური) უპასუხისმგებლობა, ჩვეულებრივ, არ ხდება სასამართლო განსჯის საგანი (დაგვეთანხმებით, რომ ნიურნბერგის პროცესები იშვიათობაა კაცობრიობის ისტორიაში).

და რახან ასეა, რახან ზემოთ აღნიშნული უპასუხისმგებლობა ვერ ისჯება, ამიტომ ხალხმა, ერმა, ჯერ ერთი, უნდა შეიცნოს, გაიგოს, განიცადოს ასეთი მდგომარეობა და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადოს მას და, ამავე დროს, ყოველი ღონე

იხმაროს დემოკრატიული ინსტიტუტების შესაქმნელად და საყოველთაო სულიერი პასუხისმგებლობის დასამკიდრებლად.

დემოკრატიის სული ერთადერთი მკურნალია იმ საშინელი დამმონებელი გრძნობისა, რომელსაც შიში ჰქვია. ტოტალიტარიზმისა და ანარქიის პიროებში შიში წარმართავს პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ ცხოვრებას, სწორედ ეს ერთი გრძნობა ბოგინობს ქვეყანაზე და იმის ყოვლისმომცველ ძალას ვერ გაექცევიან ტოტალიტარული ან ანარქიული სახელმწიფოს ყველანაირ იერარქიულ საფეხურზე მდგომნი.

მხოლოდ დემოკრატიის დამკვიდრებით მოხდება ამ ყოვლის დამანგრეველი, პიროვნების დამამცრობელი გრძნობის ალაგმვა და შეცვლა თანალმობის, ურთიერთგაგების, პიროვნების ამმაღლებელი, ყოფიერების სიხარულის გრძნობით.

„მე არ მინდა და არ შემიძლია დავიჯერო, რომ ბოროტება იყოს ადამიანების ნორმალური მდგომარეობა" — XIX ს. მეორე ნახევარში ითქვა თ. დოსტოევსკის ეს სიტყვები, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა XX ს. გამოცდილება.

დიახ, ადამიანის გამოცდილება დიდი ძალაა და ახლა, XX ს. მიწურულში უკვე არის ასეთი გამოცდილება. დღეს თ. დოსტოევსკის შეიძლება ასე ეთქვა ჩვენთვის: „მჯერა, რომ ბოროტება არაა ადამიანის ნორმალური მდგომარეობა".

დღეს უკვე ვიცით, ბოროტება ადამიანის ნორმალური მდგომარეობა არაა, თუკი ის დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრობს, და თუ თ. დოსტოევსკიმ, იმპერიაში მცხოვრებმა კაცმა, გამოთქვა ის ზემოთ მოყვანილი სიტყვები, ჩვენს ეპოქაში, როდესაც სულ უფრო მძლავრი ხდება დემოკრატიის სული, ადამიანის ის ოდინდელი მერყეობა უფრო და უფრო უახლოვდება გარკვეულ ზღვარს, როდესაც სადაცაა წარიხოცება ის მრავალსაუკუნოვანი ეჭვი და ადამიანის საიდუმლო თანდათანობით ცხადი შეიქმნება და, რაც მთავარია, გამოცდილებით დადასტურებული.

გრიგოლ ლორთქიფანიძე

ერთგული ბოლშევიკი

წერილი თეოდ. ლლონტს

წინასიტყვაობა

უკანასკნელ წლებში დიდი ინტერესი გამოიწვია 20-იანი წლების ცნობილი რევოლუციონერისა და საზოგადო მოღვაწის, გრიგოლ ლორთქიფანიძის, პიროვნებამ, ვისაც "წილად ხვდა ერის ღირსების და თავმოყვარეობის დასაცავად მძიმე ჯვრის ზიდვა... დაუფასებელია მისი "მიმოხილვები". აქ ჩანს აშკარად სალი ლოღიკა, სინთეტური გონება" (ვლ. ანთელავა, "ფიქრები მამულზე", ხელნაწერი, 1922-1923 წწ., თბილისის მეტეხისა და სუზდალის პოლიტსაპატიმროებში ნაწერი დღიურები).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაჩინო მოღვაწე, გრიგოლ სპირიდონის ძე ლორთქიფანიძე (დაიბადა 1881 წელს ქუთაისის მაზრის სოფელ ისრითში /ვანის თემი/ სპირიდონ თეიმურაზის ძე ლორთქიფანიძისა და მართა თადეოზის ასულ პაპავას ოჯახში) ჭაბუკობიდანვე ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში.

1902 წლიდან სწავლა განაგრძო ნოვოროსიის საიმპერატორო უნივერსიტეტში, სამედიცინო ფაკულტეტზე, სადაც აქტიურად მონაწილეობდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მუშაობაში; მაგრამ 1904 წელს ამ საქმიანობისათვის დააპატიმრეს და უნივერსიტეტიდანაც გარიცხეს.

1905 წელს გრ. ლორთქიფანიძე კვლავ საქართველოშია და აქტიურ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა.

1905-1906 წლებში რედაქტორობდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის ორგანიზაციის ყოველდღიურ გაზეთს "სოციალ-დემოკრატიული ფურცელი".

1907 წელს გრ. ლორთქიფანიძე კვლავ უნივერსიტეტს დაუბრუნდა, მაგრამ ამჯერად სწავლა ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე განაგრძო /ფილოსოფიის განყოფილებაზე/. თუმცა რევოლუციური მუშაობა არც ამჯერად მიუტოვებია. ქ. ოდესის არქივებში ინახება გრ. ლორთქიფანიძის რევოლუციური საქმიანობის ამსახველი არაერთი დოკუმენტი, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ოდესის ოლქის პოლიციის უფროსის მოხსენება იმპერატორისადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ ოლქის ერთი ყველაზე საშიში რევოლუციონერთაგანი სწორედ გრ. ლორთქიფანიძეა.

1907 წლის აპრილ-მაისში გრ. ლორთქიფანიძე (როგორც მენშევიკი) ლონდონში გამართული რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მე-5 ყრილობის მონაწილეა.

1911 წელს იგი კვლავ დააპატიმრეს და მოათავსეს მეტეხის ციხეში, სადაც თარგმნა პროფ. რ. ვიპერის "ახალი ისტორია".

1912 წელს გრიგოლი საქართველოდან გაასახლეს, ხოლო 1913 წლიდან რუსეთის ერთი ქალაქიდან მეორეში ასახლებენ, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნებას. ასე მოხვდა იგი 1916 წელს ვორონეჟის გუბერნიის დაბა ურაევოში, სადაც კომერციული სასწავლებლის პედაგოგად მუშაობდა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, როდესაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრების ახალი ასპარეზი გაეხსნა, გრიგოლ ლორთქიფანიძე თავის ჯგუფთან ერთად აარსებს გაზეთს "Валуйская Народная Земская газета", რომელსაც თვითონ რედაქტორობს და რომელშიც, როგორც დღევანდელი რუსი სპეციალისტები ვარაუდობენ, ვლადიმერ ზავადიეს სახელით გამოქვეყნებული ღრმადშინაარსიანი წერილები სწორედ მის კალამს უნდა ეკუთვნოდეს.

დაბა ურაევოში გრ. ლორთქიფანიძემ გაიცნო მომავალი მეუღლე, კომერციული

სასწავლებლის ახალგაზრდა პედაგოგი, ლუბა ტიმოთეს ასული ავრამენკო, ვალუიკელი მრეწველის, ტიმოთე ივანეს ძე ავრამენკოს ქალიშვილი. ამ ქალმა დიდი და ღირსეული მეგობრობა გაუწია მას, უდიდესი გაჭირვების მიუხედავად, საქართველო არ მიატოვა. გრიგოლის სამ შვილს — დარეჯანს, თეიმურაზსა და ნოდარს ქართული სწავლა-განათლება მიაღებინა. აღსანიშნავია, რომ მან სულ რამდენიმე თვეში შეასწავლა ქართული ენა და რუსეთში გადასასლებულ მეუღლესთან 1922-1937 წლებში ქართულად ჰქონდა მიმოწერა.

1918 წლის დასაწყისში გრ. ლორთქიფანიძე ოჯახთან ერთად საქართველოში ბრუნდება. მისი მოღვაწეობის შესახებ 1918-1919 წლების ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება. ცნობილია მხოლოდ ერთი პატარა მოგონება დავით კლდიაშვილისა, რომელიც 1918 წელს თელავში დასწრებია გრ. ლორთქიფანიძის ლექციას (დ. კლდიაშვილი, "ოთხი დღე კახეთში", "განთიადი", 1987 წ., № 4).

1920 წლის დასაწყისში გრ. ლორთქიფანიძე დაინიშნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრად. ამავე დროს იგი მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეც იყო. ამ დროისათვის ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა სულ უფრო და უფრო სტაბილური ხდებოდა. მისი მინისტრობის პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდა საქართველოს სამხედრო ძლიერება. მაგრამ 1920 წლის მიწურულს, გრ. ლორთქიფანიძე სამხედრო მინისტრობიდან გაათავისუფლეს და განათლების სამინისტრო ჩააბარეს, ხოლო მის ადგილზე პარმენ ჭიჭინაძე დანიშნეს.

1921 წლის 17-18 მარტს გრ. ლორთქიფანიძე მონაწილეობდა ქუთაისის საზავო მოლაპარაკებაში, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, რწმუნებული. მოლაპარაკება მიმდინარეობდა დამარცხებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული მთავრობის წარმომადგენლებსა (მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრ. ლორთქიფანიძე, სამხედრო საქმეთა მრჩეველი ალ. დგებუაძე და დელეგაციის მდივანი დ. შარაბიძე) და "გამარჯვებულთა" — (ე. წ. საქართველოს რევკომი: ა.ბ. ენუქიძე, მ. ორახელაშვილი, ალ. სვანიძე, შ. ელიავა და გამბაროვი) შორის.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო, მაგრამ გრ. ლორთქიფანიძე ემიგრაციაში არ გაჰყოლია მთავრობას. იგი სამშობლოში დარჩა და შშობლიურ სოფელ ისრითში დასახლდა თავის ტოლ-შვილთან ერთად. მაგრამ 1921 წლის 13 მაისს ვანის რევკომის მესვეურებმა იგი საეჭვო პირად მიიჩნიეს და დააპატიმრეს. თავდაპირველად ვანის საპყრობილეში ჰყავდათ, შემდეგ კი — ქუთაისსა და თბილისში, სადაც რამდენჯერმე მიუსაჯეს სამ-სამი თვით პატიმრობა.

1922 წლის ბოლოს დაიწყეს მეტეხის ტყვეთა ჯგუფ-ჯგუფად რუსეთში გაყვანა. ერთი ასეთი ჯგუფი, რომელშიც გრ. ლორთქიფანიძეც შედიოდა, 16 დეკემბერს გაისტუმრეს მოსკოვისკენ. ეს ჯგუფი ჯერ მოსკოვის "ბუტირკის ციხეში" ამყოფეს, ხოლო შემდეგ ქ. იაროსლავის საკატორღო ციხეში, რის შემდეგ ისინი მოათავსეს ვლადიმირის გუბერნიის ქ. სუზდალის სამონასტრო საპყრობილეში. სუზდალის ციხის საკანში 1922-1924 წლებში დაიწერა გრ. ლორთქიფანიძის შესანიშნავი ნარკვევი "ფიქრები საქართველოზე", სადაც პოლიტიკური ფილოსოფიის ფონზე კრიტიკულად გაიაზრა ძირითადი მომენტები საქართველოს უახლესი ისტორიისა, რომლის ერთ-ერთი აქტიური მოქმედი პირი თვითონაც იყო.

1925 წელს სუზდალის ქართველ პატიმართა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი საპყრობილედან გაათავისუფლეს, მაგრამ საქართველოში დაბრუნება აუკრძალეს და რუსეთის სხვადასხვა ადგილებში დაფანტეს. გრ. ლორთქიფანიძე სამი წლით კურსკში გადაასახლეს. ამ პერიოდიდან აღსანიშნავია მისი ცნობილი "პოლიტიკური ანდერძი" ("საქართველოს განვითარების გზები"), სადაც ჩამოყალიბებულია მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განვითარდეს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და მეცნიერული საქმიანობა.

1928 წელს გრიგოლ ლორთქიფანიძის დაჟინებული თხოვნის საფუძველზე მას ნება დართეს საქართველოში ჩამოსულიყო

ოჯახისა და მოხუცი მშობლების სანახავად.

დიდია გრ. ლორთქიფანიძის მეცნიერული ასპექტები. მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული ენისადმი მიძღვნილ ნაშრომს. სწორედ მშობლიური ენის სიყვარულმა დააწერინა მას სქელყდიანი საერთო რვეული, რომელშიც ქართული ენის, ძირითადად, ტერმინოლოგიისა და აგრეთვე გრამატიკის ზოგი საკითხია განხილული. ნაშრომი შედგება 132 გვერდისაგან, არა აქვს სათაური, ბოლო ფურცლები, ბოლოსიტყვაობა აკლია, ფაქტობრივად 175 გვერდია დაცული.

1928 წელს გრ. ლორთქიფანიძე იძულებული გახდა დაბრუნებულიყო კურსკში, გადასახლების ადგილზე, სადაც განაგრძობდა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

1929 წლის 21 დეკემბერს დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით კურსკიდან მისალოცი დეპეშა გაუგზავნა სტალინს მოსკოვში, კრემლში, რის გამოც დააპატიმრეს და გაგზავნეს ქ. ვორონეჟის საპყრობილეში, სადაც 6 თვე დაჰყო. განთავისუფლების შემდეგ მიესაჯა ვორონეჟში ცხოვრება 3 წლით. მუშაობდა ვორონეჟის განათლების განყოფილების ინსპექტორად.

1935 წლის მარტში გრ. ლორთქიფანიძემ, ა. დგებუაძემ და კანდელაკმა საერთო წერილით მიმართეს საბჭოების VII ყრილობის მიერ შექმნილ საკონსტიტუციო კომისიას (თავმჯდომარე — სტალინი, წევრები — მოლოტოვი, ლიტვინოვი, რადეკი...). მათ წარადგინეს თავიანთი შენიშვნები, რადგან ახალი კონსტიტუციის პროექტი საჯაროდ იხილებოდა. წერილში ვრცლად იყო დახასიათებული საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული მოწყობის ისტორია.

ამ წერილმა გააძლიერა ეჭვები გრ. ლორთქიფანიძის მიმართ, ვითარება გამწვავდა იმითაც, რომ მან 1936 წელს ცხარე კამათი გაუმართა სსრ კავშირის განათლების სახალხო კომისარს პუბნოვს, რათა თავისი სიმართლე დაესაბუთებინა. დავა კომპარტიის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის დონეზე გადაწყდა. გრ. ლორთქიფანიძე გაამართლეს, სამსახურში აღადგინეს და გაცდენილი დროის ხელფასიც აუნაზღაურეს. მაგრამ ეს დავა, და საერთოდ, აქტიურობა პოლიტიკურ ასპარეზზე გრიგოლს ძვირად დაუჯდა. 1937 წლის 13 იანვარს გამოიძახეს ქ. ვორონეჟის გპუ-ში, სადაც ამცნეს, რომ 36 სპეცდადგენილებით დაპატიმრებულია და 14 იანვარს 5 წლის ვადით გადაასახლეს ციმბირში.

1955 წლიდან, როცა რეპრესირებულთა საქმეების გადასინჯვა მიმდინარეობდა, ცნობილი გახდა, რომ 1937 წლის მარტ-აპრილში, ბერიას განკარგულებით, გრ. ლორთქიფანიძე საქართველოში ჩამოუყვანიათ. ბერია თურმე ცდილობდა, გამოეყენებინა იგი, როგორც წამყვანი ძალა, ვითომც დივერსიული ჯგუფის აღმოსაჩენად. გრიგოლი სასტიკად აწამეს, მაგრამ ამ მითიური ჯგუფის არსებობაზე ხელი ვერ მოაწერინეს. ასეთ წამებაში 1937 წ. 2 სექტემბერს გრ. ლორთქიფანიძემ თბილისის საპყრობილეში დალია სული. 1955 წელს იგი რეაბილიტირებული იქნა.

საინტერესოა გრ. ლორთქიფანიძის წერილი თედო ღლონტისადმი (თედო ღლონტი 1926-1928 წწ. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი). ამ წერილის დედანი მოძიებულ იქნა გრ. ლორთქიფანიძის პირადი არქივის მასალებში. წერილი ქვეყნდება პირველად მცირეოდენი შემოკლებით, სტილისა და პუნქტუაციის დაცვით.

გრიგოლ ზარქუა

პატივცემულო ბატონო თედო,

მაპატიეთ, რომ თქვენ, ესოდენ დატვირთულს, გართმევთ დროს ამ ბარათის წაკითხვით. შეიძლება თქვენთვის ინტერესმოკლებული არ იქნეს იმის გაგება, თუ რას და როგორ ფიქრობს საქართველოდან განდევნილი მუშათა კლასისა და ქართველი ხალხის ერთ-ერთი "შეგნებული ორგული", ანდა "შეუგნებელი მტერი", იმ საკითხისა და საქმის შესახებ, რომელიც ამჟამად დიდათ გეხებათ თქვენ. მე მოგახსენებთ ქართული განათლებისა და რუსული ენის შესახებ. პირველად ამ ბარათის მიწერას ვაპირებდი ჩემ ყოფილ მეგობარ კოწია სულაქველიძის სახელზე, მაგრამ გადავიფი-

ქრე, რადგან მას და მის მიერ ხელმძღვანებულ რედაქციის სახელზე ჯერ კიდევ სუზდალის საპატიმროდან სამჯერ გავგზავნეთ მე და ჩემმა მეგობრებმა სხვადასხვა წერილები, მაგრამ როგორც ყველაფრიდანა სჩანს, ეს წერილები ან არ მისულა დანიშნულების ადგილას, ანდა... არ ვიცი. ეს წერილები იყო ერთი 1925 წლის 29 ნოემბრის თარიღით მუშათა კომისიის სახელზე. დამატებითი საპასუხო ვრცელი ბარათი, შემდეგ ამა წლის იანვარში კ. სულაქველიძის სახელზე გაგზავნილი ორი წერილი — ერთი სწორედ რუსული ენის საკითხის გამო და მეორე შრიფტისა და ანბანის რეფორმას ეხებოდა. უნდა მოგახსენოთ, რომ გასული წლის ნოემბრის იმ ვრცელ წერილში უკვე იყო წინაგრძნობა და წინასწარმეტყველება, რომ ახლო მომავალში ჯერი საქართველოს სკოლაზე მიდგებოდა და მეტად თუ ნაკლებად მისი გარუსულების "პრობლემა" წამოიჭრებოდა. მალე ამის პირველი ნიშნები კიდეც გამოჩნდა. და აი, იანვრის ერთი წერილიც კ. სულაქველიძის სახელზე ამ საკითხს ეხმაურებოდა. დაწვრილებით არ მახსოვს, თუ რა იყო იმ წერილში და მობეზრებით ნუ მიიღებთ, თუ ამ წერილში რაიმე გამეორება იქნეს.

გადავდივარ საგანზე, მაგრამ, პირველ ყოვლისა, ნება მომეცით, სრულიად გულწრფელი და გულახდილი ვიყვე ამ ბაასში, შინაარსში-თქო, მოგეხსენებათ ვინაიდგან ეს სტრიქონები დღევანდელ პირობებში, რა თქმა უნდა, მზის სინათლეს ვერ იხილავენ და ამიტომ ნურც თქვენ და ნურც სხვა პირად შეურაცხყოფად ნუ მიიღებთ, თუ იქნებ სადმე წერის კილოში რაიმე უნებლიე სიმწვავე და უდარბაისლობა გამეპაროს ხოლმე.

პოლიტიკურ ბრძოლაში და საჯარო კამათში საერთო ზნეთა გვაქვს მიღებული, რომ მოწინააღმდეგე ხელაღებით უსინდისო, მოღალატე, არაგულწრფელად და სხვა ამგვარად უნდა გამოვაცხადოთ. ეს მეტად გავრცელებული ზნე და მეთოდია პოლიტიკურ ბრძოლაში. გადაჭარბებულად ახასიათებს ეს ზნე სწორედ იმ ხალხებსა- და წრეებს, რომელნიც კულტურის შედარებით დაბალ საფეხურზე დგანან, რომელთაც პოზიტიური აზროვნების მეთოდი არ აქვს საკმარისად შესისხორცებული. რომელნიც ხანდახან მარქსისტებიც კი არიან, მაგრამ ამ მარქსიზმსა და მატერიალიზმს ისე აღიარებენ და ისე ითვისებენ, როგორც ჩვეულებრივ სარწმუნოებას. აზროვნებისა და ბრძოლის საქმესა და მეთოდებშიაც თავისებურ რელიგიურ საფუძველსა და საფეხურზე დგანან. და, მართლაც, მუსულმანებში რა უნდა მართლმადიდებელ სიმართლისა და ჭეშმარიტების პაწია ნატამალსაც კი?! აბა, ბინძურ გიაურებში ვის შეუძლია იპოვოს მართლმორწმუნეობრივ ჭეშმარიტების და გულწრფელობის უბრალო აჩრდილიც კი?!... ვიმეორებ, მეტად თუ ნაკლებად, მაგრამ სწორედ ასეთია ჯერჯერობით ჩვენი საერთო დონე და ბრძოლა-კამათის ზნე და ხერხი. და აი კადნიერებად ნუ ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი, რომ ასეთ ზნეს და განვითარების ასეთ დონეს მას შემდეგ, რაც დავვაჟკაცდი, ზევიდან ქვევით ვუყურებდი: მე მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ მოწინააღმდეგესაც, როგორც წესი, ძირითადად "პატიოსნად სძულთ და უყვართ", რომ გულწრფელობა და პატიოსნება მარტო ჩემი ჯგუფისა და ჩემი ბანაკის პრივილეგია არ არის, რომ ბრძოლის სარჩული და მიზეზი სხვა რამ არის: ინტერესები — კლასიური, ეროვნული, ჯგუფური, წოდებრივი, პროფესიული სხვადასხვა ნაირი გაგება და შეგნება ამ ინტერესებისა და სხვა. და, აი, უნდა გატეხილი გითხრათ, ბატონო თედო, რომ საშინელ მორალურ ტკივილებს ვგრძნობდი, როდესაც ვკითხულობდი ფ. მახარაძისა და

პ. საყვარელიძის, კ. სულაქველიძის და თქვენს წერილებს უნივერსიტეტის და რუსული ენის შესახებ. ნუ გაიკვირვებთ, რომ ზნეობრივ ტკივილებს იმიტომ გავიცდიდი, რომ ამ თვალსაჩინო მოწინააღმდეგისა და ერის თავკაცობის ხსენებულ წერილებში ველარ ვნახე და ვიგრძენი... გულწრფელობის უბრალო კვალი და ნატამალიც კი.

აბა, კარგად ჩაუფიქრდით, ხშირ-ხშირად წაიკითხეთ ეს თქვენი ნაწერები ეხლა, რამდენიმე ხნის შემდეგ, და თუ არ შეშფოთდებით, რა მითქვამს და დამიწერიაო. და მართლაც რაშია საქმე? დავიწყოთ ძირითადი კითხვებიდან. თქვენ აღნიშნეთ, რომ "ენა "უბრალო ლაპარაკის იარაღი კი არ არის, არამედ წარმოების საშუალებაა უმთავრესად. ამიტომ ის, ვინც ნებსით და უნებლიეთ ქართველ ადამიანს უმსხვრევდა, უკოდავდა და უკვეცდა მის ბუნებრივად შეძენილ საწარმოო იარაღს (ქართულ ენას) და მის მაგიერ უცხო იარაღს აჩეჩებდა პირსა და ხელში, ის კლავდა და ამახინჯებდა ერს სულიერად და ფიზიკურად, საზოგადოებრივად და ეკონომიურად. ასე ექცეოდა რუსეთი სხვათა მასას, ქართველ ხალხს. ძველი რუსეთის ასწლოვანი ავაზაკობა და დანაშაული ამ დარგში აწევს მემკვიდრეობით ცოდვათ ახალ რუსეთს, თუ კი ის არამც პირწმინდათა და სავსებით არ აიღებს ხელს ამის მსგავს პოლიტიკაზე, არამედ თუ ის შეეცდება, რომ წინაპართა ცოდვები გამოისყიდოს და ქართველ ერს ნაწილობრივ მაინც აუნაზღაუროს ყოველგვარი ზარალი და, მათ შორის, ეროვნულ-კულტურულიც.

როდესაც ქართველები ქართულს იცავენ რუსულის შემოსევიდან, ეს თავდაცვითი ბრძოლაც ისევე ბუნებრივი და გასაგებია. აქაც, რა თქმა უნდა, მდგომარეობა ქმნის შეგნებას. მე ქართული ენის იარაღი მაქვს უფასოთ (ბუნებრივად) შეძენილი, მინდა ამ საწარმოო იარაღს გასავალი ჰქონდეს, რათ უნდა ვიყიდო დიდი შრომითა, ვარამითა და საშინელი ჭაპანწყვეტით სხვა უცხო საწარმოო იარაღი, და ეს ჩემი კი ჩემ მარჯვენასავით ბუნებრივათ შეზრდილი გადავაგდო, არ სჯობია ესოდენი შრომა და ხარჯი სხვა დოვლათის შეძენას მოვახმარო, როდესაც ერი თავის ენის ბატონობას იცავს თავის სახლში, ის მაშინ იცავს ერის ნივთიერ დოვლათს, ეროვნულ შრომის მარაგს და სხვა და სხვა. ყველაფერი ეს სრულიად ბუნებრივი და გასაგებია. ისევე ადვილად გასაგებია, რატომ უტევს იმპერიალისტურათ დიდი ხალხების ენა მცირე ერებს, რატომ საქონელი, სხვადასხვა ჯურისა და რჯულის მისიონერი, ენა-შკოლა, სალდათი ერთათ და ძმურათ ილაშქრებდნენ მაზრების დასაპყრობად.

მთელი მეცნიერება, ტექნიკა, ეკონომიკა იმაზე შენდება, რომ ნაკლები შრომის დახარჯვით მეტი ღირებულება შექმნას და მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ბუნებრივი სტიქიური ძალები. მტკვრისა და რიონის ტალღების ბუნებრივი მიმდინარეობა გვინდა ვამუშაოთ და მოვიხმაროთ მთელი 100% და აბა, ვინ იტყვის იმას, რომ ბუნებრივად ნაზარდი ქართული ენა, ნაყოფი მთელ საქართველოს დედათა მრავალწლობითი შრომის ნაშრომი და ნაამაგი, ეს უმდიდრესი საწარმოო იარაღი არ იქნეს გამოყენებული ქართველთა მარჯვენასთან ერთათ მთელი 100%.

ყოველ ერს აქვს უფლება, კიდევ მეტი, თუ ის უკვე გადაგვარებული და გადაფუქსავატებულ ჯიშს და კოლექტივს არ წარმოადგენს, აძევს მოვალეობა, რომ თავის ეროვნულ ფარგლებში თავის ბუნებრივი, ყველაზე იაფი და მოხერხებული საწარმოო იარაღი (საკუთარი ენა) განავითაროს და გააბატონოს. ამის წინააღმდეგ კრინტს ვერ დაძრავს ვერც ერთი გულწრფელი სოციალისტი. მართალია, ადგილობრივად

ნაწარმოებ იარაღების გაუმჯობესებისათვის საჭიროა ხშირათ შემოზიდოთ უცხო ქვეყნიდან მანქანები, მაგრამ ეს მანქანები სრულიად განსაზღვრული და სრულიად სპეციალური და ვიწრო სამრეწველო წრეს ეხება. რა თქმა უნდა, იგივეა ენის საკითხშიც. ქართული ენის და ქართული მეცნიერება-კულტურის განსავითარებლად საჭიროა და საჭირო იქნება საზღვარგარეთული იარაღი, ესე იგი უცხო ენაც, ხოლო რომელი და როგორ ზომასა და ფარგლებში, ამის შესახებ ქვემოთ...

ბატონო თედო, აბა, წაიკითხეთ, სინდისს ქვეშ, მაგალითად, ეს თქვენი აზრი და სთქვით, რა დაგემართათ, რამ დაგაწერინათ ეს უმსგავსობა, ეს სასირცხო რამ: "რუსული ენაო, — ამბობთ თქვენ, — იყო საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი დიდი წყარო. ის იყო საქართველოს სიმდიდრის ერთი დიდი საშუალებათაგანი და აი ეს უმთავრესი ინტერესი იყო მიზეზი ქართველ ხალხში რუსული ენის სიყვარულისა". ამის ცოტა ზემოთ წერთ შემდეგს: "მთელი ქართველი ინტელიგენცია სიმშილით ამოწყდებოდა, ხოლო მთლიანად საქართველოს მოაკლდებოდა ის დიდი შემოსავალი, რომელსაც ის იღებდა რუსული ენის საშუალებით". ღმერთო ჩემო, რა მესმის ეს?! და მერმეთ ვისგან?! მართალია, ჩვენში იყვნენ ზოგიერთი "კნიაჟნები" და "კნიაზები", რომელთაც "კარტული ენა არ ეკადრებოდათ და რუსული უკვარდათ", არისტოკრატობასა განათლების ნიშნათ "პარუსკობა" მიაჩნდათ; ისიც იყო, რომ ზოგიერთ ნასალდათევს თავი მოქონდა მით, რომ სამსართულიანი შეკურთხება იცოდა რუსულათ და ცხოვრებაშიც კი ხმარობდა რუსულ "მატოუკს", ეს იყო "პიატიგოდაში" და "პიატოგოდას" წინეთა, მაგრამ ძირითადათ განა ეს საკითხი იწვევდა რაიმე დავას? განა ქართველი ნაციონალისტი და ლიბერალი, პროგრესული და ესერი, მენშევიკი და ბოლშევიკი ერთი და იგივე აზრის არ იყვნენ იმის შესახებ, რომ რუსული ენა საქართველოში იყო უსაშინლესი იარაღი რუსიფიკაციისა, რომ ეკონომიურად და მრეწველურად სუსტი რუსეთი მხედრულ-სკოლურ-პოლიტიკურ იმპერიალიზმის მეთოდებს იმარჯვებდა, რომ რუსიფიკაციით ქართული ენის მოკვეთით, რუსეთი ანადგურებდა ეკონომიურათ, ეროვნულათ, კულტურით და ფიზიკურადაც ქართველ ხალხს, რომ რუსეთმა საქართველოდან ქართული განდევნა, რომ რუსეთმა ქართველთა მისი ბუნებრივი კიდურები, ხელფეხი გასჭრა, და მისი ძარღვით პროტეზების მზგავს, ხელოვნურათ რუსული მიაბა, და ჩვენი ბედნიერება და ეკონომიურ-გამდიდრება იმაში უნდა ვეძიოთ, რომ მის მიერ მოჭრილი ხელფეხის მაგიერ რუსული ენის ყავარჯენი და პროტეზები გაგვიკეთა და დაკოდილ, დასახიჩრებული შეგვაბა რუსული იმპერიის რუსიფიკაციულ სამსახურსა და ბეგარაში! ამიტომ იყო ჩვენთვის რუსული ენა უკვდავების წყარო, რომ როგორც თქვენ ამბობთ, შუხუთელ მერცხალივითა და შველის ნუკრივით მარდსა და ნიჭიერ გურულს, მრავალწლობით "პეტუშოკ ზოლოტოი გრებეშოკ"-ითა და "ბლაუნ მუუ იულ ნე იდენასავეტ ნეჩესტოვის"-ით ულაყებდენ თავს და შემდეგ ბორისგლებსკში აგზავნიდნენ გადამწერლათ, ხოლო ბორისოგლებსელ ივანე რუსს შუხუთში აწესებდნენ?! ეს იყო დიდი წყალობა და "ეკონომიური ბედნიერება", როდესაც ქართველ ხალხს ქართულ ენას ართმევდნენ, როდესაც ქართველ ინტელიგენციას, ესე იგი, ერის ინტელექტს რუსეთში მოეზიდებოდენ და იქ თქვენ მიერ შეყვარებულ ბორისოგლებსკში ანაყოფიერებდნენ რუსულ საქმეს, რუსულ ბაზარს და შემდეგ რუსულ სამარეს, ხოლო საქართველოში რუსებს მოეზიდებოდნენ სამაგიეროდ, ეს არის უდი-

დესი წყალობა, ნივთიერ-ეკონომიური წყალობა და ბედნიერება რუსული ენიდგან მიღებული?! ქართველი ინტელიგენცია სიმშილით ამოწყდებოდა, საქართველოს კი მოაკლდებოდა დიდი შემოსავალი, თუ არა რუსული ენაო, სწერთ თქვენ. ბატონო, მაშ, თუ არა რუსული, არამედ ქართული ყოფილიყო გაბატონებული საქართველოში, თუ გინდ ისე მაინც, როგორც, მაგალითად, ფინიკური ფილანდიაში, ქართველი ინტელიგენცია ამოწყდებოდა არა, ნუთუ ამ სიბრძნის თქმა გინდათ?! ანდა იქნებ მეორე რამეს თქმა გსურთ, სახელდობრ იმისა, რომ რუსეთმა ქართველ ხალხს ბუნებრივი ენა ამოსჭრა და რომ რუსულიც არ მიეცა, ესე იგი, სრულიად დაემუნჯებია, მაშინ ის ამოწყდებოდაო; ეს, რა თქმა უნდა, მართალია, მაგრამ თქვენ ხომ ამის თქმა არ გინდათ. როდესაც რუსეთის ჟანდარმერია ჩვენ საპყრობილეში გვამწყვდევდნენ და შრომის საშუალებას გვისპობდენ, სახაზინოთ გვარცხვევდნენ, მაგრამ როდის იყო, რომ მათ ჩვენ მრჩენელებს და გამაბედნიერებლებს ვუძახოდით, ციხის პაიოკს როდის ვუწოდებთ ჩვენ ეროვნულ, პოლიტიკურ ან პარტიულ წყაროს. მაგრამ ეს შედარება სავსებით სწორი არ არის იმ მხრივ, რომ ჩვენი ციხური უმუშევრობით გამოწვეული კვება მაინცა და მაინც არ შედიოდა ჟანდარმების პირდაპირ ანგარიშში. ხოლო მოკვეთილი ქართული ენის მაგიერ რუსულის "ჩაყენება", ეს რუსიფიკატორული იმპერიალიზმის პირდაპირ სარფა და მომგებიანი საქმე იყო... ჩაუყვეთ ქვევით, თქვენ სწერთ: "ინტელიგენტური ძალების მხრივ საქართველო ბევრი კუთხისათვის იყო მეტად შემძლე ექსპორტიორი. საკითხის მთავარი სიმძიმე იმაშია, რომ ჩვენ დღესაც უნდა ვიყოთ ინტელიგენციის ექსპორტიორი". წაიკითხეთ კიდევ ეს თქვენი სტრიქონები, ერთხელ, ორჯერ, ათჯერ. ჩაუკვირდით "რეებსა ამბობთ". საქართველო კი არ იყო ექსპორტიორი თავის მოჭარბებულ ქართულ ინტელიგენციის — არამედ საქართველოს მთავარ ინტელექტუალურ სულს ხდიდა რუსიფიკატორული იმპერიალიზმი. ქართველი ხალხის ინტელიგენციას საქართველოდან აძევებდა, საქართველოში რუსულ ენაზა და რუსულ ჩინოვნიკობას აბატონებდა. ხოლო ქართველ ინტელიგენციას რუსეთში, უკრაინაში, თურქესტანში, ბელორუსიაში (ანუ როგორც ამბობთ, "ბევრი კუთხისათვის") რუსულ ნაციონალისტურ საქმეზე რუსულით ამსახურებდა, და მას ეძახით თქვენ სასურველ ექსპორტს, ეს ის ექსპორტია, რომელმაც ერის ინტელექტუალურ ეროვნულ ბალანსს აქტიურობა და სიძლიერე რად უნდა მისცეს?! ეს ხომ ერის ძირიანფესვიანათ ამოგდება და დავსება იყო. როდესაც ქართველი სტუდენტი, ქართველი მხედარი გაზიდული იყო რუსეთის ბაზარზე, იმის მაგიერ რომ თავის ბუნების სამშობლო ასპარეზზე ემოღვაწა, ეს იყო ჩვენთვის ბედნიერება?! როდესაც ალექსანდრე სუმბათაშვილებს, ნიკო მარებს, პეტრე მელიქიშვილებს და სხვებს ბაზარსა და ასპარეზზედ ეზიდებოდნენ და "ასაღებდნენ", ეს იყო ~~ბ~~ედნიერება და ეს უნდა აღვადგინოთ?! გაგვაგებინეთ, ღვთის გულისათვის, რით სჯობია არსებითათ ქართველი ხალხისათვის ასეთნაირი ექსპორტი იმ ექსპორტს, რომელსაც ოსმალეთის ხონთქრები, სპარსეთის შახები ეწეოდნენ საქართველოდან, როდესაც მათ ათასობით მიყავდათ ბეგარით თუ ტყვეობით საუკეთესო ქალვაჟნი? ვის მოსწრია და სად ნახულა, რომ რომელი ერი და ერის თავი კაცები იმაზე ზრუნავდნენ, რომ ჩემს ინტილიგენციას უცხო ენა იმიტომ უნდა ვასწავლო, რომ იმ ქვეყანას "გავამზითვოთ" და გადაულოცო, რომლის ენასაც ვასწავლიო! მართალია წინათ და ახლაც, მიმდინარე

იმპერიალისტურ-კაპიტალისტურ ეპოქაში ყველა დიდი ერი ეწევა თავის ინტელიგენციის ექსპორტს, მაგრამ ის თავის ინტელექტსა და პირმშოებს სხვა ერსა და ეროვნებას კი არ სწირავს მსხვერპლად და მით სხვის ეროვნულ-კულტურულ ყანას კი არ ანაყოფიერებს, არამედ საკუთარი ენითა და სხვა იარაღებითა და საშუალებებით თავის ერისა და თავის ენის სარბიელს აფართოებს, იპყრობს, იმპერიალისტობს. განა სადმე პატარა შეუგნებელ, თავისუფალ და თავის თავის პატივისმცემელ, თუ გინდ პაწია ერს, როდესმე მოსდის თავში ასეთი ველური და თვითმკვლელური აზრი, რომ უცხო ენა იმიტომ ასწავლოს თავის ახალგაზრდობას, რომ ეს ინტელიგენცია გააუცხოვოს, ესე იგი უცხოეთში გაზიდოს?! როდესაც რომელიმე ერი სწავლობს უცხო ენას ყოველ ნორმალურ ადამიანებს, ღირსეულ და შეგნებულ მოქალაქეებს და არა მონას, ისე ესმით, რომ ახალი შეძენილი უცხო იარაღი ერის სალაროსა და საკუთნაოს ემატება და მის წარმოებით უნარს ანაყოფიერებს ადგილობრივათ, მის ეროვნულ ბეღელს ამდიდრებს. ამიტომ სწავლობს ყველა დიდი და პატარა ერი უცხო ენას. იაპონელი იმიტომ კი არ სწავლობს ინგლისურ ენას, რომ თავისი ინტელიგენცია ინგლისში გაზიდოს, იქ იმსახუროს და იქ დაასამაროს, არამედ ამ იარაღით თავის ხელსაწყოს ლესავს. ვინ გაუბედავს, ვინ კადრებს, თუ გინდ ასეთ პაწია ერებს, როგორიცაა ფინები, ბულგარელები, ბერძნები, რუმინები იმის თქმას, რომ გერმანული თუ ფრანგული იმიტომ უნდა ასწავლოთ, რომ საფრანგეთსა და გერმანიაში იმსახურებენ, იქ გადასახლდით და გადავარდითო. როდესაც ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი მიეზიდებიან კოლონიებში თავის ინტელიგენციას, ეს სულ სხვანაირი გაზიდვაა, ისინი კი არ აგვარებენ თავის "საექსპორტო" ინტელიგენციას, არამედ, პირიქით, იმპერიალისტური მიზნით მიეზიდებიან, რომ დაბალი კულტურის ხალხები გააბედნიერონ და გააინგლისურონ, გააფრანგონ, გაარუსონ.

ქართველი ინტელიგენციის გაზიდვის შესახებ რაღაც ამის მსგავსი მიხეილ კალინინს წამოცდა ბარშან საქართველოში ყოფნის დროს, მაგრამ ის ხომ კალინინია, მრავალრიცხოვანი რუსი ხალხის წარმომადგენელი, მისი პრეზიდენტი. ეს ტკივილები და ეს კითხვები მისთვის არც ისე ახლო ნაგრძნობი და გასაგებია. ერთი სიტყვით, ის მიხეილ ივანიჩ კალინინია, მაგრამ თქვენ, თქვენ, ბატონო თედო, და სხვა თქვენი თანამემამულე ამხანაგებსა და თანამოკალმეებს რა პირიდგან ამოგივიდათ, რამ გათქმევინათ ასეთი საშინელი შეურაცხმყოფელი, პირდაპირ ველური აზრი, რომ ის ქართველი ერი, რომელსაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ანიავებდა სულიერათ და ხორციელად სპარსეთის შახები, ოსმალეთის ხონთქრები და რუსეთის მეფენი, რომ ის ქართველი, რომელმაც ძლივს ძლიობით მოიტანა ცოცხალი სხეული და მბჟუტავი ეროვნული ინტელექტუალური სული მეოცე საუკუნის დასაწყისში, ეხლა სულიერდება, საშინელ ისტორიულ გრიგალებისა და ქარიშხლების მიერ ნაცემ-ნაგვემი, რომ ეს ქართველი ერი, რომელიც უნდა იკრებდეს მთელ თავის გაფანტულ ეროვნულ, ფიზიკურ და ინტელექტუალურ ძალღონეს, რომ თითქოს ეს ქართველი ერი, თქვენი სიტყვით, იმაზე უნდა ზრუნავდეს, "რომ ქართველ ინტელიგენციას ბაზარი გაუსსნას. იგი უნდა იყოს ბუნებრივი ექსპორტის მასალა და ამ დიდი მიზნების განაღდება მხოლოდ და მხოლოდ რუსული ენისადმი განსაკუთრებული სიყვარულით შეიძლება". ადამიანო, კაცო, რას ნიშნავს ეს? გინახავს ვისმეს მიერ ამის მსგავსი ველური რამ დაწერილი?

ნიძლავს ვსდებ, რომ არა, არ შეიძლება ვისმეს სადმე დაეწეროს ამისთანა რადგან, ამა თუ იმ ერის ჭკუიანი მტერი ამას არ დასწერს, რადგან ეს ნამეტანი ნიღაბახდილი და პირახეული ცინიკური იმპერიალიზმი იქნებოდა, ხოლო ამა თუ იმ ერის შეგნებულ მოყვარეს ეს აზრი თავში როდის გაუვლიდა, რადგან მისი მოყვრობაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ერს უცხოურად ებრძვის... ცოტა არ იყვეს, სიტყვა გამიგრძელდა ამ საკითხის ზოგად და პრინციპიალურ მხარის შესახებ. გადავიდეთ საგნის უფრო კონკრეტულ და პრაქტიკულ ნაწილზე. იყო ან არის მართლა საქართველოში მოჭარბებული ინტელიგენცია? არ ყოფილა და არც არის. წინააღმდეგის თქმა ჭორია. საქართველო დიდ ხანს კიდევ არ იქნება უზრუნველყოფილი საკმაო ინტელიგენციით. ქართული ეროვნული ინტელექტი წინათ სპარს-ოსმალებმა, უკანასკნელ საუკუნეებში რუსეთმა გაანადგურა. ქართული ინტელიგენციის გაზიდვა საქართველოდან იყო ხელოვნური, ძალმომრეობითი, იმპერიალისტური, რუსიფიკატორული. საქართველოში რომ ნორმალური პოლიტიკური და ეკონომიური ავტონომია ყოფილიყო, მას ისევე მორჩებოდა და მორჩება თავის ინტელიგენცია და ისევე გაზიდავდა მას რუსულ ბაზარზე, როგორც ფილანდია ზიდავდა. ან კი ამ რუსეთს რათ უნდა, ბატონო, ეს ჩვენი ინტელიგენცია, განა თავისი არ ყავს? ეს უაღრესად კულტურული ხალხი მთელ მსოფლიოს განათლებასა და განთავისუფლებას უპირებსო, მთელ დასავლეთსა და აღმოსავლეთს (მათ შორის ჩვენც) პატრონობას გვპირდებიან, და ნუთუ ჩვენი ერთი მუჭა ქართველი ხალხის ინტელიგენცია სჭირდებათ მოსკოვს და ბორისო გლებსკში? შეიძლება თუ არა რეალურად მომავალში ჩვენი ინტელიგენციის ექსპორტი? არა, არ შეიძლება, არავითარ შემთხვევაში! იმ მიზნით რომ ქართულმა ენამ და კულტურამ დაიბყრას მოსკოვია, (როგორც ამას შვებოდა და შვება რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი). შეუძლებელია ჩვენი ინტელიგენციის ექსპორტი; ეს ხომ მასხროობაა და მეტი არაფერი. თეორიულად შეიძლება დავუშვათ მხოლოდ მეორენაირი, ასე ვთქვათ, პასიური ექსპორტი, როდესაც უცხოეთს კი არ ეპყრობა, ანამედ-ემოურჩილები, ესე იგი, თეორიულად შესაძლებელია მხოლოდ ძველებური "ექსპორტის" სრული აღდგენა, როდესაც შუხუთელი კვაჭანტირაძე გარუსდება და ბორისო გლებსკში დაბინავდება, ხოლო ბორისო-გლებსკელი ივანოვი შუხუთის გარუსების საქმეს განაგრძობს. ეს იყო, მაგრამ ეს ვეღარ იქნება. დღევანდელი საბჭოთა კავშირი ანუ იმპერია ვერ შესძლებს რომ ძველი რუსული ეროვნული პოლიტიკა ასე ჩუმად აღადგინოს. კიდევ მეტი, ვერც ერთი რუსული წყობილება და მთავრობა მომავალში ვეღარ აღადგენს რომანოვების მხედრულ-პოლიტიკურ ნაციონალისტურ იმპერიალიზმს. რუსეთის ყოფილი რუსული (თუმცა მრავალერიანი) იმპერია დაემხო საბოლოოდ, ეს იყო საშუალო საუკუნეთა ნაშთი და ავად თუ კარგად ამ იმპერიის ნანგრევებზე, იდეოლოგიურად და ნაწილობრივათ, ფაქტიურადაც აღსდგა და წარმოიშვა ერთა თავისუფლება. შეიძლება ხანმოკლე რეციდივები, მაგრამ ძირითადათ სრულიად ახალი ეპოქა დაიწყო და ვერავითარი რესტავრაცია ვერ შეცვლის ამ ისტორიულ გეზს. მანამდე არაფერი გეტკინოთ არც თქვენ, ბატონო თედო, და არც მე, სანამ შუხუთმა და სერპუხოვმა ძველებურად არ დაიწყონ თავის "აკაკი აკაკიევიჩის" და "მოსე მწერლების" მასიური გაცვლა-გამოცვლა. ეს დრო გათავდა, ჩაბარდა ისტორიას. ყველა დიდი და პატარა, ძველი და ახალი ერი ყოფილ რუსეთის იმპერიაში თავის მიწაწყალს,

თავის ქვეყანას თვითონ ეპატრონება და საკუთარი ბუნებრივი და ამიტომ უფრო იაფი იარაღით (სამშობლო ენით) უპირებს გაგებას, და კიდეც განაგებს, ეს ასე მოხდება, ეს აუცილებელია, მიუხედავად იმისა, თუ როგორი საერთაშორისო ან კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი ექნება ამ ხალხებს, ეს ასე იქნება არა იმიტომ, რომ ასეთია კომუნისტური საბჭოთა სისტემის ფორმალური იდეოლოგია, ან იმიტომ რომ ეს ნაციონალისტებს უნდათ და სხვას არა, ეს აუცილებელი მსვლელობაა და თანაც წინმავალი, პროგრესული. და ერთი ისიცა სთქვით, ბატონო თედო, სად მიგყავთ რუსული ენით აღჭურვილი ქართველი ინტელიგენცია საქართველოს გარეშე. მოგეხსენებათ, რომ ს.ს.რ.კ-ის ვერც ერთ საზღვარს ფეხს ვერ გადაადგამთ რუსულით, ს.ს.რ.კ-ის გარეშე რუსულ ენას დაახლოებით ისეთივე გასავალი აქვს (თუ არ ვიანგარიშებთ დღევანდელ ემიგრაციას), როგორც მაგ. ჩინურს ჩინეთის გარეშე, პოლონურს პოლონეთის გარეშე და სხვა. ხოლო სსრკ-ის შიგნით რომელ მეზობელს გინდათ უთავაზოთ "შესრულებული" ქართველი თუ გინდ უწითლესი ჩინოვნიკი. ჩვენი მეზობლები არიან: სომხეთი, აზერბაიჯანი ჩვენი მონათესავე, მეტწილად იაფეტიდური. მთა (სადაც ისე როგორც ლაზიკაში, მართლაც, ბუნებრივი იქნებოდა საერთო ქართული ალფაბეტის აღდგენა რუსულ-ლათინური, არამეულის მაგიერ და ჩვენი თანამშრომლობა ქართულ-იაფეტიდეს კულტუროსნობისა და ეროვნების ნიადაგზე, მაგრამ ეს სულ სხვა საქმეა) შემდეგ უკრაინული ყუბანი, რომელმაც უკვე იცნო თავის თავი ეროვნულათ და დღეს იქაც კი სწარმოებს უკრაინიზაცია. შემდეგ იწყება უკრაინა და ბელორუსია, კასპიის გაღმა მოკავშირე უზბეკისტანი, თურქმენისტანი, შემდეგ კაზახისტანი და სხვა და სხვა. ხომ მოგეხსენებათ რომ მთელ სსრკ-ში დაახლოებით მხოლოდ 50-55 მილიონი რუსი ცხოვრობს, რომ რუსეთის ანუ მოსკოვის, ნამდვილი მასიურ-ეთნიური საზღვარი ჩვენგან ძალიან შორს არის, ის დაახლოებით ვოროჟეჟში იწყება, თუ სტავროპოლის რუს კოლონისტებს არ იანგარიშებთ. მაშ, ერთი მიბრძანეთ გარკვევით ე. ი. გინდათ შეუზიდოთ რუსულ ენით გამდიდრებული და შეიარაღებული: სომხეთს, აზერბაიჯანს, უკრაინას, ბელორუსიას, თურქმენებს, უზბეკებს, თუ ვის? ვის რად უნდა რუსი ჩინოვნიკის ქართული სუროგატი, როდესაც პირველი "სორტის" რუსებსაც მადლობით უბრუნებენ მათ სამშობლო მოსკოვიას, ხოლო ამ უკანასკნელს ფართოდ ჰქონდა განაზიდი, თქვენი ტერმინი რომ ვიხმაროთ, ეს "საექსპორტო მასალა", რომ არც კი იცის, სად დაალაგოს ამდენი ჩინოვნიკური საქონელი. უნდა მოგახსენოთ, რომ მე კურსკში ვცხოვრობ, უკრაინის საზღვარზე და აქ ვხედავ, თუ რა თავსატეხ პრობლემად გადაქცევიათ საკითხი, თუ რა უქნან, სად მოიხმარონ ამდენი დაბრუნებული რუსი. მერმედ საიდან: არამც თუ კიევიდან, ოდესიდან, ხარკოვიდან, ეკატერინოსლავიდან. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო თედო, რომ შუხუთელი "მორუსულე მწერლები" უკვე აღარ სჭირიათ და არც დასჭირდებათ უზბეკებს და არც უკრაინელებს და მით უმეტეს თვით მოსკოველებს.

სხვათა შორის, თქვენ სწერთ შემდეგს: "ვისაც უცხოეთის ენა აშინებს, ის უვიცი მოქალაქეა, ენა კი არ ზრდის ხალხს და ქვეყანას, არამედ ეკონომიკა (ხაზი თქვენია). დიდი ერის დიდი ენები ისპობიან, როცა ეკონომიურად ეცემა სახელმწიფო". ამ თქვენ სიტყვებში ბევრი, ძლიერ ბევრი სიმართლეა. უცხო ენის მართლაც რად უნდა ეშინოდეს შეგნებულ მოქალაქეს, თუ კი ეს უცხო ენა მის მიერ დამატებითად, ძირითა-

დად სამშობლო ენასთან, თავისუფლად შეძენილ დამატებით იარაღად აქვს. მაგრამ თუ ეს უცხო ენა ჩემს ენას, ე. ი. ჩემს დოვლათს ანადგურებს, სპობს, ძალით ართმევს ასპარეზს, ის რა თქმა უნდა, საშიშია. როდესაც საქართველოში, ქართველი ხალხის ხარჯით, თვით საბჭოთა წყობილების დროსაც კი ქართულის ადგილზე რუსული პრესა პარაპაშებს, როდესაც რუსული წიგნი და რუსული გამომცემლობა თუ მეტი არა დღესაც მენახევრეთ გახდომია ქართულ ბეჭდვით სიტყვას საქართველოში, როდესაც ერთ ქართულ მაღალ სკოლაზე პაწია საქართველოში ორი უმაღლესი რუსული სკოლა მოდის, როდესაც ქართული სამეცნიერო აკადემიის მაგივრობას ამიერკავკასიის ხალხის რუსული სამეცნიერო კომისია ასრულებს, ან და წმინდა მუშა რუსულ სამეცნიერო აკადემიას საკავშიროთ, ე. ი. ქართულადაც აცხადებენ სხვადასხვანი, რასაკვირველია, ასეთი უცხო ენა ასეთ შემთხვევაში და პირობებში საშიშზე საშიშია, ვინაიდან ის ძალადობით ძირს უთხრის, სპობს და ანიავებს ქართულ ენას, ქართული ბეჭდვითი სიტყვის ბაზარს, ქართულ კულტურასა და მეცნიერებას; აბა ამას, ბატონო თედო, რა დიდი ხაზი და ლარი სჭირდება. ეს მეტად ნათელი და მარტივი საქმე და ამბავია. იქნებ ინტერნაციონალისტური მიზნებისათვის, საკაცობრიო სოციალური იდეებისათვის ასე სჯობია, რომ რუსულმა, როგორც ოქტომბრის ენამ, ჩაყლაპოს პაწია ენები, ეს სხვა კითხვაა, მაგრამ ამას ხომ არც ერთი თქვენი ამხანაგი და არც თქვენ არ ამბობთ. ენას და მის სიძლიერეს ეკონომიკა ქმნის — "მომეცით ეკონომიკა და მე თქვენ მოგცემთ საუკეთესო ენას", — ამბობთ თქვენ, დიახ, ეს სრული სიმართლეა; მხოლოდ ისიც უნდა გახსოვდეთ, როგორც წერილის დასაწყისში სთქვით, რომ თვით ენაც ერთი უდიდეს საწარმოო იარაღია, ე. ი. ეროვნული ეკონომიკის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი და ამ იარაღს არავის გაატანს და არ დაამსხვრევინებს რაიმე ძალას არცერთი ერი, რომელსაც შერჩენია სიცოცხლის ალდო, ბრძოლისა და არსებობის უნარი, საკუთარი ენისა და ენალაგის ღირსების შეგნება და თავმოყვარეობა. ქართველ ერს აქვს უფლება და წმინდა მოვალეობა რომ მის სახლში, მის საკუთარ პატარა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ოჯახში ისევე ბატონი იქნეს ქართული ენა, როგორც რუსული ენა მოსკოვში, ფრანგული — საფრანგეთში, ინგლისური — ინგლისში, ბერძნული — საბერძნეთში და სხვა. გარდა ამისა, საქართველოს სრული უფლება აქვს და ახალ რუსეთს უწმინდესი მოვალეობა აძევს, აუნაზღაუროს საუკუნის განმავლობაში დარბეულ საქართველოს ეკონომიური და კულტურული ზარალი. საქართველოს სრული უფლება აქვს მიუბრუნდეს რუსეთს და თქვენი სიტყვებით უთხრას: "მოგვეცით კარგი ეკონომიკა", და მოთხოვოს ეს არა როგორც მოწყალება, არამედ როგორც ვალის გასტუმრება. დიდი, უზარმაზარი ვალი აქვს რუსეთს საქართველოსი, და ეს ვალი მან უნდა გადაუხადოს, თუ მას სურს პატარა საქართველოსაგან გულწრფელი ძმობა და მეგობრობა. საქართველომ ასი წლის ეკონომიური და კულტურული ჭრილობა ორიოდე ათეულ წელში უნდა მოირჩინოს და ხარჯი მკურნალობისა დამნაშავემ და მისმა მემკვიდრემ უნდა აიღოს. პუტილოვისა და სორმავოს ქარხანაში, ტოლსტოისა და მენდელეევის გენიაში, რუსულ მეცნიერებასა და ხელოვნებაში დახარჯულია ქართული სისხლის, ქართული ტვინის, ქართული შემოქმედების ტყვეთქმნილი წვლილიც. ყველა ამის დაბრუნება არ შეიძლება, მაგრამ სამაგიერო ნივთიერ ანაზღაურებას ვინ დაუდგება წინ (რასაკვირვე-

ლია, მე არ მოგახსენებთ ფიზიკურ წინ დადგომაზე). ვიმეორებ, საქართველომ ორიოდე ათეულ წელში უნდა აღიდგინოს ასჩვიდმეტი წლის დანაკლისი ეროვნულ ეკონომიკაში და ეროვნულ კულტურაში და ეს 90%-ით უნდა მოხდეს მოსკოვის ხარჯით; მხოლოდ მაშინ ჩათვლის ქართველი ხალხი მოსკოვს გულწრფელ მეგობრათა და უფროს ძმათ. ჩვენში მართლა ინტერნაციონალური სამართალი და სოციალისტური სიმართლე რომ არსებობდეს, ახლა არამც თუ ტფილისი, თვით რუსეთის ქალაქის სტამბებიც უნდა დატვირთული იყოს ქართული, სომხური და სხვა წიგნების ბეჭდვით, რუსეთის (მოსკოვის) ხარჯით უნდა ხდებოდეს ეროვნულ-კულტურული რეპარაცია დაზარალებულ ერებისა, ქართული წიგნის მთელი ზვინები და მთები უნდა დგებოდეს ხოლმე. რა თქმა უნდა, ასეთი ტემპით გამოცემას პატარა საქართველოში ბაზარი სად ექნება, მაგრამ ეს საბაზრო საქმე როდია, ეს ხომ ნორმალური განვითარების ხანა არ არის, ეს სიკვდილიდან აღდგომის საგანგებო მომენტია. ორიოდე ათეული წლის განმავლობაში ქართული წიგნი უნდა იქნას არა თვითშესყიდვის ანგარიშზე აგებული, არა თავისუფალ ბაზარზე ნაანგარიშევი, არამედ რუსეთმა 90%-ით უნდა ზღოს მისი ხარჯი და ქართულ ენაზე უნდა გამოსცეს იმდენი მხატვრული და მეცნიერული ლიტერატურა, რამდენიც (რასაკვირველია, ეს მეტწილად ნათარგმნი იქნება) დაახლოებით აქვთ, მაგალითად, ფინებსა და ბულგარელებს და ეს ლიტერატურა უნდა დაურიგდეს ყველა სამკითხველოებს, ყველა სკოლებს, საბჭოებს, დაწესებულებებს. ის უნდა იქნეს საზღა

იტყვით, ნუთუ ქართველ ხალხს, ქართულ მეცნიერებასა და კულტურას შეუძლია მარტომ ქართული ენის ამარა განვითარდესო? რა თქმა უნდა, მარტო ქართული ენით ვერ განვითარდება. აუცილებელია, რომ საშუალოდ ასწავლიდნენ რომელიმე უცხო ენას. რომელს? რა თქმა უნდა, ისეთ ენას, რომელსაც მართლა საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. არის თუ არა ასეთი რუსული ენა? რუსული ენა ასეთი არ ყოფილა მისი უაღრესი განვითარების დროს, როდესაც ის წარმოადგენდა უძლიერეს იმპერიას, როდესაც ის იყო 160 მილიონი ხალხებისათვის ერთად ერთი სავალდებულო ენა. მესამე რომიც დაეცა. რუსული იმპერია, მისი ნაწილობრივად საბჭოურად თავის მოყრისა, უკვე დაირღვა ეროვნულ ორგანიზმებათ. ამ იმპერიის ლათინურიც (რუსული ენა) უკვე განწირულია მოსკოვის გარეშე. უკანასკნელ მსოფლიო ომისა და რევოლუციების პროცესებში რუსეთი დამარცხდა, მას ევროპული ნაწილები სრულიად ჩამოერთვა. ამ მხრით რუსეთი ეთნიურ საზღვრებისაკენ მისწიეს, ვოლგის და ურალისაკენ უჩვენეს გეზი. რუსული ენა თანდათან მოსკოვის ამარა დარჩება. ეს ენა მალე 50-55 მილიონი მოსკოვის ენათ დარჩება. თქვენ ამბობთ — ეკონომიკა ქმნის ენის სიძლიერესო. ეს მართალი თქმაა. ამ მხრით როგორია რუსული ენის პერსპექტივები? რომანოვების იმპერიამ შესძლო ის, რომ ყოფილ პეტერბურგისა და მოსკოვის რაიონებში ხელოვნურად გააჩაღა მეტწილად დანაპირები ხარჯით შედარებით ძლიერი მრეწველობა. მან იქ მიზიდა უკრაინის ნახშირი და ლითონი, კავკასიის ნავთი და თურქესტანის ბამბა და სხვა. რომანოვების დესპოტიას შეეძლო მხოლოდ რომ სხვენზე გაეყვანა ძროხა დასაკლავად, რადგან იქ დანა არ იყო. რომანოვებმა მათი რუსული სატახტოების ირგვლივ მიზიდეს განაპირათა სიმდიდრე და იქ ხელოვნურად ააყვავეს მრეწველობა. მაგრამ ეს პერიოდი ისტორიას ჩაბარდა და ბარდება. დღევანდელი ლენინგრადის მრეწველობა მხოლოდ წარსული დიდების ნაშთი და აჩრდილია. მას ძველ ევროპულ დონეზე აწი ვეღარც ვოლხოვსტროი და ვეღარც ვერავითარი ჯადოქარი ვეღარ ბიყვანს და აწარმოებს. ამ თავისებურად განვითარებული სამრეწველო რაიონის ბედი გათავებულია. რაიცა შეეხება ცენტრალურ (მოსკოვის) სამრეწველო რაიონს, ისიც მეტწილად ასევე ხელოვნურად იყო განვითარებული. დანაპირების ხარჯითა და მასალით აწი მეტად ძნელი, შეუძლებელი იქნება ამ რაიონის მტკიცე და ხანგრძლივი განვითარება. რუსეთის, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ მოსკოვიას წინათ და დღეს ჰქონდა და აქვს უმძიმესი პრობლემა ე. წ. ცენტრის გამოფიტვა. სასოფლო-სამეურნეო რუსეთის გული, მისი ხერხემალი, მისი ე. წ. შავმიწა რაიონი დიდი ხანია გამოიფიტა და საშინელ კრიზისს განიცდის. ომისა და რევოლუციის მიერ შექმნილ პირობების გამო ცენტრალური სამრეწველო რაიონის კრიზისი დგება და მისგან ხსნა არ არსებობს. რუსეთმა ძირითადად უნდა აიღოს და იძულებულიც იქნება, აიღოს გეზი თავის ვოლგასა, ურალსა და ციმბირზე და სახელმწიფოებრივ-ეკონომიური სიმძიმის ცენტრი აღმოსავლეთისაკენ უნდა გადახაროს. მოსკოვი კი ხელახლა დასასახლებელი შეიქმნა. რუსეთის იმპერია წავიდა და მიდის, მის ადგილს მოვიდა და მოდის მთელი რიგი ეროვნულ სახელმწიფოებისა და მათ შორის დაახლოებით 50-55 მილიონიანი ეროვნული სახელმწიფო რუსეთი ანუ მოსკოვია, რომელიც იძულებული იქნება თავისი ნედლეულით და თავისი ხარჯით განავითაროს საკუთარი მრეწველობა იქ, სადაც ეს ბუნებრივი

და სარფიანი იქნება. არა მგონია, რომ რომელიმე თქვენგანს რაიმე ძირითადი შესწორება შეეძლოს აქ მოყვანილ პერსპექტივაში. მაშ, სად არის ის ძლიერი ეკონომიური საფუძველი, რომელმაც რუსულ ენას და მეცნიერებას რაღაც საგანგებო მნიშვნელობა უნდა მისცეს მომავალში. არსაიდგან ეს არ გამომდინარეობს, ვინაიდან, როგორც ზევით მოგახსენეთ, რუსულ ეროვნულ ეკონომიკაში ამის საფუძვლები არ სჩანს, ხოლო მომავალი ეროვნული პოლიტიკური სიტუაცია ასეთ სიძლიერეს ხელს ვერ შეუწყობს, ვინაიდან ოლდენ ბაურგისა და იოფეს რუსული აკადემია ათჯერაც რომ საკავშიროდ გამოაცხადონ, აწი ის და მისი მაგვარი სამეცნიერო დაწესებულებანი ვეღარ აიღებენ ტვინისა და ტალანტის ხარკს. კოლონიალური ერებიდან, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ეს დაწესებულებანი ვეღარ შესრუტავს რუსულად მომავალში მაინც ჩვენს ნიკო მარებს, პეტრე მელიქოვებს, ვასილ პეტრიევებს, ჯავახოვებს, ღამბაროვებს, ხანანოვებს, თარხანოვებს და სხვა. უკრაინელი გრუშევსკები, ბაგალეები და ბათუზესკულები და პოლონელი პეტრაჟეცელები უკვე თავის ენასა და ეროვნულ მეცნიერებას ემსახურება. იმაშიაც ხომ არ გეპარებათ ეჭვი, რომ მომავალში გოგოლები და კოროლენკოები, სუმბათოვები და მარჯანოვები, ბაგინიანები და სკიფულიანები, ყველა ესენი რუსულ კულტურასა და ხელოვნების ბალანსიდან გაჩოთქილი იქნებიან. კიდევ მეტი, ისიც საეჭვოა, რომ მომავალმა ოლდენბაურგებმა და იოფეებმა მოსკოველების აკადემიაში გაშალონ ფრთები; რაიცა შეეხება პოლიტიკურ დარგს, მეცნიერებას ვაძლევ ჩემს თავს თქვენთან ერთად ინტერნაციონალურ სოციალიზმის მიმდევრათ ჩავთვალო თავი, მაგრამ დარწმუნებული იყავით იმაში, რომ ჩვენი და სხვა ყოფილ კოლონიალურ ერთა პოლიტიკური გენიაც მომავალში ჯერ ეროვნულ სახელმწიფო ფარგლებში გაშლიან ფრთებს: ლორის მელიქოვის, ირაკლი წერეთლის, კარლო ჩხეიძის და თვით სოსო ჯუღაშვილის ისტორიულ-პოლიტიკური კარიერა, ეს წარსულის წარმოუალი ნაშთი და გაგრძელებაა, ვიდრე მომავლის გზა და ნიშანი. ახლა თუ საღმე შორაპანში ირაკლი წერეთელი იბადება, ან გორში ახალი სოსო ჯუღაშვილი, ან ნიკოლაევში პაწია ტროცკის შობა მოხდა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ორი პირველი საქართველოს უმეთაურებენ და მხოლოდ ინტერნაციონალებში ითამაშებენ როლს, ხოლო უკანასკნელი თუ სიონისტად არ გადაიქცა, უკრაინელი სახელმწიფო მოღვაწე იქნება, და უკრაინულ ენაზე წარმოსთქვამს და დასწერს თავის შამპანიურ სიტყვებსა და სტრიქონებს. რუსულ ენას საერთაშორისო მნიშვნელობა არ ქონია მაშინ, როდესაც ის იყო ენა 160 მილიონი ხალხების, როდესაც ეს ენა და კულტურა მთელი ამ ხალხებიდან კრეფდა ნივთიერ და ინტელექტუალურ ხარკს, და საიდან გამომდინარეობს ის, რომ თავის ეთნიურ რკალში მოსკოვ-ვოლგა-ურალზე მომწყვდეული 50-55 მილიონიანი რუსული ეროვნული სახელმწიფო აწი დაიჭერს რაღაც არაჩვეულებრივ საერთაშორისო პოზიციებს. იმედია, რომ თქვენ ამ ჩემს მსჯელობას ჩემ ნაციონალურ ჟინს არ მიაწერთ, ამას ჩემს სურვილად და ოცნებათ არ მიიჩნევთ. სურვილები აქ რა შუაშია. ეს ყველაფერი ხდება და მოხდება არა იმიტომ, რომ ეს ცუდია ან კარგია, არამედ ეს ისტორიული განვითარების აუცილებელი მსვლელობაა, და მეც არ ამიღია ჯერ ხელი იმ პრეტენზიაზე, რომ თქვენთან ერთად მეც ყოველ მოვლენას მარქსისტულად, დიალექტიკურად მის განვითარების პროცესში ვიხილავ, და ეს პროცესი აშკარად ლაპარაკობს, — რუსული ენის

დიდების დღენი უფრო წარსულშია და არა მომავალში. ხოლო ეს დიდება არასდროს არ ყოფილა საერთაშორისო კულტურულ-მეცნიერული მნიშვნელობის. ბოლოს და ბოლოს, განა ყველამ არ ვიცით, რომ რუსული მეცნიერება ბალღი იყო და არის ევროპა-ამერიკის მეცნიერებასთან, და მისი მუდმივი შეგირდი. ვინ არ იცის, რომ რუსული ენის ამარა გამეცნიერება ყოვლად შეუძლებელი იყო და არის. ინგლისური, გერმანული, ფრანგული და იტალიურიც კი, ეს ის ენებია, რომლებზედაც შეიძლება ამომწურავი მეცნიერული განათლების მიღება. ესპანურსაც კი აქვს ერთგვარი საერთაშორისო მნიშვნელობა, რადგან ამერიკაში ამ ენაზე ბევრ ადგილას ლაპარაკობენ. მაგრამ განა დაობს ვინმე იმის შესახებ, რომ რუსულს უჭირავს სრულიად მეორეხარისხოვანი ადგილი ჩინურ, იაპონურ, პოლონურ, რუმინულ და სხვა ამისთანა ენებთან? სრულიად სამართლიანად რუსეთის მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ რუსულ სკოლებში ერთ-ერთი ევროპული ენა ასწავლონ საფუძვლიანად, რადგან რუსეთი დიდხანს დარჩება ევროპის მეცნიერებისა და ტექნიკის შეგირდად და ერთი, ღვთის გულისათვის, ამიხსენით, რატომ, კაცო, ვიატკაში და კურსკში რუსის ბავშვებმა ფრანგული და ინგლისური უნდა ისწავლონ, რათა უშუალოდ დაეწაფონ ევროპულ-ამერიკული მეცნიერების წყაროს, ხოლო ევროპის ჭიშკართან მდებარე ბათომისა და სოხუმის ქართველმა ბავშვებმა "პეტუშოკ-პეტუშოკის" ახალი გამოცემა უნდა ზუბროს და მეცნიერების მისაღებად კურსკელი და ვიატკელი მეცნიერების მიერ ევროპული ენებიდან გადმორუსებული ქართულად, ხელმეორედ ქართულად გადმოღეჭოს და გადმოცოხნოს. ბატონო თედო, რუსული რუსს არ ყოფნის მეცნიერებისათვის და ნაცოდვილებად ნასწავლი რუსული ქართველს როგორ გამოადგება ამ მიზნისათვის?! საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე ივანოვები ვერ გადიან რუსულით და სულაქველიძეები როგორ შეძლებენ ამას?! ქართულმა სკოლამ ისე, როგორც უკრაინულმა, რუსულმა, სომხურმა, ბელოროსიულმა და სხვა, უეჭველად უნდა ასწავლონ საფუძვლიანად ერთ-ერთი ევროპული ენა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული). შეიძლება ზოგ სკოლებში ერთი ენა, ზოგში მეორე და ასე. მხოლოდ ამ გზით და ხიდით გაამდიდრებს გაალამაზებს თავის მეცნიერებას რუსიც და ქართველიც, სომეხიც და უკრაინელიც (რაც შეეხება სკოლაში ორი-სამი უცხო ენის საფუძვლიან სწავლებას, ეს პირდაპირ შეუძლებელია). მხოლოდ ამ გზით შეიძლება საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლა და მის სალაროში თავისი ეროვნული წვლილის შეტანა. რაც შეეხება სკოლაში ორი-სამი უცხო ენის საფუძვლიანად შესწავლას, ეს მეტად ძნელი და მძიმე საქმეა; კიდევ მეტი, ეს შეუძლებელი და ეროვნული ძალების არამიზანშეწონილი ფლანგვაა. შესაძლებელია მხოლოდ, რომ სხვადასხვა სკოლაში სხვადასხვა უცხო ენას გადიოდნენ. უეჭველია, გარდამავალ ხანაში რუსულ ენას ნებსით თუ უნებლიეთ კიდევ ექნება ერთგვარი ადგილი და გასავალი ყოფილ იმპერიის ტერიტორიაზე, მაგრამ მისი მნიშვნელობა დღითი-დღე კლებულობს და მოიკლებს. საჭიროებაზე უფრო მეტად არის დღეს გაჟღენთილი და დატვირთული რუსულით მთელი სსრკ. ასე რომ თქვენი რუსულის სასარგებლოდ ეს წერილი-კამპანია უფრო გამოღმა გამოდავებას ჰგავს. საერთოდ, რასაკვირველია, საჭირო იქნება საქართველოსათვის, რომ ზოგიერთ სკოლებში თავის ზოგიერთ მოკავშირისა და მეზობლის ენების სწავლება შემოიღოს, როგორიცაა სომხუ-

რი, უკრაინული, რუსული, თურქულიც. მაგრამ აქედან რუსული ყველაზე ნაკლებ სასწრაფოა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი თავის სივრცითა და მოსახლეობის რიცხვითაც ყველაზე მოზრდილია მოკავშირეთა შორის. ყოველშემთხვევაში, ერთი რამ სრულიად მტკიცეთა და ურყევად უნდა შეთვისებული იქნეს. ის სრულიად უდაო აზრი, რომ რუსული ენა ვერ შეიქმნება ქართველი ხალხისათვის საერთაშორისო მეცნიერების და კულტურის მიმწოდებელ წყაროდ, რადგან რუსული ენა თვით რუსეთისათვის ვერ ასრულებს ამ დანიშნულებას. მინდოდა აგრეთვე ზოგიერთ წვრილმანებზე შემეჩერებინა თქვენი ყურადღება, მაგრამ არ ღირს, თუმცა ეს წვრილმანები მეტად დამახასიათებელი და დამაღონებელიცაა. აიღეთ თუ გინდ ასეთი რამ: ბევრი მათგანი აღშფოთებულია იმ სრულიად მარტივი და ადვილად გასაგები გარემოებით, რომ ქართულ სამეცნიერო გამოცემაზე წარწერები გარემო ქართულისა და ფრანგულის და ან გერმანულს ენაზედა და არა რუსულზედო. ბატონო თედო, ღმერთმანი, პირდაპირ სირცხვილია ამაზე ლაპარაკი. რუსული სამეცნიერო აკადემია რომანოვების, მათ შორის, პირველი ნიკოლოზ რომანოვისა და ცნობილ ჟანდარმთა შეფის ბეკენდორფის ბატონობის დროს სხვადასხვა ინაროდცების ლიტერატურას, მათ შორის, ქართულსაც სცემდა ამ ხალხების ენაზე და დამატებით ფრანგული წარწერით და ხშირად არცერთი სიტყვა, არცერთი ანბანი რუსული წარწერისა (ნახეთ, მაგალითად, ქართლის ცხოვრების ძველი გამოცემა და სხვა), მაგრამ არასდროს ბეკენდორფებისა და ჰობედონოსცევების რუსეთს ამაში ანტირუსული კრამალა არ დაუნახავთ. რა გემართებათ, კაცო, არ გრცხვენიათ მაინც?! ყველა ამ გამოცემას ასე თუ ისე საერთაშორისო სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს და ევროპა-ამერიკის უნივერსიტეტებში, დიდ სამკითხველოებში, წიგნთსაცავებში და მუზეუმებში იგზავნება. უბრალო კატალოგიზაციისათვის დაუშვებელი და მიუღებელია მარტო რუსულის და ქართულის წარწერა, რადგან ქართული ევროპა-ამერიკაში თითქმის არავინ იცის, და ამ მხრით რუსულიც ვერაფერი გამოსაყენებელია. შეიძლება მთელ მსოფლიოში ათეულმა მეცნიერმა იცოდეს და მითუმეტეს ბიბლიოთეკარებმა არ იციან რუსული ენა. ხოლო არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს არამც თუ რუსი მეცნიერი, არამედ განათლებული რუსი, რომელმაც არ იცოდეს ერთ-ერთი ევროპული ენა. აი, ბატონო, თუ გინდ მარტო ამიტომ არის სრულიად აუცილებელი ასეთი "კრამოლნიკური" რამ, როგორიცაა ქართულ წიგნზე ფრანგული წარწერა. ასეთივე ხასიათისაა კოწია სულაქველიძის აღშფოთება იმის გამო, რომ საქართველოს საექიმო საზოგადოების კრებაზე, რომელიც დანიშნული ყოფილა პასტერის სახელის მოსაგონებლად, სხვათა შორის, პასტერის სამშობლო ენაზე ფრანგულზედაც ყოფილა წარმოთქმული სიტყვა ექიმ ელიავას მიერ და ეს თურმე რაღაც ანტირუსული დანაშაულობა ყოფილა. ღმერთო ჩემო, რამდენი რუსული სამეცნიერო და სხვა საზოგადოებები უნდა დაიხუროს ამ დანაშაულისათვის წლიურად? ვაი სირცხვილო, სადამდე მიდიხართ, კაცო, რა გემართებათ? ნუთუ სრულიად დაკარგეთ იუმორის გრძნობა? თქვენ, რა თქმა უნდა, ფიზიკური დახვრეტის არ გეშინიათ, მაგრამ სწორედ პასტერის თვითტომები ამბობენ, რომ ყველაზე საშინელი დახვრეტაა სიცილით დახვრეტაო და ამის მაინც უნდა შეგეშინდეთ, თუ ამ რიგ ჭკუასა და სიტყვას შერჩით ამ საქმეებში, ღმერთმანი, დაგხვრეტს სიცილით არამც მომავალი ისტორია, არამედ აწყმოც...

ამით ვასრულებ ამ მეტად გაჭიანურებულ წერილს, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი. თანაც გთხოვთ, რომ რაიმე ზემონათქვამიდან პირად შეურაცხოფად არ მიიღოთ, მითუმეტეს რომ პირადად კარგის მეტს არაფერს გისურვებთ არც თქვენ და არც სხვებს, ვისაც ეს სტრიქონები ეხება. დასასრულ მინდა, ერთი იმედი გამოვთქვა, სახელდობრ, რომ თქვენ არ უღალატებთ დარბაისლობას და საჯაროდ ამ ბარათზე ეამათს არ დამიწყებთ, თითო-ოროლა სტრიქონის ამოგლეჯვით. ხოლო თუ კი სავსებით გამოაქვეყნებთ (რაც ჩვენს პირობებში, მგონი, შეუძლებელია), მაშინ აბა სათქმელი რა მექნება.

პატივისცემით,

გრიგოლ ლორთქიფანიძე

ვასილ კიკნაძე

საუბარი მიხეილ თუმანიშვილის თეატრზე

ერთხელ მიხეილ თუმანიშვილს ვკითხე: როდის ხარ თეატრში ყველაზე ბედნიერი და ყველაზე უბედური?

ჩაფიქრდა, ოდნავ სევდანარევი ღიმილით მითხრა: ყველაზე ბედნიერი ვარ პიესის შერჩევის დროს, რადგან მთელი დასი მე შემომყურებს, სახლის კარამდე მაცილებენ მსახიობებიო... როლებს ელოდებიან. უბედური ვარ პრემიერის დღეს, გაფრინდება სპექტაკლი და... მარტო ვარ...

ათი წელი ერთად ვიმუშავეთ რუსთაველის თეატრში. შემდეგ კიდევ ოც წელზე მეტი თეატრალურ ინსტიტუტში.

წიგნმა "ახლა, კი ფარდა" მოგონებების საღერღელი ამიშალა. წარსული კი სულაც არ იყო ყოველთვის ბედნიერი, მაგრამ მოსაგონებლად მაინც სასიამოვნოა. ტკივილიც არ უნდა დაივიწყო, რადგან შენია, შენი ცხოვრების ნაწილია.

მ. თუმანიშვილის ირგვლივ მუდამ ბრძოლები და დისკუსიები იყო. იგი სხვებს არ ჰგავდა და ძნელი ასატანი იყო მისი განსხვავებულობა. ასეა, "საზოგადოებას არ უყვარს ადამიანი, რომელიც მას არ ჰგავს" (გალაკტიონი).

ბრძოლებში უშუალოდ არც კი ჩანდა. უჭირდა პირდაპირ შებმა, ბრძოლის წინა ხაზზე დგომა. ზოგჯერ გაიოცებდა კიდეც, — "მე რა შუაში ვარ", ისე იტყოდა, თითქოს მართლაც არაფერ შუაში იყო. ხანდახან მაღიზიანებდა კიდეც მისი ასეთი პოზიცია. მისი საყვარელი ფრაზა იყო — "დამანებეთ თავი". ამიტომ წერს აკ. ხორავა თავის დღიურში: "ახალგაზრდებს მიაჩნდათ, რომ ახმეტელის შემდეგ ჩავარდნილი იყო ახალგაზრდების ბელადი იყო ა. დვალიშვილი, — მ. თუმანიშვილი ხმას არ იღებდა". მ. თუმანიშვილი კი ამბობდა: "ჩვენ კი არ ვანგრევდით, ახალს ვაშენებდით, ვეძებდით ახალ გზებს, ხერხებს, ალბათ, სხვანაირად არც შეგვეძლო" (გვ. 25).

თეატრში ახლის შენება ხომ ძველის შეცვლას ნიშნავს, მაგრამ იგი ასე არ წერს. ეს მისი სტილია, მისი ხასიათია. გახსნილი და პირდაპირი მხოლოდ სცენაზე იყო.

წიგნი დიდი პროფესიონალის, ბრძენი კაცის დაწერილია.

მიხეილ თუმანიშვილის ნიჭის რეჟისორები სხვებიც ჰყოლია საქართველოს, მაგრამ თეატრის ასეთი ფანატიკოსი, რაღაც რელიგიურ სიწმინდემდე ამაღლებული, მუდამ მიზანსწრაფული, თეატრალური ხელოვნების ტექნოლოგიის ღრმა ცოდნით განათლებული, თავისი მეთოდოლოგიური სისტემის შექმნისა და დამკვიდრებისათვის თანმიმდევრული მებრძოლი, იშვიათად გვყოლია.

ის ყველასაგან გამოირჩეოდა უმაღლესი კლასის პროფესიონალიზმით.

უჭირდათ მისი გაძლება. მაქსიმალიზმი მისი ცხოვრების ნორმა იყო. ახალგაზრდები ერთხანს უძლებდნენ ამ ნორმებს, ფანატიკურად იყვნენ მასწავლებელზე შეყვარებულნი. მიშასაც საოცრად ხიბლავდა ერთგულება. მის მოწაფეებს თეატრის გარდა სხვა არაფერზე არ უნდა ეფიქრათ. სულ მის ირგვლივ უნდა ეტრიალათ, ერთად ეღამებინათ და ეთენებინათ, მისი სახლი მუდამ სავსე იყო მოწაფეებით. ყოველ

საღამოს, სპექტაკლის შემდეგ, მონაწილე მსახიობებს საგრიმიოროში ხვდებოდათ შენიშვნები, რჩევა-დარიგებანი. რიტუალურობა იყო მისი ჰობი. ასე გრძელდებოდა ხუთი-ექვსი წელი, (ცოტა მეტიც!) მაგრამ შემდეგ მოწაფეები იზრდებოდნენ, დამოუკიდებელნი ხდებოდნენ, ვეღარ უძლებდნენ მის პურიტანულ, ფანატიკურ, გაუნელებელ ჭაბუკურ ენთუზიაზმს და თითქოს თავისთავად ინყებოდა ეთიკური ნორმებიდან ამოვარდნის პროცესი. ამ დროს მიშა ხდებოდა ჭირვეული, ნერვიული, წერდა წერილებს, გაუთავებლად ბუზღუნებდა, შეკრებებს შეკრებებზე ინვევდა, ლანძღავდა მოწაფეებს ცდუნებათა გამო. უსაყვედურებდა, რომ მათ არ შეუძლიათ მსხვერპლშეწირვა, თეატრი აღარ იყო მათთვის ტაძარი და კიდევ ვინ იცის რას არ ეუბნებოდა.

უსაზღვროდ იტანჯებოდა, რომ ცხოვრება ანგრევდა მის მიერ შემოსაზღვრულ სამყაროს.

უკვე ფრთაშესხმულ მოწაფეებს კი თავიანთ ნებაზე უნდოდათ ცხოვრება...

ადვილი არ იყო განშორება. რუსთაველის თეატრში, როცა მისი გუნდის ნევრებში გაჩნდა ბზარი, დისციპლინა შეირყა. ერთ საღამოს მიშა შემოვიდა ჩემს ოთახში (სალიტერატურო ნაწილის გამგედ ვმუშაობდი), მოწყვეტით დაჯდა სკამზე, თავზე ხელები შემოიწყო, თითქოს მართლაც ქვეყანა დაიქცაო, ისე მითხრა: "არაფერი აღარ მიხარია, ყველაფერი დამენგრა". რა მოხდა ბატონო მიშა? — ვკითხე მე. მეტი რაღა უნდა მოხდეს, ბიჭები დღესაც საქეიფოდ წავიდნენ. ამაღამ გამოთვრებიან და ხვალ რა აზრი ექნება რეპეტიციის ჩატარებას? დიდხანს ვისაუბრეთ, მერე გადავწყვიტეთ წერილი მიგვეწერა. წერილი მეორე დღეს გ. გეგეჭკორისათვის უნდა გადაგვეცა. გოგი უფროსიც იყო და პროფესიული მომთხოვნელობითაც გამოირჩეოდა. შევადგინეთ წერილი. მიშა თავის აზრებს მეუბნებოდა. წერილს მე ვწერდი. ხელი მოვაწერეთ. აი, ის წერილი:

ე. წ. "შვიდკაცას"

ახალი წელი ვის, არ უხარია. ეს მხიარულების დღეები უნდა იყოს სწორედ, მაგრამ არც ერთი ნუთით არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენს ყოველ ნაბიჯს დღეს განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა აქვს. აი, ახლა თქვენ ქეიფობთ, ალბათ პატრიოტიზმზეც ბევრს ლაპარაკობთ. თეატრის სადღეგრძელოს ხომ შესვამთ და შესვამთ. მაგრამ საქმით? საქმე სხვაა. ამ ბოლო ხანებში თქვენთვის ეს მეათეხარისხოვანი გახდა. გულსატკენი ის არის, რომ თუ აქამდე რაღაც გაწუხებდათ, ღელავდით, გქონდათ მისწრაფება, იდეალები, სხვასაც არ აძლევდით მოსვენებას, აღვიძებდით სიყვარულს — ყველაფერი ეს გაქრა, ინდიფერენტიზმი გამეფდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოსდა საკუთარი მდგომარეობის იქით ვერაფერს ხედავთ. ვინ იცის, დღევანდელ შეხვედრაშიც არის რაიმე ნაპერწკლები იმ საუკეთესოსი, რომლითაც ამაყობდით? ჩვენზე არას ვიტყვით, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ თეატრში ერთი კვირითაც კი თუ გამოცოცხლდა ცხოვრება, მთელი ქალაქი ლაპარაკობს და ლაპარაკობს პირველყოვლისა თქვენზე, როცა ფუჭდება საქმე, აქაც თქვენზეა ლაპარაკი. მერედა, გაქვთ კი ამის უფლება?

ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ ისიც კი აღარ ხართ, რაც 2-3 წლის წინ იყავით. რაღაც შეეგუეთ და დაკარგეთ სიახლის გრძნობა, პრინციპულობა და ბოლოს იქამდე მიხვედით, რომ ლოთ კაცს აუბით მხარი და მთელი ქალაქის სალაპარაკო გახდით. ეს რომ ერთი შემთხვევა იყოს, შეიძლება არაფერი გვეთქვა, მაგრამ ყოველივე ამას ძალიან ცუდი სუნი უდის, რომელიც საგრძნობლად სცემს თქვენსავე პრესტიჟს. გვაგო-

ნდება ერთი ფაქტი: ამ ორწლინახევრით ადრე, სალიტერატურო ნაწილის ოთახში ვიჯექით იგივე ხალხი და ვლანძღავდით იმ თაობის მსახიობებს, რომლებმაც ჭიქა ღვინო ანაცვალეს ყველაფერს. რა განსხვავებაა თქვენსა და მათ შორის? ოცი, ოცდახუთი წლის შემდეგ ბევრ თქვენგანს ალბათ ისეთივე ბედი ელის... მხოლოდ მაღალ პრინციპულობას და დაუღალავ სიყვარულს, საქმისადმი ერთგულებას შეუძლია გადაგარჩინოთ. იქნებ არ დაფიქრებულხართ, თუ როგორ ლოიალურად ხდება შერწყმა ძველი თაობის შემოქმედებით დონესთან თქვენი ნამუშევრის. ეს მწარე სინამდვილეა და ვიდრე გვიან არ არის იფიქრეთ ამაზე. ჩვენ იმასაც ვხედავთ, როგორ იკარგება თქვენს შორის (მიუხედავად იმისა, ღრმად გვწამს ურთიერთ სიყვარულის) საღი, კრიტიკული დამოკიდებულება. მარტო "ზვავის" ფაქტი რად ღირს. სად არის ის ერთი სკოლა, რომელიც გქონდათ?

ამ გულისტკივილის გამოთქმის მოუთმენლობა დღევანდელმა ფაქტმა გამოიწვია. და იმან, რომ დღეს უკვე მთელი თეატრი (და არა მარტო თეატრი) ლაპარაკობს, რომ თურმე თქვენს რიგებიდან ზოგიერთი იოლ გზას ეძებს. მლიქვნელობს თავისებურად, ნეიტრალობს და კიდევ სხვა. რაკი თქვენი კეთილებიდანაც ასეთი კვალიფიკაციაა (თეატრის გარეშეთგან) ბუნებრივია, ჩვენც გულწრფელად გვებადება კითხვა — იქნებ ბევრი რამე თქვენში მართლაც მოჩვენებითია, იქნებ "ცისფერისა და ვარდისფერის" ნიშანი მხოლოდ ბუტაფორიაა და მეტი არაფერი. ნუთუ არა გწამთ ის, რაზედაც ოცნებობდით?..

ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ თქვენი იუმორი იმ კაცთაგან უკვე საეჭვოა და სამწუხარო. თავისმოტყუებაა, თვალისახვევაა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ როცა ხორავას ულოცავდით ჯგუფურად ახალ წელს, ვფიქრობდით, ეს მართლაც პატივისცემა იყო, — მაგრამ როცა იგივეს იმეორებთ ახლაც სხვაგან — ეს უკვე მართლაც სხვაა.

დაე, დღესაც იფიქრეთ იმაზე, რომ ეს წელი შემოქმედებითი თვალსაზრისით გადამწყვეტია, იფიქრეთ იმაზე, თუ რით ხვდებით მას, როგორც იურიდიულ, ისე შემოქმედებითი თვალსაზრისით. ნუ გინდათ ხვიანი ხელით გაკეთებული საქმე. თეატრს უჭირს, იგი მძიმე დღეშია და თქვენ პერსონალურად პასუხისმგებელნი ხართ როგორც ქართველი მსახიობები!

როცა ჩვენ ამას გწერთ, ღრმად გწამდეთ, რომ თქვენდამი სიყვარული გვალაპარაკებს და გვაშფოთებს.

ვფიქრობთ, მაღალფარდოვან და დაშტამპულ სადღეგრძელოების ნაცვლად, უმჯობესია ილაპარაკოთ ამ თემაზე.

ღრმა სინანულით თქვენი:
მ. თუმანიშვილი,
ვ. კიკნაძე
2.1.58 წ.

შენიშვნა: ამ წერილს ძალიან ნუ გაავრცელებთ. წააკითხეთ მხოლოდ იმათ, ვისაც ეხება.

მეორე დღეს წერილის გაგზავნა მიშამ გადაიფიქრა. მითხრა, აღარ ღირსო, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა, თეატრში სიტუაცია რთულდებოდა.

ერთხელ ვერიკო ანჯაფარიძეს ვკითხე: რა არის, რომ სულ კონფლიქტებში ხართ, არ მოგბეზრდათ?..

— მსახიობს თეატრი მობეზრდება?.. თეატრი კონფლიქტია... სადაც კონფლიქტი არ არის, — იქ არც თეატრია...

საინტერესოა, არა?

დიდ კონფლიქტებში იბადება დიდი თეატრალური ხელოვნება. მახსოვს, ერთხელ სტუდენტთა სპექტაკლის განხილვის დროს, გერონტი ქიქოძემ თქვა: ხელოვნებას ქარიშხა-

ლი უფრო უხდება, ვიდრე სათბურების სარწყულის შხეფებიო...

ღრმა კონფლიქტების ურთულეს დრამატულ პერიპეტიებში გამოაწრთო მიხეილ თუმანიშვილმა თავისი თეატრი. ვინც მასავით ასკეტურ ცხოვრებას გაუძლო, მისი ტაძრის მლოცველი გახდა. "ალბათ უნდა ეწამო, რომ რაიმე შექმნა, თუ არ ეწამე, სხვაგვარად არაფერი გამოვა" (გვ. 25).

მოწამებრივი იყო მისი გზა.

ყველას უნდა გაეარა ეს გზა, თუ სურდა ზიარებოდა უმაღლეს ხელოვნებას.

"გახსოვთ, რა მსახიობები ჰყავდა ქართულ თეატრს? ახლაც ყურში ჩამესმის ხორავას ხმა. თან რა საოცარი პლასტიკა ჰქონდა. ხორავასავით ახლა ვერც ერთი მსახიობი ვერ ითამაშებს. იგი იდეალი გახდა. ასევეა სერგო ზაქარიაძეც. სერგოსნაირად დღეს ვერ თამაშობენ. ხშირად მაგონდება სერგოს რეპეტიციები "ანტიგონეზე". მახსოვს, ზინასთან ერთად წამების მთელი გზა განვლო. ეს მართლა წამება იყო მისთვის, მაგრამ სერგო ამით ბედნიერი იყო" (გვ. 25).

მთელი წიგნი ქართული სულით არის შთაგონებული. ქართული თეატრის სამყარო განცდილია პოეტური გზნებით. ყველაფერი, რასაც რეჟისორი წერს, სავსეა მხატვრული ფანტაზიით, საოცარი ნიჭიერებით, ნამდვილი სცენის პოეტის ნიჭიერებით იგონებს, თხზავს, ხატავს, ყველაფერს ხედავს თეატრის მინდიას მისნური ძალით...

"მე ტყეში ხეტიალისას სულ მეჩვენება, რომ ვიღაც მითვალთვალებს: ხეები, ჩრდილები, ტყის სულები. ეს არაჩვეულებრივია... ტყის ლაბირინთებში გზააბნეული შეყვარებულები ერთმანეთს დაეძებენ. რა არის სიყვარული!.. სიგიჟე? ტანჯვა? ერთმა ბრძენმა თქვა — სიყვარული ცოცხიაო, აღგვის პირისაგან მიწისაო... მერე ამ პაკმა (ვითომ შემთხვევით?) ყველაფერი აურია შეყვარებულებს და ჭკუიდან შეშალა. მათი განცდები, ვნებათაღელვანი, — სიცოცხლის უბედნიერესი ჟამია. ისინი შეყვარებულები არიან. არავის ამჩნევენ. სიყვარულის გამო ემღერებათ, ლექსები ეწერებათ, კოცნით არ იღლებიან, მზად არიან სიცოცხლე გასწირონ ერთმანეთისათვის. ხეტარი წამი! სიზმარში ქრება ქცევის ლოგიკა, რჩება შემთხვევითობა. მოვლენები თითქოს სულ უადგილოდ ებმებიან ერთმანეთს. ჩაფიქრდა ვიღაც კაცი. ზემოდან ვაშლი დაეცა თავზე. ხელში აიღო და სიხარულისაგან შეხტა — კანონი აღმოაჩინა. მერე მოვიდა მეორე, შეხედა ამ ვაშლს, გატყორცნა ქალაქებში და ჟესტით გამოხატა: ყველაფერი ფარდობითია! შეყვარებულთა უსასრულო კოცნის დროს, უცებ პურზე გრძელი რიგი დადგა და ჩაიარა კიდეც. აქაც რიგებია?

რეპეტიცია. ესეც სიგიჟეა. აბა, რომელი ნორმალური ადამიანი იმუშავებს პიესაზე, რომელსაც ჰქვია "პირამოსისა და მისი ტრფიალი თისებეს სევდისმომგვრელი კომედია სხარტულად გრძელი". ასეთები იკრიბებიან სარდაფებში, სხვენზე, ტყეში — წარმოთქვამენ სხვათა სიტყვებს. უდიდესი სიამოვნებით წარმოსახავენ უსაზღვრო ვნებებს. ასახიერებენ ლომს, მთვარეს, კედელს ხვრელით. გიჟები ხომ ამბობენ ხოლმე, "ხელს ნუ მკრავ, მინისა ვარ, დავიმსხვრევი?". სჯერათ კიდეც, რომ დაიმსხვრევიან. ჩვენს ხელოვნებასაც ეს დაავადება სჭირს. ჩვენ არანორმალურები ვართ, გვჭირს უკურნებელი, მაგრამ ბედნიერების მომტანი სენი — ახვიდე სცენაზე და გამოსახო ის, რაც ასე გვაკლია ცხოვრებაში: დიდი სიყვარული, ვნებანი, სიკეთე, კეთილშობილება. მე მინდა მთვარის შუქი ვითამაშო. რა არანორმალური ბედნიერებაა!.. თუკი საიდუმლოს მიაგნებ, სცენაზე შეგიძლია ყველაფერი განასახიერო და აი, ჩვეულებისა-

მებრ, ჩვენი მსახიობები აგებენ ფიცარნაგ-ეშაფოტს"... (გვ. 287-298).

ეს შექსპირის "ზაფხულის ღამის სიზმარის" სცენების რეჟისორული ინტერპრეტაციაა, მისი ხედვაა, წარმოსახვაა, ფიქრებია, ოცნებაა. "ვინ იცის, დაგვრთავს ამგვარი ფანტაზიის ნებას ბატონი შექსპირი?!"..

ერთმანეთს ეძებენ, ერთმანეთს ებრძვიან "ბატონი შექსპირისა" და "ბატონი თუმანიშვილის" ფანტაზია თავთავიანთი განსხვავებული ხედვის გამო, ასე გაგრძელდება შინაგანი ჭიდილი თვეობით, ვიდრე ერთ ენაზე არ ამეტყველდებიან "ბატონი დრამატურგი" და "ბატონი რეჟისორი". სწორედ ასეთი თანამოაზრეობისაკენ უხმობს მიხეილ თუმანიშვილი რეჟისორებს. ოდესღაც, მისი შემოქმედების გზის დასაწყისში, თეატრში ფიქრობდნენ, რომ მიხეილ თუმანიშვილი ზედმეტად იჭრებოდა მწერლის უფლებებში, არღვევდა პიესის საზღვრებს და მას მართლაც ჰქონდა ასეთი გადახრები, რაც ექსპერიმენტალიზმის სულით იყო აღბეჭდილი, მაგრამ შემდეგ მისთვის უკვე ნათელი გახდა, რომ ეს იყო პიესის ინტერპრეტაციათა საზღვრების გაფართოების, მის სიღრმეებში წვდომის შესაძლო სინამდვილის აღმოჩენის სურვილი.

ყველა ავტორი ბედნიერი იყო ვინც მიხეილ თუმანიშვილთან იმუშავა. ზოგჯერ ავტორები ჩქარობდნენ, ვერ ხვდებოდნენ რეჟისორის ჩანაფიქრს და ბუზღუნებდნენ. როგორ ნერვიულობდა მაშინ ბატონი მიშა! თავად უჭირდა ყველაფერი პირდაპირ ეთქვა ავტორისათვის. ეთქვა, რომ იქ, რომელიღაც სცენაში საჭირო იყო რაღაც მეტის თქმა, მეტი სიღრმე. შემოვიდოდა ჩემთან ოთახში და ერთად ვადგენდით, თუ როგორ უნდა შემესრულებინა შუამავლის როლი ისე, რომ თავად არ გამოჩენილიყო. მომცემდა შესაცვლელ სტრიქონებს, დეტალებს. ძალიან გართულდა ი. ვაკელის "საქმიანი კაცის" ბოლო რეპეტიციები. სცენაზე გადასვლის წინ საქმე იქამდე მივიდა, რომ კინაღამ ხელი აიღო რეპეტიციებზე. ერთხელ ი. ვაკელს შეხვედრიდა მსახიობი ვ. დოლიძე, დრამატურგს მსახიობისათვის უკითხავს, როგორ მიდის საქმე. ვალიკო დოლიძე ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობდა. მასაც გულახდილად უამბია, თუ როგორ იც

გილზე, არც კოლმეურნეობის თავმჯდომარე, პარტკომის მდივანი რაღაც სქემატურია. ქვეყანას თითქოს პატრონი არ ჰყავსო, ასე ამბობენ... აგერ ახლა იყო, მ. ჯაფარიძის "ჩვენებურები" გაგვიჩერეს, ხომ გახსოვთ, ოთხჯერ გასინჯეს. იქ ყველა ადამიანი კეთილია და მაინც შეაჩერეს სპექტაკლი, აქ თითქმის ყველა უარყოფითია...

— რას ჰქვია კრძალავენ, ვინ თქვა, რომ საბჭოური პიესა არ არის, ეს პროვოკაციაა... ხმამაღლა ყვიროდა.

— ისე, მთლად დაღუპული არ არის საქმე, არის იმედი — ვთქვი მე.

ყველაფერზე იქნებოდა თანახმა, ოღონდ პიესაზე მუშაობა არ შეჩერებულიყო.

— რა იმედი გაქვს? — იკითხა ჩურჩულით.

— ხვალ რეპეტიციას დავესწრები და მერე მოვიფიქროთ რამე — ვუთხარი და მეორე დღისათვის გადავდეთ შეხვედრა.

დავესწარი რეპეტიციას. გავამხნევე ბატონი მიშა, ვუთხარი, რომ "ესპანელ მღვდელზე" ნაკლები სპექტაკლი არ გამოვა-მეთქი. მიამბო წარმოდგენის გადაწყვეტის შესახებ. მართლაც ძალიან მომეწონა "ნიანგის" ფორმა. ეს საუკეთესო მეხამრიდი იყო შესაძლო იდეური ზეწოლისაგან. ასეთი ზეწოლის მოლოდინი კი სულ გვქონდა. "ჩვენებურების" შემთხვევიდან სულ რაღაც სამი თვე იყო გასული. ხოლო "ტარიელ გოლუას" ჩავარდნის შემდეგ მიხეილ თუმანიშვილისათვის პირველი სპექტაკლი იყო "საქმიანი კაცი". მობეზრდა ახალგაზრდა რეჟისორს რევოლუციური თემა და ახლა თავის სტიქიაში იწყებდა ახალ ცხოვრებას. "ესპანელი მღვდელის" შემდეგ პირველად დაუბრუნდა კომედიის ჟანრს...

მეორე დღეს იონა ვაკელს ვუამბე ჩემი შთაბეჭდილებები. აღტაცებით მოვუყევი თუ როგორი სპექტაკლი გამოდიოდა. ვუხსენე "ესპანელი მღვდელის" მაგალითიც. ბავშვივით აღტაცებული მისმენდა. როცა მომავალი წარმატებების სურათი დავუხატე, მერე ისიც ვუთხარი, რომ მიშას გენიალური ფორმისათვის მიუგნია — ყველაფერი უბედურება, რაც სცენაზე ხდება, იუმორისტულად ჟურნალის ფურცლებიდან არის გადმოსული სცენაზე. ვერავინ შეგვედავება, პიესაც გადარჩება და სპექტაკლიც გონებამახვილური გამოდის...

ყველაფერი მართლაც მშვიდობიანად დამთავრდა. ეს ამბავი გამახსენა წიგნის სტრიქონებმა "უნდა დაიდგას პიესა — ეს აქსიომაა. სხვა საქმეა ამ ლიტერატურის დასადგმელად როგორ ფორმას, თეატრალური თამაშის რომელ საშუალებას ავირჩევთ. ყოველ სპექტაკლს თამაშის თავისი წესი, თავისი სახე უნდა გააჩნდეს. ყველა რეჟისორმა თავისი "თამაში" უნდა ითამაშოს ისე, რომ არ უთვალთვალოს მეზობელს, ვინაიდან ჩემი თეატრალური თამაში ჩემი აღიარებაა. და საერთოდ, პიესის გადაკეთებაზე "შეიძლება-არ შეიძლებათი" მსჯელობა არასერიოზულია. ყველაფერი საბოლოო შედეგზეა დამოკიდებული. შედეგი ცოცხალი, ბუნებრივი უნდა იყოს. ყველაფრის გაკეთება შეიძლება. რასაც წარმოსახვა გვკარნახობს, ოღონდ ფაქიზად, ლიტერატურაში არსებული სულიერების მიმართ სიფრთხილითა და ცოდნით" (გვ. 233-234).

მაგონდება ს. ახმეტელის სიტყვები, როცა ამბობს, რომ თეატრის სტილის და საერთოდ მიმართულების განმსაზღვრელი დრამატურგიაა. კარგი თეატრიც ის არის, სადაც პიესაა უპირველესი ("პირველი იყო სიტყვა"...) თეატრში, მისი წიაღიდან უნდა დაიბადოს რეჟისორული გადაწყვეტაცა და სპექტაკლის მთელი სამყარო...

მ. თუმნიშვილის წიგნში ერთმანეთს ენაცვლება ჩანაწერები, ესეისტური განწყობილებების და მკაცრი ლოგიკური, თეატრისადმი ქრესტომატიული მნიშვნელობის ჩანა-

წერები, წერილები. ლირიულ გადახვევებს ცვლის ანალიტიკური წერილები. ჭკუის სასწავლებელი, გონივრული რჩევები. თუ ნიჭი გაქვს, ბევრს ისწავლი, ეს არის თეატრის ბრძენკაცის ნაფიქრალი, რომელსაც ბევრი რამ უნახავს. არა, სწორად არ ვთქვი — "ბევრი რამ" კი არა, თითქმის ყველაფერი.

მხოლოდ წისქვილის ქვა არ დატრიალებულა მის თავზე. კაცს, რომ ორჯერ დასახვრეტად გაიყვანენ, მეტი რაღა უნდა ნახოს. მის შემოქმედებაში კი მოქცეულია მთელი ეპოქები, მთელი სამყარო, რომელიც მის სულში გადატყდა. თუმცა, მკითხველისათვის ალბათ უკეთესია თვალი გააყოლოს რეჟისორის ცხოვრების გზას...

"წავიდა ცხოვრება, როგორც დღეს ამბობენ. თურმე არასწორად გვიცხოვრია და კარგი არაფერი გაგვიკეთებია. ჩვენ ყველაფერი წარსულში მივატოვეთ. რა საინტერესოა! რა არ მომხდარა? ამ ცხოვრებაში თითქოს საგანგებოდ მოგონილი კინოფილმი დატრიალდა. ბავშვობა, საერთო ჯამში ძალიან მძიმე, ძალიან მძიმე — საქართველოს გასაბჭოება, ირგვლივ აპატიმრებდნენ და ხვრეტდნენ. ტროცკისტებს იჭერდნენ. უშბაზე ჩემი ნათესავი პიმენ დვალი დაიღუპა. ამტკიცებდა, რომ იქ ავი სულები არ არისო. თუმცა, ამბობდნენ: სულ ერთია, მას როგორც ტროცკისტს (მისი საწერი მაგიდის თავზე ტროცკის პორტრეტი ეკიდა), მაინც დახვრეტდნენ. სკოლა — ჩემთვის ბედნიერი ხანა, მთელი პლანეტა. პედაგოგები კარგი გვყავდა, ძალიან განათლებულები, ჯერ კიდევ ლევანდოვსკის გიმნაზიის დროისა. შემდეგ — წითელ არმიაში სამსახური. ომი. მთელი ამბავია: საზღვარზე, უკან დახევა, დაჭრა, ტყვეობა, გაქცევა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ხეტიალი, რამდენჯერმე დასახვრეტად წამიყვანეს. გადავრჩი. პარტიზანობა, ისევ ჯარში, ამჯერად ყუბანელ კაზაკთა კავალერიის კორპუსში. იერიში. პერეკოპი. ჰოსპიტლები. სახლში. ომის შემდგომი მძიმე წლები. ცალი შავი პური — 100 მანეთად, ღამეები არ გვეძინა იმის მოლოდინში, რომ მოვლენ და რაც ტყვეობაში ნამყოფს, დამაპატიმრებდნენ. იმ დროს ყველა ასეთს შუა აზიაში ან ციმბირში ასახლებდნენ, მთელი ოჯახებით ასახლებდნენ, ინსტიტუტში ჩავაბარე, ბედნიერი დრო, მიუხედავად მძიმე ცხოვრებისა, ნინელკა, დავქორწინდით.

რუსთაველის თეატრი — განსაკუთრებული სამყარო. მე და ჩემი "შვიდკაცას" მეგობრები. ვცდილობდით, ხელოვნებაში რაღაც ახლისათვის მიგვეღწია. მერე სტალინის სიკვდილი. გვეგონა, ქვეყნის დასასრული დადგაო. მერე ხრუშჩოვმა გამოაცხადა, რომ სტალინი დამნაშავეა და უვიციო. მერე ახალგაზრდების ჯანყი სტალინის დასაცავად. ტანკებითა და ტყვიამფრქვევებით დაცხრილეს. ყველაფერ ამის მიღმა მღელვარებით აღსავსე ცხოვრება. ლიკას დაბადება. ნინელის სიკვდილი, მარტოობა. დავრჩით მე და ლიკა. საშინელი მდგომარეობა რუსთაველის თეატრში. წასვლა. ახალი თეატრის ორგანიზება. და აი, ახლა კი საქვეყნოდ აცხადებენ, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება შეცდომა ყოფილა — 70 წლის სიგრძის შეცდომა. ცხოვრება კი მხოლოდ ერთხელ გვეძლევა" (გვ. 188-198).

რა დიდი და დრამატული ცხოვრებაა!

მხოლოდ ერთი ფრაზით არის თქმული "საშინელი მდგომარეობა რუსთაველის თეატრში. წასვლა".

მე კარგად ვიცნობ ამ ფრაზის მიღმა დარჩენილ მთელ ცხოვრებას. ვერ დაიცვეს მიშა თეატრიდან წასვლისაგან მისმა საყვარელმა "შვიდკაცამ", ვერც სხვებმა, ერთგულებას რომ ეფიცებოდნენ. აიძულეს თეატრიდან წასულიყო. თითქოს ახლაც ჩამესმის დიმიტრი ალექსიძის სიტყვები, რომელიც მან 1963 წელს

თუმანიშვილს უთხრა: "მიშა, ჯერ მე გამაგდებენ და მერე შენი რიგი დადგება. სანამ მე ვარ, ხელს არავინ გახლებს, მერე კი... ჰაიდა, თეატრი უკან დაგრჩება"...

ასეც მოხდა. მარტო დარჩა. უცებ შემოეფანტნენ ყველანი. ეულად იდგა, როგორც ტრიალ მინდორზე ნამეხარი მუხა. მას საოცრად უყვარდა დავით კლდიაშვილი. ხშირად უტრიალებდა "უბედურებას". მოთხოვნილება ჰქონდა ხშირად მასზე ელაპარაკა. თითქოს რაღაც ბიოგრაფიულს ხედავდა მასში. სიტყვით ყველა ეხმარება დასაქცევად განწირულ ანტონას ოჯახს. ყველა თანადგომას ჰპირდება, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, ყველა თავის თავზე ფიქრობს და აღარავის ახსოვს ანტონა...

ასე მიატოვეს მიშა თეატრში...

შემზარავია მარტოობის ეს განცდა...

ათგზის ნაცნობი და ახლობელი გრძნობაა. განა ხალხისაგან მიტოვების, მარტოსულობის კვნესა არ გვესმის ნ. ბარათაშვილის სიტყვებიდან? დედაც მყავს, მამაც, მეგობრებიც, და მაინც მარტო ვარ ამ ტიალ წუთისოფელშიო. ვინ იცოდა მისი არსებობა? ვის უნდა დაეცვა? ხალხისთვის უცნობი იყო, როგორც პოეტი და ნათესავთაგანაც არავინ ჰყავდა დამცველი. ვორონცოვი პეტერბურგში იმპერატორს წერდა: აქ არიან პოეტები, რომელთა ლექსებს ალბომში წერენ, მაგრამ ხალხმა მათ შესახებ არაფერი არ იცის, მოვა დრო და გაიცნობენო. დიდი ეროვნული ტრაგედიაა. ჩვენდა საუბედუროდ, იმ 20 ათასი ქართველიდან, რომელიც მაშინ თბილისში ცხოვრობდა, თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო. მდგომარეობა არსებითად არც მერე შეცვლილა, როცა ილია სულისშემძვრელ სიტყვას იტყვის: "შენს მიწაზე კაცი არ არის, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო". ცრემლებს ვერ ვიკავებ, ამ სიტყვებს რომ ვკითხულობ. მისი არ ესმოდათ არც მაშინ, როცა ერის გამთლიანებისა და თავისუფლებისათვის იბრძოდა და არც სიკვდილის შემდეგ, რადგან საქართველო მისი გზით არ წავიდა...

რაღაც შორს შევტოპე, მაგრამ მარტოსულობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ განიცდება საქართველოში. ჩვენში არაფერი ისე ადვილი არ არის, როგორც კაცის მიტოვება, კაცის განწირვა...

განირეს მაშინ თუმანიშვილი. თეატრალურმა ინსტიტუტმა შეიფარა, ერთხანს თეატრის გარეთ დარჩა. ამ მხრივ ტიპიური იყო მისი ხვედრი. სხვა თეატრის მაგალითს არ გავიხსენებ. 54 წლის ასაკში აიძულეს კოტე მარჯანიშვილი რუსთაველის თეატრიდან წასულიყო. 51 წლის ასაკში დახვრიტეს ახმეტელი, 54 წლის ასაკში აიძულეს დ. ალექსიძე თეატრიდან წასულიყო...

ისტორია მეორდება, მაგრამ ადამიანთა სიცოცხლე არ მეორდება...

მ. თუმანიშვილმა თავისი ერთი სიცოცხლე ბევრს გაუნაწილა.

მიხეილ თუმანიშვილი ბოლომდე მაინც ვერ დაიხარჯა. რამდენი შექმნა, რამდენი რამ გააკეთა როგორც რეჟისორმა და პედაგოგმა, და მაინც უთქმელიც ბევრი დარჩა. მან უჩვეულო სამყარო შექმნა არა მხოლოდ თეატრში, არამედ თავის გარშემოც. როგორც მიზიდულობის ცენტრი, ისე იზიდავდა ყველას. საინტერესო პიროვნება იყო და იმიტომ. იყო მუდამ ახალგაზრდა. აზროვნებდა მუდამ ახლებურად, თანადროულად.

დიდ რეჟისორებზე თუმანიშვილი ასე წერს: "არიან რეჟისორები, რომლებმაც სკოლები, მიმდინარეობები შექმნეს: სტანისლავსკი, მეიერჰოლდი, ვახტანგოვი. ჩემთვის ყველაზე ახლო მარჯანიშვილია. მე ვისურვებდი ვყოფილიყავი ისეთი, როგორიც ის იყო. კიდევ ვინ შეიძლება დავასახელო? ახმეტელი, პიტერ ბრუკი, შესანიშნავი რეჟისორია, სტრელერი, სხვა საქმეა, მოგწონთ

თუ არა, მაგრამ ბრეხტი აღმოჩენაა. ის რეჟისორები, რომლებიც დავასახელე — პლანეტებია, რეჟისორული პლანეტები. ტოვსტონოგოვი — სკოლაა. მე უდიდეს რეჟისორებზე მაქვს საუბარი" (გვ. 148).

მ. თუმანიშვილი ქმნის სკოლას. ეს დიდი, იშვიათი მოვლენაა. მისი მიღწევა მხოლოდ ნიჭთან ერთად უჩვეულო თავგანწირვას, შეუსვენებელ, მკაცრად თანმიმდევრულ და მეთოდურად ზუსტად აწყობილ ძიებებს, სასცენო ლექსიკის ტექნოლოგიის ყველა საიდუმლოთა ცოდნით მიღწევა. თანაც იმ შემთხვევაში, თუ უარს იტყვი სიცოცხლის ამქვეყნიურ სიამეთა ტკბობაზე.

მან ყველაფერი თეატრს შესწირა!

ერთხელ სერგო ზაქარიაძემ თეატრში კრებაზე თქვა: "ჯერ თეატრი და მერე ცოლშვილი". მახსოვს, როგორი აღშფოთებით ლაპარაკობდნენ თეატრში ამის შესახებ. კაცი რომ თეატრს შვილს ანაცვალებს, სხვას რას დაინდობსო. მარტივი და პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეს ნათქვამი. პროფესიული მაქსიმალიზმის გამო ს. ზაქარიაძეს მარჯანიშვილის თეატრში ბევრი ხმასაც კი არ სცემდა...

საერთოდ, ქართველ კაცს ყველაფერი ერთდროულად უნდა, წარმატებაც, ფულიც, დროსტარებაც. ერთი სიტყვით, ადვილად და ერთდროულად...

მიხეილ თუმანიშვილმა შესძლო დაეთრგუნა ამქვეყნიურ სიამეთა ცდუნება...

საერთოდ, თუმანიშვილის გვარმა დიდი როლი შეასრულა ქართული თეატრის ისტორიაში.

მიხეილ თუმანიშვილი ("მოლაყბე") იყო გიორგი ერისთავის თეატრის პირველი პროფესიონალი კრიტიკოსი.

გიორგი თუმანიშვილი იყო მუდმივმოქმედი თეატრის პირველი ხელმძღვანელი (რომელიც შემდეგ მსახიობებმა აიძულეს თეატრიდან წასულიყო...).

ბევრმა სხვა თუმანიშვილმაც თეატრს დაუკავშირა თავისი ბედი.

ასე რომ, დიდია თუმანიშვილთა გვარის ღვაწლი ქართულ თეატრში, — რეჟისორ მიხეილ თუმანიშვილისა კი სრულიად განსაკუთრებული.

წიგნის რომელი გვერდიც არ უნდა გადავფურცლოთ, ყველაზე საინტერესო ამბავს თუ ნაფიქრს წაიკითხავთ. ფრაგმენტები ზოგჯერ პატარ-პატარა, მინიატურული ნოველებივითაა. ზოგჯერ იმპრესიონისტულ ჩანახატებსა ჰგავს (სხვათაშორის მიშა შესანიშნავად ხატავდა თავისთვის!).

განმარტებები იმპროვიზაციაზე, ქმედებაზე, ჟესტზე, მიზანსცენაზე და ყველაფერზე, რასაც თეატრის სამყარო მოიცავს, თუმცა, მარტო თეატრისა კი არა, საერთოდ, ცხოვრებისა.

"სიტყვიდან ცხოვრება იბადება". რა საოცრად სილრმისეული ხედვაა სიტყვისა! ეს არის სიტყვის რეჟისორული გრძნობა. სიტყვიდან ცხოვრების დაბადება ყველაფრის მომცველია. ეს არის სიყვარული, სიძულვილი, ერთგულება, მტრობა, სიმღერა, გლოვა, ეს არის ხმა, პლასტიკა, სმენა, ფერი, გემო, ხედვა, სინათლე, სიბნელე, საერთოდ, ყველაფერი, რასაც ცხოვრება ჰქვია. თეატრში ლიტერატურიდან წარმოსახული ახალი სამყარო ჩნდება და იგი არის სახილველი.

ძველ ქართულ თეატრს სახილველი ერქვა...

ასეა საბას ლექსიკონში განმარტებული.

მიხეილ თუმანიშვილის თეატრი ქმნის დიდსა და განუმეორებელ სახილველს, სადაც არასოდეს არ კარგავს სიტყვა თავის უპირველეს აზრს...

"მარად კურთხეული იყავ თეატრო, ოღონდ ნუ შემოუშვებ შენს ტაძარში გამყიდველებსა და ვაჭრებს (ვაჭრები აქ სხვა ქვეტექსტით არის ნაგულისხმევი — ვ. კ.). აქ, ამ ფიცარნაგზე არავინ არაფერს იღებს. აქ მხოლოდ ენით აუწერელი ნეტარი სი-

კვდილით კვდებიან. აქ იბადება ჩვეულებრივისაგან განსხვავებული, სხვა ცხოვრება. იბადება ოცნება იდეალურ სიყვარულზე და სიყვარულისათვის ლამაზ სიკვდილზე. აქ, როგორც ბოტიჩელთან, ყველაფერი ოდნავ ზეაწეული და ამაღლებულია. არ მიყვარს თეატრი, რომელიც ცხოვრებას ნაგვის გროვითა და სიბინძურით გამოხატავს" (გვ. 289).

და განა მართლა განწმენდილი, ზნეობრივად ამაღლებული არ არის თუმანიშვილის თეატრი? ვკითხულობ მის რეპერტუარს, წიგნს რომ თან ერთვის და იმ 68 დასახელებიდან, მართლაც, არც ერთი არ არის "ცხოვრებას ნაგვის გროვითა და სიბინძურით" რომ გამოხატავენ.

როგორ გვჭირდება ასეთი თეატრი! მიხეილ თუმანიშვილის წიგნის ყოველი თავი თავისებური გაკვეთილია, თავისებური ძახილია, გამაფხიზლებელი, რბილი, მორიდებული (როგორც თავად იყო), მაგრამ სულში ჩამწვდომი ძახილი. მთავარია ყური მიუგდოთ მის ხმას (ბევრს ესმის კი ამ ძახილისა?!).

"რ. სტურუა "ალუბლის ბაღის" შესახებ აი, რას წერს: "ჩეხოვი იცინოდა, ის ვერ იტანდა, ეცოდებოდა ინტელიგენცია და მიაჩნდა, რომ ყველა უბედურება მათგან და მათი ამპარტავნობიდან მოდის... ლოპოხინი კი არ არის დამნაშავე, არამედ თავად ინტელიგენცია და ამის შესახებ მათ ხანდახან უნდა შევახსენოთ". არ ვეკამათები, შეიძლება, მაგრამ ჩემთვის ეს კონცეფცია სევდის მომგვრელია. რატომღაც აღარ ახსოვთ ინტელიგენციის სიკეთე. ამ ადამიანებთან ერთად რაღაც კარგი, განუმეორებელი წავიდა. ისინი თეთრი წეროებივით არიან. ეს მშვენიერი ფრინველები თანდათანობით ქრებიან. ყოველ გაზაფხულზე ველოდებით, აბა, ამ ჯერზე რამდენი მათგანი მოფრინდება, ან კი მოფრინდებიან საერთოდ?"..

მართლაც, სევდისმომგვრელია ბედი ინტელიგენციისა. მუდამ ისინი იბრძოდნენ თავისუფლებისათვის და პირველებიც ისინი ისჯებოდნენ ამისათვის. ფარვანებივით მიილტვიან სინათლისაკენ და მისსავე შუქზე იღუპებიან...

მ. თუმანიშვილი მწერლის სიტყვისა და მსახიობის თეატრის პარლოგეტია, დიდი ცხოვრების შემდეგ, როცა მოსინჯა ყოველი გზა და ფორმა — რეჟისორებს თითქოს ანდერძივით დაუბარა: "ჩვენ, რეჟისორები, ინტელიგენტები უნდა ვიყოთ. მსახიობებს თავაზიანად უნდა ვეპყრობოდეთ, რადგან ისინი ყველაზე უბედური და დამოკიდებული ხალხია ქვეყანაზე. როდესაც სპექტაკლი ჩავარდება, ჩვენ, რეჟისორები, ჩვეულებრივ, კულისებში ვიმალებით, საწყალი მსახიობები კი ყველას დასანახად, სცენაზე არიან. არა, რაც არ უნდა მოხდეს, ყოველთვის მსახიობების მხარეს ვარ. ისინი დაუცველნი არიან. იმის შიშით, როლის გარეშე არ დავრჩეთო, ცდილობენ, რეჟისორს არ წაეჩხუბნონ, მსახიობები ჭირვეულობენ, საზიზღრები, აუტანლები არიან, მაგრამ მათ გარეშე ჩვენ რა ვართ, არაფერი. თეატრი მსახიობია" (გვ. 319).

წიგნი უნდა წაიკითხოთ, რომ სავსებით იგრძნო თუმანიშვილისეული თეატრის სიბრძნე და პოეზია.

"მთელი ჩემი არსებით, მისი ყოველი უჯრედით, ფიზიკურად ვიგრძენი, სულის ყველა სიმით, რომ ჩემი ხელოვნება მოჩვენებითია, ვითარცა სიზმარი. მსახიობები წავიდნენ. დადუმდა მუსიკა, შუქი ჩაქრა და ჩემი ხელოვნებაც გაუჩინარდა. მსახიობებმა სპექტაკლი სახლებში, ბინებში, თავიანთ სულებში წაიღ-წამოიღეს. თითქოს მე არც რამ შემიქმნია და სპექტაკლი არც კი ყოფილა... იყო და არა იყო რა!"...

სამწუხაროდ, ასე წარმავალია, ილუზიურია თეატრის ხელოვნება, მაგრამ განა თვით ადამიანთა ცხოვ-

რებაც ასევე არ ქრება? მერედა, როგორ ჰგავს თეატრალური ხელოვნების ბედი ადამიანისას.

დრო მიდის. მიხეილ თუმანიშვილის თეატრიც თანდათან ლეგენდებსა და თქმულებებში გადავა, მაგრამ მისი წიგნები ("სანამ რეპეტიცია დაიწყება", "რეჟისორი თეატრიდან წავიდა", "ახლა კი, ფარდა"...) სამუდამოდ დარჩებიან. განა ტრაგიკული არ არის თავი შესწირო ხელოვნებას, რომლისგანაც არაფერი არ რჩება?...

მიხეილ თუმნიშვილმა ყოველივე ეს იცოდა და მაინც თავს სწირავდა მოკვდავ ხელოვნებას, რათა თავად უკვდავებას ზიარებოდა.

თეატრის სამყაროს უკვდავებას...

თამაზ ჭილაძე

დიდსტატიანი ბიბლიოთეკა

თუმცა არც ისე დიდი დრო გავიდა მიხეილ თუმანიშვილის გარდაცვალებიდან, მაინც უკვე აშკარად იგრძნობა უიმისობა, თუმცა ვერც კი ვიტყვი, კონკრეტულად რას ვგულისხმობ, როცა ამას ვამბობ. ცხოვრება თითქოს ძველებურად გრძელდება, მაგრამ რაღაც მაინც შეიცვალა, უფრო ზუსტად, რაღაც მნიშვნელოვანი დაგვაკლდა და ეს მხოლოდ მის საყვარელ, ამჟამად მისი სახელობის თეატრს კი არ ეტყობა, არამედ საერთოდ ჩვენს თეატრალურ ცხოვრებას. აი, ახლახან გამოვიდა მისი ბოლო წიგნი, რომელმაც სიხარულთან ერთად, რაც ყველა ჭეშმარიტი ნიჭით მოვლენილ ნაწარმოებს ახლავს, დაგვასევდიანა კიდეც, რადგან ვიგრძენით — ეს წიგნი დასასრულის წინათგრძნობითაა აღბეჭდილი. „ნეტავ, რამდენი დამრჩა კიდევ? დღე, თვე, წელიწადი, ორი-სამი წელი? “ — ეს სიტყვები, თითქოს უნებურად, ავტორის განწყობილებას ამხელს. მართლაც, თითქოს მზად არის გულში ჩაიკრას, არა მარტო სცენის „უხეში, ხორკლიანი ფიცრები”, არამედ ყველაფერი, რასაც ხედავს და განიცდის: „...ღრუბლები... ხეები, კენწეროზე შემომჯდარი ყვავი, გამზირზე შიშავალი ხალხი, ახალგაზრდა მოკისკისე შეყვარებულები, სამსახურიდან დაბრუნებული დაღლილი ადამიანები, საღამო ხანს ეული გამვლელები”, აჟივჟივებული ჩიტები, შემოდგომის წვიმა (მახსენდება მისი ასეთი ფრაზა: „წვიმას საკუთარი... ცხოვრება ... აქვს”!) მოთამაშე ბავშვები. ეს ყველაფერი, ერთად აღებული, მისთვის სიცოცხლეა, რომელსაც არაჩვეულებრივი სიმტკიცით, ანტიკური ფილოსოფოსივით მშვიდად ეთხოვება. სხვანაირად ვერ იტყოდა: „ისე, კაცმა რომ თქვას, სასაცილოა — მოხვიდე იმისათვის, რომ წახვიდე!”. ამასთანავე, ამ წიგნიდან ვიგებთ, რომ ეს სიმშვიდე გარეგნულია და უაღრესად პირობითი. თითქოს ანდერძს წერს — ქვეყანას, რომელსაც აქამდე გულით დაატარებდა, ახლა ყველას, თითოეულ ჩვენგანს გვინაწილებს და გვიტოვებს. ვფურცლავთ ამ წიგნს და სუნთქვა გვეკვრის, ღმერთო, რა სიმდიდრის პატრონი ყოფილა ეს ადამიანი და როგორი ძალით ვყვარებივართ ჩვენც. არ არსებობს ქვეყნად იმაზე ნეტარი წამი, როდესაც შენთვის ძვირფასი ადამიანისაგან სიყვარულს იგრძნობ!...

არიან შემოქმედები, რომელთა პროფესიაც მათთან ერთად ჩნდება ამ ქვეყნად, მათთან ერთად იზრდება, ძალას იკრებს და თანდათანობით ყველა რწმუნდება, რომ რასაც ჩვეულებრივად პროფესიას ვუწოდებთ, ამ შემთხვევაში ამ სახელს ველარ დავარქმევთ, რადგან სხვა თვისება შეუძენია — პიროვნების სინონიმად ქცეულა.

თითქოს მთავარი დამსახურება, მათი კი არა, განგების წყალობაა, განგებამ ასეთებად მოავლინა და ამდენად თითქოს უზრუნველი ცხოვრებაც გაუნაღდათ. მართლაც, ასეთი წარმოდგენა ძალიან ჩამოგავს სიმართლეს, ერთი რაღაც რომ არ უშლიდეს ხელს მის სრულყოფილებას, ანუ მის დამაჯერებლობას: ადამიანთა სინამდვილეში არაფერს იმდენი წვრთნა, ვარჯიში, შრომა, ტანჯვა, წამება, გულისხეთქვა, შეშლილობამდე მისული სასოწარკვეთა არ ჭირდება, როგორც ნიჭთან დაკავშირებულ საქმიანობას. ასე რომ, ნუ ენდობით შემოქმედთა ღიმილს. დამერწმუნეთ, იმას, რაც ამ ღიმილის უკან იმალება, ბევრი, ყოველშემთხვევაში ნორმალურად მოაზროვნე ჩვეულებრივ ადამიანთა, ანუ მისი სიტყვით „ფრთამოკვეთილი ანგელოზების" უმრავლესობა თავზარდაცემული გაექცეოდა. ნიჭი, მართალია, ღვთის საჩუქარია, მაგრამ მხოლოდ მას შეუძლია მისი მიღება, ვისაც სულიერი სიმტკიცე და ძალა გააჩნია. ღმერთს, მაინც და მაინც, არ უყვარს საჩუქრების დარიგება და, თანაც, მისი საჩუქრები ყოველთვის უცნაურობით გამოირჩევა. მაგალითად, გაჩუქებს უდაბნოს ან სალ კლდეებს, დაარქმევს მას შენს სამშობლოს და არ არსებობს ქვეყნად რაიმე, თუნდაც, საშოთხე, რომელზედაც ამ უდაბნოსა თუ სალ კლდეებს გაცვლი, თუკი, რასაკვირველია, მართლაც ვეცემის ღმერთის საჩუქრის მნიშვნელობა. ნიჭიც ღმერთისაგან ბოძებული ხმიადის ის ნატეხია, რომელიც გამვლელსაც უნდა გაუყო, გამომვლელსაც და შინაც მთლიანად, ხელშეუხებლად უნდა მიიტანო. ამას რასაკვირველია, ყველა ვერ შესძლებს, უპირველეს ყოვლისა კი ის, ვისაც ღმერთისაგან ბოძებული ხმიადი ქილა ერბოზე გაუცვლია და გადაჰყოლია კიდეც მას.

მიხეილ თუმანიშვილის პირდაპირმა წინაპრებმა ა. ახმეტელმა და კ. მარჯანიშვილმა შექმნეს ქართული თეატრის ის სახეობა, რომელიც მუდამ მზად უნდა ყოფილიყო ცხოვრების დიალექტიკური განვითარების შესატყვისი ახალი ფორმების მისაღებად და ასათვისებლად. მაგრამ ქართული თეატრის ეს მონაპოვარი საგანგებოდ იყო მიჩქმალული, დავიწყებული სოცრეალიზმის — ხელოვნების ამ კრემატორიუმის — მსახურთა მიერ. ა. ახმეტელის გარდაცვალების შემდეგ, გმირულ-რომანტიკული თეატრი აშკარად ცალმხრივად განვითარდა, თუკი განვითარებას ვუწოდებთ იმ ფაქტს, რომ ის საერთოდ თეატრალური ხელოვნების უზურპატორის როლში მოგვევლი-

ნა. გმირისა და ანტიგმირის მარტივ ურთიერთობას შეეწირა ყველაფერი ის ნამდვილი და გამორჩეულად უნიკალური, რაც ამ თეატრმა ადრე დიდი რეჟისორის მგზნებარე ტალანტის წყალობით მიაღწია. ჩვენი მაშინდელი თეატრი იმდენად იყო გატაცებული, მე ვიტყოდი შეპყრობილი ყალბი გმირობის პაროქსიზმით, მონუმენტომანიით, რომ სხვა ადამიანური თვისება თუ გრძნობა საერთოდ არ ჭაჭანებდა სცენაზე. ნახევრად ხუმრობით თუ ვიტყვი, მაგალითად, დეზდემონას — შექსპირის ერთერთი ყველაზე საინტერესო პერსონაჟის — ფუნქცია სპექტაკლში მხოლოდ მისი... კისრით ამოიწურებოდა, რასაც ქართველი დეზდემონები მორჩილად იყვნენ კიდეც შეგუებულები. მ. თუმანიშვილი კოჰოუტის პიესით შეეცადა სცენაზე განეხორციელებინა მასწავლებელთა გამოცდილება, მაგრამ ეს ცდა მას სწორედ მოძღვართა და ტრადიციათა ღალატად ჩაუთვალეს. თავისი აქტიური ტალანტისა და მაღალი პროფესიონალიზმის წყალობით, მაინც შესძლო იმ ვითარებაში თითქმის წარმოუდგენელი რამ დაპირისპირებოდა თეატრალურ სამყაროში გაბატონებულ დოგმებს და ტრადიციების ერთგულება და პატივისცემა მკვეთრად გაემიჯნა კერპთაყვანისმცემლობისაგან.

ხშირად შევხვედრივარ მიხეილ თუმანიშვილს, დავსწრებივარ მის რეპეტიციებს, მისაუბრია თუ მიკამათია მასთან ჩემთვის საინტერესო საკითხებზე. სხვათა შორის, ერთი ჩვენი საუბარი ჩაიწერეს და პრესაში გამოაქვეყნეს კიდეც. თუმანიშვილი მოწოდებით მასწავლებელი იყო. არამარტო ხასიათის შინაგან ფსიქოლოგიურ სტრუქტურას უსწავლიდა მსახიობს, არამედ საერთოდ თეატრალური ხელოვნების გაკვეთილს უტარებდა. უნებურად მახსენდება ერთი დიდი მოაზროვნის სიტყვები: მე ფილოსოფიას კი არა, ფილოსოფოსობას ვასწავლიო. მის რეპეტიციებზე, რომლებსაც ერთ დროს ერთგულად ვესწრებოდი, ბევრი ჩემთვის საინტერესო რამ შევითვისე. გასწავლიდა ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, მშვიდად, თითქოს მისგან კი არა, საკუთარი თავისგან სწავლობდი და ნამდვილად ასე იყო: სწავლა საკუთარი თავის აღმოჩენაა, მეტი არაფერი. ნამდვილი მასწავლებელია ის, ვისაც ცოდნის მწვერვალებზე შენი აყვანის პრეტენზია კი არა აქვს, არამედ ცდილობს ჩაგახედოს შენი არსების წიაღში. მიხეილ თუმანიშვილმა მე — დამწყებ დრამატურგს — მიმახვედრა ლოგიკის აუცილებლობა იქ, სადაც თითქოსდა შეუძლებელია მისი დაშვებაც კი, ანუ ადამიანის აფორიაქებული ემოციების სამყაროში. სწორედ ლოგიკა — უკეთესია თუ ვიტყვი — პოეზია-მეთქი, რადგან ის წარმოადგენს სწორედ სიზუსტის სიზუსტეს, ანუ ლოგიკის ლოგიკას — აქცევს წიგნისა და სცენის ღირსად ადამიანის ისეთ ემოციებსაც კი, რომლებიც სხვა შემთხვევაში კლინიკის პალატასაც კი ვერ გასცდებოდნენ. მე შენახული მაქვს მისი

ხელით დახატული სქემა „ თავფარავნელის ბალადისა", რაც ყველა დამწყები დრამატურგისთვის ალბათ ლაბირინთიდან გამოსვლის გეგმის ტოლძალი იქნებოდა. უნდოდა, ამ ბალადის მიხედვით პიესა დამეწერა. თავისუფლებისკენ ლტოლვა უნდა ყოფილიყო ძირითადი იდეა ამ პიესისა, რომელიც მერე, თითქმის, ათი წლის შემდეგ დაწერით კი დავწერე, მაგრამ მისი სქემის მიხედვით არა და ასე რომ მოვქცეულიყავი, ისევ მისმა საუბრებმა და შეგონებებმა მიკარნახეს, ანუ მიმახვედრეს და დამიკანონეს კიდეც ასეთი ჭეშმარიტება — ლაბირინთიდან მხოლოდ შენით, შენი საკუთარი გზით უნდა გამოხვიდე. მართალია, ასეთი „თვითნებობა" ძალიან ძვირად დამიჯდა — მას ჩემი პიესისკენ აღარც გამოუხედავს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გულის სიღრმეში მომიწონა გადაწყვეტილება. პიესის შესახებ ხმა არ ამოუღია, თუმცა სხვა ჩემი პიესების წაკითხვის შემდეგ ყოველთვის მიზიარებდა თავის შეხედულებას. რამდენჯერმე ტელეფონითაც კი დამირეკა. ოღონდ ბედმა გამიღიმა და მასთან მაინც ვითანამშრომლე. ერთ მშვენიერ დღეს ქალბატონი ნათელა ურუშაძე — ჩვენი ცნობილი თეატრმცოდნე — გვესტუმრა ოთარსა და მე და მიხეილ თუმანიშვილის თხოვნა გადმოგვცა: ანუის „ანტიგონე" მითარგმნეთო. მაშინ რეჟისორები თვითონ არ თარგმნიდნენ და არ წერდნენ პიესებს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ თავად თუმანიშვილი არაჩვეულებრივად კარგად წერდა, ნამდვილი მწერლის თვალი ჰქონდა. დღესაც კი მიხარია, რომ მცირე წვლილი მაინც შევიტანე ამ ბრწყინვალე თეატრალური შედევრის შექმნაში. ეს იყო დიდებული, მართლაც ქრესტომათიული სპექტაკლი, სადაც სამი უნიჭიერესი ადამიანი — თუმანიშვილი, ზაქარიაძე და კვერეხჩხილაძე — ეჯიბრებოდა, უფრო ზუსტად — ებრძოდა ერთმანეთს და ამ ჯიბრით თუ ბრძოლით გასაოცარ ჰარმონიას, მე ვიტყოდი — ჰარმონიულ ფეიერვერკს ქმნიდა.

როგორც ჭეშმარიტად კულტურული ადამიანი, ლაპარაკობდა ძალიან უბრალოდ და ძალიან გასაგებად. განათლება საშუალებას აძლევდა, გამოეძებნა საჭირო სიტყვები, კულტურა კი ეხმარებოდა ეს სიტყვები შენთვისაც გასაგები გაეხადა. გელაპარაკებოდა მშვიდად, წყნარად, თავაზიანად, თითქოს თავის აზრს კი არ გიმხელდა, შენსას იმეორებდა, თითქოს რომელიმე საინტერესო მოსაზრების ავტორი თვითონ კი არ იყო, არამედ შენ. მისი ლაპარაკის ინტონაცია ძირითადად კითხვის ნიშნით შეიძლებოდა აღნიშნულიყო, ძირითადი სათქმელი შეკითხვის ფორმაში ჰქონდა მოქცეული. შენც ფხიზლად უნდა ყოფილიყავი, უნდა გხსომებოდა, რომ სინამდვილეში კი არ გეკითხებოდნენ, არამედ გპასუხობდნენ. შეიძლება ითქვას, მისი წინადადება კითხვის ნიშნიანი პასუხი იყო და ეს შენდამი პატივისცემის გამო ხდებოდა და შენც თუკი არ წამოეგებოდი ამ „ანკესს", თუ არ შეიფერებდი, თუ არ აჰყვებოდი

უნებურ ცდუნებას, რაც თავისთავად, ადამიანურად ძნელია, მაშინ შეიძლებოდა ბევრი რამ გაგეგო ახალი, ბევრი რამისთვის ახლებურად შეგეხედა, ბევრი რამ გესწავლა.

შეიძლებოდა ისიც მეთქვა, ჯერ კიდევ როდის შეამჩნია თავისუფლებისა და ანარქიის გაიგივების მოსალოდნელი საშიშროება. თავისუფლებისკენ ლტოლვა ყველა ცოცხალი არსების ინსტინქტური თვისებაა, მაგრამ ადამიანის თავისუფლება უკვე გონებისმიერი ფენომენია, თუნდაც შეცნობილი აუცილებლობაა, ყოველშემთხვევაში, სასურველია, რომ ასე იყოს. „კანონთა არსის წვდომა გვათავისუფლებს კანონებისგან" — ეს ძველისძველი ბრძნული სენტენცია, რომელიც მან თავის ერთ-ერთ წიგნს ეპიგრამად დაურთო, არამარტო პროფესიული შრომის საყრდენია, არამედ საერთოდ ჩვენი გააზრებული არსებობის, კულტურად გარდაქმნილი თავისუფლების განმსაზღვრელიცაა...

გიორგი ჯავახიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძულებითი გამოხმაურება

ბატონო რედაქტორო! ჟურნალ „მთანობი"-ს 1998 წლის გაერთიანებულ ნომრებში (N7-8 და N9-10) გამოქვეყნდა ბატონ ჯემალ მჭედლიშვილის ნარკვევი „ივანე მაჩაბლის დოკუმენტური ბიოგრაფია", რომლის ავკარგიანობაზე ახლა არაფერს ვიტყვით, მაგრამ აქ ჩართულმა „მცირე ლირიკულმა გადახვევამ" გვაიძულა ეს გამოხმაურება დაგვეწერა.

1990 წლის 21 აგვისტოს გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში" გამოქვეყნდა ჩემი წერილი „ალბომში ჩარჩენილი სევდა", რომელშიც საუბარია დედაშვილ ლიზა და შალვა ქართველიშვილებზე, მათი ცხოვრების ეპიზოდებზე. აქ ერთ-ერთი საკითხი ეხებოდა დიდი ქართველი მამულიშვილის ივანე მაჩაბლის თავს გადახდენილ ამბავს ქორწინების გარეშე დაბადებულ შალვა ქართველიშვილს, უმთავრესად მის ლიტერატურულ მოღვაწეობას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შალვა ქართველიშვილის ივანე მაჩაბლის შვილობაზე ჩვენზე ადრე სწერდნენ საქართველოს სახალხო პოეტი იოსებ გრიშაშვილი, პროფესორი იოსებ მეგრელიძე და გიორგი ხარატიშვილი. ეს ამბავი კარგად იცოდნენ როგორც მათმა თანამედროვეებმა, ასევე დღესაც ცოცხლნი არიან ის ადამიანები, რომელთაც ახსოვთ ეს გახმაურებული ამბავი. რაც მთავარია, შალვა ქართველიშვილის ძმობას არ უარყოფდნენ ივანე მაჩაბლის ოფიციალური ქორწინებით დაბადებული შვილებიც. ამაზე დავობს მხოლოდ ჟურნალისტი ჯემალ მჭედლიშვილი და თვითონვე მოუთითებს, რომ ორი ათეული წელია (ახლა უკვე სამი ათეული წელი სრულდება) მუშაობს ივანე მაჩაბლის ცხოვრება -მოღვაწეობის შესწავლაზე და ამ ფაქტის შესახებ მას **არსად არაფერი არ შეხვედრია.** სამწუხაროა, რომ ივანე მაჩაბლის ცხოვრების „ყოვლის მცოდნეს" ჩემი წერილის გამოქვეყნებამდე არ ნაუკითხვას პროფესორ იოსებ მეგრელიძის (იხ. ლიტერატურული საქართველო, 1969 წელი, 11 აპრილი, №15) და პროფესორ გიორგი ხარატიშვილის ნიგნი „ქართველი ადვოკატების საზოგადოებრივი მოღვაწეობის ისტორიიდან" (თბილისი 1975 წელი) და რაც მთავარია, არ იცნობს იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა — მუზეუმში დაცულ მასალებს, რაზედაც მიუთითა ბატონმა ნოდარ გრიგორაშვილმა (ამ ბიბლიოთეკა-მუზეუმის დირექტორმა) წერილში „ელისაბედ ქართველიშვილი და ივანე მაჩაბელი" (დაიბეჭდა გაზეთ „რუბიკონში", 1993 წელს, № 29) ეს მოხდა მაშინ, როცა ჩვენს შორის პოლემიკა გამწვავდა და ბრძოლის შესაწყვეტად ასე იღონა ამ პატიოსანმა ავტორმა.

მკითხველი მიხვდება, რომ ჯემალ მჭედლიშვილს ჩემი წერილის გამოქვეყნების შემდეგ აეშალა კამათის საღერღელი, დაწერა ორი საპოლემიკო წერილი. ამას მოჰყვა ჩემი საპასუხო ორი წერილიც და ბოლო წერილში კი „და ეს მაინც ცილისწამებაა" (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო", 1992 წელი, 16 ოქტომბერი, № 40) მკითხველს აღვუთქვამდი, რომ ამიერი-

დან არავითარ რეაგირებას აღარ მოვახდენდი ოპონენტის „დიდაქტიკურ" შეგონებებზე-მეთქი, მაგრამ ახლა „მნათობის"(№ 9-10, 101-102) ფურცლებზე ჯემალ მჭედლიშვილის „მცირე ლირიკულმა გადახვევამ" გვაიძულა დავარღვიო ეს პირობა. აქ ხმის ამოუღებლობა არ ეგების, რადგან უსაფუძვლო ლანძღვა-გინება არ არის საკადრისი.

ბატონო რედაქტორო! როგორც ჩანს, „ვინმე" ჯემალ მჭედლიშვილი (ასე მომიხსენიებს იგი მე და სხვა მკრეხელობებსაც კადრულობს) ცრუობს, თითქოს მე „მაკომპრომინტირებულ ყალბ ცნობებს" ვაქვეყნებ „ვიღაც თელაველ მანდილოსნების ნაამბობზე დაყრდნობით". აქ ჩემს თავს რომ თავი დავანებო, არავის უფლებას არ მივცემ თელაველი მანდილოსნების გალანძღვისა და მოვითხოვ ჯემალ მჭედლიშვილმა ბოდიში მოიხადოს წერილობით. ჩანს, მას მოკარნახეებიც ჰყავს და არც იმათ დაუგვიანებ პასუხებს.

ჩვენ იმ წერილში, სადაც მივუთითებდით, ჯემალ მჭედლიშვილის პასკვილებზე არაკითარ რეაგირებას აღარ მოვახდენ მეთქი. ვწერდით, რომ „ჩემს ოპონენტს შეუძლია ინახულოს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში სოლომონ ლეკიშვილი, რომელიც მრავალ საინტერესო ცნობას მიაწვდის შალვა ქართველიშვილის შესახებ, აგრეთვე ქალბატონები: ნინო ავალიშვილი და გულნარა ბაქრაძე-მაყაშვილისა (მათ მისამართებს ჩემდამი გამოგზავნილი წერილებითურთ, რომლებიც ზემოთ ნახსენები ამბის შესახებ მოგვითხრობენ, ვუტოვებ რედაქციაში)". ჩანს ესენიც ყურად არ იღო ჯემალ მჭედლიშვილმა და დღესაც გაიძახის, არა მჯერა, არა მჯერაო... ეგების ახლა მაინც მივიდეს ხარფუხში, იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში და ნახოს იქ დაცული ლიზა ქართველიშვილის დღიურები, ივანე მაჩაბლის წერილი და გიორგი ლეონიძის ხელწერილი იოსებ გრიშაშვილის საინტერესო მინაწერებით... და იქნებ მაშინ მაინც დარწმუნდეს ფაქტის სინამდვილეში. თუ მაგასაც არ იკმარებს არ დაიზაროს და მოინახულოს ივანე მაჩაბლის ცხოვრების პირველი მონოგრაფიის ავტორის გიორგი ლეონიძის ქალიშვილი თინათინ ლეონიძე და ტიციან ტაბიძის ქალიშვილი ნიტა ტაბიძე. დარწმუნებული ვართ მისთვის არ დაიშურებენ, ამ ურწმუნო თომასათვის, ცნობების მიწვდენას.

მინდა მკითხველს შევახსენო, რომ ცნობილ ქართველ იურისტს და ლიტერატორს შალვა ქართველიშვილს თავის დროზე გამოქვეყნებული ჰქონდა ლექსები, საბავშვო მოთხრობები, კარიკატურები და თარგმანები. საყოველთაო აღიარება მოიპოვეს მისმა თარგმანებმა.

შალვა ქართველიშვილის პოპულარობაზე მეტყველებს მისთვის დიდ თანამედროვეთა: გალაკტიონ ტაბიძის, გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის, იოსებ გრიშაშვილის და სხვათა მიძღვნილი ლექსები.

ამრიგად, ამ რვაწლიანი ბრძოლის გადასახედიდან მკითხველი მიხვდება, რომ ჯემალ მჭედლიშვილის ეს „ლირიკული გადახვევა" მისთვის იქცა დრამატულ-ტრაგიკულ გადახვევად.

ერეკლეს ბიბლიოთეკა

69
19/IV 1999

ყდის მხატვრობა ჯემალ ზენაიშვილისა

თბილისი რუსთაველის ქ. №28

ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 99-51-61
პ/მგ. მდივნის და განყოფილებების — 99-91-00

გადაეცა ასაწყობად 15.12.98 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.02. 99 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11.5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16.1. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 10,81; ტირაჟი 400. შეკვეთა №3.

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის გამზირი №42

1-99
П 4886/2
99-69

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი
76125

ფასი ორი ლარი